

Bhagavan Sri Sathya Sai Baba

CHINNA KATHA

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

იგავ-არაკები

(ჩინა კათკა)

წიგნი 2

თბილისი

2011

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბას ამ წიგნში, რომელიც მისმა ერთგულმა, ცნობილმა მეცნიერმა, ცნობილი ოთხტომეულის «სატიაშ შივამ სუნდარამი»-ს ავტორმა – პროფესორმა ნ. კასტურიმ ჩაიწერა, შეკრებილია სიბრძნის ფასდაუდებელი განძი, რომელიც უეჭველად დაეხმარება სულიერების გზაზე ჭეშმარიტების ყველა მამიებელს, მიუხედავად ასაკისა და რელიგიური მრწამსისა.

© გამომცემელი და მთარგმნელი

ვაჟა ნარიმანიძე

ყველა უფლება დაცულია

დაიბეჭდა გამომცემლობის ხარჯებით

ISBN 978-9941-0-3610-1(ორივე წიგნის)

ISBN 978-9941-0-3611-8(მეორე წიგნის)

## წინასიტყვაობა

«ოკა ჩინა კათჰა» (ერთი პატარა ამბავი) - როდესაც ბჰაგავანი ამ სამი სიტყვით წყვეტს თავისი საუბრის გამაღებულ ნაკადს, ყველას სმენა გამახვილებულია, ყველას გული უთრთის, რადგან ის, რაც ამას მოჰყვება, გაელვებაა, ყველაფერს რომ ანათებს, ეს არის მაცოცხლებელი წვიმა, გამამხიარულებელი ხუმრობა, ეს არის «აბი», რომელიც ამშვიდებს, თვალის გადავლება ეპიკურ სიდიადეზე ან პომპეზურ უაზრობაზე, ეს პოეტური ინტერმედიია, შესაქცევი გაქილიკებაა, ეს არის უღრმესი აზრი შაქრის გარსში, განმაიარალებელი სიმახვილეა, ეს დაცინვის ნიაღვარია რელიგიურ თემაზე ყბედობის მიმართ! ეს შეიძლება იყოს ჭკუის სასწავლებელი მოთხრობა წარსულზე ან თანამედროვე კომედიაზე, ეს შეიძლება იყოს შეტევა თეოლოგიურ ლაქლაქზე ან ღმობიერი ჩაცინება ეკლესიის წარჩინებულ პირთა ეგოიზმზე.

«ჩინა კათჰა». თუკი მის მნიშვნელობაზე დავფიქრდებით, ეფექტური საშუალებაა ბჰაგავანის საგანმანათლებლო სისტემაში. საუბრების დროს მას ყოველთვის მზად აქვს ეს იგავ-არაკები, რომლებიც ბჰაგავანის სიყვარულის ცის კამარაზე გუნდადაა შეკრებილი. იგი ნებას რთავს ზოგიერთ მათგანს რომ შეფრინდეს ჩვენს გულებში და მოხერხებულად მოკალათდეს იქ, სანამ არ მოვეფერებით და მოვიშინაურებთ, და ჩვენი აზროვნებისა და ქცევის განუყოფელ ნაწილად არ ვაქცევთ მას. თქვენ წინაშე მომაჯადოებელი, სურნელოვანი თაიგულია ამ მრავალფეროვანი კათჰებისა, რომლებიც ნეტარების, ფიქრისა და შთაგონებისთვისაა შეკრებილი.

ნ. კასტური

## გურუ დაქშინა

### (მაღლიერების საჩუქარი გურუსთვის)

ეს ის დრო იყო, როდესაც ყმაწვილი ძმები – კრიშნა და ბალარამა – დიდი ბრძენისგან, სანდიპანისგან, იძენდნენ ცოდნას. ისინი იდეალური მოსწავლეები იყვნენ და თრთოლვითა და პატივისცემით, სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურებოდნენ გურუს.

ერთხელ კრიშნამ ჰკითხა გურუს: «ო, ბრძენო! ჩვენ ხშირად ვხედავთ, შენი თვალები როგორ ივსება ცრემლით, როცა გვესაუბრები. შენს მწუხარებას სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონდეს. თუ შეიძლება, გაგვიზიარე შენი დარდები. გურუსთვის სიხარულის დაბრუნება ყველაზე წმინდა და კეთილშობილი მსახურებაა. ნუ დაგვიძალავ და ჩვენში ეჭვი ნუ შეგეპარება».

სანდიპანიმ მოიახლოვა ძმები, გვერდით დაისვა და თქვა: «ჩემო შვილებო, მე ძალიან მოხარული ვარ უკვე იმით, რომ თქვენ ჩემს *აშრამში*<sup>1</sup> იმყოფებით. თქვენ რომ გიყურებთ, ჩემი დაკარგული ვაჟი მახსენდება...». და იგი აქვითინდა. ბალარამამ მუხლი მოიყარა და თქვა: «გვითხარი, გურუჯი, რა დაემართა და სად არის იგი, და რაც არ უნდა დაგვიჯდეს, დაგიბრუნებთ მას». აი რა მოუთხრო მათ სანდიპანიმ:

«მრავალი წლის მოღვაწეობის შემდეგ ვაჟით დავსაჩუქრდი.

ვუფრთხილდებოდი და დიდი სიყვარულით ვზრდიდიმას. ერთხელ ის პრაბჰასა ქშეტრაზე წავიდა, რომ ზღვაში წმინდა განბანა შეესრულებინა, და დაიხრჩო. მას შემდეგ მწუხარება არ მტოვებს. მაგრამ *აშრამში* თქვენს მოსვლასთან ერთად სიხარული და ნუგეში დამიბრუნდა. ისეთი კეთილები, ისეთი მშვიდი და დამჯერი ბიჭები ხართ! სევდა მაწვება, რადგან რამდენიმე დღეში ჩემს *აშრამს* დატოვებთ. თქვენ ყველაფერი შეისწავლეთ, რაც აუცილებელი იყო და ქვენი აქ დარჩენა აღარაა საჭირო. როცა წახვალთ, მწუხარება კვლავ მოვა ჩემთან». კრიშნა ადგა, ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო და მტკიცედ წარმოთქვა: «ო, მასწავლებელთა შორის საუკეთესოვ! სწავლებისთვის ვალი უნდა გადაგიხადოთ. შენ იშვიათი მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა

---

<sup>1</sup> აშრამა – სულირი სავან.

წვრილმანი გადმოგვეცი. გურუს გახარება ხომ ჩვენი ვალია! ახლავე წავალთ პრაბჰასა ქშეტრაზე შენი შვილის სამეზნელად. თუ საჭირო იქნება, მას ბრძოლით დავიბრუნებთ ზღვისგან და სიკვდილის ღმერთისგანაც კი. გვაკურთხე». სანდიპანი დარწმუნებული იყო, რომ ბიჭები გაიმარჯვებდნენ, ისინი ხომ უჩვეულო ბავშვები იყვნენ. გურუმ დალოცა ისინი და ნება მისცა გზას გასდგომოდნენ.

ბალარამა და კრიშნა ზღვისკენ გაემართნენ. ზღვის ნაპირზე მათ ძლიერი და მბრძანებლური ხმით შეჰყვირეს: «ოკეანე! დაუყოვნებლივ დაგვიბრუნე ჩვენი გურუ სანდიპანის ვაჟი, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი სასჯელი გელის!» ოკეანე შიშისგან აკანკალდა. იგი წყალთა მეფის სახით გამოეცხადა ძმებს, მათს ტერფებს შეეხო და თქვა: «მაპატიეთ, დიდად პატივცემულებო! ჩემი ბრალი არ არის. როდესაც ბიჭი ბანაობდა, თვით ბედმა შეიტყუა იგი სიღრმეში, სადაც მას ზღვის გოლიათი, პანჩაჯანა, დაესხა თავს, რომელიც წყალქვეშა გროტებში ცხოვრობს, და გადაყლაპა ის. ეს სიმართლეა. ახლა კი თვითონ გადაწყვიტეთ, რა უნდა მოიმოქმედოთ». კრიშნამ ოკეანეს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა, შემდეგ ფსკერამდე ჩაყვინთა და იპოვა გროტი, სადაც გოლიათი ცხოვრობდა. კრიშნამ მუცელი გაუპო გოლიათს, თუმც იქ ბიჭის ნეშტი ვერ ნახა, რადგან პანჩაჯანას იგი სიკვდილის ღმერთისთვის გადაეცა. მუცელში ურჩხულს ნიჟარა ჰქონდა, კრიშნამ აიღი იგი და ბალარამასთან ერთად სიკვდილის ღმერთის სავანისკენ გაემართა. შესასვლელთან მან ნიჟარას ჩაჰბერა და ბუკი დაჰკრა. მათ წინ სიკვდილის ღმერთი გამოეცხადდა და მორიდებით ჰკითხა: «შეიძლება მითხრათ, აქ რამ მოგიყვანათ?» ბიჭებმა უბრძანეს გურუ სანდიპანის შვილი დაებრუნებინა. იამამ უპასუხა: «რა თქმა უნდა, თქვენს თხოვნას შევასრულებ, თუკი ეს სიხარულს მოგგვრით. ჩემი მსახურები მოიტანენ და მოგცემენ მას». რამდენიმე წამის შემდეგ კრიშნას ხელები ამ კურთხეულ ბავშვს ეხვეოდა. ბალარამა და კრიშნა გურუს სავანეში დაბრუნდნენ, მასწავლებელს შვილი მიუყვანეს და უთხრეს: «ეს ჩვენი გურუ დაქშანაა<sup>1</sup>. გთხოვთ მიიღოთ იგი». მშობლების ბედნიერება აუწერელი იყო. ისინი ძმებს ლოცავდნენ, სანდიპანი სიხარულის

---

<sup>1</sup> ურუ დაქშინა – მოსწავლის სულირი მასწავლებლისთვის, ურუსთვის, ტრადიციული საჩუქარი მადლირბის ნიშნად.

ცრემლებს ღვრიდა, იგი მიხვდა, ბედის რა იშვიათი საჩუქარი ხვდა წილად: მისი მოსწავლეები ხომ ღმერთის განხორციელებანი იყვნენ!

ავატარებოც<sup>1</sup> კი აღიარებენ თავისი გურუს დიდებას და იცავენ უპანიშადების მცნებას: «აჩარია დევობჰავა» (თაყვანი ეცი მასწავლებელს როგორც ღმერთს), რომ მთელ მსოფლიოს მაგალითი უჩვენონ.

## 2

### ერთგულება საკუთარი გურუსადმი

მველ ინდოეთში დიდი ბრძენი გაუტამა ცხოვრობდა. მას მრავალი მოსწავლე ჰყავდა. ერთხელ მან ისინი მოიწვია და უთხრა: «ჩემო ძვირფასო შვილებო! ხომ იცით, რომ ჩვენს მხარეში დიდი გვალვაა და მას ბოლო არ უჩანს. ჩვენი სავანის პროხები ძალიან მეცოდება. ისინი გახდნენ და დასუსტდნენ. არ შემიძლია პირუტყვის ამ წამებას ვუყურო. ვფიქრობ მათი აქედან შორს წაყვანაა საჭირო, სადაც ბევრი ბალახი და წყალია. ბედნიერი ვიქნები, თუკი რომელიმე თქვენგანი ნებაყოფლობით იკისრებს ამ საქმეს. როცა ეს უბედურება დასრულდება, შეუძლია ისინი უკან დააბრუნოს».

ბევრმა მოსწავლემ თავი დახარა, რომ მასწავლებელს არ დაენახა მათი ჭეშმარიტი გრძნობები. ზოგი სხვის ზურგს ამოეფარა, რომ გურუს მზერას დამალვოდა.

მაშინ წამოდგა ერთი მოსწავლე, სახელად სატიაკამა. მან მასწავლებლის მიმართ თავისი პატივისცემა გამოხატა და თქვა: «მასწავლებელო, დარდი ნუ გექნება, მე წავიყვან პროხებს». სხვა მოსწავლეები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ ეს სეხიფათო ნაბიჯი არ გადაედგა. ისინი აფრთხილებდნენ: «ულრან ტყეში მარტო მოგიწევს ყოფნა, მყუდრო სავანიდან შორს. შეიძლება იქ საჭმელიც ვერ იშოვო». სატიაკამამ უპასუხა: მეგობრებო! დარწმუნებული ვარ, რომ გურუს დალოცვა ჩემს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და დამიცავს. თანაც მარტო არ ვიქნები: პროხები მეყოლება გვერდით».

---

<sup>1</sup> ავატარი - «დაბლა დაშვება», ღვთაბის მიწაზე დაშვება, მოკვდავ არსებაში ღმერთის რაიმ ფორმით ანხორცილება.

მასწავლებელი კმაყოფილი იყო, რომ მრავალრიცხოვანი მოსწავლეებიდან ერთი მაინც დათანხმდა ამ სამუშაოს შესრულებაზე როგორც *გურუს* მსახურებაზე. მან დალოცა სატიაკამა და თქვა: «შენ 400 ძროხას წაიყვან; უკან დაბრუნება შეგიძლია მაშინ, როდესაც ნახირი 1000 რქამდე გაიზრდება».

სატიაკამამ ნახირი საუცხოო ველზე მიიყვანა. იგი ყოველ დღე გამთენიისას იღვიძებდა და მდინარეში განბანას ასრულებდა. შემდეგ მზის ღმერთის წინაშე იჩოქებდა და ლოცვას კითხულობდა. იგი ღმერთის სახელს მაშინაც ადიდებდა, როცა ძროხებს აძოვებდა, როცა დადიოდა ან იჯდა. სატიაკამა სიყვარულით უვლიდა ძროხებს. იგი *გოსევას* (ძროხების მსახურებას) ისევე უყურებდა, როგორც *გურუ-სევას* (მასწავლებლის მსახურებას). იგი მარტო ცხოვრობდა და არასოდეს განიცდიდა მღელვარებას.

ერთხელ, როდესაც დილის წეს-ჩვეულებები შეასრულა, ხის ძირას ჩამოჯდა. მას ზეცის მეუფე, ინდრა, გამოეცხადა და უთხრა: «შვილო ჩემო! ვერ შეამჩნიე, რომ შენი ნახირი 1000 სულამდე გაზრდილა? შეგიძლია შენი მასწავლებლის სავანეში დაბრუნდე. მეც შენთან ერთად წამოვალ. წავიდეთ!» სატიაკამა მის წინ განერთხო და მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ უკან დაბრუნების დრო შეახსენა. სატიაკამამ და ინდრამ სხვადასხვა ადგილას ოთხი ღამე გაატარეს. ყოველ დილით ინდრა მას თითო ვედას ცოდნას უზიარებდა. ამგვარად, გაუტამას *აშრამს* რომ მიაღწიეს, მოსწავლემ უკვე ოთხი ვედა იცოდა. მის სახეს საოცარი ნათება სდევდა – ნათება ვედური ცოდნისა, რომლითაც იგი ციურ მკვიდრთა მეფემ აკურთხა. ინდრამ სატიაკამა სავანემდე მიაცილა, წყალობის კალთა დააბერტყა მას და გასცილდა.

სატიაკამა *გურუს* სავანეში ათას ძროხასთან ერთად შევიდა. *გურუმ* და მოსწავლეებმა მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. გაუტამამ გულში ჩაიკრა იგი და თქვა: «ვიცი, რომ ახლა ოთხი ვედას დიდი მცოდნე ხარ. შენ ეს დაიმსახურე, შვილო ჩემო». სატიაკამამ *გურუს* მიმართ სიყვარულისა და ერთგულების გამო მოიპოვა ინდრას წყალობა.

## სიწმინდე, მოთმინება, შეუპოვრობა

ერთმა სულიერმა მაძიებელმა ბრძენს სთხოვა მისთვის *მანტრა* გაენდო. ბრძენმა უთხრა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემს საიდუმლო ფორმულას, თუკი მოსწავლე 12 წელიწადს ემსახურება მას და ყოველ ბრძანებას შეუსრულებს. მოსწავლე დათანხმდა და მოძღვარს 12 წელი ერთგულად ემსახურა. ეს დრო რომ მიიწურა, ბრძენმა იგრძნო, რომ მისი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება, და მოსწავლეს სთხოვა პალმის ფოთლი მოეტანა, რომელზედაც სიკვდილის წინ მისთვის *მანტრას* დაწერას აპირებდა. მოსწავლე ფოთლის მოსატანად გაემართა, მაგრამ მოძღვარი მის დაბრუნებამდე მოკვდა. *აშრამში* მაცხოვრებელი ბიჭისგან მან შეიტყო, რომ სიკვდილის წინ ბრძენმა ქვიშაზე რაღაცა დახაზა, მაგრამ გზად მიმავალმა ქალმა ჩანაწერის ასლი გადაიღო და ქვიშა გადაშალა. მოსწავლემ იმ ქალის პოვნა მოახერხა; მას რამდენიმე ვირი ჰყავდა. ქალმა თქვა, რომ ჩანაწერი პალმის ფოთლის პატარა ნაწილზე გადაიტანა, დაახვია და ახლა საყურის სახით ატარებს მას. როდესაც ახალგაზრდამ უთხრა, რომ ქვიშაზე ნაწერი *მანტრაა*, რომელიც მისთვის იყო განკუთვნილი, და რომლის გულისთვისაც იგი ბრძენს 12 წელიწადი ერთგულად ემსახურა, ქალმა უპასუხა, რომ ამ ფოთლს მხოლოდ მაშინ მისცემს, როდესაც მასაც 12 წელიწადი მოემსახურება. მოსწავლემ მტკიცედ გადაწყვიტა *მანტრას* მიღება და ქალის მსახურებისთვის დარჩა.

მრავალი წლის განმავლობაში უვლიდა იგი ვირებს და ქალის ყველა დავალებას ასრულებდა; ამისათვის ქალი საჭმელს აჭმევდა მას. მაგრამ ერთხელ ქალმა საჭმელი არ მისცა. ახალგაზრდა საჭმლის საშოვნელად დაეხეტებოდა იმ მხარეში და შემთხვევით შეიტყო, რომ კარგა ხანია მეფე საწყლებს აჭმევს, და იქითკენ გაემართა. მაგრამ გზად გაიგო, რომ სწორედ ამ დღეს მეფეს საწყლების კვება შეუწყვეტია, რადგან ქველმოქმედებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. ეს საქმე მან მოძღვრის რჩევით წამოიწყო, რომელმაც უთხრა, რომ თუ მის საჭმელს ჭეშმარიტად



ღვთისმოსავი ადამიანი გასინჯავს, მეფეს მემკვიდრე დაეხადება. სასახლეში ზარი უნდა ჩამოვიდოს, და როდესაც იგი თავისით დარეკავს, ეს იქნება ნიშანი, რომ საჭმელს ღვთისნიერი ადამიანი შეეხო. ვინაიდან მშვივრებს უკვე დიდი ხანია კვებავენ, ზარი კი არ რეკავს, ამიტომ მეფემ ამ აქციის შეწყვეტა გადაწყვიტა.

სწორედ ამ დღეს მივიდა ჩვენი მოსწავლე იმ ადგილას, სადაც საჭმელს არიგებდნენ. როდესაც ნახა, რომ ყველა ქვაბი და როფი, რაშიც საჭმელს ამზადებდნენ, მდინარეზე გასარეცხად წაეღოთ, მდინარის ნაპირისკენ გაიქცა იმ იმედით, რომ ჭურჭელზე მიკრული ცოტაოდენი საჭმელი შეხვდებოდა. მართლაც მცირეოდენი ნარჩენი იპოვა და ჭამას შეუდგა. ამ მომენტში სასახლეში ზარმა დარეკა.

ამით შეძრულმა მეფემ დაუყოვნებლივ გააგზავნა შიკრიკები იმის გასაგებად, ვინ ჭამდა საჭმელს. მათ იპოვეს ეს ახალგაზრდა და მეფესთან მიიყვანეს. მეფე მისი ნახვით უზომოდ გაუხარდა მისი ნახვა; იგი დარწმუნდა, რომ ახლა მას ვაჟი გაუჩნდება. მან ახალგაზრდას ნახევარი სამეფო შესთავაზა და სასახლეში დარჩენა სთხოვა. მოსწავლემ თავისი ამბავი უამბო მეფეს და თქვა, რომ მას არ სჭირდება არც სამეფო, არც სხვა რამ, სჭირდება მხოლოდ *გურუს მანტრა*, რომელიც იმ ქალს აქვს, ვის ვირებსაც იგი უვლის. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა – რაც არ უნდა დაჯდომოდა, დაებრუნებინა საყურე, სადაც პალმის დახვეული ფოთოლი იყო შენახული.

მეფემ ბრძანა ის ქალი ეპოვათ და მოეყვანათ. როდესაც მოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ იგი ყოფილი მოცეკვავეა და ბაგირზე სხვადასხვა ილეთის შესრულება იცის. მეფემ სთხოვა თავისი ხელოვნებით გაერთო დედოფალი, რომელიც უკვე ფეხმძიმობას გრძნობდა. როდესაც ქალი ბაგირზე ცეკვავდა, მეფემ ჰკითხა, შეუძლია თუ არა ბრილიანტის ორი საყურე დაიჭიროს, ყურებზე ჩამოიკიდოს და ამასთან ბაგირზე წონასწორობა შეინარჩუნოს. მოცეკვავემ მზადყოფნა გამოხატა, და მეფემ გადაუგდო მბრწყინავი ბრილიანტის საყურეები. ქალმა დაიჭირა ისინი, ძველი საყურეები დახვეული ფოთლებით სწრაფად მოიხსნა, ძირს ჩამოყარა და ახლები გაიკეთა.

ახალგაზრდა კაცმა ხელი სტაცა მათ და *გურუს* გზავნილი მოუთმენლად წაიკითხა. როგორც კი *მანტრა* შეიტყო, იმ წამსვე გასხივოსნება და განთავისუფლება მიიღო.

ყოველმა სულიერმა მაძიებელმა დაჟინებულობა უნდა შეიძინოს და თავისი მიზნის მისაღწევად ნებისმიერი შეწირვისთვის იყოს მზად.

#### 4

### სამართჰა რამადასი

მაჰარაშტრაში, აურანგაბადის რაიონში მდებარე ბადაარში ღმერთის ერთგულ ცოლ-ქმარს ვაჟი გაუჩნდა. მას ნარაიანა დაარქვეს. იგი ურჩი იყო, სწავლას არაფრად აგდებდა და ბავშვებთან ჩხუბობდა. რვა წლის ასაკში მან მამა დაკარგა. დედამისი, რამადევი, თავის ცელქ, ჭირვეულ ბავშვს ვერ უმკლავდებოდა. ნათესავებმა და მეზობლებმა ურჩიეს დაექორწინებინა, რომ მას პასუხისმგებლობა ეგრძნო და გამოსწორებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ 13 წლის ბიჭი ქორწინებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, დედამისს მეზობლების რჩევა ჰკუაში დაუჯდა და იგი ქორწილისთვის მოემზადა. საქორწინო ცერემონიის დროს, ტრადიციის მიხედვით, საქმროსა და საცოლეს შორის სქელი ფარდა ჩამოკიდეს. რიტუალის განსაზღვრულ მომენტში *პუროჰიტებმა* (მღვდელმსახურებმა) ფარდა გადასწიეს, რომ საქმროსთვის *მანგალა სუტრა* (ქორწინების წმინდა ძაფი, რომელსაც საქმრო საცოლეს აბამს კისერზე) გადაეცათ. და – აი სასწაული! საქმრო გაქრა, და ისე ოსტატურად, რომ ვერავინ შეამჩნია! გულმოდგინე ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. ქორწილი ჩაიშალა.

საქორწინო ცერემონიიდან გაქცეულმა ნარაიანამ ბოლოს და ბოლოს სოფელ ნასიკს მიაღწია, რომელიც წმინდა მდინარე გოდავარის სათავის ახლოს მდებარეობდა. აქ მან რამდენიმე ხანი დაჰყო, შემდეგ კი ჩიტრაკუტას მთისკენ გაემართა. ეს მთა წმინდად ითვლება, რადგან უფალი რამა გაძევების დროს აქ 12 წელიწადს ცხოვრობდა. ნარაიანამ აქ გასაოცარი სილამაზის პატარა განმარტოებული ადგილი იპოვა, სახელად პანჩავატი. ბიჭუნა შეძრული იყო ბუნების დიდებულებით, რომელიც რამას აქ ყოფნით იყო კურთხეული. იგი აღფრთოვანებულმა თრთოლამ მოიცვა. ნარაიანა მზერით ტკბებოდა.

რა არის ურჩი ბიჭუნას ღვთისმოსავ ახალგაზრდა ადამიანად გადაქცევის მიზეზი? გარდა იმისა, რომ მისი დაფარული კარგი *სამსკარები* (დაგროვილი ტენდენციები) მოულოდნელი ძვრების შედეგად გააქტიურდა, რომლებიც იმ პერსპექტივამ გამოიწვია, რომ ოჯახური მძიმე პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა, ნასიკისკენ მიმავალი ბიჭუნა გზად ცნობილ ჰანუმანის ტაძარში შევიდა და ღვთაებას გულწრფელად შეევედრა, რომ ყველა იმ კარგი თვისებებით ეკურთხა იგი, რომლებითაც თვითონ იყო ცნობილი. ქანდაკების ოდნავი მოძრაობით ნარაიანამ გაიგო, რომ მისი ლოცვა შესმენილ იქნა. ქანდაკება ბიჭუნას მიმართულებით სულიერ ვიბრაციებს ასხივებდა.

პანჩავატში 12 წლის ასაკუზის შემდეგ ნარაიანამ, ჰანუმანის<sup>1</sup> მსგავსად, უფალ რამას შეცნობის სამი საფეხური გაიარა. როდესაც სხეულებრივ ცნობიერებაში იმყოფებოდა, იგი რამას მსახური იყო (*დვაიტა*, ორობითობა). როდესაც საკუთარი თავი როგორც *ჯივა* (ინდივიდუალური სული) გააცნობიერა, იგი რამას ნაწილად იქცა (*ვიშიშტადვაიტა*), და ბოლოს, როდესაც თავისი არსი როგორც *ატმა* გააცნობიერა, ის და რამა ერთნი გახდნენ (*ადვაიტა*).

ნარაიანამ თვითრეალიზაციას მიაღწია და პანჩავატიდან ნასიკში დაბრუნდა. იქ შეიტყო, რომ მისი ქვეყანა საშინელი შიმშილის მარწუხებშია. იგი ფიქრობდა, რომ თავის ცხოვრებას თუ მხოლოდ საკუთარ განთავისუფლებაზე ფიქრში გაატარებდა, იმ დროს როცა თანამოქალაქეები შიმშილით იტანჯებიან, უდიდესი ეგოიზმი იქნებოდა. ასე დაიბადა მისი დევიზი: «*დჰილ მე რამ, ჰატ მე კამ*» (რამა გულში, შრომა ხელებში), და იგი მთელი ენერგიითა და გულმოდგინებით საზოგადოების მსახურების გზას დაადგა. ამასთან, ისეთი ჭეშმარიტებები წამოაყენა, როგორიცაა «*მანავა სევა* (ადამიანის მსახურება) არის *მადჰავა სევა* (ღმერთს მსახურება) და «*გრამა სევა* (სოფლის მსახურება) არის *რამა სევა* (რამას მსახურება)». მან თავისი გულის საცავი *რამანამას* (რამას სახელის) ნაკურთხი წყლით შეავსო, რომელიც მისი ხელით გადმოდინებოდა და მრავალ მის თანამემამულეს უკლავდა წყურვილს.

<sup>1</sup> ჰანუმანი - «დიდი ყბა»; რამაიანას პრსონაჟი, ღვთაბრივი მაიმუნი, მაიმუნისა და ქარის ღმრთის ვაჟი, რამას ანუყოფლი რთული.

<sup>2</sup> ადვაიტა, ვიშიშტადვაიტა, დვაიტა - მონიზმი, სახმცვლილი მონიზმი, დუალიზმი - ძველი ინდოთის ყვლაზ უფრო ცნობილი ფილოსოფიური სკოლბი.

ნარაიანა სოფლიდან სოფელში დადიოდა, საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებდა, რომელსაც *რამანამას* გალობა ახლდა თან, და ბოლოს და ბოლოს რამეშვარას მიაღწია, რომელიც ინდოეთის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში იყო განლაგებული. იქიდან მომლოცველის სახით წავიდა ტირუპატში (სადაც მას უფალ ვენქათეშვარას *დარშანი* ხვდა წილად) და ჰამპაში (სადაც უფალ ვირუპაქშას თაყვანი სცა). ამის შემდეგ იგი ნასიკში დაბრუნდა. გზაში წმინდანი ტუკარამა<sup>1</sup> ნახა, რომელიც ისე მშვენივრად ადიდებდა რამას სახელს, რომ უამრავ ხალხს იზიდავდა, მათ შორის შივაჯისაც<sup>2</sup>, მაჰარაშტრას მმართველს. მეფე შივაჯიმ ტუკარამას მოუსმინა და უთხრა, რომ სამეფოზე უარს ამბობს და სულიერ გზას სურს მიუძღვნას თავი. ტუკარამამ მეფე გააფრთხილა, რომ მას სულიერების სულიერების მცდარი გაგება აქვს და ჩააგონა, რომ ადამიანებისთვის ვალდებულება ღმერთია, შრომა კი – ღმერთმსახურება. მაშინ შივაჯი ტუკარამას შეევედრა, რომ ინიციატია მიეცა მისთვის. ამაზე ტუკარამამ უპასუხა: «შენი გურუ მე კი არა, რამადასია, ამიტომ ხელდასხმა მხოლოდ მისგან შეგიძლია მიიღო». გულგატეხილი შივაჯი სატახტო ქალაქში დაბრუნდა.

როდესაც შივაჯიმ შეიტყო, რომ რამადასი, წარსულში ნარაიანა, ნასიკში იმყოფება, მასთან მინისტრები და სხვა წარჩინებული პირები გაგზავნა, სამეფო კარზე დიდი პატივით მიიწვია იგი, როგორც დიდად პატივცემული სტუმარი. მმართველი რამადასს მოწიწებით შეხვდა, ფეხები დაბანა, ეს წყალი თავზე მიისხურა და სასახლეში პალატი გამოუყო. ამის შემდეგ თავმდაბლობით მიმართა: «პატივცემულო ბატონო! დღეიდან ეს სამეფო შენ გეკუთვნის, ასევე ჩემი თავიც შენ გეკუთვნის».

რამადასმა უპასუხა: «შვილო ჩემო, მე ასკეტი ვარ და ყველაფერზე უარი ვთქვი. მე არც უფლება მაქვს და არს სურვილი, რომ შენი მიწიერი სამეფო მივიღო. ღვთის სამეფოს არ აქვს საზღვრები. ჩემი ცხოვრების მიზანია ყოველ ადამიანს დავეხმარო, რომ ღვთის ამ უკიდევანო სამეფოს მიაღწიოს. ამიტომ შენი სამფლობელოები არ მჭირდება. გლოცავ შენს სამეფოზე, მე რომ შემომთავაზე. ამ დღიდან სხვა მმართველებისგან

<sup>1</sup> ტუკარამა – შუა საუკუნების პოტი, მომღრალი და ბჰაქთის მქადაბლი მაჰარაშტრიში, წრდა მარადჰის ნაზ.

<sup>2</sup> შივაჯი (1627-1680) – მაჰარაშტრის მფ, მარათჰის ბლადი. იყო ბრწყინვალ მხდართმთავარი, სამართლიანი მმართველი და უბადლო სახლმწიფო მოღვაწ.

განსხვავებული იქნები. უნდა გესმოდეს, რომ სამეფო სინამდვილეში ღმერთს ეკუთვნის, შენ კი მხოლოდ მისი ინსტრუმენტი, ნდობით აღჭურვილი პირი ხარ, მის ინტერესებში რომ მართავ სამეფოს».

ვინაიდან რამადასს სასწაულქმედების ძალა ჰქონდა, დიდი საქმეების კეთება შეეძლო, იგი ცნობილი გახდა როგორც სამართჰა რამადასი. «სამართჰა» ნიშნავს «ბევრ რამეში დახელოვნებულ ადამიანს». აი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელიც გვიჩვენებს, თუ რისთვის მიიღო მან ეს ტიტული.

ჩვეულებრივად რამადასი ისე იცვამდა და დადიოდა, როგორც *კოდანდაპანი* (მშვილდ-ისრით შეიარაღებული რამა). ერთხელ, როდესაც ის ამ სამოსელში ჩაცმული გოდავარის ნაპირზე მიდიოდა, *ბრაჰმანებმა*, რომლებიც მდინარეში ბანაობდნენ, ჰკითხეს, მთიელ მონადირეთა თემს *კოიას* ხომ არ მიეკუთვნებოდა იგი. რამადასმა უპასუხა, რომ იგი რამადასია (რამას მსახური) და არა *კოია*. მაშინ მათ ჰკითხეს, თუ იგი მხოლოდ მსახურია, რატომაა რამასავით ჩაცმული და შეიარაღებული. მათ ბოლომდე არ მოუსმინეს და შეაწყვეტინეს: «რა აზრი აქვს მხოლოდ გარეგნულად აკეთებდე *კოდანდაპანის* იმიტაციას? მშვილდ-ისარს ისევე ხმარობ, როგორც რამა?» ამ დროს მალლა ცაში ფრინველი მიფრინავდა. *ბრაჰმანებმა* დაანახვეს იგი რამადასს და ჰკითხეს, შეუძლია თუ არა ფრინველს ისარი მოახვედროს. პირზე რამას სახელით რამადასმა მაშინვე ისროლა ისარი და ფრინველი პირდაპირ *ბრაჰმანების* ფეხებთან დაეცა მკვდარი. მკვდარი ფრინველი რომ დაინახეს, *ბრაჰმანებმა* მაშინვე ბრალდება წაუყენეს: «შენ არ იცავ აზრის, სიტყვისა და საქმის ჰარმონიას და, ამიტომ *დურატმა* (ცოდვილი) ხარ. რამას სახელს წარმოთქვამ, და ამავე დროს ცოდვილობ და ფრინველს კლავ იმ სურვილით, რომ შენი ხელოვნება გვაჩვენო». რამადასმა უპასუხა, რომ მხოლოდ მათი თხოვნით მოკლა ფრინველი. *ბრაჰმანები* შეეპასუხენ: «ჩვენ რომ ბალახის შეჭმა გთხოვოთ, შეჭამ? ნუთუ საკუთარი აზრი არ გაქვს და არ შეგიძლია კარგი ცუდისგან გაარჩიო?» მაშინ თავაზიანად მიმართა: «პატივცემულებო! რაც მოხდა, მოხდა. თუ შეიძლება, მითხარით, როგორ მოვიქცე?»

*ბრაჰმანებმა* ურჩიეს ცოდვა მოენანიებინა. რამადასმა თვალეები დახუჭა და მთელი გულით დაიწყო ლოცვა, ცოდვა აღიარა და ღმერთს პატიება სთხოვა. შემდეგ თვალი გაახილა და *ბრაჰმანებს* მკვდარ ფრინველზე მიუთითა, რომ მიუხედავად მონანიებისა, ფრინველს სიცოცხლე არ

დაუბრუნდა. *ბრაჰმანებმა* უპასუხეს: «შენ გადარეული ხარ! მონანიებას არ შეუძლია იმის უკან დაბრუნება, რაც გააკეთე. მონანიების დანიშნულებაა შენი გონება ისე შეცვალოს, რომ მომავალში მსგავსი შეცდომა აღარ დაუშვა». - «ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს არ არის მონანიება, - შეეპასუხა რამადასი, - ღმერთი და მისი სახელი ყოვლისშემძლეა, და თუკი ჩემი ლოცვა გულწრფელია, უფალი თავისი წყალობით ფრინველს სიცოცხლეს დაუბრუნებს». მან მკვდარი ფრინველი გულზე მიიკრა და ცრემლების ღვრით ღმერთს შეევედრა; «ო, რამა, თუკი მთელი ჩემი გონებით, სულით და გულით გვედრები და თუკი ჩემი უმეცრების გამო მოკვალი ეს ფრინველი, და არა მოკვლის სურვილით, იყავ მოწყალე, ან სიცოცხლე დაუბრუნე მას, ან მასთან ერთად ჩემიც წაიღე». დაასრულა თუ არა ლოცვა, მის ხელებში ფრინველი შეირხა. რამადასმა თვალი გაახილა, ყოვლისშემძლეს მადლობა უთხრა და ფრინველი ცაში გაუშვა. ამ სასწაულით გაქვავებულმა *ბრაჰმანებმა* ერთდროულად შესძახეს: «დიდად პატივცემულო მასწავლებელო! გვაპატიე, რომ შენი სიდიადე ვერ გავიგეთ. ვინაიდან გაფრენილი ფრინველის ერთი ისრით მოკვლა და გაცოცხლება შესძელი, დღეიდან სათანადო სახელი უნდა ატარო - სამართჰა რამადასი».

ამის შემდეგ რამადასმა პანდარიპურამი მოინახულა, სადაც იმის მოწმე გახდა, თუ რა იდეალურად ემსახურებოდა ადამიანი, სახელად პუნდარიკა, თავის მშობლებს, როგორც ჭეშმარიტ ღმერთებს. პუნდარიკამ თვით უფალი პანდურანგა აიძულა ზღურბლზე ორ აგურზე მდგარს მოეცადა, სანამ იგი დედის მსახურებას არ დაამთავრებდა.

შემდეგ რამადასმა მეფე შივაჯი მოინახულა და სამი რამ მისცა მას როგორც მეფური მოვალეობის შეხსენება: პირველი - ქოქოსი, იმის მისანიშნად, რომ ისევე, როგორც ქოქოსის ყიდვისას ჩვენი მიზანი თეთრი რბილობის შეჭმაა, ასევე მეფის ხელისუფლების მიზანია *სატვიური* (წმინდა, ღვთისმოსავი) ცხოვრება გასწიოს და თავის სამეფოში ზნეობრიობის დანერგვას ცდილობდეს; მეორე - ერთი მუჭა მიწა, რათა მმართველს და მის ქვეშევრდომებს თავისი სამშობლოს, ბჰარატას, სიწმინდე ახსოვდეთ; და მესამე - ორი აგური, რომლებიც შეახსენებს, რომ როგორც სახლის ასაშენებლად აგური გამოიყენება, რომ მისი მცხოვრებნი დაიცვას, ასევე უნდა გამოიყენოს მეფემ ძალაუფლება

თავის ქვეშევრდომთა დასაცავად და მათს კეთილდღეობას და სულიერ ზრდას შეუწყოს ხელი.

ამ მომენტში რამადასს გაახსენდა, როგორ ერთგულად ემსახურებოდა პუნდარიკა თავის მშობლებს, და სახლისკენ გაეშურა იმ აზრით რომ თავისი ღრმად მოხუცებული დედის მსახურებისთვის მიეცა თავი. მოხუცმა დედამ ვერ იცნო იგი, უაღრესად გრძელი წვერისა და უცნაური სამოსელის გამო. რამადასმა დედას უთხრა, რომ იგი მისი შვილია, ნარაიანა, რომელიც ხალხში ცნობილია როგორც სამართჰა რამადასი. აღფრთოვანებულმა დედამ წამოიძახა: «ჩემო ძვირფასო შვილო, რამდენი რამ მსმენია სამართჰა რამადასზე და როგორ მინდოდა მისი ნახვა! მაგრამ რა ვიცოდი, რომ ეგი ჩემი შვილი იყო, რამაიანა! ვამაყობ შენით და მადლობას ვწირავ უფალს, რომ ასეთი დიადი ადამიანის დედა გამხადა. ახლა ვიცი, რომ ამაოდ არ მიცხოვრია». თქვა თუ არა ეს, შვილის მუხლებზე დადო თავი და სული განუტევა.

რამადასმა ტრადიციული დაკრძალვის წესი შეასრულა. სულ მალე შივაჯის სიკვდილი შეიტყო (ეს მოხდა 1680 წელს, 6 წლის შემდეგ იმ დღიდან, როცა რამადასმა მეფე აკურთხა). იგი დედაქალაქში წავიდა და შივაჯის ვაჟი აკურთხა მეფედ, რომ მამის გზით ევლო.

## 5

### იდეალური გურუ

#### მხოლოდ ის იქადაგე, რასაც თვითონვე მისდევ

რამაკრიშნა პარამაჰამსა იდეალური გურუ იყო. არის ერთი თავშესაქცევი ამბავი იმის შესახებ, რომ იგი არასოდეს ასწავლიდა იმას, რაც პრაქტიკულად თვითონ არ ჰქონდა ათვისებული.

ერთხელ რამაკრიშნასთან მოხუცებული ქალი მივიდა ათი წლის შვილიშვილთან ერთად. ქალმა გურუს წინაშე თავი დახარა და თქვა: «მასწავლებელო! შენთან რჩევისთვის მოვედი. ეს ბიჭუნა ჩემი შვილიშვილია. ხუთი წლის ასაკში დაობლდა, და მე ვზრდი მას. ტკბილი ძალიან უყვარს. იმდენ კანფეტს ჭამს, რომ მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება. ექიმებმა კანფეტის ჭამა აუკრძალეს, მას ვი მოსმენაც ვი არ სურს. მაგრამ შენ უდიდეს პატივს გცემს. მოვედი, რომ გთხოვო

შთაგონო ბავშვს, რა მავნებელია მისთვის ტკბილეული. დარწმუნებული ვარ, ამას მხოლოდ შენ შესძლებ». რამაკრიშნამ უპასუხა: «დარდი ნუ გექნება, დედა; ერთი თვის შემდეგ მოდი აქ ბავშვთან ერთად. მანამდე მოვიფიქრებ, როგორ დავარწმუნო იგი, რომ ჯანმრთელობა ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სიმდიდრე». ქალმა რამაკრიშნას მადლობა გადაუხადა და წავიდა.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ ქალი კვლავ მოვიდა. მასწავლებელს ორივე მოწიწებით მიესალმა. რამაკრიშნამ ბიჭუნა გვერდით მოისვა და უთხრა; «ჩემო კარგო! დაიმახსოვრე: ნამდვილი სიმდიდრე ჯანმრთელობაა. თუ სხეულზე არ იზრუნებ, ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა ვერ გაიზრდები. სუსტი ადამიანი კი ცხოვრებაში დიდს ვერაფერს გააკეთებს. თუ ჩვენი ორგანიზმისთვის რაღაცა პროდუქტი მავნებელია, მისი ჭამა უნდა შეწყვიტოთ. ხვალიდან მთლიანად შეწყვეტ კანფეტის ჭამას. გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შეგიძლია მისი ჭამა – ზომიერი რაოდენობით. შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ და დამიჯერებ, ხომ ასეა?» ბიჭუნამ თავი დაუქნია და დაპირდა, რომ ტკბილს აღარ შეჭამდა.

ამ შთაგონების შემდეგ ბებიაშვილი ვერანდაზე გაგზავნა, რომ რამაკრიშნასთან მის გარეშე ესაუბრა. მასწავლებლო! შეიძლება ერთი კითხვა დაგისვა?» - ჰკითხა მან. «რა თქმა უნდა, დედი», - უპასუხა რამაკრიშნამ. - «მასწავლებლო! ის რჩევა, დღეს რომ მიეცი შვილიშვილს, ერთი თვის წინაც ხომ შეგეძლო მიგეცა? რატომ გვითხარი, რომ ერთი თვის შემდეგ მოვსულიყავით? არ მესმის, გამაგებინე». რამაკრიშნამ კეთილი ღიმილით უპასუხა: «ჩემო კარგო! მე თვითონ ვჭამდი ბევრ ტკბილეულს. როგორ უნდა მერჩია ბავშვისთვის იმის კეთება, რაც მე თვითონ არ შემიძლო? უფლება არავის აქვს სხვებს ჩააგონოს ის, რაც თვითონ არ გაუკეთებია. ამიტომ რაღაცა დრო მჭირდებოდა. მთელი ეს თვე ტკბილეულს არ გავკარებოვარ და ამიტომ დავიმსახურე, რომ შენი შვილიშვილისთვის რჩევა მიმეცა». მოხუცი ქალი აღფრთოვანებული იყო რამაკრიშნას მართლქმედებით. იგი მასწავლებელს ფეხებზე ემთხვია და შვილიშვილთან ერთად სახლში წავიდა.

არასოდეს ურჩიოთ სხვებს აკეთონ ის, რასაც თქვენ თვითონ არ აკეთებთ.

**მასწავლებელი და მოსწავლეები**



რამაკრიშნა პარამაჰამსას<sup>1</sup> მოსწავლეები ჰყავდა. ისინი *აშრამში* ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ყოველდღიურად კალკუტაში მიემგზავრებოდა ხოლმე, რომ საჭმელი, ყვავილები და აუცილებელი წვრილმანი ეყიდა. მდინარეზე იგი ბორნით გადადიოდა.

ერთხელაც საჭმლის საყიდლად ბრაჰმანანდას წასვლის ჯერი დადგა. იგი სხვა მგზავრებთან ერთად ბორანზე ავიდა და კუთხეში წყნარად მოთავსდა. ერთმა კაცმა, რომელსაც *სანიასინებო*<sup>2</sup> აშკარად სძულდა, თქვა: «მეხედეთ ამ ყმაწვილს, როგორი ბრგე და ღონიერია, მაგრამ რა სარგებელია მისგან? მას მხოლოდ ერთი საქმე აქვს – ჭამა და ძილი. ჰოდა იმ *აშრამში* ასეთები რამდენიც გინდა, იმდენია. მათი *გურუა* დამნაშავე იმაში, რომ ახალგაზრდობას რყვნის». ევრმა მას მხარი დაუჭირა და იყვირა: «მართალია! ეს ასეა! ისინი არაფრის მაქნისები დაიზრდებიან!» ამ სიტყვებმა ბრაჰმანანდას გული ატკინა. «ამათ რა იციან ჩვენი მასწავლებლის შესახებ?» - ფიქრობდა იგი და უხმოდ აიტანა ეს შეურაცხყოფა. მას რბილი ხასიათი ჰქონდა და საპასუხო დარტყმის მიყენება და ცხარე კამათში ჩაბმა არ შეეძლო.

სადამოს იგი საყიდლებით *აშრამში* დაბრუნდა. რამაკრიშნა ყოველთვის დაწვრილებით გამოკითხავდა ხოლმე მოსწავლეებს ყველაფერს, რაც მათ იმ დღეს თავს გადახდებოდათ. მას აინტერესებდა გარე სამყაროში როგორ იქცეოდნენ ისინი. მან ბრაჰმანანდას კითხვა დაუსვა: «აბა როგორ ჩაიარა დღევანდელმა დღემ?» მოსწავლემ ყველაფერი დაუფარავად უამბო. რამაკრიშნა გაბრაზდა და იყვირა: «როგორ! *გურუს* შეურაცხყოფას აყენებდნენ და შენ ამას წყნარად ისმენდი? ღირსეული პასუხი უნდა გაგეცა. შენისთანებს *აშრამში* არაფერი ესაქმებათ». იქ ახლოს ვივეკანანდა იჯდა და ბრაჰმანანდას ნაამბობიც მოისმინა და მასწავლებლის საყვედურიც.

მომდევნო დღეს ვივეკანანდას<sup>3</sup> კალკუტაში წასვლის ჯერი იყო. ბორანზე ასვლისას იგი მაშინვე თანამგზავრებს მიაშტერდა სახეზე. იმ კაცმა, რომელიც გუშინ რამაკრიშნაზე უპატივცემულოდ ლაპარაკობდა, თქვა: «აი საზოგადოების კიდევ ერთი პარაზიტი. ესენი იმ უვიც ქურუმ-

<sup>1</sup> რამაკრიშნა პარამაჰამსა (1836-1886) – დიდი წმინდანი, მოღვაწე, დიადი დდის თაყვანისმცემლი, რთ-რთი რფორმატორული მიმართულების დამაარსებელი ინდუიზმში; აჩვნა ყვლა რლიიის, სარწმუნობის, მრწამსის რთიანობისა და ჰარმონიზაციის ზა.

<sup>2</sup> სანიასინი – წუთისოფლისან ანდომილი, ასკტი.

<sup>3</sup> ვივეკანანდა სვამი (1863-1902) – რამაკრიშნას მოსწავლე, ამოჩნილი ფილოსოფოსი, ინდოთის საზოადო მოღვაწე.

ბრაჰმანს ეთაყვანებიან. როგორ გაასულელეს ეს ახალგაზრდები!» ვივეკანანდა ამ კაცს მიუახლოვდა და მარჯვენა ხელი მოუღერა. მან თქვა: «თუ ჩვენს მასწავლებელზე კიდევ ერთხელ იტყვი ცუდს, წყალში გადაგაგდებ, ასე რომ თავს გაუფრთხილდი!» მებორნეს შეეშინდა; მან მგზავრს ურჩია გაჩუმებულიყო, და ყურში ჩასჩურჩულა: «დამიჯერე, ეს ბიჭი იზამს იმას, რაც თქვა. და ჩვენ ყველას უსიამოვნება მოგველის».

საღამოს ვივეკანანდა მასწავლებელთან გამოიძახეს. რამაკრიშნამ ჰკითხა: «როგორ ჩაიარა დღემ?» ძლიერ აღელვებულმა ვივეკანანდამ მასწავლებელს ბორანზე მომხდარ შემთხვევაზე უამბო. «როგორ! – წამოიძახა რამაკრიშნამ, - ნარინჯისფერ ტანსაცმელს ატარებ, მაგრამ *სანიასინის* შესატყვისად არ იქცევი. როგორ გაბედე მრისხანებისთვის ნება მიგეცა? შენისთანებს *აშრამში* არაფერი ესაქმებათ!» ვივეკანანდა *გურუს* ფეხებში ჩაუვარდა და თქვა: «მასწავლებელო! შენ ხომ გუშინ ბრაჰმანანდას უსაყვედურე, რომ მან პასუხი არ გასცა იმ კაცს? რატომ მიბრაზდები, მე ხომ ერთგული მოსწავლის ვალი შევასრულე! გთხოვ, ამიხსენი». რამაკრიშნამ მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: «ჩემო კარგო, გუშინდელი რჩევა კარგია მხოლოდ ისეთებისთვის, როგორიცაა ბრაჰმანანდა – მორიდებულებისა და გაუბედავებისთვის. მას მართებს უფრო გაბედული გახდეს. შენ კი ისედაც დიდი ტემპერამენტი გაქვს, სიმშვიდე და თავშეკავებულობა უნდა ისწავლო. ყოველი *გურუს* ვალია მოსწავლეებს ისეთი რჩევა მისცეს, რომელიც მათს ხასიათსა და შესაძლებლობებს მიესადაგება. მე სულაც არ ვარ გაბრაზებული არც შენზე, არც ბრაჰმანანდაზე».

## 6

### ყოველი მოქმედება შედეგს იწვევს

პრემაჩანდი გამოჩენილიდა ფართოდ ცნობილი მწერალია, რომელმაც თავისი ნაწარმოებები ჰინდის ენაზე შექმნა. მისი ორივე ვაჟი ალაჰაბადში სწავლობდა, თვითონ კი ცოლთან ერთად ალაჰაბადის ჩრდილოეთით პატარა ქალაქში ცხოვრობდა. ერთხელ ცოლ-ქმარს საქმეებზე სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში მოუხდა წასვლა. მატარებელი ალაჰაბადზე გადიოდა

და მათ გადაწყვიტეს შვილები მოენახულებინათ. შვილებს წერილი მისწერეს, რომ სადგურზე დახვედროდნენ.

მატარებელი გაჩერდა და ისინი ვაგონიდან გადმოვიდნენ. ცოლ-ქმარმა მათკენ მომავალი შვილები დაინახეს. უფროსი ვაჟი, ვიდრე დაელაპარაკებოდა, პატივისცემით შეეხო მშობლების ფეხებს, უმცროსმა კი მაშინვე გაცხოველებით დაიწყო მათთან საუბარი. მშობლებმა ჯანმრთელობისა და სწავლის შესახებ გამოჰკითხეს. ორივემ უპასუხა, რომ ყველაფერი წესრიგშია. სანამ მატარებელი დაიძრებოდა, უფროსი ვაჟი კვლავ მშობლების ფეხებს შეეხო, უმცროსმა კი უბრალოდ ხელი დაუქნია.

ცოლი პრემიანდა მხოლოდ შვილებზე საუბრობდა და ძალიან ბედნიერი იყო, რომ ისინი ინახულა. თავისდა გასაოცრად მან შენიშნა, რომ მისი ქმარი, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ხმას არ იღებს და მოლუმულია. ცოლმა ჰკითხა: «ძვირფასო, რა მოხდა? ასეთი სერიოზული და მდუმარე რატომ გახდი უცებ? შვილებთან შეხვედრა არ გაგიხარდა?» პრემიანდომ უპასუხა: «შენ ალბათ ვერაფერი შენიშნე. ნუთუ უმცროსი ბიჭის საქციელი მოგეწონა?» - «რაშია საქმე? ცუდი ვერაფერი შევამჩნიე. იგი სრულიად ახალგაზრდაა, ცელქი და მხიარული!» - «არა, არა. - თქვა ქმარმა, - უფროსმა თვინიერება და პატივისცემა გამოიჩინა, ჩვენს ფეხებს ორჯერ შეეხო, უმცროსს კი ეს არც უფიქრია!» - «ამას ასე სერიოზულად რატომ ეკიდები? - შეეპასუხა ცოლი, - ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა, ალბათ მან უხერხულად ჩათვალა, რომ ამდენი ხალხის თვალწინ მშობლების ფეხებს შეხებოდა. ალბათ შინაგანად გამოხატა პატივისცემა. გაიზრდება, დაჰკვიანდება და ყველაფერი მოგვარდება».

მაგრამ პრემიანდის კომპრომისები არ ახასიათებდა და უპასუხა: «ძვირფასო, ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება და აზრების სახე მის ქცევაში ჩანს. კარგი ჩვევები ადრეულ ასაკში უნდა გამაგრდეს, და მაშინ პატივისცემის ამგვარი ნიშნები ბუნებრივი და უნებლიე ხდება. არ ვიცი მომავალში რა ელის მას».

მამის სიტყვები სწორი აღმოჩნდა. უფროსმა ბიჭმა, გულმოდგინებისა და კარგი მიდრეკილებების წყალობით, იურიდიულ ფაკულტეტზე ბაკალავრობაზე გამოცდა ჩააბარა, ლონდონში გაემგზავრა და იქ ადვოკატის წოდება მიიღო. იგი ინდოეთში დაბრუნდა, სამი წელიწადი ადვოკატად იმუშავა, შემდეგ კი ალაჰაბადის სასამართლოში

მოსამართლე გახდა. თავისი უმწიკვლო მანერებისა და თავაზიანობის გამო იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. უმცროსი ბიჭი, სწავლისადმი ფუქსავატური დამოკიდებულების გამო, იძულებული იყო ინსტიტუტისთვის თავი დაენებებინა და ალაჰაბადის სასამართლოში უმცროს კლერკად მოწყობილიყო. უფროსი ძმის მიმართ ყველა პატივისცემას გამოხატავდა, უმცროსს კი თვითონ უნდა დაეხარა ყველასთვის თავი.

რა არის ამ ამბის მორალი? ხასიათი ჩვენი ბედია. დღეს შესრულებული ყოველი მოქმედება გარდაუვალად აისახება ჩვენზე მომავალში.

## 7

### წერილი ვაჟს

აღბათ გაგიგონიათ დიდი და კეთილშობილი ინგლისელის – ფილიპ სიდნეის – შესახებ. როდესაც იგი სკოლაში სწავლობდა, მამამისმა მას წერილი მისწერა, სადაც რამდენიმე რჩევა მისცა. წერილში ეწერა: «შვილო! ყოველ დღე ილოცე სუფთა გულით. მუდამ ეცადე გონება ღმერთს მიაპყრო. შენი მასწავლებლებისა და სკოლის ამხანაგების მიმართ პატივისცემა და თვინიერება გამოხატე. თუ ვინმე გაკრიტიკებს, ან გსჯის, გულს ნუ გაიტეხ, ხოლო ქებისა და პირფერული სიტყვების გამო ნუ იზვიანობ. ნურასოდეს განსჯი და გაკიცხავ სხვებს». წერილის ბოლოში მამამ შვილი გააფრთხილა: «მხოლოდ ღმერთს დაპირდი, მეტს არავის. მეტყველება ღმერთის საჩუქარია, ამიტომ სიტყვის მიცემა მხოლოდ ღმერთისთვის შეიძლება. უფლება არ გაქვს სხვა ვინმეს დაპირდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე იქნები იმაში, რომ სიტყვებს ფუჭად ხარჯავ. თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებ, შენი სიბრძნე გაიზრდება, და იდეალური სტუდენტი გახდები. ყურადღება მიაქციე ენას და ნებას ნუ მისცემ, რომ ის უკონტროლოდ დარჩეს». ფილიპ სიდნეიმ მამის რჩევები ყურად იღო და მსოფლიო აღიარებას მიაღწია.

## როგორც მამაა, შვილიც ისეთივეა

მდიდარ ვაჭარს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. ცოლი მაშინ მოუკვდა, როცა ბავშვი მხოლოდ ხუთი წლის იყო. ვაჭარი შვილისთვის მამაც იყო და დედაც, სიყვარულითა და მზრუნველობით ზრდიდა მას. მამამ შვილს კარგი განათლება მისცა და ლამაზი გოგონაც შერთო ცოლად.

ახალგაზრდა რძალს მამამთილის სახლში ყოფნა აღიზიანებდა. რძლის აზრით იგი მათ ხელს უშლიდა, რომ თავისუფლად ეცხოვრათ. იგი მოითხოვდა, რომ ქმარს საკუთრებაზე ყველა უფლება მიეღო. ქმარი ამბობდა: «ნუ დეღავ, მე ხომ ერთადერთი შვილი ვარ, ამიტომ მამის მთელ საკუთრებას მემკვიდრეობით მივიღებ». მაგრამ ცოლი არ წყნარდებოდა. იგი ყოველ დღე ამ თემაზე ლაპარაკობდა, და ბოლოს და ბოლოს შვილმა მამას უთხრა: «მამა, შენ უკვე ხანში შესული ხარ. ალბათ უკვე გიჭირს მთელ ფულად ანგარიშებზე ზრუნვა. ხომ არ აჯობებდა ვაჭრობისა და შემოსავლების მმართველობა ჩემთვის გადმოგეცა?» საქმეებში გაწაფულმა ვაჭარმა თანხმობა განუცხადა და საკუთრებაზე ყველა უფლება და სეიფის გასაღები შვილს გადასცა.

ორი თვის შემდეგ რძალმა გადაწყვიტა, რომ მოხუცმა თავისი ოთახი და შუშაბანდი უნდა გაათავისუფლოს, ვინაიდან ხველებითა და ცხვირის ცემინებით ხელს უშლის მას, და ქმარს უთხრა: «მვირფასო, მალე ვიმშობიარებ და ამიტომ ვთვლი, რომ უფლება გვაქვს ოთახი და შუშაბანდი დავიკავოთ. მე მგონია მამაშენს მოეწონება ეზოში ჩარდახის ქვეშ ცხოვრება». ქმარს ცოლი ძალიან უყვარდა და იმდენად ჭკვიანად თვლიდა, რომ მის ყველა სურვილს ყოველთვის ასრულებდა. მოხუცი ეზოში დასახლეს და რძალს ყოველ საღამოს მისთვის თიხის ჯამით საჭმელი დაქონდა.

ახალგაზრდებს ვაჟი გაუჩნდათ. იგი საზრიანი, მკვირცხლი და ალერსიანი ბავშვი იზრდებოდა. ბიჭუნას პაპასთან ყოფნა ძალიან უყვარდა და სიხარულითა და სიამოვნებით უსმენდა მისგან სასაცილო ამბებსა და ლათაიებს. ბავშვს არ მოსწონდა, დედამისი როგორ ექცეოდა

მის საყვარელ პაპას, მაგრამ იცოდა, რომ დედას უდრეკი ხასიათი ჰქონდა და მამას მისთვის სიტყვის შებრუნებისა ეშინია.

ერთხელ, პაპის მუხლებზე ჯდომით რომ დაიღალა, ბავშვმა სახლში შემოირბინა და დაინახა, რომ მშობლები რაღაცას ეძებენ. სადილობის დრო უკვე საათზე მეტით იყო გადაცილებული. ბავშვმა იკითხა, რას ეძებენ ისინი. მამამ უპასუხა: «პაპაშენის თიხის ჭურჭელი სადღაც გაქრა. უკვე მისი სადილობის დროა. შენ ხომ არ იცი სად არის?» ხუთი წლის ბავშვმა ეშმაკური ღიმილით უპასუხა: «ის ხომ მე მაქვს! მე ავიღე და ახლა ჩემს სკივრში საიმედოდ ვინახავ». «რა? შენს სკივრში ჩადე ჯამი? რატომ? წადი და ახლავე მოიტანე», - უბრძანა მამამ. ბიჭუნამ უპასუხა: «არა, მამა, მე მჭირდება. მინდა მომავლისთვის შევინახო. ხომ გამომადგება, პაპასავით რომ დაბერდები, საჭმელი ხომ უნდა მოგიტანო ხოლმე? ვაი თუ მერე ასეთი ვერ ვიშოვო!» მშობლებს ენა წაერთვათ. ისინი თავის შეცდომას მიხვდნენ, და საკუთარი საქციელის შერცხვათ. ამ დღიდან ისინი მზრუნველობითა და პატივისცემით ექცეოდნენ მოხუცს.

თუ მშობლებს პატივს სცემთ, თქვენი შვილებიც პატივს გცემენ.

## 9

### დედის როლი

კურუქშეტრაზე<sup>1</sup> ორთაბრძოლის შემდეგ უფალი კრიშნა დედოფალ განდჰარისთან<sup>2</sup> მივიდა, რათა ენუგეშებინა იგი. განდჰარიმ კრიშნას საყვედურით უთხრა: «შენ თუ ღმერთი ხარ, პანდავებს<sup>3</sup> რატომ მიუდექი, მე კი ასი ვაჟიდან ერთიც კი არ დამიტოვე ცოცხალი? მე ხომ მათ ყველას მუცლით დავატარებდი!» კრიშნამ უპასუხა: «დაო, შენი შვილების სიკვდილში მე კი არა, შენ თვითონ ხარ დამნაშავე». განდჰარიმ თქვა: «კრიშნა, რატომ ხარ ასეთი უგულო, რომ მსგავსი დანაშაული წამიყენე?»

კრიშნამ უპასუხა: «დაო, შენ ასი ვაჟი დაბადე, მაგრამ ერთს მაინც აჩუქე ალერსი და სიყვარულის ღიმილი? შენ გადაწყვიტე თვალეზახვეული დარჩენილიყავი და ამიტომ ვერ ხედავდი შენი შვილები როგორ ცხოვრობენ. ჭეშმარიტად, შენს შვილებზე უბედური არავინ ყოფილა,

<sup>1</sup> კურუქშეტრა - «კურუს ვლი», ადილი, სადაც მაჰაბჰარატას დიადი ბრძოლა აიმართა.

<sup>2</sup> ანდჰარი - მაჰაბჰარატას პრსონაჟი, დედოფალი, კაურავთა ასი ძმის დდა.

<sup>3</sup> პანდავები - მაჰაბჰარატას მირბი, მფ პანდუს ხუთი ვაჟი.

რადგან მათ არ შეეძლოთ დედის ნაზი მზრუნველობითა და მოსიყვარულე მზერით დამტკბარიყვნენ. მათგან ერთს მაინც შეეძლო გმირი გაზრდილიყო – სამართლიანი, მოვალეობისა და დისციპლინის ერთგული? დედა პირველი მასწავლებელი და დამრიგებელია. დაფიქრდი ამაზე და შენი თავი კუნტის<sup>1</sup> შეადარე. როგორც კი ქმარი დაეღუპა, კუნტი უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობით ზრდიდა შვილებს. იგი მუდამ მათ გვერდით იყო, სასახლეშიც და გაფისულ სახლშიც<sup>2</sup>. პანდავები დედის კურთხევის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამენ. მათ ჩემი წყალობის დამსახურება რაიმე პირადი ნიჭის გამო კი არ შესძლეს, არამედ იმით, რომ კუნტი დაუღალავად ლოცულობდა ჩემზე: «ო კრიშნა! მხოლოდ შენ შეგიძლია დაიცვა ისინი». იმათ, ვისაც დედის მოსიყვარულე მზერა წილად არ ხვდათ, არ შეუძლიათ ღმერთი იხილონ და მისი სიყვარული დაიმსახურონ».

ასე აუხილა თვალი უფალმა დედოფალ განდჰარის დედის როლზე.

## 10

### პუტალი ბაი

განდის დედა, პუტალი ბაი, მრავალი წელი აღთქმის - «*კოკილა ვრატა*»-ს - ერთგული იყო. იგი ყოველ დილით რიტუალს ასრულებდა, შემდეგ კი *კოკილას* (ინდური გუგულის) პირველ შემახილს ელოდა, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა საუბრობას. ერთხელ მშიერი დედა ძალიან დიდხანს ელოდა გუგულის ხმას. პატარა განდიმ ეს შენიშნა, ეზოს ბოლოში წავიდა და გუგულის ხმით შემოსძახა. სახლში რომ დაბრუნდა, დედას უთხრა: «დედა, შეჭამე საჭმელი, გუგულმა ხომ უკვე იგალობა».

პუტალი ბაიმ თავი ვერ შეიკავა, ლოყაში სილა გააწნა და თქვა: «რა დიდი ცოდვა ჩავიდინე, რომ ასეთი მატყუარა დავბადე! რა დიდი ცოდვილი ვარ, რომ ღმერთმა ასეთი მატყუარათი დამაჯილდოვა!» ამას იძახდა და თან მწარე ცრემლებს ღვრიდა. სულის სიღრმემდე შეძრული

<sup>1</sup> კუნტი – მაჰაბჰარატას პრსონაჟი, დდოფალი, სამი პანდავის დდა.

<sup>2</sup> «აფისული სახლი» - მაჰაბჰარატას სიუჟტი: უფროსი ვაჟის წაქვზებით კაურავების მამამ პანდავები და კუნტი ააძვა; იქ მათთვის აფისული ხისან სახლი აას რომ ისინი იქ დაწვან და მათთვის სამფო წართვან. პანდავები მათი ბრძნი ბიძის, ვიდურას, რჩვამ იხსნან.

განდი დედას დაპირდა: «დღეიდან ცხოვრებაში ტყუილს აღარასოდეს ვიტყვი».

იმ ხანებში დედები თავისი შვილების ქცევებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ცდილობდნენ ისინი სწორ გზაზე დაეყენებინათ.

## 11

### სანიმუშო დედა

კალკუტის მახლობლად ერთ სოფელში დედა-შვილი ცხოვრობდა. ვაჟისთვის რომ განათლება მიეცა, დედა ბევრ რამეს იკლებდა. მაგრამ ამასთან შვილს შთააგონებდა: «ჩემო კარგო, საერო განათლებას ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ნუ თვლი. მრავალი ადამიანი სხვადასხვა მეცნიერებას ეწაფება, მაგრამ მაინც უგუნური რჩება, რადგან არ ესმის, თუ ვინ არის იგი. სწავლულობა ადამიანს ქვენა ჩვეულებებს ვერ მოაცილებს. იგი მხოლოდ წინააღმდეგობათა მორევში აგდებს მას, სიბრძნეს და სრულყოფილებას კი ვერ აძლევს. რისთვის უნდა მიუძღვნა თავი იმას, რაც ოდესღაც გაქრება? იმას უნდა ჩასწვდე, რაც სიკვდილს აგაცილებს. მხოლოდ სულიერ ცოდნას მიჰყავს ადამიანი უკვდავებასთან. საერო ცოდნა ხანგრძლივი არ არის. იგი მხოლოდ იმისთვისაა აუცილებელი, რომ პურის ფული იშოვო. მისკენ მხოლოდ დამოუკიდებელი ცხოვრების გულისთვის უნდა ისწრაფოდე და ამასთან სურვილებს ზღუდავდე. ამიტომ, შვილო, საერო განათლება შეიძინე, მაგრამ სულიერი ძიება არ დაგავიწყდეს».

ჭაბუკმა სწავლა დაასრულა და უბრალო თანამდებობაზე მოეწყო. ერთხელ ქალაქში ხალხური ხელოვნების ფესტივალი ტარდებოდა. სოფლის ქალები დღესასწაულისთვის მოემზადნენ, საუკეთესო სარებში და სამკაულებში გამოეწყვნენ. ამ ჭაბუკის დედაც თავის ძველ ნაკერებიან სარიში გამოეწყო და დღესასწაულზე წავიდა. ამის შემხედვარე შვილს გული ეტკინა და უთხრა: «დედა, ჩასაცმელი საერთოდ არ გაქვს, არც სამკაული გაქვს. ეს ძალიან მაწუხებს. მითხარი, როგორი სამკაულები გინდა რომ გქონდეს?» ქალმა უპასუხა: «შვილო, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. სხვა დროს გეტყვი».



ბეჯითობისა და შემსრულებლობის წყალობით ეს ახალგაზრდა სამსახურში დააწინაურეს. მან დედას კვლავ ჰკითხა, როგორი სამკაულები მოსწონდა. «ახლა უკვე შემოდლია გიყიდო», - უთხრა მან. დედამ უპასუხა, რომ სამ სამკაულზე ოცნებობს, მაგრამ მოგვიანებით ეტყვის, კერძოდ რომელზე.

დროთა განმავლობაში შვილმა სამსახურში და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა დაიკავა. მან კვლავ მიმართა დედას: «დედა, მე მაქვს ფული. მითხარი, როგორი სამკაულები მოგწონს, ახლავე გიყიდი». დედამ უპასუხა: «შვილო! მე უკვე იმ ასაკში არ ვარ, სამკაულები რომ ვატარო. მაგრამ ზოგიერთი მათგანის მიმართ ინტერესი მაქვს, და მე უკვე მზად ვარ გითხრა». მან შვილი ახლოს დაისვა და განაგრძო: «მე ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სოფლის ბავშვებს რამდენიმე მილის დაცილებით მდებარე სკოლაში უწევთ სიარული. პირველი სამკაული, რაზედაც ვოცნებობ, დაწყებითი სკოლაა ჩვენი სოფლისთვის. მეორეც, მოსახლეობას სულ უბრალო სამედიცინო დახმარებაც კი არ გააჩნია. ამაზე ფიქრში ღამე არ მიძინავს. თუ ჩვენს სოფელში პატარა საავადმყოფოს მაინც გახსნი, ეს იქნება ჩემი მეორე სამკაული, რომელზედაც ვოცნებობ.

მესამე სამკაული კი შეგიძლია მე მაჩუქო. მომავალში შესაძლოა უფრო დიდი სახელი მოიხვეჭო. შენ გკითხავენ: «თქვენი დედა ვინ არის?» - და ჩემს სახელს დაასახელებ. ისე მოიქეცი, რომ დედის კარგი სახელი დაიცვა. სასარგებლო ცოდნა, შენ რომ მიიღე, სხვებს გაუზიარე. სიმდიდრეს ნუ გამოეკიდები. მამონას მსახური ღმერთისკენ არ ისწრაფის. ღმერთის მამიებელს სიმდიდრის წყურვილი არ გააჩნია. თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებ, ეს იქნება ჩემთვის მესამე სამკაული «.

## 12

### დედა და სამშობლო

შრი რამა და ლაქშმანა<sup>1</sup> ვანარების (მაიმუნების) მიერ აგებული ხიდით ზღვაზე გადავიდნენ. მათ ლანკა დაიპყრეს, რავანა<sup>2</sup> მოკლეს და სიტა

<sup>1</sup> ლაქშმანა – რამანაიას პრსონაჟი, რამას ნახვარძმა.

<sup>2</sup> რავანა - «ღრიალა», პურანებისა და რამაიანას პრსონაჟი, რაქშასის დღოფლის ვაჟი და ბრაჰმას შვილიშვილი, დემონ-რაქშასის მფ.

გათავისუფლეს. ლაქშმანამ ლანკას დიდებულ დედაქალაქს თვალი შეავლო და შენიშნა: «ძმაო, რა გვინდა აიოდჰიაში<sup>1</sup>? დაე იგი ჩვენმა ძმამ, ბჰარატამ, მართოს. ლანკა უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე აიოდჰია. და მისი მმართველი შეგიძლია გახდე. შენ რავანაზე გაიმარჯვე, მოკალი იგი და ეს უფლება დაიმსახურე». შრი რამამ ღიმილით და სიყვარულით, მაგრამ მტკიცედ უპასუხა: «ძმაო, ლაქშმანა! ადამიანს არ შეუძლია სხვა ქალი აირჩიოს დედად, რა უგვანოც არ უნდა იყოს საკუთარი დედა. ზუსტად ასევე, რა მდიდრული და აყვავებულიც არ უნდა იყოს ლანკა, მე არ მჭირდება მისი სილამაზე და ძვირფასეულობა; ჩემი დაბადების ადგილი წმინდა და ძვირფასია. იგი ჩემთვის ჭეშმარიტი სამოთხეა. გახსოვდეს, ძმაო: დედა და სამშობლო ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე თვით ზეცა».

შენიშნეთ: ლაქშმანამ მიზანდასახულად დასვა ეს უცნაური კითხვა, რათა მთელი მსოფლიოსთვის გამხდარიყო ცნობილი, რომ მზის დინასტიის ძველ სახელგანთქმულ მეფეებს, ისევე, როგორც მათს მემკვიდრეებს – ინდოეთის მმართველებს – კარგად ჰქონდათ შეთავსებული საკუთარ და ეროვნულ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

*ნატა ბჰუმა პუტროჰამ პრიტჰივიაჰ*

დედამიწა დედაა ჩემი, და მე მისი შვილი ვარ.

*ადჰარვავედა*

## 13

### სიმართლე ილაპარაკეთ

ერთხელ ქალღმერთმა პარვატიმ<sup>2</sup> შივას ჰკითხა: «ბატონო! გამიგია, რომ არსებობს სალოცავი სახელად კაში<sup>3</sup>, სადაც შენ გცემენ თაყვანს, და რომ ისინი, რომლებიც განგაში განბანის შემდეგ წმინდა ადათს, *შივაპუჯას*<sup>4</sup>, ასრულებენ, იმსახურებენ კაილასზე<sup>5</sup> წავიდნენ და მუდმივად იქ

<sup>1</sup> აიოდჰია – მზის დინასტიის მფთა სატახტო ქალაქი, სადაც რამა დაიბადა.

<sup>2</sup> პარვატი - «მთისა», დვის, შივას მუღლის, რთ-რთი სახლი.

<sup>3</sup> კაში (ბნარსი, ვარანასი) – ძველი წმინდა ქალაქი ინდოეთის ჩრდილოეთში, ანას სანაპიროზე, სადაც ვიშვანათჰას ცნობილი ტაძარი მდებარობს; იქ ლინამის სახით შივას სცმნ თაყვანს.

<sup>4</sup> პუჯა – ღმრთმსახურება, ლოცვა, თაყვანისცემის წსი.

<sup>5</sup> კაილასა – წმინდა მთა ჰიმალაბში, ღმრთბის ღნდარული სავან.

დარჩნენ. მართალია ეს?» უფალმა შივამ<sup>1</sup> უპასუხა: «ამ უფლების მოპოვებაყველას არ შეუძლია. მხოლოდ კაშიში მომლოცველობა და ჩემი გამოსახულების წინაშე რიტუალების ჩატარება საკმარისი არ არის. თუმცა, შენთვის რომ ნათელი გახდეს, შეგვიძლია მოხუცი ცოლ-ქმრის სახით ახლავე კაშიში წავიდეთ. სპექტაკლში მონაწილეობის მიღება მოგიწევს».

უფალი შივა და პარვატი შივას ტაძრის შესასვლელში გაჩნდნენ, პარვატი – როგორც უგვანო 80 წლის დედაბერი, შივა კი – როგორც 90 წლის დაუძლურებული, ბეჩავი მოხუცი. შივამ თავი პარვატის მუხლებზე ჩამოდო, კვნესა დაიწყო და ტანჯვა გამოსახა. დედაბერი მწარედ ტიროდა და გვერდზე ჩამვლელ ყოველ მომლოცველს თვალცრემლიანი შესთხოვდა: «შივას თაყვანისმცემლებო! დაეხმარეთ ჩემს საწყალ ქმარს! იგი წყურვილით კვდება! ცოტა წყალს ხომ არ მოუტანთ? მე არ შემიძლია მარტო დავტოვო და მდინარეზე წავიდე». მომლოცველები განგაში განბანის ცერემონიის შემდეგ *გატებიდან* (მდინარეში ჩასასვლელებიდან) მოდიოდნენ. მათი ტანსაცმლიდან წყალი ჩამოედინებოდა. მათ პატარა, ბრჭყვიალა სპილენძის ჭურჭლებით წყალი მოჰქონდათ. ყოველი მათგანი ხედავდა მოხუც ქალს და ესმოდა მისი გოდება. ზოგი ამბობდა: «მოიცადე, შენს ქმარს დავეხმარები მას შემდეგ, როგორც კი წმინდა წყალს უფალ ვიშვანათჰის<sup>2</sup> შევთავაზებ».

სხვანი წყენით ამბობდნენ: «რა უგვანობაა! ამ მათხოვრების გამო მშვიდად ვერ შეგვისრულებია რიტუალი!» ზოგიერთები ჩიოდნენ: «მათხოვრები ტაძართან არ უნდა მიუშვა».

შესასვლელის წინ ბლომად ხალხი იყო შეკრებილი. მათ შორის პროფესიონალი ჯიბის ქურდიც იყო. მასაც ესმოდა მოხუცი ქალის საცოდავი კვილი და არ შეეძლო გულგრილად ეცქირა, მისი ქმარი როგორ იტანჯება. იგი მიუახლოვდა და უთხრა: «დედაო, რა გინდა? ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ?» მოხუცმა ქალმა უპასუხა: «შვილო, ჩვენ იმისათვის მოვედით, რომ უფალ ვიშვეშვარას *დარშანი* მივიღოთ, მაგრამ ჩემი ქმარი უცებ ცუდად გახდა, და სისუსტის გამო გრძნობა დაკარგა. სიკვდილს გადაურჩება, თუკი ვინმე მის წყურვილისგან გამომშრალ

<sup>1</sup> შივა - «კთილი», «მოწყალ», ინდუისტური ტრიადის მთავარი ღმრთებიდან რთ-რთი, ანადურბის კოსმოსურ ძალთა ანხორცილბა. ხშირად მას თაყვანბიან როორც უმაღლს უფალს, ღმრთ-მბრძანბლს – იშვარას.

<sup>2</sup> ვიშვეშვარა, ვიშვანათჰი – სამყაროს უფალი, ყვლაფრის მუფ (შივას სახლბი)

ტუჩებზე ცოტა წყალს დაასხამს. იგი იმდენად ცუდადაა, რომ არ შემოდლია მივატოვო და წყალზე წავიდე. რამდენ ადამიანს ვთხოვე დახმარება, მაგრამ წყალი არავინ მოგვცა, თუმცა ყველას სავსე დოქები მიაქვს». ქურდში თანაგრძნობამ გაიღვიძა. მან გამხმარი გოგრით ცოტა წყალი მოიტანა. მაგრამ სანამ წყალს მიიღებდა, ქალმა თქვა: «შვილო, ჩემი ქმარი ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოკვდეს, და თავის უკანასკნელ ყლუპს მხოლოდ იმ ადამიანისგან მიიღებს, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ამბობს».

ჯიბის ქურდმა ვერ გაიგო, რაზე ლაპარაკობდა ეს ქალი. მან ჰკითხა: «დედაო, მითხარი, კიდევ რა უნდა ვქნა? – და ცინიკური ჩაცინებით დაამატა: ცხოვრებაში ერთი კარგი საქმეც კი არ გამიკეთებია. ბავშვობიდანვე ჯიბის ქურდი ვიყავი. ჩემი ერთადერთი კარგი საქმის გაკეთებას ახლა ვაპირებდი - ამ მომაკვდავი ადამიანისთვის წყლის დაღვევინებას. ეს არის ნამდვილი სიმართლე». და მან დამაბუნებულ მოხუცს პირში ფრთხილად ჩაასხა წყალი. იმავე წამს მათხოვრები გაქრნენ, და მათ მაგიერ უფალი შივა და ქალღმერთი პარვატი გაჩნდნენ მთელი თავისი დიდებულებით. შივამ თქვა: «შვილო, შენს თავზე ჭეშმარიტი კურთხევაა. არ არსებობს გულმართლობაზე უფრო დიდი ზნეობა, და არ არსებობს ახლობლის მსახურებაზე უფრო ნაყოფიერი თაყვანისცემა. შენი ერთი კეთილი საქმე ყველა ცოდვებისგან გათავისუფლებს».

## 14

### ხუმრობითაც კი ნუ ამბობთ ტყუილს

#### ოქროს მონეტა

ერთი ბედნიერი ოჯახი ცხოვრობდა: მამა, დედა და ორი ბავშვი. ერთხელ უფროსი ბავშვი, 12 წლის ბიჭი, გამოცდებისთვის ემზადებოდა. ეს სწორედ მისი დაბადების დღე იყო. მამამისი სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. მან შვილი მოიხმო და უთხრა: «აჰა შენ ოქროს მონეტა. დედას მიეცი და უთხარი, რომ ოქრომჭედელს შენთვის ბეჭედი დაუკვეთოს». ბიჭმა მამას მადლობა გადაუხადა, მონეტა საწერ

მაგიდაზე დადო და კითხვა განაგრძო. მისმა უმცროსმა დამ ოთახში შემოირბინა; ბრჭყვიალა მონეტამ მისი ყურადღება მიიქცია. გოგონამ ხელი წაავლო მას და ძმას ჰკითხა: «რა არის ეს? ვინ მოგცა?» ძმამ ხუმრობით უპასუხა: «ეს ოქროს მონეტაა, მამამ დაბადების დღეზე მაჩუქა. გინდა ასეთივე მონეტა?» გოგონა აღტაცებაში მოვიდა. «მითხარი, სად უნდა ვიშოვო?» - წამოიძახა მან. ძმამ თქვა: «ეს ძალიან ადვილია, მაგრამ ცოტა მოცდა მოგიწევს». - «რა თქმა უნდა, მოვიცდი, მაგრამ საიდან გაჩნდება ის?» - ჰკითხა დამ. - «ეს მონეტა მიწაში უნდა ჩათესო, ყოველდღე მორწყა, და პატარა ხე გაიზრდება და ნაყოფს მოისხამს. ყოველ ნაყოფში თითო მონეტა იქნება», თქვა ძმამ.

ამის შემდეგ ბიჭი ისევ სწავლას შეუდგა. გულუბრყვილო ბავშვმა ძმის სიტყვები დაიჯერა. გოგონამ ეზოში ჭის მახლობლად მიწა გათხარა, ჩადო შიგ მონეტა, მიწა მიაყარა და წრე შემოხაზა, რომ ადგილი არ დავიწყებოდა. მას სიამაყე დაეუფლა, რომ საქმეს თავი გაართვა, ხელები დაიბანა და სახლში დაბრუნდა. მსახურმა ქალმა ეს ყველაფერი ფანჯრიდან დაინახა, ამოიღო მიწიდან მონეტა და მშვიდად წავიდა ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს.

ცოტა ხნის შემდეგ დედამ ბიჭს საუზმეზე დაუძახა. ბიჭს უნდოდა დედისთვის ძმის საჩუქარი ეჩვენებინა, მაგრამ ვერ იპოვა. დას დაუძახა და ჰკითხა, სად წაიღო მონეტა. ამ დროს ოთახში დედა შემოვიდა. სწორედ ამ დროს გოგონა ყვებოდა, თუ ეზოში მონეტას დათესვას რა ბეჯითად გაართვა თავი. დედამ ჰკითხა: «რა მონეტა? რაზე ლაპარაკობ?» ბიჭმა დედას ყველაფერი უამბო. სამივე ეზოსკენ გაიქცა – ორმო ცარიელი იყო. ბიჭმა დას ლანძღვა დაუწყო, დამ კი ტირილი მორთო. დედამ ორივე სახლში შეიყვანა, გვერდით მოისვა და თქვა: «შვილო ნუ ღელავ, დღეს ხომ შენი დაბადების დღეა. მაგრამ არც და უნდა გაკიცხო. მას წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ოქროს მონეტა. რატომ გაეხუმრე მას და ტყუილი უთხარი? სიცილის გულისთვისაც კი არასოდეს იცრუო, ან ვინმეს გასაბრაზებლად. ხედავ, აქედან რა გამოვიდა? მე არ ვბრაზობ, უბრალოდ შენ მაგიერ მტკივა გული. გახსოვდეს: არასოდეს იცრუო, ხუმრობითაც კი».

**პატიოსნება საუკეთესო ტაქტიკაა**

სერ ს.ვ. რამანი, მთელ მსოფლიოსთვის ცნობილი ნობელის პრემიის ლაურეატი, თავის თავში მტკიცედ დარწმუნებული და პირდაპირი ადამიანი იყო, პრინციპული და მტკიცე ხასიათის გამო საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. ამასთან იგი სიკეთითა და გულუხვობით გამოირჩეოდა. ნობელის პრემიის მთელი თანხა ბანგალორში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობაში ჩადო. ინსტიტუტის გახსნამდე მან გასაუბრებაზე მეცნიერ მუშაკობის კანდიდატები მოიწვია. პრეტენდენტებს შორის იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სერ რამანმა ღიად განუცხადა, რომ მისთვის ადგილის მიღების შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლია. შუადღისას გასაუბრება დასრულდა, და მეცნიერი სასადილოდ სახლში წავიდა.

სამ საათზე იგი ინსტიტუტში დაბრუნდა და ნახა, რომ ის ახალგაზრდა კაცი მის კაბინეტთან ბოლთასა სცემს. რამანმა მიიხმო და მკაცრად უთხრა: «ხომ გითხარით, რომ თქვენი ამორჩევა შეუძლებელია? რატომ ხართ აქ?» ახალგაზრდა კაცმა მორიდებით უპასუხა: «მაპატიეთ, სერ, მაგრამ აქ იმისთვის არ ვარ, რომ კვლავ სამუშაოზე მიღება გთხოვოთ. მე მხოლოდ თქვენი ბუღალტრისთვის ფულის დაბრუნება მინდოდა, რომელიც პრეტენდენტთა საგზაო ხარჯების საკომპენსაციოდ მომცა შეცდომით». ასეთი პატიოსნებითა და პრინციპულობით ს.ვ. რამანი გაოცებული დარჩა. მან უპასუხა: ჩემო კარგო, ამაზე ნუ წუხხართ. მე გაძლევთ ჩემს ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკის ადგილს. ჭეშმარიტების მიმართ თქვენი სიყვარული და პატიოსნება დიდ სამსახურს გაგიწევთ როგორც მეცნიერულ შრომაში, ასევე საერთოდ ცხოვრებაში.

## 15

### როგორც საშუალებაა, შედეგიც ისეთივეა

კარნა<sup>1</sup> კურუქშეტრაზე ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი გმირი და მეომარია. მთელი მისი ცხოვრების მიზანი ორთაბრძოლაში არჯუნას<sup>2</sup> ისრით განგმირვა იყო. იგი მასწავლებელს ეძებდა, რომელიც მშვილდის ხმარების ხელოვნებას შეასწავლიდა და რომელსაც ისეთი მშვილდ-ისრის

<sup>1</sup> კარნა – მაჰაბჰარატას პრსონაჟი, კუნტისა და მზის ღმრთის ვაჟი.

<sup>2</sup> არჯუნა - «თორი», «ნათლი»; მაჰაბჰარატას მირი, მშბი პანდავბიდან მსამ.

ხმარება ეცოდინებოდა, რომელიც, საიდუმლო *მანტრების* ძალით, მძლავრ, საშინელ იარაღად იქცეოდა. კარნამ შეიტყო, რომ არის ასეთი უბადლო ოსტატი-მეისრე – წმინდანი ბრძენი პარაშურამა<sup>1</sup>, რომელიც ასეთ მშვილდ-ისარს ფლობდა. მაგრამ ასევე იცოდა, რომ პარაშურამა მოსწავლედ *ქშატრია*<sup>2</sup> არასოდეს მიიღებს. იგი *ქშატრიების* მთელი კლანის დაუძინებელი მტერი იყო. კარნა ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. იმდენად დიდი იყო მშვილდის ხმარების მაღალი ხელოვნების შესწავლის სურვილი, რომ გადაწყვიტა ეშმაკობა ეხმარა და ბრძენი მოეტყუებინა.

იგი *ბრაჰმანი*<sup>3</sup> ტანსაცმლით შეიმოსა ყველა შესაბამისი ატრიბუტებით და პარაშურამას ეახლა. იგი ისე იქცეოდა, რომ ბრძენის კეთილგანწყობა მოიპოვა, და ეს უკანასკნელი დათანხმდა მოსწავლედ აეყვანა იგი. კარნამ მასწავლებლის ნდობა დაიმსახურა. პარაშურამამ შეიყვარა და ყველაზე უფრო ერთგულ მოსწავლედ ჩათვალა იგი. ძალიან მოკლე დროში კარნამ შეისწავლა ყოველივე ის, რისი შესწავლაც კი შეიძლებოდა მშვილდოსნის ოსტატობის საქმეში.

ერთხელ რიგითი გაკვეთილის შემდეგ პარაშურამამ დადლილობა იგრძნო და დასასვენებლად წამოწვა. მან კარნას ბარძაყზე ჩამოდო თავი და ღრმა ძილს მიეცა. კარნა უძრავად იჯდა და სულ მცირე მოძრაობასაც კი ერიდებოდა, რომ მასწავლებელი არ გაეღვიძებინა. უცებ ბარძაყის ქვედა ნაწილზე დიდმა ბაზმა უკბინა. ნაკბენი ადგილი ძალიან სტკიოდა და სისხლი სდიოდა, მაგრამ კარნა არ იძროდა. იგი ასე უძრავად იჯდა და არნახულ მოთმინებასა და ნებისყოფას იჩენდა. პარაშურამას აწეწილი თმები ჭრილობიდან გამოსული სისხლით თანდათან სველდებოდა. მან გამოიღვიძა და კარნას მიაშტერდა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და აბსოლუტურად უძრავად და მშვიდად იჯდა. პარაშურამამ წარბი შეიკრა და მრისხანედ ჰკითხა: «მითხარი, სინამდვილეში ვინ ხარ? შენ *ბრაჰმანების* კასტიდან არ ხარ – *ბრაჰმანი* სისხლის დანახვას ვერ იტანს და ასეთ მწვავე ტკივილს ვერ უძლებს. თქვი სიმართლე - *ქშატრია* ხარ?»

---

<sup>1</sup> პარაშურამა - «რამა ცულით»; ღმრთ ვიშნუს რთ-რთი ანსხულბა; ქშატრიების კასტა აანადურა და ამის შმდ მკაცრ მონანიბას მისცა თავი.

<sup>2</sup> ქშატრია - «მომარი», ძვლი ინდოთის ოთხი ვარნადან მორის - მომართა და მმართელთა - წვრი.

<sup>3</sup> ბრაჰმანი - უმაღლსი ვარნას (წოდბის) «ორჯრდაბადბულთა» წარმომადნლი, ქურუმი, ვდბის ცოდნას დაუფლბული.

კარნა იძულებული იყო ეღიარებინა, თუ ვინ იყო ის, და თავისი ოცნების შესახებ ეთქვა - დიადი მშვილდოსანი გამხდარიყო, რის გამოც მან გაბედა და ეშმაკობა იხმარა. პარაშურამამ წარმოთქვა: «რადგან შენი გურუ მოატყუე და ამ ხელოვნებას დაეუფლე, ამიტომ შენი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში ეს ოსტატობა ვერ გიხსნის».

## 16

### ერიდეთ მრისხანებას

რაჯენდრა პრასადას განათლებული მსახური ჰყავდა. მას რატნა ერქვა. იგი მრავალი წელი რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა თავის პატრონს, და ეს უკანასკნელი მისით ძალიან კმაყოფილი იყო. ერთხელ რატნა პატრონის ოთახს ალაგებდა. მაგიდაზე ერთ-ერთ წიგნში კალმისტარი იყო ჩადებული, რომელიც რაჯენდრა პრასადას მაჰატმა განდიმ აჩუქა. როდესაც მსახური მაგიდას წმენდდა, წიგნი ჩამოვარდა და კალამს წვერი მოსტყდა. მსახური ძალიან შეწუხდა, მაგრამ თავისი დაუდევრობა პატიოსნად აღიარა და პატრონს პატიება სთხოვა. მაგრამ განრისხებულმა რაჯენდრა პრასადამ უყვირა და უბრძანა სახლიდან მოშორებულიყო და აღარასოდეს დანახვებოდა მას. რაჯენდრას ძალიან ძვირად უღირდა ეს კალმისტარი როგორც მაჰატმას საჩუქარი.

რატნა ევედრებოდა ეპატიებინა მისთვის, ეუბნებოდა, რომ თუ გააგდებს, შიმშილით მოკვდება. მაგრამ რაჯენდრა პრასადას არაფრის გაგონება არ სურდა და მსახურს უბრძანა სახლი დაეტოვებინა.

ღამე რაჯანდრა პრასადამ ვერ დაიძინა, მას სინდისი ქენჯნიდა, რომ მსახური გააგდო. დილით მას ყავა არავინ მოუტანა, ვინაიდან ეს რატნას ვალდებულება იყო. იგი თავის საქციელზე ფიქრობდა და უკვე ნანობდა, რომ ასეთი უმნიშვნელო დანაშაულის გამო ერთგული ადამიანი გაწირა. მიხვდა, რომ ამ ამბავში თვითონაა დამნაშავე, იმიტომ, რომ ძვირფასი კალმისტარი უადგილო ადგილზე დატოვა, იმის მაგიერ, რომ მაგიდის უჯრაში ჰქონოდა იგი შენახული. მან რატნასთან კაცი გაგზავნა, დააბრუნა იგი და ბოდის სიტყვებით მიმართა: «რატნა, შენ კარგი ბიჭი ხარ. მე თვითონ ვარ დამნაშავე, რომ კალმისტარი წიგნში დავტოვე. მაჰატიე, რომ ასე გავცხარდი».



მრისხანება, როგორც შეუკავებელი ხასიათის შედეგი, შიგნით დულდება, და ის, ვინც ამ აფეთქებას თავისუფლებას აძლევს, ყოველთვის თვითონ იტანჯება მისგან. აკონტროლეთ თქვენი მრისხანება და როდესაც ბრაზობთ, პირი დახურული გქონდეთ და დაუფიქრებელ მოქმედებებს ნუ შეასრულებთ.

*(რეალური ეპიზოდი ინდოეთის  
პირველი პრეზიდენტის –  
რაჯენდრა პრასადას ცხოვრებიდან)*

## 17

### მასწავლებელი და მამიებელი

ერთ მამიებელს *გურუმ* ურჩია: «წადი ტყეში; ბაზრის მოედანზე სიმშვიდეს როგორ მოიპოვებ?»

სხვა მამიებელს კი ასე უთხრა: «სადაც ხარ, იქ დარჩი.»

ეს ორივე მამიებელი ერთმანეთს შეხვდა და მათ *გურუს* რჩევაზე ისაუბრეს. ერთმა თქვა: «ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევა რატომ მოგვცა *გურუმ*? იქნებ მისი სიტყვები არასწორად გავიგეთ? მოდი, მასთან წავიდეთ და ვკითხოთ».

საგონებელში ჩავარლნილმა მოსწავლეებმა ამ კითხვით *გურუს* მიმართეს. *გურუმ* უპასუხა: «ეს რჩევები ერთმანეთისგან იმიტომაა განსხვავებული, რომ მამიებლის სულიერი განვითარების დონე მიიღება მხედველობაში».

## 18

### არჯუნას სიამაყე

ერთხელ, თავისი ტრიუმფალური სვლის შესრულების დროს, არჯუნამ ინდოეთის სამხრეთს მიაღწია. რამასეტაში (ადგილი, სადაც რამამ ლანკაზე ხიდი ააგო) რომ აღმოჩნდა, იგი სიამაყემ მოიცვა: მას ეგონა, რომ მშვილდოსნის ოსტატობაში ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ

რამასაც კი აღემატება, - რამამ ხომ ხიდი მაიმუნთა უმძიმესი შრომის ფასად ქვებით ააგო. არჯუნამ ხმამაღლა გამოაცხადა: «რამას ადგილზე მე უფრო ძლიერად მოვზიდავდი მშვილდს და ზღვაზე ხიდს ისრებით ავაგებდი, და ამ ხიდზე მთელ მის ლაშქარს შეეძლებოდა გადასვლა». არჯუნას გასაოცრად მის წინაშე უმაღლვე ჰანუმანი გაჩნდა, რომელიც დამცინავად იკრიჭებოდა, - რაც, არჯუნას აზრით, მაიმუნს უფრო მეტად ამახინჯებდა. ჰანუმანმა მას წინადადება მისცა ასეთი ხიდი აეგო, რომელზედაც ერთ მაიმუნს მაინც, კერძოდ თვითონ ჰანუმანს, შეეძლება გადასვლა, მთელ ლაშქარზე რომ არაფერი ვთქვათ.

შეთანხმდნენ, რომ თუ არჯუნა ამის გაკეთებას ვერ შესძლებს, მაშინ ცოდვის (პატივმოყვარეობის გამო რამას დამცირების მცდელობის) მონანიების გულისთვის იგი სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა. არჯუნა ისრებს სტყორცნიდა და ისინი ერთმანეთზე ისე ძლიერად მაგრდებოდა, რომ მალე შთამბეჭდავი ნაგებობა აღიმართა, რომელიც ინდოეთს ლანკასთან აკავშირებდა. ჰანუმანმა განაცხადა, რომ ხიდი ძალიან მყიფეა, რაზედაც არჯუნა ირწმუნებოდა, რომ იგი კოცონზე ავა, თუკი ხიდი ჰანუმანის წონას ვერ გაუძლებს. ჰანუმანმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა და ხიდი ზღვაში ჩაინგრა!

არჯუნამ სიტყვას არ გადაუხვია, კოცონი დაანთო და მასზე ასასვლელად მოემზადა, რომ სიამაყის ცოდვა მოენანიებინა; ამ სიამაყემ იგი აიძულა რამაზე უფრო ძლიერად წარმოედგინა თავი. ამ მომენტში კრიშნა გამოჩნდა. მან თავი მოიკატუნა, რომ არაფერი იცის, და იგი საქმის კურსში შეიყვანეს. კრიშნა სცენაზე სწორედ იმ წამს გამოჩნდა, როცა ეს მოვლენათა მსვლელობამ მოითხოვა. როდესაც მას «სანაძლეოსა» და არჯუნას წაგების შესახებ უამბეს, კრიშნამ გამოაცხადა, რომ ნებისმიერ შეთანხმებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როცა იგი მოწმეების თანდასწრებით მტკიცდება. როგორ შეიძლება ენდო მოკამათეებს, თუკი მათ თავის სასარგებლოდ გარემოების შეცვლის შესაძლებლობა აქვთ? ამიტომ კრიშნამ მოითხოვა, რომ არჯუნას კვლავ აეგო ისრებით ხიდი, ჰანუმანი კი ერთხელაც გადასულიყო მასზე. ასეც მოხდა, და ჰანუმანის დიდი მცდელობის მიუხედავად - თავისი უშველებელი წონით დასწოლოდა ხიდს, არც ერთი ისარი არ გატყდა. ხიდი მთელი დარჩა. ჰანუმანი ცეკვავდა და ხტუნავდა, მაგრამ ხიდი არც კი ჩაზნექილა. საიდუმლო იმალებოდა იმაში, რომ კრიშნას თავის ფაქიზ ფორმაში

ზურგით ეჭირა ხიდის ის ადგილი, სადაც ჰანუმანი ფეხს ადგამდა. იგივე ზურგი იჭერდა მანდარას მთას ღმერთებისა და დემონების მიერ ოკეანის ეპოქალური დღვების დროს. ჰანუმანმაც და არჯუნამაც გაიგეს ეს, როდესაც კრიშნას ზურგზე სისხლიანი დაჟეჟილობები შენიშნეს. ორივე გმირისთვის ნათელი გახდა, რომ მათს კამათში უფალი ჩაერია, რათა თავისი ერთგულის ღირსება დაეცვა.

ამგვარად იქნა არჯუნას სიამაყე გაქედილი. იგი კრიშნას ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა, რომ მომავლის ყველა საქმეებსა და ბრძოლებში დახმარებოდა მას. ჰანუმანმა გააცნობიერა, რომ არჯუნა უფალ კრიშნას საყვარელი ერთგულია და თავისი დახმარება შესთავაზა. და მართლაც, ჰანუმანი, არჯუნას ეტლის დროშაზე გამოსახულების სახით, კურუქმეტრაზე ბრძოლაში მონაწილეობდა, არჯუნას იცავდა და კაურავებზე გამარჯვებისთვის ძალებით მუხტავდა.

## 19

### სიხარბე უბედურების წყაროა

ერთ სოფელში ორი მეგობარი ცხოვრობდა. ერთხელ ისინი მეზობელ სოფლისკენ გაემართნენ, სადაც მათ სამუშაო ჰქონდათ შეთავაზებული. გზა ტყეზე გადიოდა. მათ ცხენოსანმა გაასწრო და შენიშნეს, რომ საპალნიდან პატარა ფუთა ჩამოვარდა. მხედარმა ეს ვერ შენიშნა და თვალს მიეფარა. მეგობრებმა ფუთასთან მიირბინეს, გახსნეს იგი და გაოცებულებმა ბრჭყვიალა ძვირფასი ქვა დაინახეს. ასეთმა წარმატებამ ორივეს ენით გამოუთქმელმა სიხარული მოჰგვარა. ერთმა თქვა: «ძმაო, კარგად შეინახე ეს ქვა და აქ იჯექი. მე სოფელში გავიქცევი და ჩვენთვის საჭმელს ვიშოვი. შემდეგ კი ერთად ვიფიქროთ იმაზე, თუ ამ ქვას რა ვუყოთ». ძვირფასმა ქვამ თავისი მავნე მოქმედება უკვე მოახდინა ორივეზე: ყოველ მათგანს სურდა თვითონ დაუფლებოდა მას.

სოფელში წასულმა ბიჭმა თავისი წილი საჭმელი უცებ შეჭამა და თანამგზავრის საჭმელი ფოთოლში შეახვია. ამის შემდეგ სავაჭრო დუქანში შეიარა და საწამლავის პატარა პაკეტი იყიდა. გზაში საწამლავი საჭმელს შეურია, კვლავ შეფუთა და გზას გაუდგა. მეგობარმა, რომელიც

მას ხის ქვეშ ელოდა, უთხრა: «მე ტბორზე წავალ, ხელებს დავიბან, ძვირფას ქვას კი მანამადე შენ დაგიტოვებ». როგორც კი წავიდა, მისმა ანხანაგმა სიხარბითა და მოუთმენლობით გახსნა ფუთა, დაიხარა და ძვირფას ქვას მიაშტერდა. უცებ თავზე მძიმე კეტი ისეთი ძალით დაეცა, რომ ადგილზევე განუტევა სული. რა თქმა უნდა, ეს იყო მისი «ამხანაგის» ნახელავი. მან ძვირფას ქვას ხელი დასტაცა, ჯიბეში ჩაიდო და საჭმელს მადიანად შეექცა. როგორც კი რამდენიმე ნაჭერი ჩაყლაპა, მანაც სული განუტევა, თან ჯიბეს ხელით ჩაეჭიდა, სადაც ძვირფასი ქვა იდო.

რა არის ორი ახალგაზრდის სავალალო დასასრულის მიზეზი? ეს არის სიმდიდრის წყურვილი. ეს არის სიხარბე. გახსოვდეთ, სიხარბე უბედურებისა და მწუხარების წყაროა.

## 20

### კრიჟანგობას ადამიანი უბედურებამდე მიჰყავს

სოფელში ორი ძმა ცხოვრობდა. ორივე ძალიან კრიჟანგი იყო. უმცროსი დიდი კრიჟანგი იყო, უფროსი კი – არნახული კრიჟანგი. მათი წუწურაქობა იქამდე მიდიოდა, რომ საჭმელი თავისთვისაც კი ენანებოდათ და მამღრისად არასოდეს ჭამდნენ. როდესაც ლოცულობდნენ, მათი ერთადერთი სურვილი იყო რაც შეიძლება მეტი ფული მიეღოთ. ადათის მიხედვით, წეს-ჩვეულების შესრულების შემდეგ ღმერთს რაიმე საჭმელი უნდა შეეთავაზოს, ამის შემდეგ კი შეიჭამოს, როგორც *პრასადი* (ნაკურთხი საჭმელი). ძმებს შაქრის ლერწმის ერთი ციცქნა ნაჭერი მოჰქონდათ და ღვთაების ქანდაკების წინ მხოლოდ ერთი წამით აჩერებდნენ – ეშინოდათ, რომ ჭიანჭველას არ მოეკვნიტა ნამცეცი!

ერთხელ მათ შეტყობინება მიიღეს, რომ ერთ-ერთი ნათესავი გარდაიცვალა. უფროსმა ძმამ – უფრო დიდმა კრიჟანგმა – გადაწყვიტა დაობლებულ ოჯახს სწვეოდა და თანაგრძნობა გამოეხატა. იგი დილით ადრე ფეხით აპირებდა წასვლას. როცა გაიღვიძა, ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ გადაწყვიტა არ დაყოვნებულიყო. როგორც კი გარეთ გავიდა, უმცროსმა ძმამ ლამპა ჩააქრო და კედელში ბნელ ნიშაში შედგა. მან იფიქრა, რომ რაკი მალე გათენდება, ამიტომ საჭირო არ არის ლამპაში

ზეთის ხარჯვა. ნიშაში მორიელი იყო დამალული და როდესაც ლამპას დგამდა, უკბინა. ნახევარი საათის შემდეგ კარზე დააკაკუნეს – ეს უფროსი ძმა იყო. უმცროსმა კარი გაუღო და ჰკითხა: «რა მოხდა, რატომ დაბრუნდი?» უფროსმა უპასუხა: «ძმაო, მე ვდარდობდი, რომ ლამპის ჩაქრობა დაგავიწყდებოდა, - ჰოდა ამიტომ დავბრუნდი, რომ შევამოწმო». მიუხედავად ნაკბენის ტკივილისა, უმცროსმა ძმამ წარმოთქვა: «როგორ იფიქრე! ნუთუ არ მიცნობ? ზეთის ეკონომიის სურვილი, რა თქმა უნდა, საქებარია, მაგრამ შენი სანდლები! რამდენად უფრო მეტად გაცვდება მათი ძირები წინ და უკან ზედმეტი სიარულით?» უფრო დიდმა კრიჟანგმა ეშმაკურად ჩაიცინა და თქვა: «ნუ გავიწყდება, რომ შენი უფროსი ძმა ვარ. მე ფეხშიშველი დავბრუნდი სანდლები კი მულდაკით მომქონდა!» იგი ფეხშიშველი კვლავ გაუდგა გზას. ქვიან ბორცვებზე რომ მიდიოდა, მას გველმა უკბინა და იგი ადგილზე მოკვდა.

აი სადამდე შეუძლია კრიჟანგობამ ადამიანი მიიყვანოს.

## 21

### ჭეშმარიტად ბრმაა ის, ვისი გონებაც ორსახოვანია

ერთ სოფელში ცხოვრობდა ფერმერი, რომელიც თავის პირუტყვს უახლოეს ტყის ველობებზე ამოვებდა. ამავე სოფელში მცხოვრებ ძალიან მდიდარ მიწათმფლობელსაც თავისი ნახირი ამავე საძოვარზე მოჰყავდა. სიმდიდრისა და დიდი საკუთრების წყალობით მას მთელი სოფელი მორჩილებაში ჰყავდა და ნამდვილი ადგილობრივი მტარვალი გახდა.

ერთხელ ფერმერისა და მდიდრის ხარებმა ჩხუბი ატეხეს. მიწათმფლობელის ხარმა მარცხი განიცადა და მოკვდა. ფერმერს ძალიან შეეშინდა და არ იცოდა, მომხდარის შესახებ მდიდრისთვის როგორ ეთქვა.

მან მიწათმფლობელის სახლთან მიირბინა და იყვირა: «ბატონო, დღეს მინდორში განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა!» - «რაშია საქმე? - ჰკითხა ლენდლორდმა, - შემოდი, მითხარი, რა მოხდა იქ». ფერმერმა თქვა: «ბატონო, თქვენმა ხარმა და ჩემმა ხარმა ჩხუბი დაიწყეს». -

«მართლა? სულ ეს არის? რა არის ამაში განსაკუთრებული? ფიცხი ადამიანებიც ჩხუბობენ ერთმანეთში», - უპასუხა მდიდარმა. «დიახ, ბატონო, - თქვა ფერმერმა, - მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენმა ხარმა ჩემი ხარი მოკლა». - «რას ამბობ? მაგრამ არც ამაშია რაიმე განსაკუთრებული: ყოველი დაზარალებული არსება უნდა დაილუპოს, დღეს თუ ხვალ», თქვა ლენდლორდმა.

ფერმერი უცებ მიხვდა, რომ მლელვარებისაგან ხარები ერთმანეთში «აერია». «ბატონო, მაპატიეთ, სიტყვა წამცდა. ყველაფერი სწორედ პირიქითაა: ჩემმა ხარმა მოკლა თქვენი ხარი». «რა?!» - დაიღრიალა ლენდლორდმა, - როგორ გაბედე ასეთი ამბით ჩემთან სახლში მოსვლა და თანაც თვალის ახვევა? რას უყურებდი, როცა შენი ხარი ჩემს ხარს ეტაკა? ამას არ შეგარჩენ!» მან მსახურს დაუძახა და უბრძანა, გლეხი ზურგზე მათრახის ოცი დაკვრით დაესაჯა.

გრძნობა «ჩემი» და «შენი» გვაბრძანებს, ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს და ჩვენს ბუნებას შლის. კურთხეულია ის, ვინც საკუთარ თავსა და სხვებს ერთნაირად ხედავს და სხვის ავსა და კარგს განიცდის როგორც თავისას.

## 22

### მიბმულობა

ერთხელ ფერმერმა *ზამინდარისაგან* (მიწათმფლობელისაგან) 10 წლის იჯარით რამდენიმე აკრი მიწა აიღო დასამუშავებლად. გამრჯე შრომითა და მაღალი მოსავლებით ფერმერმა თავისი მეურნეობის გაფართოება და გამაგრება შეძლო. ყოველწლიურად ამ მიწიდან სულ უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდა.

როდესაც საიჯარო ვადა მიიწურა, მემამულის მოჯამაგირეები ყანებში მოვიდნენ და მიწის ხვნა დაიწყეს. ფერმერის ათი წლის ვაჟმა, რომელმაც იჯარის შესახებ არაფერი იცოდა, წყენით უთხრა მათ: «რატომ მოხვედით და ამუშავებთ ჩვენს ყანებს? ეს ჩვენი მიწაა». მოჯამაგირეებმა მეგობრულად უპასუხეს: «ბიჭიკო, ეს მიწა ლენდლორდს ეკუთვნის, ნუთუ არ იცი? მამაშენს ჰკითხე». ბიჭი მამასთან სახლში გაიქცა და თვალცრემლიანმა იყვირა: «მამა, მამა, ჩქარა! წავიდეთ ჩვენს ყანაში. იგი ზამინდარმა მიითვისა. წავიდეთ და მოჯამაგირეები გავყაროთ».

მამამ შვილი თავისთან მიიხმო, გვერდში მოისვა და წყნარად უთხრა: «ჩემო კარგო! დღეის შემდეგ ყანები ზამინდარს ეკუთვნის. ეს მიწა მე 10 წლით ავიღე იჯარით. ეს ვადა დასრულდა. იგი სრული უფლებით ამუშავებს თავის მიწას. ეს მისი კანონიერი საკუთრებაა».

ასე რატომ დანაღვლიანდა ბიჭი და რატომ საყვედურობდა მოჯამაგირეებს? არც მათ, არც ზამინდარმა ცუდი არაფერი გაუკეთეს მას. ის, რის გამოც გაბრაზდა და რამაც გუნება გაუფუჭა, არის საკუთრების გრძნობა, აზრი: «ეს მიწა ჩემია». ასეთი მიბმულობა ადამიანს ქონებაზე მიაჯაჭვებს და უბედურს ხდის, როდესაც ადრე თუ გვიან მისი დაკარგვის დრო მოდის.

## 23

### ფეხმარდი პრინცესა

ოდესღაც საბერძნეთში მშვენიერი და მომხიბლავი პრინცესა ცხოვრობდა. იგი არა მხოლოდ ლამაზი იყო, არამედ სროლის, ნადირობისა და სირბილის ოსტატი იყო, კიდევაც უწოდებდნენ «ფეხმარდ პრინცესას». მისი გულის მონადირებას მრავალი ლამაზი და მამაცი პრინცი ცდილობდა. საქმროს ამოსარჩევად მან საინტერესო თამაში მოიფიქრა: გამოაცხადა, რომ ცოლად იმ ახალგაზრდას გაჰყვება, რომელიც შეჯიბრის დროს მას სირბილში აჯობებს. ასობით გმირი მოვიდა მეფის კარზე, რომ ბედი ეცადა, მაგრამ მისი გასწრება ვერავინ შეძლო.

ბოლოს გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა გმირი, რომელმაც გადაწყვიტა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, პრინცესასთვის სირბილში გაესწრო. იგი რჩევისთვის ბრძენ კაცთან წავიდა და ფეხმარდ პრინცესაზე და მის პირობებზე უამბო. მან აგრეთვე სინანული გამოთქვა, რომ პრინცესამ ბევრი მამაცი ახალგაზრდა მეომარი სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. ჭკვიანმა ადამიანმა უთხრა: «ნუ ღელავ, ეს ძალიან უბრალო საქმეა. ჯიბეში რამდენიმე ბრჭყვიალა სამკაული და ძვირფასი თვალი ჩაიდე. სირბილის დროს გზის ყველაზე უფრო ძნელ ადგილას თითო ძვირფასი ქვა დააგდე მიწაზე.

შეჯიბრის დღისთვის ახალგაზრდამ ლამაზი და ბრჭყვიალა სამკაულები მოიმარაგა. მან და პრინცესამ სტარტი აიღეს. ორივე

შესანიშნავი მორბენალი იყო. ყოველთვის, როცა პრინცესა უკვე თითქმის უსწრებდა, ჭაბუკი ბრჭყვიალა სამკაულს შეუმჩნევლად მიწაზე აგდებდა. ყოველი დაგდების დროს პრინცესა უნებურად წამით ჩერდებოდა, რომ საუცხოო ნივთები ხელში აეღო. ისინი მთელი ტრასის გასწვრივ ეყარა. პრინცესა რწმენას არ კარგავდა, რომ, დაყოვნების მიუხედავად, დროს აინაზღაურებს და მეტოქეს დაამარცხებს. თუმცა ამ მოკლე, მაგრამ ხშირმა შეჩერებებმა ახალგაზრდას გამარჯვება მოუტანა. მან შეჯიბრი, და ერთდროულად პრინცესას გულიც და ხელიც, მოიგო.

რატომ დაკარგა დრო პრინცესამ? მხოლოდ ძვირფასეულობისადმი თავისი ძლიერი მიდრეკილების გამო. რაიმეს დაუფლების სურვილი ადამიანს ყოველთვის სუსტს ხდის და ხელს უშლის თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება გააცნობიეროს. თუ გვინდა, რომ ცხოვრების მიზანს მივალწიოთ, უნდა მიბმულობა მოვიცილოთ თავიდან და მზად ვიყოთ შევწიროთ ის, რაც გაგვაჩნია, - როგორც ეს გამარჯვებულმა ჭაბუკმა გააკეთა.

## 24

### სურვილს

### სასოწარკვეთილებამდე

### მიჰყავს

ერთხელ 80-კაციანი ჯგუფი ნიუ-იორკში კონფერენციაზე გაემგზავრა. მდიდრულ სასტუმრო-ცათამბჯენში მათთვის ადგილები იყო დაჯავშნული. ჯგუფის უფროსმა ითხოვა, რომ ისინი ბოლო, მეოცე სართულზე დაესახლებინათ. მან იფიქრა, რომ ასეთი სიმაღლიდან ისინი მთელი ქალაქის პანორამით დატკბებიან და სურდა, რომ მთელი ჯგუფი გაეხარებინა.

კონფერენცია დამთავრდა და მონაწილეები მაღაზიებისკენ გაემშურნენ, რომ გამგზავრების წინ საჩუქრები და სუვენირები ეყიდათ. მათ თავისი «მოპინგი» შეასრულეს და პაკეტებითა და შეხვეული ნივთებით დატვირთულნი სასტუმროში დაბრუნდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლიფტი მწყობრიდან გამოვიდა, და ახლა მეოცე სართულზე ფეხით უნდა ასულიყვნენ. ეს მოსაწყენი და მონოტონური სვლა რომ გაეადვილებინათ,



მათ გართობა მოიფიქრეს –ცხოვრების შესახებ თავის შეხედულებაზე რიგ-რიგობით უნდა ეამბნათ, თუ როგორ წარმოუდგენიათ ცხოვრების მიზანი. ჯგუფის ხელმძღვანელის გარდა მეოცე სართულამდე ყველამ მოასწრო თავისი სიტყვის თქმა. როდესაც ხელმძღვანელმა ფეხი ბოლო სართულის ბაქანზე შედგა, აღმოჩნდა, რომ მას ქვემოთ ყველა ნომრის გასაღები და რამდენიმე პაკეტი დარჩენოდა. შეეძლო კი მას თავისი ცხოვრების მიზანზე რაიმეს თქმა? მან ტრაგიკული ხმით გამოაცხადა: «მეგობრებო, არ ვიცი რა არის მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი, მაგრამ ამ მომენტში ჩემი ძირითადი ამოცანაა დაბლა ჩავიდე და გასაღები ამოვიტანო».

მისი მდგომარეობა ისეთს ემსგავსება, როგორშიაც იმყოფება ადამიანი თანამედროვე საზოგადოებაშია. ჯგუფის უფროსმა უპასუხისმგებლობა გამოავლინა, როდესაც ბოლო სართული აირჩია და არ დაფიქრდა, რომ ამას შეიძლება უხერხულობა და სირთულეები მოჰყოლოდა. გამჭრიახობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებული ლიდერები დიდ კეთილდღეობას ჰპირდებიან ხალხს, სინამდვილეში კი საზოგადოება მოშლისა და ნგრევისკენ მიჰყავთ. სურვილი – აი მიზეზი იმ სავალალო მდგომარეობისა, რომელშიაც ხელმძღვანელი და მთელი ჯგუფი აღმოჩნდა.

## 25

### სიხარული და სიხარულის დასასრული (ENJOY – END-JOY)

ერთხელ ერთ მეოჯახეს ძალიან მოუნდა კვერი «მურუკუ» გაესინჯა. სამუშაოზე წასვლის წინ ცოლს უთხრა: «ძვირფასო, მურუკუს დასამზადებლად საღამოზე პროდუქტს მოვიტან. კარგი იქნება, თუ მას ხვალ დაამზადებ. არ მახსოვს, ბოლოს როდის ვჭამე იგი».

მეორე დღეს ცოლმა ცომი მოზილა. ღოდესაც შემწვარ კვერებს ტაფიდან იღებდა, მისი გასინჯვა გადაწყვიტა. კვერი ძალიან გემრიელი აღმოჩნდა – პირდაპირ პირში დნებოდა. მან მეორე შეჭამა და იგი უფრო გემრიელი

ეჩვენა, შემდეგ კიდევ ერთი, შემდეგ კიდევ... და ასე ერთიმეორის მიყოლებით შეჭამა ისინი.

ქმარი სამუშაოდან დაბრუნდა და ცოლს სთხოვა ოთხი მურუკუ მოეტანა. ცოლმა თეფში შემოიტანა, რომელზედაც მხოლოდ ერთი კვერი იდო. ქმარმა ჰკითხა: «რაშია საქმე? მე ოთხი გთხოვე, შენ კი მხოლოდ ერთი მოიტანე. სულ რამდენი შეწვი?» ცოლმა უპასუხა: «20 კვერი შევწვი». - «მაშინ კიდევ მოიტანე!» - თქვა ქმარმა. - «ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დანარჩენი მე შევჭამე», - უპასუხა ცოლმა. «როგორ, 19 ცალი შეჭამე? ეს როგორ შეძელი?» - წამოიძახა ქმარმა. ცოლმა თეფშიდან ბოლო კვერი აიღო, შუაზე გადატეხა და ერთიმეორის მიყოლებით პირში გააქანა. «აი ასე შევჭამე 19 ცალი», - თქვა მან. რაღა უნდა ეთქვა ქმარს? მას არაფრის გამოსწორება არ შეეძლო, თვალები დახუჭა და სახეზე უღრმესი წყენა გამოხატა.

ქმარს ძალიან უნდოდა თავისი საყვარელი მურუკუთი პირი ჩაეტკბარუნებინა. საცოდავი! – მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავისი სურვილი დაეკმაყოფილებინა, ახლა კი ასე საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდა. სიხარულმა, რომელსაც იგი ელოდა, მის სიხარულს ბოლო მოუღო!

## 26

### პატრიოტიზმი

სუბჰას ბოზე კალკუტის უნივერსიტეტში სწავლობდა. ერთ-ერთი მასწავლებელი, ინგლისელი პროფესორი, ინდოეთსა და ინდოელებს უპატივცემულოდ იხსენიებდა. სუბჰას ბოზეს, თავგამოდებულ პატრიოტს, არ შეეძლო მისი სამშობლოს შესახებ დამამცირებელი სიტყვების მოსმენა. ერთხანს იგი ითმენდა, მაგრამ პროფესორი იგივე სულისკვეთებით განაგრძობდა, და ერთხელაც სტუდენტმა ველარ მოითმინა, წამოხტა, სამ მერხს გადაახტა, პროფესორს ქეჩოში ხელი წაავლო და სანდლებით სცემა. ბოზემ იყვირა: «ყველაფერი შემოიძლია მოვითმინო, მაგრამ ჩემი მშობლიური ქვეყნის ცილისწამებასა და დაცინვას ვერ მოვითმენ. დაე დამსაჯონ, მაგრამ ვალდებული ვარ ჩემი სამშობლოს ღირსება დავიცვა».

აუდიტორიაში მყოფი სტუდენტები თავზარდაცემულები გაისუსნენ. პროფესორმა იყვირა «მიშველეთ! მიშველეთ!» ჩხუბის ამბავმა დეკანატამდე მიაღწია, და საგანგებო თათბირის შემდეგ სუბჰას ბოზე მან უნივერსიტეტიდან 5 წლით გაირიცხა. სუბჰასმა მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს მსახურებისთვის მიეძღვნა. ვინაიდან მას კალკუტაში განათლების მიღება არ შეეძლო, მამამ იგი ლონდონში გაგზავნა. უცხო ქვეყანაში ცხოვრების დროს სუბჰასმა სამშობლოსადმი სიყვარული არ დაკარგა. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ინდოეთში დაბრუნებასა და თავისი ქვეყნის მსახურებას აპირებდა. იგი ბეჯითად სწავლობდა და გამოსაშვები გამოცდები ფრიადზე ჩააბარა. ინდოეთში დაბრუნებისთანავე იგი მთლიანად ეროვნულ პოლიტიკაში ჩაეფლო. «ჩემმა ქვეყანამ გამომკვება და ყველაფერი მომცა. მსახურებით უნდა გადავუხადო მას მადლობა», - ასეთი იყო მისი მტკიცე პოზიცია ცხოვრებაში.

27

### «ო.ვ.მ.» და «ო.ქ.მ.»

ერთ ქალაქში უმუშევარი ცხოვრობდა. სამუშაოს საშოვნელად მან ყველაფერი იღონა. ძალიან დაიღალა ხვეწნა-მუდარით, კარიდან კარზე სიარულით, სამოშაოს თხოვნით და თავისი საცოდავი მდგომარეობის ახსნით. ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა გეგმა შეადგინა: სახლის კარზე ფირფიტა ჩამოკიდა თვალში საცემი წარწერით: «ო.ვ.მ.» და «ო.ქ.მ.». გამვლელები საგონებელში ვარდებოდნენ, ცოდნის რა სფეროს შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ტიტულები, და ფიქრობდნენ, რომ სახლის პატრონი ალბათ დიდი მეცნიერი და მაღალი ხარისხების მატარებელია.

ერთხელ კარზე მოხუცებულმა ჯენტლმენმა დააკაკუნა. უმუშევარი სტუმარს პატივისცემით შეხვდა. იფიქრა, რომ მასზე ტიტულებმა მოახდინა შტაბეჭდილება და ზრდილობიანად ჰკითხა: «სერ, ნება მომეცით გკითხოთ, ჩემთან რამ მოგიყვანათ?» მომსვლელმა მიუგო: «მაპატიეთ, პატივცემულო, შეიძლება ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს ხარისხები: ო.ვ.მ. და ო.ქ.მ.? მრავალი ტიტულის შესახებ მსმენია, მაგრამ ამისთანა, თქვენ რომ გაქვთ, ჯერ არ შემხვედრია. ნებისმიერ შემთხვევაში

მოხარული ვარ, რომ ჩვენ შორის ასეთი მაღალგანვითარებული ადამიანი გამოჩნდა».

უმუშევარმა უპასუხა: «სერ! მაპატიეთ, მაგრამ ვინაიდან სამუშაო ძალიან მჭირდება და კარდაკარ სიარული და სამუშაოს თხოვნა აღარ შემიძლია, ამიტომ კარზე ეს ფირფიტა ჩამოვკიდე. ო.ვ.მ. ნიშნავს «ოთხი ვაჟის მამას», ო.ქ.მ. კი - «ოთხი ქალიშვილის მამას». ახლა ხომ გესმით, როგორ მჭირდება სამუშაო?» - აღიარა საცოდავმა. მომსვლელმა ჩუმად ჩაიციხა და გაეცალა.

არ ღირს თავის მოტყუება ტიტულებით, რომლებითაც ადამიანებს უყვართ ყოყობა.

## 28

### უაზრო დაზეპირება

#### სახიფათოა

ერთი უცოდინარი და საკმაოდ გონებაჩლუნგი ყმაწვილი ჯარში გაიწვიეს. გაწვევის წინ ახალწვეულები წინასწარ მომზადებას გადიოდნენ. ახალბედამ მხოლოდ ერთი კვირა ისწავლა. ცნობილი გახდა, რომ ინსპექციისთვის ნაწილს არმიის ოფიცერი ეწვევა, რომელიც თითოეულ ჯარისკაცს პირადად გაესაუბრება და ქვედანაყოფის მუშაობას შეამოწმებს. უმცროს ოფიცერს, რომელიც ახალწვეულებს სამხედრო მომზადებაში ავარჯიშებდა, ეშინოდა, რომ მოსულელო ახალბედას ცუდ მდგომარეობაში არ ჩაეგდო იგი. მან გამოცდილებით იცოდა, ახალწვეულებს ჩვეულებრივად რა კითხვებს აძლევს ოფიცერი. ამიტომ ახალგაზრდა წინასწარ წაავარჯიშა, აიძულა, რომ სტანდარტულ შეკითხვებზე პასუხები დაეზეპირებინა. უპირველესად უბრძანა შეკითხვათა თანმიმდევრობა დაემახსოვრებინა. «პირველ რიგში ოფიცერი გკითხავს: «რამდენი წლის ხარ?» შენ უპასუხებ: «22». მეორე კითხვა იქნება: «რამდენი წელია აქ ხარ?» შენ იტყვი: «ორი». ამის შემდეგ ალბათ იგი დაგისვამს კითხვას: «მოგწონს აქ, თუ სახლი გენატრება?» შენ ეტყვი: «ორივე ადგილი ჩემთვის მშობლიური სახლია».

ახალწვეულმა ეს პასუხები დაიზეპირა. ინსპექტორის მოსვლის დღეს, სხვების მსგავსად, სასაუბროდ ისიც გამოიძახეს. არმიის ოფიცერმა ჰკითხა: «რამდენი წელია, რაც აქ ხარ?» ჭაბუკს პასუხების მხოლოდ

რიგითობა ჰქონდა დამახსოვრებული და ამიტომ უპასუხა: «22». ოფიცერს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა: «რამდენი წლის ხარ?» ახალწვეულმა თქვა: «ორი». «რას ბოდავ?! – იყვირა ოფიცერმა. – შენ ხარ გიჟი, თუ მე?» ჭაბუკმა უპასუხა: «ორივე», - შიშის გამო მესამე პასუხიდან მან მხოლოდ პირველი სიტყვა დაიმახსოვრა.

უაზრო დაზეპირება შეიძლება სახიფათო იყოს. სტუდენტებმა ჯერ უნდა იმისი აზრი გამოარკვიონ, რასაც სწავლობენ, შემდეგ კი, ცოდნის გასამაგრებლად, დაიზეპირონ იგი.

## 29

### მოსმენის სამი გზა

მეფემ კარზე თათბირი გამართა. მინისტრები, დაახლოებული პირები, სწავლულები და ხელოვნების მოღვაწენი მათთვის განკუთვნილ ადგილებზე დასხდნენ. თვითონ მეფეც და მისი მინისტრებიც სიბრძნითა და გონებამახვილობით იყვნენ განთქმულნი. თათბირის დროს სასახლეში წმინდა ბრძენი მოვიდა. მას თბილად, პატივისცემით შეხვდნენ. მეფემ ჰკითხა: «დიდად პატივცემულო! ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ჩვენს თათბირს ესწრები. შეიძლება გკითხო, აქ რამ მოგიყვანა?»

ბრძენმა უპასუხა: «მეფეო! გაგებული მაქვს შენი მინისტრებისა და დაახლოებულ პირთა სიბრძნისა და საზრიანობის შესახებ. მე აქ სამი ლამაზი თოჯინა მაქვს. მინდა, რომ შენმა ერთ-ერთმა მინისტრმა ისინი შეაფასოს და თავისი აზრი გამოთქვას». და მან მეფის წინ სამი თოჯინა დადო. მეფემ თოჯინები შეფასებისთვის უფროს მინისტრს გადასცა. მინისტრმა თოჯინებს შეხედა და მსახურს წვრილი მავთულის მოტანა დაავალა.

მინისტრმა მავთული ერთ-ერთ თოჯინას მარჯვენა ყურში გაუყარა. მავთული მარცხენა ყურიდან გამოვიდა. მან ეს თოჯინა გვერდზე გადადო, აიღო მეორე და იგივე გააკეთა. მავთულის მეორე ბოლო თოჯინას პირიდან გამოვიდა. მან ეს თოჯინაც გადადო გვერდზე. როდესაც მავთული მესამე თოჯინას მარჯვენა ყურში შეაძვრინა, მისი მეორე ბოლო არც მარცხენა ყურიდან გამოსულა და არც პირიდან. მინისტრის მოქმედებებს ყველა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს.

მან კი ბრძენს თავი დაუკრა და თქვა: «პატივცემულო! მესამე თოჯინა სხვებზე უკეთესია. სამი თოჯინა მოსმენის სამი ტიპის სიმბოლოა. მოსმენის უნარის მიხედვით ადამიანები სამ კატეგორიად იყოფიან. პირველთ ყოველი სიტყვა ესმით, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე მეორე ყურიდან გამოუშვან. მეორენი ყურადღებით ისმენენ, კარგად იმახსოვრებენ, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ გაგონილი სხვებს მოუთხრონ. მესამენი ისმენენ, გაგონილ სიტყვებზე ღრმად ფიქრდებიან და გულში მათ სათუთად ინახავენ. ეს მსმენელთა საუკეთესო ტიპია». ბრძენმა მიულოცა მეფეს და მინისტრს, რომ თოჯინების შეფასებას ბრწყინვალედ გაართვეს თავი, რის შემდეგაც ორივე დალოცა და წავიდა.

### 30

## ბრმად ნუ მიჰყვებით მითითებებს

*გურუს* მოსწავლეთა ჯგუფი ჰყავდა. ისინი თავისი მასწავლებლის ერთგულნი იყვნენ და მას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ერთხელ *გურუსთან* ერთად ისინი საზიდრით სამოგზაუროდ გაემართნენ. საზიდარში კამეჩები იყვნენ შებმულნი. ღრმად მოხუცებულ *გურუს* წამოწოლა და მოსვენება მოუნდა. მან მოსწავლეებს უთხრა: «ჩემო კარგებო! მე დავიღალე და შეიძლება ჩამთვლიდნოს. ჩვენს ბარგზე თვალი გეჭიროთ. თვალების ცეცებას ნუ მოჰყვებით და ბარგს ყურადღება მიაქციეთ, რომ საზიდრიდან არ ჩამოცვივდეს». მორჩილების ნიშნად მოსწავლეებმა თავი დახარეს.

*გურუს* ჩაეძინა, და მალე მისი *კამანდალამი* (წყლის დოქი) საზიდრიდან გზაზე ჩამოგორდა. ყველა მოსწავლე თვალმოუცილებლივ უყურებდა, თუ როგორ ვარდებოდა იგი. *გურუმ* გამოიღვიძა და იკითხა: «იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად არის?» - «დიახ, მასწავლებელო, - უპასუხეს მოსწავლეებმა, - აი მხოლოდ შენი *კამანდალამი* ჩამოვარდა გზაზე». - «როგორ! - წამოიძახა *გურუმ*, - რატომ არ გააჩერეთ საზიდარი და დოქი არ აიღეთ? რაში შევინახო მე წყალი?». მოსწავლეებმა უპასუხეს: «მასწავლებელო, შენ გვთხოვე თვალი გვედევნებინა ნივთებისათვის, რომლებიც შეიძლება ჩამოცვნილიყო, ჩვენც ვუყურებდით დოქს, როცა

ის ვარდებოდა». - «დოყლაპიებო! – აღშფოთდა გურუ, - მე ეს არ მქონდა მხედველობაში! კარგით, რაც მოხდა უკან ველარ დააბრუნებ. იმედი მაქვს ახლა თქვენთვის ხომ ნათელია, რომ თუ რამე ჩავარდა, უნდა აიღოთ და საზიდარში ჩააგდოთ? გასაგებია?» მოსწავლეებმა თავი დაუკრეს. *გურუს* კვლავ ჩაემინა. მოსწავლეებიც ყვინთავდნენ. უცებ საზიდარი გაჩერდა. კამეჩებმა კუდები ასწიეს და გზაზე ნეხვის გროვა გაჩნდა. ერთ-ერთი მოსწავლე საზიდრიდან მარდად ჩამოხტა და ხელებით საზიდარში ნეხვის ჩაყრა დაიწყო. საუბედუროდ, ნეხვის პატარა ნაწილი *გურუს* პირდაპირ სახეზე დაეცა. მას გამოელვიდა და ნახა, რომ საზიდარი ნეხვით სავსეა. «რაშია საქმე?» - ხმა აიმაღლა მან. მოსწავლეებმა უპასუხეს: «მასწავლებელო, შენ არ გვითხარი, რომ საზიდრიდან რაც კი ჩამოვარდება, ყველაფერი უკან უნდა ჩავყაროთ?»

*გურუ* ცოტა ხანს დაფიქრდა და ქალაქზე საზიდარში არსებული ნივთების სია ჩამოწერა ქალაქის ფურცელი მოსწავლეებს გადასცა და უთხრა: «თუ ამ ნივთებიდან რაიმე ჩამოვარდება, თქვენ უნდა აიღოთ იგი და საზიდარში ჩააგდოთ». და მან კვლავ ძილს მისცა თავი.

მალე გზა მთას შეუყვავა, რომლის ძირშიაც მდინარე მიედინებოდა. სანამ კამეჩები აღმართზე ზარმაცად მილოღავდნენ, მოსწავლეებმა წასთვლიმეს და ვერ შენიშნეს, საზიდრიდან *გურუ* როგორ ჩამოცურდა და წყალში ჩავარდა. გაისმა წყლის ძლიერი ჩქაფუნი და *გურუს* ყვირილი, რომელიც შველას ითხოვდა. მოსწავლეებს გამოელვიდათ. მათ დაინახეს, რომ მასწავლებელი წყალში ფართხალებს, და მაშინვე სიას დასტაცეს ხელი: მასში ყველაფერი იყო ჩამოწერილი, წვრილმანებიც კი, მაგრამ *გურუს* სახელი არ იყო იქ! გადაწყვიტეს, რომ მასწავლებლის მითითების შესაბამისად არ უნდა გაჩერებულიყვნენ და გზა უნდა განეგრძოთ. მაშინ *გურუმ* ხმამაღლა იყვირა, უბრძანა საზიდარი გაეჩერებინათ და მასთან საშველად მისულიყვნენ. მოსწავლეები დისციპლინირებულები იყვნენ: იცოდნენ, რომ *გურუს* უნდა დამორჩილებოდნენ და მისთვის ემსახურათ. მათ საზიდარი გააჩერეს, ღრმად მოხუცებული მასწავლებელი წყლიდან ამოიყვანეს, ამის შემდეგ კი მის წინ დადგნენ და პატივისცემით ხელისგულები ერთმანეთს მიაწყვეს. *გურუმ* კვლავ ლანძღვა დაუწყო: «რა მოგდით დღეს? ჩემი სიკვდილი გინდათ? თუ არ გესმით, რომ თქვენი ვალია დამეხმაროთ, მე ხომ ჩამოვვარდი?»

ერთ-ერთმა ჭაბუკმა თავაზიანად უპასუხა: «მასწავლებელო! შენი სახელი არ შეგიტანია იმ ნივთების სიაში, რაც უკან უნდა დაგვებრუნებინა. ამიტომაც არაფერი მოვიმოქმედეთ. შენი ბრძანება ზუსტად შევასრულეთ». გურუ ძლიერ გაღიზიანდა და თქვა: «დიახ, ვიცი, თქვენ პატიოსნად ასრულებდით ბრძანებებს, მაგრამ მათს აზრში ჩაწვდომისთვის და სულ ცოტა საზრიანობისთვის ვერ გამოიჩინეთ».

ინსტრუქციებს ბრმად არ უნდა მიჰყვეთ. ეს ადამიანს მანქანად აქცევს. თქვენი მოქმედებები რომ სიტუაციის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს, აუცილებელია გონება და ინტუიცია გამოიყენოთ.

### 31

## სხვების გაკიცხვას ნუ ჩქარობთ

ეს ამბავი რამასა და რავანას შორის სასტიკი ბრძოლის დროს მოხდა. ერთხელ, როდესაც დღის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, *რაქმასის* (დემონი-ქალის) ნაშიერი, რომელიც დედის მუხლებზე იჯდა, შემთხვევით ისრით დაიჭრა. დედამ ბავშვი მაშინვე დააგდო და სწრაფად გაეცალა იქაურობას. ამ სცენის დამნაშავემა ლაქშმანამ რამას უთხრა: «შეხედე ერთი, ძმაო! ეს *რაქმასები* რა უგულოები არიან! მათ საკუთარი ბავშვებიც კი არ უყვართ!» რამამ მშვიდად უპასუხა: «ძმაო, ნუ ჩქარობ მკაცრად გაკიცხო ვინც არ უნდა იყოს. რაქმასის ამ საქციელს ალბათ რაღაცა მიზეზი აქვს. თუ გინდა, მიდი და თვითონ ჰკითხე მას».

ლაქშმანა *რაქმასის* დაეწია და ასეთი უღირსი საქციელის მიზეზი ჰკითხა. ქალმა უპასუხა: «დიახ, დემონები ვართ, მაგრამ ჩვენ შორის ყველა ბოროტი და მანკიერი არ არის. აი, ავიღოთ ვიბჰიშანა<sup>1</sup> – შენ ხომ იცი მას რამა როგორ უყვარს. მას ცუდს ვერ უწოდებ, ხომ ასეა? ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ თქვენ, ადამიანთა, შორისაც არიან დემონები? ნუ ჩქარობ სხვების გაკიცხვასა და დაგმობას. მე ახლა გეტყვი, რატომ მივატოვე სასიკვდილოდ დაჭრილი ვაჟი. როდესაც ლაპარაკია განთავისუფლებაზე, სულის გადარჩენაზე, ყოველი არსება, იქნება ეს დედა თუ შვილი, ქმარი თუ ცოლი, თავისი განსაკუთრებული,

---

<sup>1</sup> ვიბჰიშანა – დემონთა მფის რავანას უმცროსი ძმა, ვიშნუს და რამას რთული.



სხვებისგან განსხვავებული, გზით მიდის. ერთნი უფრო ადრე, მეორენი მოგვიანებით – თავისი მოქმედებების შესაბამისად – მიზანს აღწევენ. თუკი ვიცი, რომ ჩემი ვაჟი გარდაუვლად მოკვდება, ბრძოლის ველზე რატომ უნდა დავყოვნდე? მეც შეიძლებოდა ისარი მომხვედროდა. მე არ მინდა სიკვდილი, ცოცხალი მინდა დავრჩე, რათა შრი რამამ აიოდჰიაში ტყვედ წამიყვანოს. ვინ იცის, შეიძლება უფლის *დარშანით* ვიყო კურთხეული, და ეს დაბადებათა და სიკვდილთა რიგისგან გადამარჩენს».

ლაქშმანამ რაქშასის თავი დაუკრა. იგი რამასთან დაბრუნდა და ამ საუბრის შესახებ მოუთხრო. შრი რამამ უთხრა: «გახსოვდეს, ძმაო, ისიც კი, რაც გარედან საშინელი ჩანს, რაღაც ნათელი და კარგი შეიძლება იყოს. იმის შესახებ, თუ მოქმედება როგორია – ღირსეული თუ ცუდი – მხოლოდ მისი მოტივების მიხედვით შეიძლება გავიგოთ. ნაჩქარევი გაკიცხვა ყოველთვის სახიფათოა».

## 32

### აქ იყიდება ხილი

ხილის გამყიდველმა გადაწყვიტა თავისი სავაჭრო ფარდული მყიდველებისთვის უფრო მიმზიდველი გაეხადა. მან მხატვარ-გრაფიკოსს დიდი ფერადი ფირნიში დაუკვეთა წარწერით: «აქ იყიდება ხილი». ხელსაყრელ დღეს მან იგი თავის ფარდულზე მიამაგრა.

ერთხელ ერთ-ერთმა მყიდველმა შენიშნა: «პატივცემულო! მაპატიე, მაგრამ შეიძლება შენი ფირნიშის შესახებ ერთი რჩევა მოგცე?» გამყიდველმა უპასუხა: «რა თქმა უნდა, სერ, თქვი, მაინტერესებს გავიგო». მყიდველმა თქვა: «როგორ გგონია, სიტყვა «აქ» ზედმეტი ხომ არ არის? ისედაც ხომ გასაგებია, რომ ხილი «აქ» არის. ვაჭარმა მადლობა გადაუხადა და მხატვარს სთხოვა ფირნიში გადაეღება და ხელახლა დაეწერა: «ხილის გაყიდვა».

რამდენიმე დღის შემდეგ სხვა გამყიდველმა უთხრა: «ჩემო კარგო! ყველა ხედავს, რომ აქ ხილი იყიდება. რა საჭიროა ფირნიშზე სიტყვა «ხილი»? შენი ნათელი ფარდული ლამაზად დაწყობილი ფერად-ფერადი ხილით ისედაც თვალში საცემია». გამყიდველს გაუკვირდა, რომ ეს იდეა თვითონ მას არ მოუვიდა თავში და მხატვარს სთხოვა სიტყვა «ხილი»

გადაელება. გასაგები გახდა, რომ დარჩენილი სიტყვა «გაყიდვა» სრულიად უაზრო იყო. და მხატვარმა ეს სიტყვაც წაშალა. ასე დასრულდა რეკლამის წამოწყება, რომელიც თავისთავად სრულიად გამართლებულია, და რაზედაც გამყიდველმა საკმაო ფული დახარჯა – მან ფანერის ნაჭერი იყიდა და მხატვარს სამუშაოსთვის სამჯერ გადაუხადა. რატომ მოუვიდა მას ასეთი ხარჯი? მხოლოდ იმიტომ, რომ მიყიდველთა სიტყვებს აჰყვა და დამოუკიდებლად არ განსაჯა საქმე.

### 33

#### როგორ გავყოთ ქონება პატიოსნად?

მამის სიკვდილის შემდეგ ორმა ძმამ ქონების თანაბრად გაყოფა გადაწყვიტა. მათ არ გაჭირვებიათ მიწის, სახლის, ავეჯის, ჭურჭლისა და სხვათა გაყოფა. მაგრამ ძროხა მხოლოდ ერთი იყო. მათი სიმდიდრისა და საკუთრების წყურვილი იმდენად დიდი იყო, რომ უყოყმანოდ გადაწყვიტეს ძროხა ორ ტოლ ნაწილად გაეყოთ. მაგრამ მეზობლებმა ასეთი ბარბაროსობის ჩადენის უფლება არ მისცეს. მათ უთხრეს ძმებს: «ინდოელებისთვის ძროხა წმინდა ცხოველია, ძროხის მოკვლა დიდი ცოდვაა. თქვენ შეგიძლიათ რომელიმე მეზობელს მიჰყიდოთ და ფული შუაზე გაიყოთ».

ძმები მაშინვე დათანხმდნენ. მაგრამ თვით მათ რატომ არ მოუვიდათ თავში ასეთი უბრალო გადაწყვეტილება? მომხვეჭელობის ინსტიქტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან ძმებს გონება დაუბნელა და გული გაუქვავა.

### 34

#### მდგომარეობიდან გამოსვლა

იყო ერთი მეფე, რომელიც ვერ იტანდა ეკლებისგან მიყენებულ ტკივილს. ეს ეკლები მისი სამეფოს გზებსა და ბილიკებზე საკმაოდ ბევრი ეყარა. ამიტომ მან თავის ქვეშევრდომებს უბრძანა გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ გზებიდან და ბილიკებიდან აეკრიფათ

ეკლები. მისი მინისტრი საკმაოდ გონიერი იყო, რომ გაეგო, რამდენად უაზრო იყო ეს იდეა. ამიტომ მან მეფეს უთხრა: «თქვენო აღმატებულება, ეკლების ასაკრეფად ამდენი ხალხის დაქირავება და ხაზინიდან ფულის ხარჯვა ამაოა. ამ სამუშაოს დასასრული არ ექნება. ჯობია მაგარი სანდლები შეუკვეთოთ და თქვენი სამფლობელოების მთელ გზებზე თავისუფლად შეგეძლებათ სიარული. ტყეში სიარულიც კი არ დაგიჭრით ფეხებს». მეფე საზრიანი მინისტრის რჩევით კმაყოფილი იყო.

ამ ამბის ქარაგმა ის არის, რომ ტერფები, რომლებიც სანდლებით არ არის დაცული, ეკლებისა და ბასრი ქვების ჩხვლეტისგან აუცილებლად დაზიანდება. ასევე გულიც, რომელშიაც სიყვარული არ არის, მტკივნეულად რეაგირებს ადამიანთა მიერ მიყენებულ წყენასა და ტკივილებზე, რადგან ასეთ სუსტ გულს გაცემა და პატიება არ შეუძლია. ის, ვისი გულიც ყველას მიმართ სიყვარულით სავსეა, მთელ სამყაროსთან მეგობრულ დამოკიდებულებაშია. ხოლო ვისაც მხოლოდ თავისი თავი უყვარს, მარტოობაში ცხოვრობს.

## 35

### ბრმად მიბადვა

სავანეში წმინდა ბრძენი თავის ვაჟთან ერთად ცხოვრობდა. მოხუცი მწირი ყოველ დღე *ჰომას* (ცეცხლის რიტუალს) ასრულებდა. მათ კატა ჰყავდათ, რომელსაც ცეცხლის წინ ცელქობა უყვარდა და რიტუალზე გონების მოკრებაში ძალიან უშლიდა ხელს. ამიტომ ყოველთვის ცერემონიის დაწყების წინ ბრძენი კატას იჭერდა და კალათის ქვეშ სვამდა. მისი ვაჟი წლების განმავლობაში თვალს ადევნებდა ამას და დარწმუნებული იყო, რომ კატის დაჭერა და კალათის ქვეშ მოთავსება რიტუალის აუცილებელი დეტალებია.

გავიდა დრო. მოხუცი მწირი მოკვდა, და ახლა მისმა ვაჟმა გააგრძელა აშრამის წმინდა ტრადიციები – ცეცხლის რიტუალის შესრულება. სავანეში კარგა ხანია კატები აღარ იყვნენ, და რიტუალის წინ იგი იძულებული იყო კატის საძებნად მთელი არემარე შემოეფლო, რათა წესჩვეულება ზუსტად ისე შესრულებინა, როგორც ამას მამამისი აკეთებდა.

სანამ წმინდა რიტუალის შესრულებას მოვკიდებდეთ ხელს, საჭიროა ჯერ მისი ყოველი დეტალის შინაგანი აზრი გულდასმით გავარკვიოთ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვცემს იგი მოსალოდნელ შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება უაზრო მოქმედებებამდე მიგვიყვანოს და დაცინვის სამიზნედ გვაქციოს.

## 36

### რა არის ამქვეყნად ყველაზე უფრო თეთრი?

ერთხელ მეფემ დიდი სამეფო თათბირი გამართა იმისათვის, რომ გაეგო, მისი ქვეშევრდომებიდან ვინ იყო ყველაზე ჭკვიანი. მან ყველას ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვა: «ამქვეყნად რა არის ყველაზე უფრო თეთრი და რა – შავი?» სწავლულებმა სხვადასხვა პასუხები გასცეს. ერთმა თქვა, რომ ყველაფერზე უფრო თეთრი რძეა, მეორემ – ბამბა, მესამემ – ბრინჯის ფქვილი და ა.შ. თათბირს ერთი უბრალო ღრმად მორწმუნე ადამიანი ესწრებოდა. როდესაც მისი ჯერი დადგა, თქვა: «მე არც დიდი გონება გამაჩნია და არც სწავლა. ის მცირე გონებრივი უნარი, რაც მე მაქვს, ღმერთის ნაჩუქარია. რა ინტელექტიც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, იგი ღმერთის მიერაა მოცემული. უბრალოდ თავის ინტელექტს ერთნი ფუჭად ხარჯავენ, სხვებს კი მისი გამოყენება შეუძლიათ». მცირე ლოცვის შემდეგ მან შეკითხვას გასცა პასუხი: «ამქვეყნად ყველაფერზე უფრო თეთრი დღეა, ყველაფერზე შავი კი – ღამე. ეს სავსებით გასაგებია: დღე თეთრია, ღამე - შავი. მთელი ჩვენი ცხოვრებები დღეთა და ღამეთა ამ მონაცვლეობაზე გადის. ვინ დგას სინათლისა და სიბნელის ამ ცვლის ზემოთ? მხოლოდ ღმერთი. ამბობენ, რომ დღე-ღამე შავისა და თეთრისგან შედგება – დღისა და ღამისგან. ის, ვინც ამ ციკლზე არ არის დამოკიდებული, ვინც მასზე მალა და მის გარეთაა, ღმერთია. განსხვავება დღესა (*დინამუ*) და ღმერთს (*დაივამუ*) შორის იმაშია, რომ ღმერთისთვის არ არსებობს არც დღე, არც ღამე, იმ დროს, როცა წუთისოფლისთვის ისინი რეალურია. და მხოლოდ ღმერთს, - განაგრძო მან, - შეუძლია ადამიანს მისცეს წყალობა, რომლის დახმარებითაც მას შეუძლია გადალახოს «თეთრიც» და «შავიც».

ასამბლეაზე შეკრებილი ყველა სწავლული აღშფოთებული იყო უვიცი მეტიჩარას თავხედობით, რომელმაც მეფის შეკითხვაზე პასუხის გაცემა

გაბედა. ნებისმიერი ქედმაღლობის მოთვინიერება შეიძლება, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი სწავლულთა და განათლებულ ადამიანთა ქედმაღლობასთან ბრძოლაა. მათ მრავალი შრომა შეისწავლეს და წიგნურ ცოდნაში ჩაეფლნენ. მაგრამ ისინი შესწავლილი ცოდნის სულ პატარა ნაწილსაც კი არ იყენებენ პრაქტიკაში, და შედეგად მათი ეგო უზომოდ ფუფუნდება. სწავლულებმა მეფეს მიმართეს: «თქვენო აღმატებულებავ, ამ წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანს არ დაეჯერება. მისი მტკიცებებისთვის რწმუნებებია საჭირო, მოსთხოვეთ ისინი. განათლებულ სამყაროში ცარიელ სიტყვებს ფასი არა აქვს».

მეფემ მოითხოვა, რომ ამ ღვთისნიერ ადამიანს თავისი სიმართლის მტკიცება წარმოედგინა. ამ უკანასკნელმა მოფიქრებისთვის ერთი დღე ითხოვა. მან აგრეთვე პირობა ითხოვა, რომ ამ დღის განმავლობაში მისი მოქმედებების შესახებ არავინ შეკითხვოდა, წინააღმდეგობა არავის გაეწია და მისთვის ხელი არ შეეშალა. მეფემ თქვა, რომ მისი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება და მას არავინ შეაჩერებს.

მეორე დღეს, როდესაც სადილის შემდეგ მეფე თავის პალატაში ისვენებდა, ღვთისნიერმა ადამიანმა თასში რძე ჩაასხა და მეფის საძინებელი ოთახის ზღურბლთან დადგა. შემდეგ თოთო ბავშვი მოიყვანა, ხელი ოდნავ წამოართყა, ბავშვმა ტირილი მორთო. მეფეს გამოელვიდა. განრისხებული მონარქი წამოდგა და კარისკენ გაემართა, რომ გაეგო, ძილი ვინ გაუფრთხო. კარი რომ გააღო, რძიანი თასი ამოტრიალდა.

«გამოსაცდელმა» მეფეს უთხრა: «რადგან დღე უფრო თეთრი და ნათელია, ვიდრე რძე, შენ ვერ დაინახე რძე. მეფევ, თუ რძეზე უფრო თეთრი სხვა არაფერია, რატომ ვერ შენიშნე იგი? რძის სითეთრე უფრო სუსტია, ვიდრე დღის სითეთრე. დღის სინათლე რძეზე ნათელია. ამას უნდა დათანხმდე. ვარსკვლავები დღისითაც რჩებიან ცაზე. მაგრამ დღის სინათლე იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ მათ, მხოლოდ ღამე ვხედავთ, როდესაც დღე ქრება».

დღის სითეთრე *ჯნიანას* (უმაღლეს ცოდნას) სიმბოლოა, ღამის წყვდიადი *აჯნიანასი* (უმეცრებისა). ღვთაება სიბრძნისა და უმეცრების ზღვრებს მიღმაა. ადამიანებს ღვთაება ავიწყდებათ და მიწიერ გრძნობებში ეფლობიან. მაგრამ ღვთაებრივის შეგრძნება მხოლოდ ღვთაებრივის საშუალებით შეიძლება.

## ვინ უფრო ლამაზია?

ერთხელ სიმდიდრისა და სიღარიბის ქაღალმერთებმა მშვენიერი ქალების გარეგნობა მიიღეს და ვაჭართან მივიდნენ. ვაჭარი თავისი სახლის ეზოში მიესალმა მათ და თქვა: «შეიძლება გკითხოთ, ჩემს უბრალო საცხოვრებელში რამ მოგიყვანათ?» სიმდიდრის ქაღალმერთმა თქვა: «გვინდა განსაჯო, ჩვენს შორის ვინ უფრო ლამაზია».

ვაჭარი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გრძნობდა, რომ უფსკრულსა და ზღვას შორის აღმოჩნდა. თუ გამოაცხადებს, რომ სიმდიდრე უფრო ლამაზია, ვიდრე სიღარიბე, ეს უკანასკნელი მას დასწყევლის. და თუ აღიარებს, რომ სიღარიბე სიმდიდრეზე უფრო ლამაზია, მაშინ სიმდიდრე ზურგს შეაქცევს. მაგრამ გაბედა და თქვა: «თქვენს მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი. მაგრამ ერთ თხოვნას ხომ არ შემისრულებდით? მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია სამართლიანად განსჯა». ქაღალმერთები დათანხმდნენ, და ვაჭარმა გააგრძელა: «დედა სიმდიდრე, თუ შეიძლება, მიდი კარებთან და სახლში შედი. დედა სიღარიბე, მიდი ჭიშკართან. მაშინ შემეძლება ყურადღებით შეგხედოთ შორიდანაც და ახლოდანაც». ქაღალმერთები საპირისპირო მხარისკენ წავიდნენ, როგორც ვაჭარს სურდა. მაშინ ვაჭარმა სიხარულით წამოიძახა: «დედა სიმდიდრე! შენ განსაკუთრებით ლამაზი ხარ, როცა კარებს აღებ და სახლში შედიხარ. დედა სიღარიბე! შენ იმ მომენტში ხარ უფრო ლამაზი, როცა ჭიშკრიდან გადიხარ!» ქაღალმერთებმა ვაჭრის საზრიანობა და დელიკატობა დააფასეს. სიმდიდრის ქაღალმერთი სიამოვნებით დარჩა სახლში, სიღარიბის ქაღალმერთი კი სინანულის გარეშე წავიდა.

როდესაც სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, მის არსს ღრმად უნდა ჩავწვდეთ და მშვიდად დავფიქრდეთ, - მაშინ სინათლისა და იმედის სხივი გამოკრთება და სწორ გზას დაგვანახებს.

## იყავით კეთილგონიერები აზრებში, სიტყვებსა და საქმეებში

ერთი დიასახლისი რელიგიურ და ზნეობრივ თემებზე ლექციებს ესწრებოდა. ლექციებს *პანდიტი* (სწავლული-ღვთისმეტყველი) ატარებდა ყოველდღე ადგილობრივ ტაძარში. ქალს არცერთი ლექცია არ გამოუტოვებია.

რიგით ლექციაზე *პანდიტი* ხსნიდა, რა ვალდებულებები აქვს ძველი ტრადიციის თანახმად იდეალურ ცოლს. მან თქვა: «ცოლისთვის ქმარი თვით ღმერთია. თუ ცოლი მას ერთგულად ემსახურება და მისი კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ეს ისევე საქებარია, როგორც ღვთისმსახურება. ამისათვის ღმერთი მას დალოცავს». შემდეგ *პანდიტმა* დეტალურად აღწერა, თუ ცოლმა როგორ უნდა მოუაროს ქმარს. «ცოლს დოქით წყალი უნდა ჰქონდეს მომზადებული, და ქმარი რომ საღამოს სახლში მოვა, ფეხები დაბანოს. ქალმა იგი უნდა დასვას, ფეხსაცმელი გახადოს, მარაოთი გააგრილოს და ყავა შესთავაზოს. იგი ძალიან ფხიზლად და ყურადღებით უნდა იყოს, რომ ქმრის ყველა სურვილი გამოიცნოს». დიასახლისმა უდიდესი ინტერესით მოუსმინა ლექციას და კარგად დაიმახსოვრა ის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მან ამ დღიდან მტკიცედ გადაწყვიტა.

ზუსტად საღამოს ხუთ საათზე იგი წყლიანი დოქით ხელში კარში იდგა. როგორც კი ქმარი მანქანიდან გადმოვიდა, ცოლი მივარდა მას და ფეხსაცმელზე წყალი გადაასხა; შემდეგ სახლში შეიყვანა და სავარძელში ჩასვა. ცოლმა ფეხსაცმლის ზონრები გაუხნა, ვენტელატორი ჩართო, სამზარეულოსკენ გაიქცა და ცხელი ყავით ხელში დაბრუნდა. საწყალი ქმარი გაოგნებული იყო, ვერ გაეგო, რა დაემართა ცოლს. ქმარი თავის კაბინეტში შევიდა და ოჯახის ექიმს ტელეფონით სთხოვა სასწრაფოდ მოსულიყო. ქიმი რომ მოვიდა, ქმარმა ცოლის უცნაური ქცევა დეტალურად აღუწერა. ექიმმა ქალი გასინჯა და გამოაცხადა: «საშიში არაფერია, იგი ოდნავ აღზნებულია. წამოწვეს და დაისვენოს». ქალი ამ მითითებას არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან გადაწყვიტა ქმარს ყველაფერში დამორჩილებოდა, რომ იგი კმაყოფილი ყოფილიყო.

ორი დღის შემდეგ ცოლი ტაძარში კვლავ წავიდა ლექციაზე, რომელიც ამჯერად ადამიანის ცხოვრების მიზანს შეეხებოდა. *პანდიტმა* თქვა: «ცხოვრება სიზმარია, რეალური მხოლოდ ღმერთია. მიწიერი სიყვარული ნამდვილი სიყვარული არ არის. ადამიანებს შორის ყველა ურთიერთობა ეგოიზმზეა დამყარებული, და ყოველგვარი სიყვარული ანგარებითია.

მხოლოდ ღმერთი უნდა გიყვარდეთ. ვინ ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის? რა ღირებულება აქვს ჩვენს გარემომცველ საგნებს? როდესაც მოვკვდებით, თან არავინ და არაფერი წამოგვყვება. მხოლოდ ღმერთის სიყვარულით მოიპოვებთ დამსახურებას. თქვენ ამ წუთისოფელში გამცილებლის გარეშე მოხვედით, ასევე მარტო წახვალთ აქედან». ქალი გაოგნდა: «რა აღმოჩენაა! გამოდის, რომ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ტყუილად დამიხარჯავს. დღეიდან მხოლოდ ღმერთზე ვიფიქრებ, და მეტი არაფერზე».

სახლში რომ დაბრუნდა, ქალმა რიტუალური განზანა შეასრულა, უბრალო ტანსაცმელი ჩაიცვა და სალოცავი ოთახისკენ წავიდა, საკურთხევლის წინ დაჯდა და *პანდიტის* სიტყვებზე ფიქრს მიეცა. ამ დღეს ქმარი სამუშაოდან საკმაოდ ადრე დაბრუნდა. ცოლი დოქით ხელში არ დახვდა, და ქმარმა იფიქრა, რომ ალბათ იგი ჭარბი «აღზნებულობისგან» განიკურნა. მან კარზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ოთახის სიღრმიდან მას მხოლოდ ცოლის ხმა ესმოდა, რომელიც რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა. ქმარმა მძლოლი უკანა ეზოში გაგზავნა, რომ სახლში შესულიყო და შიგნიდან სადარბაზო კარი გაეღო.

სახლში რომ შევიდა, ქმარმა შეიტყო, რომ ცოლი *პუჯისთვის* (ღმერთმსახურებისთვის) განკუთვნილ ოთახში იმყოფება. ქმარი ზღურბლზე გაჩერდა. ქალი თვალეზდახუჭული იჯდა და იმეორებდა: «ვინ ვართ ჩვენ? ვინ არის ცოლი? ვინ არის ქმარი? ყოველი ადამიანი იმისათვის იბადება, რომ თავისი ჭეშმარიტი «მე» იპოვოს».

ქმარი პანიკაში ჩავარდა, შეშინებულმა იფიქრა, რომ ცოლის მდგომარეობა გაუარესდა, და სასწრაფოდ ექიმთან გაგზავნა მანქანა. ექიმმა კვლავ გასინჯა ქალი, რის შემდეგაც მამაკაცები კაბინეტში განმარტოვდნენ. ექიმმა ჰკითხა: «სანამ სამუშაოზე ხართ, თქვენი ცოლი რით არის დაკავებული?» ქმარმა უპასუხა: «იგი ძალიან გულუბრყვილო და პატიოსანი ქალია. ადგილობრივ ტაძარში დადის და ლექციებს უსმენს რელიგიურ თემებზე». ექიმმა ღიმილით უპასუხა: «აი რაში ყოფილა საქმე. ახლა უკვე მესმის, რა არის მისი უცნაური ქცევის მიზეზი. ალბათ *პანდიტის* სიტყვები ძალიან ახლოს მიაქვს გულთან და პირდაპირი გაგებით ასრულებს მათ. რაღაცა დროით აუკრძალეთ ტაძარში სიარული, და ყველაფერი მოწესრიგდება».



რამდენიმე დღის შემდეგ ცოლი კვლავ ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა და მხიარული და სიცოცხლით სავსე შეიქმნა. ერთხელ მას კვლავ ლექციაზე წასვლის ძლიერი სურვილი დაებადა. *პანდიტი* ლაპარაკობდა იმის შესახებ, რა დიდად მნიშვნელოვანია ჭეშმარიტება; «სიმართლე მუდამ იმარჯვებს, მხოლოდ სიმართლე ილაპარაკეთ. ჭეშმარიტება ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტებაა».

იმ საღამოს ცოლ-ქმარი ქორწილში იყო მიწვეული. ცერემონია დაიწყო და ცოლი სხვა ქალებთან ერთად ჩამოჯდა. ოჯახის ქურუმი, რომელსაც ცერემონია მიჰყავდა, კარგად იცნობდა ამ წყვილს და ორივეს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. მან დარბაზი შემოიარა ლანგრით ხელში, რომელზედაც წმინდა *მანგალა-სუტრა*<sup>1</sup> იდო, - ტრადიციის მიხედვით, მას გათხოვილი ქალები უნდა შეხებოდნენ და დაელოცათ იგი. ჩვენს გმირ ქალს რომ მიუახლოვდა, მან ჩვეულებრივი სიტყვები თქვა: «*მატა*, იმედი მაქვს, თქვენთან ყველაფერი რიგზეა და ყველა ჯანმრთელია». ქალმა უპასუხა: «დიახ, ყველაფერი კარგად არის, აი მხოლოდ გასულ თვეში ჩემი დედამთილი მოკვდა». მის გვერდით მჯდარმა მოხუცებულმა ქალმა რბილად უსაყვედურა: «ამა, როდესაც *მანგალა-სუტრას* ლოცავენ, არასასიამოვნო რამეებზე არ უნდა ილაპარაკო». ამან კი თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო და ხმამაღლა შეეპასუხა: «რა არის ამაში ცუდი? განა სიმართლის თქმა აკრძალულია? რაც არის, ის ვთქვი. რატომ უნდა დავმალო სიმართლე? ჩემი დედამთილი მართლა მოკვდა».

ახალგაზრდა მეზობელი ქალი მასთან მივიდა და უთხრა: «*ამა*, რა თქმა უნდა, სიმართლეა, რომ შენი დედამთილი მოკვდა, მაგრამ წმინდა ცერემონიების დროს სიკვდილისა და სხვა არასასიამოვნო ამბების შესახებ ლაპარაკი არ არის მიღებული. მგონია, შენ უნდა იცოდე ამის შესახებ». ყველა იქ მყოფი გაკვირვებული უყურებდა ქალს.

რა მორალი აქვს ამ ამბავს? სიმართლეც კი წინდახედულად უნდა ითქვას. ჩვენმა სიმართლით სავსე სიტყვებმაც კი სხვებს გული არ უნდა ატკინოს. ჩვენ შეგვიძლია ვისმინოთ საუბრები მაღალი იდეებისა და წმინდა სწავლებათა შესახებ, მაგრამ მათი პრაქტიკაში გამოყენების დროს დელიკატობა უნდა დავიცვათ და ამის გარშემო ხმაური არ უნდა ავტეხოთ.

---

<sup>1</sup> მანალა-სუტრა - «ბდნირბის ძაფი»; ტრადიციული სამკაული ოქროს საკიდრით; მომავალი ცოლ-ქმრული ცხოვრბის კურთხვისთვის საქმრო მას პატარმალს კისრზ ჰკიდბს.

## აზრის ძალა

ოდესღაც ინგლისში საწყალი ჭაბუკი ცხოვრობდა, რომელიც საარსებო ფულს იმით შოულობდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარებს კონვერტებზე მისამართს უწერდა და ბავშვებს გაკვეთილებს უტარებდა. მისამართის დაწერის შემდეგ იგი ჩვეულებრივ ამბობდა: «ღმერთმა დაგლოცოს», ხოლო როდესაც ბავშვი გაკვეთილის შემდეგ სახლში მიდიოდა, შემდეგი სიტყვებით აცილებდა: «ღმერთის წყალობა გქონოდეს». იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო და ცდილობდა ეს რწმენა სხვებისთვისაც ჩაენერგა. იგი ბავშვებს ყოველთვის ეუბნებოდა: «ღმერთი უნდა გწამდეთ». მას სრულიად არ აწუხებდა ის ფაქტი, რომ თავს ძლივს ირჩენდა, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ღმერთი მისცემს ყველაფერ იმას, რასაც იგი იმსახურებს. ასეც მოხდა.

გავიდა ხანი და ეს ჭაბუკი ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა. მისი სახელია ჯეიმს რემსეი მაკდონალდი. რა სასწაულია! საწყალი გადამწერიდან პრემიერ-მინისტრის დონემდე ავიდა! ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია – იმ პირობით, თუ ადამიანს ღმერთი უპირობოდ სწამს და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად გულმოდგინედ შრომობს. ჩვენს ბედს ჩვენივე ფიქრები განსაზღვრავს. მაგრამ ყოველ ღირსეულ აზრს უნდა ვუფრთხილდებოდეთ და რწმენის ნექტრით ვკვებავდეთ. და მაშინ, ადამიანის ნებისყოფითა და ღმერთის წყალობით, აზრი რეალობად იქცევა.

## თქვენს აზრზეა

### დამოკიდებული, ვინ გახდებით

რამდენიმე ათეული წლის წინ, იმ დროს, როცა განდიჯი ცნობილი ხდებოდა როგორც ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, თამილნადუს შტატში, *ბრაჰმანების* ღარიბ ოჯახში, ვაჟი იზრდებოდა. ყველგან განდიჯიზე ლაპარაკობდნენ, ამ შესანიშნავ ადამიანზე, განათლებით იურისტზე, რომელმაც დაიფიცა, რომ თავის ხალხს მშვიდობიანი გზით

თავისუფლებას მოუტანდა. ჭაბუკი *ბრაჰმანის* დედა ოცნებობდა, რომ მისი ვაჟიც კანონის მსახური გახდება და, განდიჯის მსგავსად, თავის ცხოვრებას მშობლიურ ქვეყანას მიუძღვნის. იგი თავის ვაჟს ხშირად ეუბნებოდა: «ჩემო კარგო! შენ უნდა იურისტი გახდე, როგორც განდიჯი, რომ საწყლების უფლებები დაიცვა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის იბრძოლო. მუდამ *დჰარმის* გზით იარე და, რაც არ უნდა დაგიჯდეს, სიმართლე გაიტანე».

ამ სიტყვებმა ჭაბუკის გონებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, და მან მტკიცედ გადაწყვიტა დედის ნება შეესრულებინა. იგი დაუღლელად სწავლობდა და განათლების მიღების გზაზე ყველა დაბრკოლება მტკიცედ გადალახა. ოჯახი იმდენად ხელმოკლე იყო, რომ ლამპის ნავთისთვისაც არ ყოფნიდა ფული. ჭაბუკი ქუჩის ფარნის ქვეშ იჯდა და გამოცდებისთვის ემზადებოდა. ხშირად იყინებოდა, ძილი ერეოდა, და ფიქრობდა, რომ ერთი ჭიქა ჩაი გამოაფხიზლებდა, მაგრამ სად იყო ფული? იგი ქუჩის წყლის სვეტთან მიდიოდა, სახეზე ცივ წყალს ისხამდა, ცოტას მოსვამდა და ფარანთან ბრუნდებოდა, რომ მეცადინეობა განეგრძო. ასეთი გულმოდგინებით სწავლობდა და მუდამ ახსოვდა თავისი მიზანი – იურისტი გამხდარიყო და საზოგადოებისთვის ემსახურა. და მან წარმატებას მიაღწია. დედის ლოცვა და მისი საკუთარი ძალისხმევა დაეხმარა – მასზე ალაპარაკდნენ როგორც უნარიან და პატიოსან იურისტზე; ადვოკატთა კოლეგიის პატივისცემა დაიმსახურა, მას იურიდიულ ზედა ფენებში დიდად აფასებდნენ. მას ღმერთის და საკუთარი თავის რწმენა ჰქონდა.

დროთა განმავლობაში ეს ჭაბუკი მადრასის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გახდა – პირველი ინდოელი, რომელმაც ეს თანამდებობა დაიკავა. ამ ადამიანის სახელია სერ ტ. მატუსვამი იერი. როგორ მიაღწია მან ასეთ მაღალ მდგომარეობას? მხოლოდ თავისი რწმენის, თავგანწირულების, გამჭრიახობის, დისციპლინისა და შეუპოვრობის წყალობით. იგი დედისა და ღმერთის ერთგული იყო. საკუთარი თავი იმ იდეალს მიუძღვნა, რომლისკენაც გატაცებით ისწრაფოდა. მისი ცხოვრება წესების ზუსტ დაცვას ემორჩილებოდა, გამჭრიახობას კი პროფესიულ მოღვაწეობაში ავლენდა. მაგრამ მთავარი მიზეზი მისი გადაწყვეტილება იყო: «მე იურისტი უნდა გავხდე და დედის იმედები გავამართლო».

## მუდამ პატიოსანი იყავი

წყემს-ბიჭუნას ცხვრის ფარა მახლობელ ტყისკენ მიჰყავდა. მიწაზე მან ლამაზი ბრჭყვიალა ქვა შენიშნა, აიღო იგი და გაიფიქრა: «რა მშვენიერი ქვაა! მოდი მას პატარა ბატკანს კისერზე ჩამოვკიდებ!» ბიჭმა ქვა ბაწარზე მიამაგრა და თავის საყვარელ ბატკანს კისერზე ჩამოჰკიდა. მწყემსს მოშინაურებული ბატკნის ყურება ძალიან მოსწონდა, როდესაც იგი დახტოდა და ცელქობდა, ქვა კი კისერზე უბრჭყვიალებდა.

ერთხელ იგი, როგორც ყოველთვის, ხის ძირას იჯდა და ბატკანს უყურებდა, რომელიც ფარასთან ერთად ბალახს ძოვდა. ვიღაცა მხედარი იმავე ხესთან შეჩერდა, რომ ჩრდილში დაესვენა. მან შენიშნა, რომ ბიჭი მუდამ ბატკანს უყურებს, და მის კისერზე ბრჭყვიალა ქვა შენიშნა. ეს მგზავრი ძვირფასეულობით მოვაჭრე იყო, და გამოცდილებით მაშინვე გამოარკვია, რომ ბატკნის კისერზე იშვიათი სიდიდის ალმასია. გადაწყვიტა დაუფლებოდა მას და მწყემსს გამოკითხვა დაუწყო, ამ უკანასკნელმა კი, თავისი მიამიტობის გამო, მოუთხრო, როგორ იპოვა ბრჭყვიალა ქვა გზაზე. მოვაჭრემ თქვა: «მეგობარო, მომეცი ეგ ქვა, და 50 რუპიას მიიღებ». ბიჭმა გაიფიქრა: «ოჰო, მთელი 50 რუპია! ამ ფულით ჩემი ბატკნისთვის ბევრ ფერად-ფერად მძივებსა და ქვებს ვიყიდი. მივცემ ამ ქვას». და მან 50 რუპიად მისცა ალმასი.

მიიღო თუ არა ქვა, მოვაჭრე მაშინვე ცხენს შემოახტა და იქაურობას გაეცალა. მას ძალიან უნდოდა ქვა ყურადღებით დაეთვალიერებინა, ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ ჩამოქვეითდა და ხის ძირას ჩამოჯდა. იგი ხელისგულზე დადებულ ადამანტს ესიყვარულებოდა, და ფიქრობდა: «რა გაუგონარი წარმატებაა! 50 რუპია მივეცი და 100 ათასად გავყიდი!» ამ დროს ქვა წვრილ ნაწილაკებად დაიფშვნა და მტვრად იქცა. მოვაჭრე გაოგნებული და გულგატეხილი იყო. უცებ მან ხმა გაიგო, რომელიც გაურკვეველი ადგილიდან მოდიოდა: «ო ადამიანო! შენ ძვირფასეულობას ჰყიდი და მშვენივრად იცი ამ ქვის ფასი, მაგრამ ბიჭი მოატყუე და შუშის მძივის მარცვლის ფასად იყიდე იგი. უპატიოსნო და ხარბი ადამიანი ხარ. ამიტომ ამ განძის ღირსი არ ხარ. გულუბრყვილო მწყემსს უყვარდა ეს ქვა, თუმცა მისი ნამდვილი ფასი არ იცოდა. იგი თვლიდა, რომ თავისი მოშინაურებული ბატკნისთვის მშვენიერი

სამკაული იპოვა!» იდუმალი ყოვლისმცოდნე ხმით შეშინებული უპატიოსნო ვაჭარი ცხენს მოახტა და მოკურცხლა.

მოტყუებამ და თაღლითობამ შეიძლება დროებით მდიდარი გაგვხადოს, მაგრამ ჭეშმარიტ ბედნიერებას ვერასოდეს მოგვიტანს. მხოლოდ პატიოსან ქცევას შეუძლია მოგვცეს საკუთარი თავის პატივისცემა, სიხარული და სიმშვიდე.

## 42

### თუ იჩქარებ, დაკარგავ

ერთხელ მეფე სანადიროდ ტყეში წავიდა. საღამო ხანს იგი ძალიან დაიღალა და დასვენება მოუნდა. გზად მას და მის ამალას ტყის *აშრამა* შემოხვდათ, და მისკენ გაემართნენ.

აშრამის მცხოვრებლებმა მეფეს სათანადო შეხვდრა მოუწყეს და ტკბილი ხილი და ცივი წყალი შესთავაზეს. წმინდანი ბრძენი სამლოცველო დარბაზიდან გამოვიდა, მეფე დალოცა და თქვა: «იმედი მაქვს, რომ შენ და შენი ქვეშემრდომები კარგად ხართ». მეფემ უპასუხა: «ო პატივცემულო! ღმერთის და ისეთი წმინდა სულების ლოცვის წყალობით, როგორც შენ ხარ, ყველა ბედნიერი და კმაყოფილი ვართ. მაგრამ მინდა შემთხვევით ვისარგებლო და თხოვნით მოგმართო. ძალიან მინდა, რომ კარგი დარიგება მომცე, რომელიც მთელი ჩემი ხალხის აყვავებას უზრუნველყოფს». წმინდანმა პერგამენტის ნაჭერზე რამდენიმე სიტყვა დაწერა, დაახვია და მეფეს გაუწოდა. მეფე მის წინ განერთხო და წავიდა. გზის დამლოცავი პატარა გრაგნილი მან თავის ქარქაშში შეინახა.

ამ დროს სასახლეში მსახური ჩვეულებისამებრ, მეფისა და დედოფლის სარეცელს ამზადებდა. მან მტვერი გადაბერტყა, სუფთა თეთრეული გააწყო და არომატული სუნამო დააპკურა. საძილე ოთახის დათვალიერების შემდეგ თავისი შრომით ძალიან კმაყოფილი დარჩა. იგი შეეყოვნდა, ზღურბლზე იდგა, უყურებდა რბილ ლეიბებს, თბილ საბნებს, მდიდრულ სარეცელს, რომელიც დახვეწილი ჩუქურთმით იყო დამშვენებული და ტკბებოდა. ძალიან მოუნდა ამ შესანიშნავ ლოგინზე ცოტა ხნით ჩამოჯდომა, და გაიფიქრა: «მეფე ნადირობიდან რამდენიმე საათში დაბრუნდება. ცოტა ხანს ხომ არ დამესვენა მის საძინებელში? მე

შემიძლია ორიოდე წუთში ოთახი წესრიგში მოვიყვანო». ჩაწვა საწოლში და საბანი თავზე გადაიფარა. საწყალს არც კი შეუნიშნავს, ისე ღრმად ჩაეძინა!

დედოფალი საძინებელში ჩვეულებრივზე უფრო გვიან შევიდა. მან მძინარე ადამიანი დაინახა და გადაწყვიტა, რომ ნადირობიდან დაბრუნებული დაღლილი მეფე ვახშმის გარეშე მაშინვე დასაძინებლად წავიდა. «არ შევაწუხებ, - იფიქრა დედოფალმა, - დილით გამოვკითხავ». დაწვა და მალე ჩაეძინა. ნადირობიდან რომ დაბრუნდა, მეფემ შეიტყო, რომ დედოფალი საძინებელ ოთახში წავიდა, და თვითონაც იქითკენ გაემართა. მან შენიშნა, რომ საწოლში დედოფლის გვერდით ვიღაცას სძინავს! ბუნებრივია, მეფე საშინლად განრისხდა და ქარქაშიდან ხმალი ამოიღო, რომ იქვე მოეკლა თავხედი, რომელმაც ცოლქმრული საწოლი ხელყო. დახვეული პერგამენტის ნაჭერი ხალიჩაზე დავარდა, მეფემ მექანიკურად აიღო და წმინდანის უსტარი წაიკითხა.

იქ ეწერა: «თუ იჩქარებ, დაკარგავ. არასოდეს იჩქარო». მეფემ ხმალი ქარქაშში ჩაასო, და ამ მომენტში დედოფალს გამოელვინა. იგი გაცოცხლებული მიაშტერდა ჯერ მეფეს, შემდეგ კი საწოლზე მძინარეს. მეფემ საბანი გადახადა, რომ თავხედის სახე დაენახა. გამოლვიძებული მსახური უმაღლეს წამოხტა. მის წინ მეფე და დედოფალი იდგნენ! იგი თვალეხს არ უჯერებდა. ნამძინარევს ვერ გაეგო, რა ხდებოდა, შემდეგ კი მათ ფეხებში ჩაუვარდა და ვედრება დაუწყო: «ჩემო ბატონო! მაპატიე ეს საშინელი თავხედობა! მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო». და მან პატიოსნად აღიარა, თუ როგორ ვერ გაუძლო ცდუნებას, მეფის საწოლზე «წუთით» როგორ წამოწვა და შეუმჩნევლად ჩაეძინა. დედოფალიც მეფის წინ მუხლებზე დაეცა და წამოიძახა: «მაპატიე, მბრძანებელო! ოთახში რომ შემოვედი, დავინახე, რომ საწოლში ვიღაცას სძინავს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს შენ ხარ, მეფევ, არ მინდოდა შენი შეწუხება და ამიტომ...» მან ტირილი მორთო. მეფემ წყნარად თქვა: «მე არ ვარ შენზე გაბრაზებული, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ პერგამენტის ამ პატარა ნაჭრის წყალობით არ დაგხოცეთ თქვენ ორივე». მეფემ დედოფალს წმინდანთან შეხვედრისა და მისი უსტარის შესახებ უამბო. ბოლოს მან დაამატა: «განცვიფრებული ვარ, რამდენად მომქმედი და დროული აღმოჩნდა მისი რჩევა! ახლა ეს სიტყვები ჩემთვის წმინდა მანტრიაა. ისინი ჩვენ ყველამ

უნდა დავიმახსოვროთ, კარგად შევიგნოთ და ცხოვრებაში მუდამ მივყვეთ მათ».

მეორე დღეს მეფემ ბრძანებს გასცა, რომ სამეფოს ყველა მოედანსა და გზაჯვარედინზე ბოძები დაედგათ, რომლებზედაც უსტარის სიტყვები იქნებოდა გამოთლილი.

გახსოვდეთ: სიჩქარეს დაკარგვა მოაქვს, დაკარგვას – შფოთვა და წუხილი. არასოდეს იჩქაროთ.

## 43

### აქ და ახლავე

### აკეთე კარგი საქმეები

ერთხელ საწყალი კაცი მეფე იუდჰიშთჰირასთან მივიდა, პანდავებიდან უფროს ძმასთან, რომელსაც აგრეთვე დჰარმარაჯას (სამართლიან მეფეს) უწოდებდნენ, რადგან იგი მუდამ სამართლის გზაზე იდგა. საწყალმა მეფეს დახმარება სთხოვა. იუდჰიშთჰირამ თქვა: «ხვალ მოდი, და რაც შენ გინდა, იმას მოგცემ».

იუდჰიშთჰირას ძმამ, ბჰიმამ, ამ დაპირებას ყური მოჰკრა. მანმამინვე მეფის ამაღლა შეკრიბა და გამოაცხადა, რომ ხვალინდელი დღე გამარჯვების დღედ ცხადდება და ზეიმი ტარდება. ამ მოულოდნელმა ბრძანებამ დიდი აურზაური გამოიწვია. ყველას უნდოდა სცოდნოდა, რა გამარჯვებაა ეს და ვინ მოიპოვა იგი. ამ ამბავმა იუდჰიშთჰირამდეც მიაღწია და მან განმარტება მოითხოვა.

ბჰიმამ თქვა: «ჩვენ სიკვდილზე გამარჯვება მოვიპოვეთ 24 საათით. მეფემ საწყალს ხვალ მოსვლა სთხოვა. ეს ნიშნავს, რომ დჰარმარაჯა სრულიად დარწმუნებულია, რომ იგი 24 საათის განმავლობაში ცოცხალი იქნება. ეს ხომ გამარჯვებაა?»

იუდჰიშთჰირა მიხვდა, თუ შემთხვევით რა გაკვეთილი მიიღო. მან საწყალი კაცი მოაყვანინა და მისცა, რასაც ითხოვდა. იმოქმედე და იცხოვრე აწმყოში. არასოდეს გადადო ხვალისთვის კარგი საქმეები, რომელთა გაკეთებაც დღეს შეგიძლია.

## გონების კონტროლი

ძველ დროში ერთი მეფე ცხოვრობდა, რომელსაც ხუთი ულამაზესი ცოლი ჰყავდა. მას ხუთივე უყვარდა და ისინიც ამით პასუხობდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ცოლების მოთხოვნილებები იმდენად გაიზარდა, რომ მეფეს მათი ყოველი ახირების შესრულება გაუჭირდა. ბოლოს და ბოლოს იპოვა საშუალება, რომელიც ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტაში დაეხმარებოდა. ეს უსიამოვნება მან მინისტრს გაუზიარა და რჩევა სთხოვა. მინისტრმა მეფეს დაღონებით უპასუხა: «ბატონო, ჩემი მდგომარეობა ამაზე უკეთესი არ არის. მეც საკუთარი ცოლის მორჩილებაში ვარ». მეფე და მინისტრი ამ საკითხზე დიდ ხანს მსჯელობდნენ, მაგრამ გამოსავალი მაინც ვერ ნახეს. ბოლოს მინისტრმა თქვა: «თქვენო აღმატებულება, მოდით, შემდეგნაირად ვცადოთ. ქალაქის ყველა დაქორწინებული მამაკაცი თათბირზე მოვიწვიოთ; შესაძლოა მათ შორის რამდენიმე მაინც აღმოჩნდეს ისეთი, ვინც ცოლს აკონტროლებს».

ყველა დაქორწინებულ მამაკაცს მოსაწვევი გაეგზავნა, სასახლეში კი შესაბამისი სამზადისი გაკეთდა. თათბირისთვის ორი დარბაზი იყო გამოყოფილი: ერთი განკუთვნილი იყო იმ მამაკაცებისთვის, რომლებიც ცოლების მორჩილებაში იყვნენ, მეორე კი – მათთვის, რომელთა მორჩილებაშიც ცოლები იყვნენ.

თათბირის გახსნის დროს, შუადღისას, პირველი დარბაზი გადავსილი იყო. მეორე დარბაზში – ქმრებისთვის, რომლებიც ცოლებს მართავდნენ, - არც ერთი კაცი არ იყო. ამ გარემოებამ მეფე გაახარა, რადგან მიხვდა, რომ მარტო არ იყო და ყოველ შემთხვევაში ქმრების 98 პროცენტი ცოლების დაქვემდებარებაშია. ბოლოს მეორე დარბაზში ვიღაცა მამაკაცი შევიდა და ერთ-ერთი სავარძელი დაიკავა. მეფე და მინისტრი მასთან მივიდნენ. მინისტრმა უთხრა: «გილოცავთ, პატივცემულო! ბედნიერნი ვართ, რომ ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდა, რომელიც ცოლს მართავს. ხომ არ გვეტყოდით, რა საშუალებით მიაღწიეთ ამ გამარჯვებას?» მამაკაცმა უპასუხა: «ეს ასე არ არის, ბატონო მინისტრო! მე ცოლის მორჩილი ვარ». - «ასეთ შემთხვევაში, - მოითხოვა მინისტრმა, - ეს დარბაზი დატოვეთ და



მეორეში შედით». მაგრამ მამაკაცი შეევედრა: «თქვენო უგანათლებულესობავ! თქვენს მიმართ დაუმორჩილებულობის გამო მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო. მაგრამ არ შემიძლია ცოლის ბრძანება არ შევასრულო. მან ბრბოსაგან ცალკე ჯდომა მიბრძანა. მე მის საწინააღმდეგოდ მოქცევა ვერ გავბედე». მეფემ და მინისტრმა შვებით და, ამავე დროს, უიმედოდ, ამოისუნთქეს.

რა არის ამ ამბის ნამდვილი აზრი? მეფე ადამიანის გონებაა, ხუთი ცოლი ხუთი გრძნობაა. გონება გრძნობების მორჩილებაშია და იმის უნარი არ გააჩნია, რომ მათს მოთხოვნილებებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ყური ითხოვს: «ლამაზი მუსიკის მოსმენა მსურს», ცხვირი მომაბეზრებლად ითხოვს: «სუნამოს არომატის ყნოსვა მწადია», ენა დაჟინებით მოითხოვს: «დარჩეული საჭმლის დაგემება მსურს». რა უნდა ქნას გონებამ, თუ გრძნობები მას აქეთ-იქით ეწევიან? ასეთია იმ ადამიანის სავალალო მდგომარეობა, რომელიც გრძნობების მონას წარმოადგენს. ამიტომ თქვენი უპირველესი ამოცანაა გონებაზე კონტროლის მეცნიერებასა და ხელოვნებას დაეუფლოთ.

## 45

### ეცადეთ, რომ გონება რალაციით დაკავებული იყოს

ახალგაზრდა კაცი მოქმედ არმიაში ისე შევიდა, მშობლებისთვის თანხმობაც კი არ უთხოვია. წესიერი სამსახურითა და მუყაითობით მან პოლკის ყველა მეთაურის სიმპათიები მოიპოვა. ერთ-ერთი ოფიცერი განსაკუთრებით მიეჩვია ახალგაზრდა მეომარს. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აი ბანაკში ცნობა მოვიდა, რომ ომი დამთავრებულია. ახლა ყოველდღიური რუტინული მოვალეობების გარდა ჯარისკაცებს თითქმის არავითარი სამუშაო არ ჰქონდათ. ახალგაზრდამ, რომელიც დამაბულ სამსახურს იყო მიჩვეული, არ იცოდა, რითი დაკავებულიყო. ბუნებრივია, რომ ფიქრები მშობლიურ სახლისკენ, მშობლებისა და დამძმებისკენ გაექცნენ. სადამოლობით ხის ქვეშ იჯდა და თავის ოჯახზე ფიქრობდა. ოფიცერმა, რომელიც მას მეურვეობდა, შეამჩნია, რომ

ჯარისკაცი ძალიან შეიცვალა. იგი მოდუნებული, პასიური და დაბნეული გახდა, ამასთან დღითი დღე ხდებოდა და სუსტდებოდა.

ერთხელ მას ოფიცერმა მოუხმო და უთხრა: «ჩემო კარგო, მინდა, რომ დიდი ორმო ამოთხარო - 4 ფუტის სიგანითა და სიღრმით. ეს სასწრაფო დავალებაა; იმ ადგილას უნდა გათხარო, სადაც შენ საღამოობით ზიხარ». ჯარისკაცმა ეს დავალება ორ საათში შეასრულა და ოფიცერს ანგარიში ჩააბარა. ამ უკანასკნელმა უპასუხა: «კარგი! შუადღის შემდეგ წადი და შენი ამოთხრილი ორმო გულმოდგინედ ამოავსე».

ჯარისკაცმა საღამოსთვის დავალება შეასრულა და პატაკის მისაცემად მოვიდა. ოფიცერმა შეამჩნია, რომ ახალგაზრდა კაცი ფხიზლად და ენერგიულად გამოიყურება. მან ჰკითხა: «დღეს კარგი მადა გქონდა?» ჯარისკაცმა უპასუხა: «დიახ, სერ! სადილი დიდი სიამოვნებით ვჭამე». - «ხშირად ფიქრობდი შენს სახლსა და მშობლებზე?» - «არა, სერ, ნათესავებზე ფიქრის დრო არ მქონდა. თქვენ მიერ მოცემული სამუშაოთი ვიყავი დაკავებული». ასე გააგებინა ოფიცერმა ჯარისკაცს, რომ არ შეიძლება გონებას უქმად ყოფნის საშუალება მიეცეს. ზარმაცი კაცის გონება ეშმაკის სახელოსნოა», - თქვა მან.

## 46

### კონტროლი გრძნობებზე

ერთხელ ათლეტური ჭიდაობის ოსტატი ქუჩაში მედიდურად დააბიჯებდა; თავისი მძლავრი სხეულით იგი ძალიან ამაყობდა. უცებ უკნიდან ვიღაცის სიცილი შემოესმა. ცნობისმოყვარეობის გამო უკან მოიხედა და მიხვდა, რომ ქალი დასცინის! ამ კაცის უზარმაზარი ფიგურისა და მრისხანე შესახედაობის გამო ქალმა სიცილი ვერ შეიკავა. მოჭიდავემ თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო. მრისხანების გამო მან კბილების ღრჭენა დაიწყო და გაფრთხილების ნიშნად მის თავზე ხელი ასწია. ქალმა თავი მარდად აარიდა და წამოიძახა: «რანაირი ადამიანი ხარ? ქალის სიცილსაც კი გამოჰყავხარ მდგომარეობიდან! როგორც ჩანს, მთლიანად გონებისა და გრძნობების მორჩილებაში ხარ და ძალა არა გაქვს მათ გაუმკლავდე! მხოლოდ კუნთების ბატონი ხარ და შენი სადიადე ამით მთავრდება». მოჭიდავემ პასუხი არ გასცა - მიბრუნდა და გაეცალა, და იმედია სულ ცოტა სიბრძნე მოემატა.

## დაიცავით გონების სიწმინდე

ერთხელ მეფის სასახლეში დიდი მხატვარი მიიწვიეს და სთხოვეს სეფედარბაზის უზარმაზარ კედელზე ფრესკებით მაჰაბჰარატადან სცენები გამოესახა. იმავე დროს სასახლეში მეორე მხატვარი გამოჩნდა. მან თქვა, რომ მოპირდაპირე კედელზე იმავე დროის მონაკვეთში იმავე სურათს დახატავს – დიდი ოსტატის ფრესკის ზუსტ ასლს, - მაშინაც კი, თუ დარბაზის შუაზე სქელი ფარდა იქნება ჩამოფარებული.

საზეიმო დღეს, როდესაც მაყურებლებისთვის ფრესკები უნდა წარედგინათ, ფარდა ჩამოხსნეს. მეფის გასაოცრად, ასლი მოპირდაპირე კედელზე აბსოლუტურად ზუსტი იყო და სრულიად შეესატყვისებოდა ორიგინალს, რომელიც მაჰაბჰარატას დიადი ბრძოლის სცენას ასახავდა, - უმცირეს შტრიხებსა და დეტალებში, შუქ-ჩრდილის უნატიფეს თამაშში, იერსა და ფერებში. მეფემ ჰკითხა მხატვარს, ეს როგორ მოახერხა. მან უპასუხა, რომ არც ფუნჯი, არც საღებავი ხელში არ აუღია. მთელი ამ დროის განმავლობაში კედელს აპრიალებდა. და მან მიაღწია იმას, რომ კედელი გლუვი და პრიალა გახდა, როგორც სარკე. ამიტომ მან ზუსტად ასახა ის სურათი, რომელიც ოსტატმა მოპირდაპირე კედელზე შექმნა.

ჩვენც ასევე უნდა ვწმინდოთ გონება და იმდენად ნათელი და გამჭვირვალე გავხადოთ, რომ ღმერთის არამიწიერ სილამაზესა და სიდიადეს შევძლოთ ჩვენს გულებში ასახვა.

## უარი თქვი გონებაზე

ერთხელ მეფე ჯანაკამ<sup>1</sup> მთელ ქვეყანაში შიკრიკები ასეთი ცნობით დააგზავნა: «თუ აღმოჩნდება ისეთი ადამიანი – იქნება ეს დიდი სწავლული, პანდიტი, მაჰატმა<sup>2</sup>, იოგი, მაჰარიში<sup>1</sup>, წმინდანი თუ ვინც არ

<sup>1</sup> ჯანაკა – ვიდჰას მფ, სიბრძნითა და ღვთისმოსაობით ცნობილი, სიტას მამა.

<sup>2</sup> მაჰატმა – დიადი სული (დიადი ადამიანი, ვინც ადამიანთა მსახურბას მიუძღვნა თავი).

უნდა იყოს, - რომელიც ჩემთვის *ატმანის* ცოდნის გადმოცემას შეძლებს, მოვიდეს და გააკეთოს ეს». ცნობაში აგრეთვე ითქვა, რომ ეს ადამიანი სწავლების ისეთ სრულყოფილ მეთოდებს უნდა ფლობდეს, რომ მეფემ *ატმანის* ცოდნის მიღება შეძლოს, ანუ რამდენიმე წამში თავის ჭეშმარიტ «მე»-ს ჩასწვდეს. მეფეს სურს, რომ ცხენზე შეჯდება თუ არა, უკვე *ატმურ* სიბრძნეს იყოს დაუფლებული! მეფის ბრძანებაში ნათქვამი იყო: «თუ ადამიანი, რომელიც ჩემთვის *ატმანის* გადაცემის საქმეს ხელს მოკიდებს, გონების ასეთი ელვისებური განათებით ვერ «უზრუნველმყოფს», მაშინ, უდიდესი ღვთისმეტყველი, ცნობილი სწავლული ან ყველაზე უფრო განათლებულიც თუა ჩემს სამეფოში, ნუ მოვა». ამ მოთხოვნების გაგებისას პანდიტებმა და ბრძენებმა თავისი თავის რწმენა დაკარგეს. ესმოდათ, რომ ეს მათი ცოდნისა და ოსტატობის მეტისმეტად მკაცრი გამოცდაა, და ამ საქმისთვის ხელის მოკიდება ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა.

ზუსტად ამ დროს ჯანაკას სამეფოში ჭაბუკი გამოჩნდა, სახელად აშტავაკრა<sup>2</sup> («რვა ადგილას მოკაკული»). როდესაც იგი მითჰილაპურის დედაქალაქში მიდიოდა, გზაში ხშირად ხვდებოდა ადამიანებს, რომელთა შორისაც მრავალი *პანდიტი* და სწავლული იყო; მათი სახეები ნაღველსა და წუხილს გამოხატავდა. აშტავაკრამ ჰკითხა, რა იყო მათი მღელვარებისა და წუხილის მიზეზი, და მათ მეფის გზავნილის შესახებ უამბეს. მაგრამ აშტავაკრას ვერ გაეგო, ასეთმა უბრალო ამოცანამ ეს ხალხი რატომ შეაცბუნა და თქვა: «სიამოვნებით დავეხმარები მეფეს» - და ჯანაკას სასახლისკენ გაბედულად გაემართა. მან მეფეს უთხრა: «ძვირფასო მეფევ, მზად ვარ *ატმანის* ცოდნის გამოცდილება მოგცე ისე, როგორც შენ გსურს. მაგრამ ამ წმინდა ცოდნის გადაცემა ადვილი არ არის. შენი სასახლე *რაჯასისა* და *ტამასის გუნებითაა*<sup>3</sup> სავსე. ჩვენ ეს ადგილი უნდა დავტოვოთ და წავიდეთ იქ, სადაც სუფთა *სატვავა* გამეფებული». ისინი სასახლიდან გამოვიდნენ და ტყისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. კანონის თანახმად, თუ მეფე სასახლიდან გადიოდა, მას

---

<sup>1</sup> მაჰარიში – დიადი ბრძნი.

<sup>2</sup> აშტავაკრა – ბრძნ უდალაკას შვილისვილი; უდალაკამ იი დდის მუცელში დასწყვლა და «რვა ადგილას მოკაკული» დაიბადა.

<sup>3</sup> უნბი (სატვა, რაჯასი და ტამასი) – სამი ძირითადი ხარისხის ძაფი, თვისბზი, რომლისანაც ბუნბის მთლი ქსოვილი იწვნბა; სატვა არის სიწმინდ, სიმშვიდ, ჰარმონია, ცოდნა; რაჯასი – მოძრაობა, აქტიურობა, ვნბა, მიბმულობა; ტამასი – ინრტულობა, სტაბილურობა, ჩამორჩნილობა, უმცრბა.

მეომართა რაზმი თან უნდა ხლებოდა. მაგრამ ტყეს რომ მიაღწიეს, ჯანაკამ დაცვა დაითხოვა.

ცხენზე შემჯდარი მეფე და აშტავაკრა ტყეში შევიდნენ. აშტავაკრამ მეფეს უთხრა: «შენს სურვილს მანამადე არ შევასრულებ, სანამ ჩემს პირობებს არ მიიღებ. რა თქმა უნდა, მე მხოლოდ და მხოლოდ ბიჭი ვარ, მაგრამ ახლა მოძღვრის როლში გამოვდივარ; შენ მძლავრი მმართველი ხარ, მაგრამ ახლა ჩემს მოსწავლეს წარმოადგენ. მზად ხარ ჩვენ შორის ასეთი ურთიერთობა აღიარო? თუ თანახმა ხარ, მაშინ შენი ვალია მოძღვარს ტრადიციული საჩუქარი – *გურუ დაქშინა*, – შიშის (მოსწავლის) მიერ *გურუსთვის* (მასწავლებლისთვის) მოკრძალებული ძღვენი, შესთავაზო. როგორც კი ამ საჩუქარს შემომთავაზებ, მაშინვე შევუდგები შენს სწავლებას». მეფე ჯანაკამ უპასუხა: «ღმერთის შეგნება ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ მზად ვარ ყველაფერი მოგცე, რასაც კი მთხოვ». აშტავაკრა შეეპასუხა: «არავითარი მატერიალური საჩუქარი მე არ მჭირდება, ერთადერთი, რისი მიღებაც მინდა, ეს არის შენი გონება. სწორედ ის უნდა მომცე». მეფემ თქვა: «დაე, როგორც თქვი, ასე იყოს, შენ გაბარებ ჩემს გონებას. ამ დრომდე მას ჩემად ვთვლიდი, ამიერიდან კი იგი მხოლოდ შენ გეკუთვნის».

მაშინ აშტავაკრამ ჯანაკას უბრძანა ჩამოქვეითებულიყო, ცხენი მიეხა და შუაგზაზე დამჯდარიყო, სახით ცხენისკენ. თვითონ კი დაბურულ ტყეში შევიდა და ხის ქვეშ მშვიდად ჩამოჯდა. მეფის მეომრები ტყის პირას რამდენიმე საათს იცდიდნენ. ტყიდან არავინ გამოდიოდა, არც მეფე, არც ბიჭი. მეომრებს სურდათ გაერკვიათ, თუ რა ხდებოდა და ისინი ერთიმეორის მიყოლებით საძებნელად გაემართნენ. მალე ტყის გზაზე მჯდარი მეფე აღმოაჩინეს. მეფის წინ მისი ცხენი იდგა. მეფეს თვალები დახუჭული ჰქონდა და უძრავად იჯდა. აშტავაკრა არსად ჩანდა. მეომრებს შეეშინდათ, რომ აშტავაკრამ მეფე რაღაც მაგიური გრძნებით შეკრა და იგი შეურაცხ მდგომარეობაში ჩავარდა. გადაწყვიტეს მთავარი მინისტრისთვის დაეძახათ.

მინისტრი თავისი ეტლით მოვიდა, მეფეს მიუახლოვდა და დაუძახა: «მეფეო! მეფეო! მეფეო!» მაგრამ ჯანაკა თვალდახუჭული კვლავ უძრავად იჯდა. მთავარი მინისტრი შიშმა მოიცვა. ისიც და მეფის მთელი ამაღლა, მეფის მეომრები, ძალიან აღელდნენ. მეფის სადილობის დროც გავიდა, ის კი არც განძრეულა. დღე მიიწურა, ბინდი ჩამოწვა, მეფე კი ისევ გზის

შუაგულში სრულიად უძრავად იჯდა. მინისტრმა გადაწყვიტა თავისი ეტლი სასახლეში დედოფლის მოსაყვანად გაეგზავნა, მას იმედი ჰქონდა, რომ თუ დედოფალი მეფეს დაელაპარაკება, იგი აუცილებლად გამოეხმაურება. დედოფალი მეფეს მიუახლოვდა და მიმართა: «რაჯა, რაჯა, რაჯა!» მეფეს რეაგირება არ მოუხდენია და კვლავ უძრავად იჯდა. ამ დროს დაცვის მეომრებმა ტყის გაჩხრეკისას ბოლოს და ბოლოს ხის ძირში მშვიდად მჯდარ აშტავაკრას მიაგნეს.

მეომრებმა ბიჭს ხელი დაავლეს და იმ ადგილისკენ წაიყვანეს, სადაც მეფე იჯდა. აშტავაკრამ უთხრა მათ: «ასე რატომ ღელავთ? მეფე უსაფრთხოდ არის, და ყველაფერი კარგად არის». მაგრამ ისინი არ უსმენდნენ და გაუნძრევლად მჯდომ მეფესთან მიიყვანეს. მეომარმა იყვირა: «აი, ახლა ხედავ? უყურე, მეფეს რა დაემართა!» ამ წუთამდე, ვისაც კი არ მიუმართავს მისთვის, - მინისტრებს, დედოფალს, მსახურებს, მეომრებს, - მეფეს პასუხად ხმა არ ამოუღია და თვალი არ გაუხელია. მაგრამ როგორც კი აშტავაკრა გაჩნდა და დაელაპარაკა მას, უცებ თვალები გაახილა და წამოიძახა: «სვამი!» აშტავაკრამ მეფეს ჰკითხა: «შეხედე, რა ბევრი ხალხია აქ - მინისტრები, მეომრები, ამაღა, დედოფალი, - ისინი შენ გეძახდნენ, რატომ არ პასუხობდი?» ჯანაკამ უპასუხა: «აზრები, სიტყვები და მოქმედებები გონებასთანაა დაკავშირებული, მე კი გონება უკლებლივ შენ მოგეცი. ამიტომ, გონების ხმარებისთვის შენი ნებართვა იყო საჭირო. რა უფლება მქონდა შენი ნებართვისა და ბრძანების გარეშე ვინმესთან მელაპარაკა ან ეს გონება რაიმე სხვა სახით მეხმარა?» მაშინ აშტავაკრამ თქვა: «შენ ღმერთის შეგნების მდგომარეობას მიუახლოვდი».

აშტავაკრამ ჯანაკასუბრძანა მარცხენა ფეხი უზანგში გაეყარა და ცხენს შემოხტომოდა. სანამ მეფე ცხენზე ჯდებოდა, უნაგირს ერგებოდა და მარჯვენა ფეხს უზანგში უყრიდა, მან *ატმანის* (ჭემმარტი «მე»-ს) განცდა მიიღო. ვინც თავისი გონება, და მასთან ერთად ყველა აზრი, სიტყვა და მოქმედება, ვინმეს მიანდო, მას არც უფლება, არც ძალაუფლება გააჩნია რაიმე მოქმედება შეასრულოს იმისი ნებართვის გარეშე, ვისაც მან ეს გონება მისცა.

## მუდამ ფხიზლად იყავი

ოდესღაც ერთი წმინდა მუსლიმანი ცხოვრობდა, სახელად ხაზარატ მუჰამადი. იგი უაღრესად ღვთისმოსავი და მაღალი ზნეობის პატრონი იყო, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ მან გრძნობებზე სრულ კონტროლს მიაღწია. მას ერთგულ მოსწავლეთა ჯგუფი ჰყავდა.

წმინდანი მოხუცდა და როდესაც იგრძნო, რომ სიკვდილი მოახლოვდა, ამ მოვლენისთვის მზადება დაიწყო. იგი ყელში ძლიერი ტკივილისგან იტანჯებოდა, და სუნთქვა ძალიან უჭირდა. მოსწავლეები გარს შემოერთყენენ; მათ ძალიან უნდოდათ მასწავლებლის ბოლო სიტყვები მოესმინათ. მოხუცს მოსწავლეებისთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყელის ტკივილი ამის საშუალებას არ აძლევდა. მოსწავლეები ყოველნაირად ცდილობდნენ დახმარებოდნენ და ევედრებოდნენ: «მასწავლებელო, გვითხარი, რისი თქმაც გინდა». მაგრამ ხაზარატ მუჰამადი ღრმა მედიტაციას მიეცა. მოსწავლეთა სიტყვები მას უკვე აღარ ესმოდა. მაგრამ მათმა გულითაღმა და გულწრფელმა ლოცვებმა ტანჯვები შეუმსუბუქა, და იგი ტკივილს აღარ გრძნობდა. მაშინ მან თვალი გაახილა და თავის სამეურვეოებს შეხედა. გახარებული მოსწავლეები კვლავ შეევედრნენ: «მასწავლებელო, გვითხარი, რა არის შენი უკანასკნელი სურვილი? ჩვენ მას აუცილებლად შევასრულებთ».

ხაზარატ მუჰამადმა თქვა: «ჩემო ძვირფასებო, ამწუთას საოცარი სიზმარი ვნახე. *მაია* – ილუზიიც ძალა – ლანდივით მომდევდა უკან. მე ვკითხე მას: «რატომ მომყვები?», - და მან მიპასუხა: «მუჰამად, ამქვეყნად შენ ერთადერთი ხარ, ვინც ჩემი მსახური არ გახდა. შენ მე დამამარცხე». - «*მაია*, ვუთხარი მე, - გთხოვ, ნაჩქარევი დასკვნები ნუ გამოგაქვს და ნუ მარწმუნებ, რომ შენს მარწუხებს დავეხსენი. ბოლო ამოსუნთქვამდე დარწმუნებული არ ვიქნები იმაში, რომ იმად დავრჩები, რაც წინათ ვიყავი, - იქამდე, როდესაც ჩემს სხეულს სიკვდილი წაიღებს. სულ ბოლო წამს შეიძლება კვლავ შენს მომხიბვლელობას დავემორჩილო». და ღმერთს მდუმარედ შევევედრე, რომ მარადიული თავშესაფარი მოეცა ჩემთვის.

ჩემო შვილებო! დაიმახსოვრეთ, რომ ცხოვრების ყოველ წამს ფხიზლად უნდა ვიყოთ. ჩვენ არ ვიცით, *მაია* თავის მახეში როდის და როგორ გაგვაბამს. ამიტომ ღმერთი არც ერთ წამს არ დაივიწყოთ, განუწყვეტლივ ილოცეთ, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაეუფლებით გრძნობებზე კონტროლს. ეს ჩემი ბოლო სიტყვაა თქვენთვის».

50

## სერ ისააკ ნიუტონის თავმდაბლობა

რა თქმა უნდა, თქვენ ყველას გაგიგიათ სერ ისააკ ნიუტონის სახელი, მე-18 საუკუნის ინგლისელი მეცნიერის, სახელი. იგი მუდამ ლაბორატორიაში იყო, ცდებს ატარებდა და თავის აღმოჩენებს აღწერდა. მას ძალიან უყვარდა ცხოველები, საყვარელი ძაღლი და კატა ჰყავდა. ჩვეულებრივად იგი ლაბორატორიის კარს შიგნიდან კეტავდა, რომ კატას და ძაღლს მისთვის ხელი არ შეეშალათ. კატა პატარა და მშიშარა იყო, მას ყოველთვის პატრონთან უნდოდა ყოფნა და ლაბორატორიის კარს ფხაჭნიდა და კნაოდა, რომ შეეშვათ. იუტონის კატა ეცოდებოდა, მაგრამ კარის ღიად დატოვება არ უნდოდა, რომ ადამიანები და ცხოველები არ შემოსულიყვნენ. ნიუტონმა ხურო მოაყვანიდა და სთხოვა კარში ნახვრეტი გაეკეთებინა, რომ კატას გასვლა და გამოსვლა თავისუფლად შესძლებოდა. ხურომ სამუშაო შეასრულა, ნიუტონი კი თავისი მოსაზრებულობით კმაყოფილი დარჩა. გავიდა დრო, კატამ კნუტი გააჩინა. ნიუტონმა ხურო კვლავ გამოიძახა და უთხრა: «კარში კიდევ ერთი ნახვრეტი გააკეთე, რომ კნუტს გაძრომა შეეძლოს». ხურო გაკვირვებული იყო ნიუტონის ბავშვური გულუბრყვილობით. «სერ, - თქვა მან, - მეორე ნახვრეტის გაკეთება არ არის აუცილებელი. კატას და კნუტს ერთ ნახვრეტში შეუძლიათ გაძრომა». ნიუტონმა თქვა: «რა ჭკვიანი ხარ! ნამდვილად, დღეს მე შენგან ზოგიერთი რამ ვისწავლე».

ასეთი იყო ნიუტონის, მსოფლიო მეცნიერის, უბრალოება. თუ ადამიანმა თავისი სწავლულობისა და ინტელექტუალური უნარის წყალობით აღიარება და სახელი მოიპოვა, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ



არის. თავმდაბლობა და უბრალოებაა კიდევ საჭირო, რომ სხვა ადამიანთა ცოდნისა და ხელოვნების შეფასება შეეძლოს.

51

## ეინშტეინისგან აილეთ მაგალითი

უდიდესი მეცნიერი ეინშტეინი ხალხთან ურთიერთობის უბრალოებით, სადა ტანსაცმლის ტარებითა და უბრალო ქცევით იყო ცნობილი. სამუშაოსთვის მას ერთი დასტა ქაღალდი, ფანქარი და ნაგვის კალათი ჰყოფნიდა. მისი ცხოვრებიდანმრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც ადამიანების მიმართ მის სიყვარულს, თავმდაბლობასა და ქედმაღლობის არქონას ადასტურებს.

იმავე კვარტალში, სადაც ეინშტეინს ბინა ჰქონდა, ერთი ძალიან საწყალი ქალი ცხოვრობდა ქალიშვილთან ერთად. გოგონა სკოლაში დადიოდა, მაგრამ მათემატიკაში ძალიან ჩამორჩენილი იყო. დედას იმისი საშუალება არ ჰქონდა, რომ რეპეტიტორი დაექირავებინა; გოგონა ძალიან უბედურად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ მათემატიკას ვერ ითვისებდა.

ერთხელ დედამ უთხრა: «შვილო, აქვე ახლოს, ჩვენს კვარტალში, ცნობილი მათემატიკოსი ეინშტეინი ცხოვრობს. მასთან ხომ არ წახვიდოდი და სთხოვდი, რომ მათემატიკაში ცოტა წამოგწიოს?» გოგონა ეინშტეინის სახლში წავიდა. მას თავაზიანად დახვდნენ, და მეცნიერმა ჰკითხა: «რა გინდა, შვილო?» გოგონამ უპასუხა: «სერ, შეიძლება თხოვნით მოგმართოთ? მათემატიკაში სრულიად არაფერი გამეგება და ვშიშობ, როგორც შარშან, გამოცდაზე ახლაც ჩავიჭრები. აი მოვედი გთხოვოთ: ცოტას ხომ მარ მამეცადინებდით?» ეინშტეინმა უპასუხა: «რა თქმა უნდა, შვილო, ხვალიდან დავიწყეთ. მე გასწავლი მათემატიკას. ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება». გოგონამ მეცნიერს მადლობა გადაუხადა და შინისკენ გასწია.

მეორე დღეს მეცადინეობა დაიწყო. ერთი თვის შემდეგ დედა ეინშტეინთან მივიდა და უთხრა: «სერ, მე უაღრესად მადლობელი ვარ თქვენი იმის გამო, რომ ჩემს შვილს ამეცადინებთ. მაგრამ ვშიშობ, რომ ამ

გაკვეთილებით დროს ხარჯავთ და იტვირთებით». ეინშტეინმა უპასუხა: «პატივცემულო ლედი, ჩემთვის სასიამოვნოა თქვენი გოგონას სწავლება. სიმართლე რომ ვთქვათ, ჩემთვის ეს გაკვეთილები კარგი შანსია გოგონასგან ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების სიბრძნე ვისწავლო. მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რა უმეცარი ვყოფილვარ ყველაფერ იმაში, რაც ადამიანთა რეალურ ცხოვრებას შეეხება. მე უნდა ვუთხრა მადლობა თქვენს გოგონას». გოგონას დედა განცვიფრებული იყო იმით, თუ როგორი თავმდაბლობა და ხალხისადმი სიყვარული გააჩნდა ეინშტეინს.

## 52

### თავდაჭერილობა

თქვენთვის ალბათ ცნობილია წმინდან ტუკარამას<sup>1</sup> სახელი და მისი *ბჰაჯანები*<sup>2</sup>. იგი უფალ პანდურანგას<sup>3</sup> მგზნებარე თაყვანიცმცემელი იყო. ტუკარამა განუწყვეტლივ საყვარელი უფლის სადიდებელ *ბჰაჯანებს* მღეროდა, - მუშაობის დროსაც, და თაყვანისცემის წესების შესრულების დროსაც.

ერთხელ მან ერთი აკრი (0,4 ჰექტარი) მიწა შეიძინა და მასზე შაქრის ლერწამი დათესა. მოსავალი კარგი მოვიდა და ტუკარამამ ლერწმის აღება დაიწყო. იგი ლერწამს საზიდარზე აწყობდა.

ერთ საღამოს ტუკარამა მინდვრიდან მწიფე ლერწმით თავამდე დატვირთული საზიდრით ბრუნდებოდა. სოფლის ბავშვები სირბილით მიჰყვებოდნენ და უყვიროდნენ: «პაპა, მოგვეცი ცოტა ლერწამი!» ტუკარამა ყველა ადამიანის მიმართ დიდი სიკეთით იყო განწყობილი, განსაკუთრებულ სიყვარულს კი უცოდველი ბავშვების მიმართ გრძნობდა. მან ყოველ ბავშვს თითო ლერწამი მისცა. როდესაც იგი სახლში მივიდა, საზიდარი უკვე ცარიელი იყო – მასში ერთადერთი ლერწამი იდო. ცოლი კართან იდგა და უცდიდა. საზიდარი ცარიელი რომ დაინახა, ქმარს მრისხანედ შეხედა და უყვირა: «შენ რა, ჭკუიდან შეიშალე? თუ დაგავიწყდა, რომ სახლში ცოლ-შვილი გყავს? სად

<sup>1</sup> ტუკარამა – შუა საუკუნების პოტი, მუსიკოსი და ბჰაქთის (ღმრთის რთულობის) მქადაბლი, რომლიც მაჰარაშტრას შტატში ცხოვრობდა; წრდა მარათჰის ნაზ.

<sup>2</sup> ბჰაჯანი – ღმრთის სადიდბლი ალობა.

<sup>3</sup> პანდურანა – კრიშნას იპოსტასი, რომლსაც ქ. პანდარპურში სცმნ თაყვანს.

გაგონილა მთელი მოსავლის მუქთად დარიგება? შენ რა, გინდა, რომ შიმშილით ამოვწყდეთ?» - მან დარჩენილი ლერწამი ხელში აიღო და ქმარს ცემა დაუწყო. ლერწამი სამ ნაწილად დაიმტვრა. ტუკარამამ სიხარულით წამოიძახა: «ჩემო კარგო, რა ჭკვიანი ხარ! შენ ჩემი ამოცანა გადაწყვიტე. მე ძალიან ვღელავდი, ეს ლერწამი თქვენ სამზე როგორ გამენაწილებინა, და აი ახლა თვითონ გატყდა სამ ნაწილად, - ერთი შენ და თითოც – ბავშვებს».

ასეთია ღმერთის ჭეშმარიტი ერთგულის ბუნება: იგი სიყვარულითაა აღვსილი მათ მიმართაც კი, ვინც მას აწყენინებს.

სიყვარული თავის მიცემაა.

სიყვარული გასცემს და პატიობს.

## 53

### რა არის

### პატიების უნარი

მეფე აურანგაზებს ქალიშვილი ჰყავდა სახელად ზაბუნისა. პრინცესა თვით სრულყოფილება იყო. იგი არა მხოლოდ ულამაზესად, არამედ ძალიან განათლებულ ქალიშვილადაც ითვლებოდა, ლექსებს თხზავდა, ინდურ კულტურას ძალიან აფასებდა და კარგი და თანამგრძნობი ზნეობის პატრონი იყო.

ერთხელ პრინცესა ბაღში იჯდა და მშვენიერი, წყნარი საღამოთი ტკბებოდა. მან მსახურს სთხოვა სასახლიდან მამის მიერ ნაჩუქარი სარკე მოეტანა მისთვის. მსახური-გოგო დავალების შესასრულებლად გაიქცა, და საუბედუროდ, უკან რომ ბრუნდებოდა, სარკე ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა. საწყალი მსახურის გულიც კინალამ გასკდა! «რა უნდა ვქნა ახლა მე? – ატირდა იგი. – ჩემი საქციელი არასაპატიოა! რაც იქნება, იქნება! მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო». ამ ფიქრებით იგი სარკის ნამსხვრევებით ხელში ზებუნისს მიუახლოვდა. გულამოსკვნილი ტირილით იგი თავის საყვარელ პრინცესას ფეხებში ჩაუვარდა და მიმართა: «ჩემო ქალბატონო! შენი ძვირფასი სარკე გავტეხე. ასეთი ქციელისთვის მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო». ზებუნისმა თავზე ხელი ალერსით გადაუსვა და უთხრა: «ნუ სწუხხარ, მოხარული

ვარ, რომ ეს პირფერი სათამაშო გატყდა. რატომ უნდა ვიდარდოთ ამის გამო? სხეულიც კი, რომლის საამებლადაც ეს სამშვენივრები გამოიგონეს, ოდესღაც მოიშლება და გაქრება».

ცხოვრებისა და მისი ფუჭი სიამოვნებების მიმართ მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას შეუძლია მოგვცეს ძალა იმისათვის, რომ განსაცდელისა და მძიმე დანაკლისის დროსაც კი აუღელვებელი და მშვიდი ვრჩებოდეთ.

## 54

### ჯნიანა დევი – ნამა დევი

ჯნიანა დევი და ნამა დევი (სიბრძნისა და სახელის ღვთაებები) ტყეზე გადიოდნენ. ისინი წყურვილისგან იტანჯებოდნენ, მაგრამ გზად არც წყარო შეხვედრიათ, არც ტბა. ბოლოს და ბოლოს ჭას მიადგნენ. მათ შიგ ჩაიხედეს; ჭაში წყალი იყო! მაგრამ როგორ უნდა დაეღიათ? წყლის ამოსაღებად არც თოკი ჰქონდათ, არც ჭურჭელი. ჭაში ჩასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო: იგი იმდენად ძველი იყო, რომ მაშინვე ჩაინგროდა. ჯნიანა დევმა თვალები დახუჭა, როგორც ლოცვის დროს ხდება, და ფრინველად იქცა. ფრინველი ჭაში ჩაფრინდა და წყურვილი მოიკლა. ნამა დევმა დიდი ერთგულებით უფალ ვიტალას (ვიშნუს) სახელის სადიდებელი გალობა დაიწყო. წყალმა ნელ-ნელა ამოიწია იმ დონემდე, სადამდეც ნამა დევას ხელი მიუწვდებოდა. წყურვილი მანაც მოიკლა. ასეთია *ნამასმარანას* (სახელის დიდების) ძალა.

## 55

### ვინ არის

### ნამდვილი ფილოსოფოსი?

სოკრატე იყო უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, სიმართლის მაძიებელი და შემფასებელი. მთელი თავისი ცხოვრება მან ჭეშმარიტების ძებნას მიუძღვნა. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი ადამიანის უპირველესი ვალი საკუთარი თავის შეცნობაა. შეიცანი საკუთარი «მე» - ასეთი იყო მისი გზავნილი და ცხოვრებისეული მრწამსი. იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა კითხვაზე «ვინ ვარ მე?»

ერთხელ სოკრატე ქუჩაში მიდიოდა, როგორც ყოველთვის, მთლიანად ფიქრებში წასული. რა თქმა უნდა, თავისი «მე»-ს ბუნებაზე ფიქრობდა. გზად სახელმწიფო მოხელე შემოხვდა, რომელიც სამსახურიდან ახლახან გაათავისუფლეს. ისიც ფიქრებში იყო წასული; მას თავისი საკუთარი პრობლემები აწუხებდა. იგი ფიქრობდა: «სამსახურიდან გამათავისუფლეს. სად ვიშოვო ახლა ჩემთვის შესაფერისი სხვა სამუშაო?» იმის გამო, რომ ორივე ფიქრებში იყვნენ წასული, ერთმანეთს შეეჯახნენ. გაბრაზებულმაყოფილმა მოხელემ იყვირა: «როგორ დადიხართ ქუჩაში? ვერა ხართ კარგად? ვინ ხართ?» პასუხად სოკრატემ სალამი მისცა და თქვა: «პატივცემულო, ძალიან დიდი მადლობელი დავრჩებოდი, თუკი მეტყოდით, ვინ ვარ მე. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის პოვნას ვცდილობ». მოხელე ვერ მიხვდა, სოკრატეს რა ჰქონდა მხედველობაში. მან ჩათვალა, რომ იგი ჭკუიდან გადასულია და ხელჯოხის ქნევით გაეცალა.

სოკრატე სახლში საღამოს დაბრუნდა. ცოლი მას სადილზე უცდიდა. მაგრამ სოკრატე კაბინეტში თავის უბრალო სკამზე დაჯდა და კვლავ ფიქრს მისცა თავი. ცოლმა მაგიდასთან უკვე მესამედ დაუძახა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს და ბოლოს მან წონასწორობა დაკარგა და ქმარს ჩამჩით ცივი წყალი გადაასხა თავზე. სოკრატემ ღიმილით წამოიძახა: «ო, როგორც იქნა, წვიმა წამოვიდა, თორემ მხოლოდ ელავდა და ქუხდა!» მას ცოლის საქციელი და მრისხანე ტირადა ოდნავაც არ სწყენია.

56

## ყველაფერში კარგის დანახვა იცოდე

ქუჩაში ხალხი მიდიოდა და ცხვირზე ცხვირსახოცს იფარებდა: გზის პირას მკვდარი ძაღლი ეგდო. «ფუ, მესამე დღეა, რაც აქ გდია და ლპება», - წამოიძახა ერთ-ერთმა მათგანმა. «რა საშინლად ყარს», - თქვა მეორემ. «მეუზოვეებმა აქამდე რატომ არ მოაცილეს?» - უკმაყოფილება გამოთქვა მესამემ. მათ უკან რბილი წყნარი ხმა გაისმა: «ხალხო, ნუთუ ვერ ხედავთ, რა ლამაზი და თეთრი კბილები აქვს ამ ძაღლს? ადამიანსაც კი არა აქვს ასეთი თეთრი კბილები». ეს იყო იესოს ხმა. ეს გაკვეთილი ჩვენთვის

არის: განავითარეთ მიდრეკილება ყველაფერში მხოლოდ კარგს ხედავდეთ.

57

## ბრძენნი სიტყვიერად

ერთ პატარა სამეფოში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მუდამ ჯანმრთელი და ბედნიერი იყო. ყველა მცხოვრები – მეფეც და ქვეშევრდომებიც – თავიანთი კარგი ბედის გამო თანდათან სიამაყით აღივსნენ და წარმოდგენა შეექმნათ, რომ ასეთი კარგი ბედი შეუდარებელი მართლქმედებისთვის იყო მათთვის ნაჩუქარი. ვინაიდან არავინ და არასოდეს ავადმყოფობდა, ამიტომ სამეფოში ექიმები არ იყვნენ. ერთხელ სამეფოს დედაქალაქს ერთი მკურნალი ეწვია და სიხარულით შენიშნა, რომ იგი თავისი პროფესიის ერთადერთი წარმომადგენელია და მთელ ქვეყანაში მას კონკურენტი არ ჰყავს. მაგრამ ვისაც კი არ ჰკითხა მისი ჯანმრთელობის შესახებ, მუდამ ასეთ პასუხს იღებდა: «ჩვენ ყველა *ბრაჰმაჯნიანები* (ვინც ღვთაებრივ სიბრძნეს ჩასწვდა) ვართ, და არავითარ სნეულებას არ შეუძლია, რომ მოგვეკაროს. ჩვენ ღმერთის ბედნიერი რჩეულნი ვართ, და მან ჯანმრთელობითა და ბედნიერებით დაგვლოცა. ტყუილად ნუ ხარჯავ აქ დროს, გირჩევნია სხვა ადგილი მონახო, სადაც შეგეძლება საჭმლის ფული იშოვო». მაგრამ ექიმი ქალაქის დატოვებას არ ჩქარობდა, და ამასთანავე, იმედი ჰქონდა, რომ მცხოვრებლების ქედმაღლობას როდისმე ბოლო მოეღებოდა.

ერთხელ მეფე მოულოდნელად ავად გახდა, და მკურნალი სასწრაფოდ სასახლეში გამოიძახეს. იგი გახარებული იყო, რომ ღმერთმა შესაძლებლობა მისცა თავისი საექიმო ხელოვნება გამოევილინა. იგი მეფეს მოწიწებითა და კეთილსინდისიერად მკურნალობდა და ავადმყოფის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. მაგრამ ერთხელ მეფემ უთხრა: «პატივცემულო, მე გოლწრფელად შენი მაღლიერი ვარ მკურნალობისთვის, მაგრამ უფრო სწრაფად ხომ არ მომარჩენდი? მე მთელი დღე ლოგინში წოლას არ ვარ მიჩვეული». ექიმს უნდოდა მეფისთვისა და მისი ხალხისთვის ჭკუა ესწავლებინა, და ამიტომ უთხრა: «მეფევ, არის ერთი სწრაფი საშუალება, მაგრამ ვშიშობ, რომ მე ვერ შევძლებ იმის შოვნას, რაც წამლის დასამზადებლად არის საჭირო». მეფემ უპასუხა: «შენ ალბათ ჩემი მინისტრებისა და ქვეშევრდომების უნარში

ექვი გეპარება. ისინი ბედნიერნი იქნებიან იშოვონ ის, რასაც შენ იტყვი. ისინი ყველა *ბრაჰმაჯნიანებია*. მათ ვერავითარი სიძნელე ვერ შეაჩერებს; ისინი მზად არიან თავის საყვარელ მეფეს ყველაფერი შესწირონ. თქვი, რა არის საჭირო». ექიმმა უპასუხა: «ბატონო! მოხარული ვარ, რომ ასე დარწმუნებული ხარ. მე *ბრაჰმაჯნიანის* სხეულის ფუნქტის სულ რაღაც მეოთხედი ნაწილი მჭირდება». «ო, ეგ ადვილი საქმეა!» - წამოიძახა მეფემ. მან სასწრაფოდ მინისტრი მოიხმო და უბრძანა რაც შეიძლება მალე ფუნქტის მეოთხედი ნაწილი ხორცი ეშოვა ნებისმიერი *ბრაჰმაჯნიანის* სხეულიდან.

მინისტრი გვიან საღამოს დაბრუნდა, შესახედაობა მას ნაღვლიანი და შეცბუნებული ჰქონდა. მეფემ მოუთმენლად ჰკითხა: «ასე რატომ დაიგვიანე? სად არის ხორცი, მოიტა». მინისტრი შეევედრა: «მეფეო! ნუ გამიწყობი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ხორცის შოვნა ვერ შევძელი. როდესაც ხალხს ვეუბნებოდი, რა გჭირდებოდა, უკლებლივ ყველა ასე მპასუხობდა: «მე არ ვარ *ბრაჰმაჯნიანი*. ნუთუ შენ თვლი, რომ ისეთ ქალაქებში, როგორც ჩვენია, ბრძენთა მონახვა შეიძლება? ნუთუ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ *ბრაჰმაჯნიანები* ვართ?»

ამის გაგონებაზე მეფემ ძალიან გაიკვირვა და ექიმს საცოდავად შეხედა. ექიმმა თქვა: «მეფეო, ნუ ნაღვლობ. ასეთია ეს სამყარო. სიტყვიერად თავის გამოცხადება ნებისმიერ ვინმედ შეიძლება, მაგრამ მაღალი იდეალის შესატყვისად ცხოვრება უაღრესად ძნელია. შენ უკვე სრულიად ჯანმრთელი ხარ. ყველაფერი კარგად არის. მე არავითარი ხორცი არ მჭირდება. ეს პატარა სპექტაკლი მხოლოდ იმისთვის გავითამაშე, რომ შენთვის თვალი ამეხილა, რომ სიმართლე დაგენახა. მაპატიე».

ყოველი ადამიანი არის «სამი ერთში»: ის, რაღაც თავს თვითონ თვლის, ის, რასაც მასზე სხვები ფიქრობენ და, ბოლოს, ის, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს.

58

## შენს თავს თვითონ დაეხმარე

უფალ რამას ერთგული ყოველთვის ტაძარში დადიოდა, ღმერთს თაყვანს სცემდა და მის სახელს ადიდებდა. ერთხელ მას ქალაქიდან

თავის სოფელში სურსათ-სანოვაგით დატვირთული საზიდარი მიჰყავდა. გზაში საზიდარი გადაბრუნდა. იგი მასთან ჩამოჯდა და თავის ბედზე ჩვილს მოჰყვა. შემდეგ იფიქრა, რომ თუ ღმერთ რამაზე გულით ილოცებს, იგი აუცილებლად მოვა და საზიდარს წამოაყენებს. მან თვალეხი დახუჭა და რამას სახელი 1008-ჯერ გაიმეორა. მაგრამ რამა არ გამოჩნდა. მან ღმერთის ბრძანად რწმენის გამო თავისი თავის კიცხვა დაიწყო და ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ღმერთის თანაგრძნობის შესახებ ეპოსში მოთხრობილი ყველა ამბავი უბრალოდ გამონაგონია. უცებ მან ხმა გაიგონა: «უგუნურო, მე შენ ძალა და გონება მოგეცი. ვალდებული ხარ ისინი გამოიყენო. ხელი გაანძრე. ძალისხმევა გამოიჩინე, რომ ცუდად გაკეთებული საქმე გამოასწორო. როცა პრობლემას თვითონ ვერ გადაწყვეტ, მაშინ მოვალ დასახმარებლად!»

59

ვინ არის

ჭეშმარიტი პანდიტი?

მეფე ჯანაკას კარი ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრი იყო: აქ სწავლულები დებატებს მართავდნენ, ფილოსოფოსები და ბრძენები საუბრებს ატარებდნენ. გადაწყდა, რომ დისპუტზე ვედების მცოდნეები შეეკრიბათ; სწავლულებს მოსაწვევები დაეგზავნათ ასამბლეაში მონაწილეობისთვის, რომელიც მთელი კვირა უნდა გაგრძელებულიყო. ყოველდღიურ შეკრებებზე თვით მეფის მეთაურობით მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ დასწრება.

ახალგაზრდა აშტავაკრას, რომელიც შესახედავად მოუხეშავი, მაგრამ მძლავრი ინტელექტის პატრონი იყო, ამ შეკრებაში მონაწილეობის მიღება უნდოდა. ხალხმა აშტავაკრას შესახებ და მის ღირსებებზე არაფერი იცოდა. მას კი ღმერთის და თავისი ძალების უდიდესი რწმენა ჰქონდა. იგი ენთუზიაზმით სავსე იყო, როდესაც სასახლის კარს მიადგა. მაგრამ ბრძენთა მაღალ შეკრებაზე გარეგნობით ასეთ საწყალ და შეუხედავ ახალგაზრდას ვინ შეუშვებდა? გარშემო ყველა მას დასცინოდა. კარებთან მთელი სამი დღე იცადა. თავისი განზრახვის შეცვლას იგი არ აპირებდა და მრავალ სწავლულს მოთმინებით მიმართავდა. ერთ მოხუც



პანდიტს იგი შეეცოდა და მის შესახებ მეფეს აცნობა. მეფემ მსახურებს უბრძანა შემოეშვათ იგი. სწორედ ამ დროს ჯანაყა ტახტზე ავიდა; რიგითი დისკუსია წუთი წუთზე უნდა დაწყებულიყო. დარბაზში საზეიმო სიჩუმე ჩამოვარდა, და ამ მომენტში აშტავაკრა შემოვიდა. სწავლულებმა, როგორც კი გვერდმრუდე ჭაბუკი დაინახეს, რომელიც მაღალ შეკრებაზე მოვიდა, ხმამაღალი ხარხარი მორთეს. მეფე არ იცინოდა და ახალგაზრდას და მის ქცევას ყურადღებით აკვირდებოდა. აშტავაკრამ მიმოიხედა და ვედების მცოდნეებზე უფრო ხმამაღალი სიცილი მორთო! განსწავლულები გაშტერდნენ: «რა უფლებით დასცინის მათ ეს ხეპრე ახალგაზრდა? სიცილისთვის ჩვენ გვაქვს მიზეზი: ამ უცნაური ფიგურის დანახვისას ვის შეუძლია სიცილის შეკავება?» ერთ-ერთმა სწავლულმა მას მოწყალების თვალით შეხედა და ჰკითხა: «უცნობო! ვინ ხარ? ჩვენ არ გიცნობთ. როდესაც გამოჩნდი, შენმა გარეგნობამ სიცილი მოგვგვარა. პასუხად შენ უფრო ხმამაღლა გაიცინე. რა არის ჩვენს ასამბლეაზე სასაცილო?»

აშტავაკრამ აუღელვებლად თქვა: «ჰოდა გიპასუხებთ. ეს შეკრება მე ვედების მცოდნეთა წმინდა ასამბლეად წარმომედგინა, რომელიც ბრძენმა ჯანაყამ მოიწვია. რომ მცოდნოდა, ამ შეხვედრაზე რა ხალხი შეიკრიბა, აქ არასოდეს მოვიდოდი. მთელი სამი დღე მოთმინებით ვიცდიდი, უდიდესი სურვილი მქონდა დიდ პანდიტთა შორის აღმოვჩენილიყავი, მაგრამ ვაი რომ ეს ასე არ არის! აქ მე ვერც ერთი ბრძენი ვერ ვნახე, მხოლოდ მეწაღეთა (*ჩარმაკარასთა*) ჯგუფი დავინახე, რომლებიც მხოლოდ ტყავის დამუშავებაში ერკვევიან». სწავლულები აღშფოთდნენ; მათ თავმოყვარეობის შელახვა იგრძნეს. აშტავაკრამ გააგრძელა: «მხოლოდ მეწაღეები მსჯელობენ ნაკეთობის შესახებ ტყავის მიხედვით, რომლისგანაც იგია დამზადებული. ეს სიტყვა თქვენზეა ზედგამოჭრილი. თქვენ ყველამ ჩემს გარეგნობას დაუწყეთ დაცინვა. ხომ ასეა? უცებ გადაწყვიტეთ, რომ მე ცოდნისა და სამეცნიერო ხარისხთა ღირსი არ ვარ. როგორ შეიძლება თქვენ პანდიტებად იწოდებოდეთ? პანდიტი ის არის, ვისაც ღრმა და სუფთა ხედვა (*სამადარშანა*) გააჩნია. იგი ატმანს უყურებს, რომელიც ყველა ადამიანში ერთი და იგივეა, თქვენ კი, როგორც ჩანს, მხოლოდ გარე, სხეულებრივი გარსი გაღელვებთ. ამ ასამბლეაში არც ერთმა თქვენგანმა ინტერესი არ გამოიჩინა და არ გამოარკვია, რა ცოდნა გამაჩნია მე».

განსწავლულებს შერცხვით და თავები დახარეს. მეფე ჯანაკა ტახტიდან ჩამოვიდა. მან აშტავაკრას შესთავაზა ასამბლეაში ადგილი დაეკავებინა.

ალბათ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ დარჩენილი ოთხი დღის განმავლობაში აშტავაკრა ასამბლეის ყველა დისპუტსა და საუბარს ხელმძღვანელობდა. არ შეიძლება ადამიანის მხოლოდ გარეგნობის მიხედვით განსჯა.

60

## სანამ ითხოვდე, დაიმსახურე

ერთხელ, სანკრანტის დღესასწაულის დროს, დრაუპადი უფალ კრიშნას სასახლეში მივიდა. კრიშნა და დედოფლები მწიფე შაქრის ლერწამს მიირთმევდნენ. ლერწამს რომ ჭრიდა, კრიშნამ ნეკი გაიჭრა, და სისხლი წამოუვიდა. დედოფლები საძინებელ ოთახისკენ გაიქცნენ და სასწრაფოდ ქსოვილის ძებნა დაიწყეს, რომ თითი შეეხვიათ. დრაუპადიმ კი, რომელიც უფლის ლოტოსის ტერფებთან იჯდა, თავის აბრეშუმის სარის მოახია ზოლი და კრიშნას ჭრილობა შეუხვია. ქსოვილის ნაჭრებით ხელში დაბრუნებულმა დედოფლებმა წყენით შენიშნეს, რომ დრაუპადიმ კრიშნას დახმარება უკვე გაუწია.

გავიდა წლები, და დადგა ის დრო, როდესაც ჰასტინაპურში მეფე დჰრიტარაშტრას კარზე დრაუპადის დამცირება დაუპირეს. კაურავები ცდილობდნენ მისთვის სარი ჩამოეგლიჯათ. მეფის მთელი კარის თვალწინ მან ხმამაღლა იყვირა, კრიშნას ევედრებოდა მოსულიყო და მისი ღირსება დაეცვა. კრიშნა, რომელიც ამ დროს დვარაკაში, ჰასტინაპურიდან ასობით მილის დაშორებით, იყო, მის გულითად ვედრებას გამოეხმაურა. მან აამოძრავა ნეკი, სწორედ ის, რომელიც ოდესღაც დრაუპადის სარიდან მოხეული ზოლით იყო შეხვეული, და - აი სასწაული! - მისი სარი უსასრულოდ დაგრძელდა და მთელი დარბაზი ტალღებად შეავსო! ასე დაუფასდა პატარა მსხვერპლი დრაუპადის ღვთის წყალობით და მან უბედურებისა და დამცირებისგან იხსნა, რაც მისმა ქმრებმა - გმირმა-ჰანდავებმა - ვერ შეძლეს.

კარგი მოქმედება ღმერთის საამებელია, და საჭირო მომენტში ღმეთი ამისთვის დაგასაჩუქრებთ.

## რა არის ცოდვა?

ერთხელ შანკარაჩარია, ქვეყანაში ტრიუმფალური სვლის შემდეგ, რომლის დროსაც *ადვაიტას* (ერთიანობის ფილოსოფიას) ქადაგებდა, წმინდა ქალაქ კაშიში (ბენარესში) ჩავიდა. იქ, ვიშვანათჰას *დარშანის* დროს, მან სამყაროს უფალს ასეთი ლოცვით მიმართა: «უფალო! ცოდვების მოსანანიებლად მოვედი შენთან». რა უცნაურია, არა? ადი შანკარაჩარიას ხანმოკლე ცხოვრება საღვთო წერილების შესწავლითა და ვედების, უპანიშადებისა და სხვათა ტექსტების ბრწყინვალე და ღრმა კომენტარების შექმნით იყო კურთხეული. ამასთანავე იგი წერილების არა მხოლოდ მცოდნე იყო, არამედ მათ შესაბამისად ცხოვრობდა. ღირსშესანიშნავ მიღწევათა წყალობით იგი თვით უფალ შივას განსხეულებად იქნა აღიარებული. ამიტომ უცნაურად და პარადოქსალურადაც კი მოჩანს, რომ ისეთი დიდი პიროვნება, როგორც შანკარაა, ღმერთს ასეთი ლოცვით მიმართავს. რა ცოდვები შეიძლებოდა ჰქონოდა? ამ კითხვას მან თვითონ გასცა პასუხი.

«უფალო შანკარა (გულმოწყალო)! ჩემი პირველი ცოდვა ის არის, რომ შენს აღწერას ქების ჰიმნებით (*სტოტრებით*) ვცდილობდი, რომლებიც მე შევთხზე, თუმცა თვითონ ვიცი და სხვებსაც ვასწავლი, რომ გონებისა და სიტყვისთვის ღმერთი მიუწვდომელია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩემი აზრი ყოველთვის არ შეესაბამება სიტყვას.

ჩემი მეორე ცოდვა შემდეგშია: მიუხედავად იმისა, რომ, უპირობოდ მწამს საღვთო წერილთა სიტყვისა იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველგანმსუფევეა და მთელ გამჟღავნებულ სამყაროს გამსჭვალავს, და ყველგან ამ ჭეშმარიტებას ვქადაგებდი, მე თვითონ ბენარესში მოვედი, რომ შენი *დარშანი* მივილო! ესაც იმისი მაჩვენებელია, რომ ჩემი აზრები და სიტყვები ქცევებს არ შეესაბამება.

და კიდევ, მტკიცედ მწამს საღვთო წერილთა სიტყვისა იმის შესახებ, რომ ერთი და იგივე *ატმანი* (ჭეშმარიტი «მე») მკვიდრობს ყველა არსებაში და განსხვავება არ არის ე.წ. *ჯივატმასა* (ინდივიდუალურ სულსა) და *პარამატმას* (უმაღლეს სულს) შორის. ყველა საუბარში ამ ჭეშმარიტებას ვაცხადებ, ახლა კი მოვედი აქ და შენ წინ ვდგავარ, თითქოს ჩვენ ორი

სხვადასხვა არსება ვიყოთ, ერთმანეთისგან განსხვავებული. ეს ჩემი მესამე მარცხია. გთხოვ ეს სამი ცოდვა მაპატიო».

შანკარაჩარიას ბრწყინვალე ცხოვრების ეს ეპიზოდი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გაკვეთილია. ჩვეულებრივად ცოდვად თვლიან მხოლოდ ქცევებსა და მოქმედებებს, რომლებსაც სხვებისთვის შეურაცხყოფის, წყენისა და სხეულებრივი ზიანის მიყენება შეუძლია. სინამდვილეში ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ ერთს ფიქრობდეთ, მეორეს ამბობდეთ, და მესამეს აკეთებდეთ, - და ადამიანთა უმრავლესობა ამ ცოდვაშია გარეული. როდესაც ადამიანი ამ ცოდვას მოიცილებს და მის აზრებს, სიტყვებსა და საქმეებს შორის ჰარმონია დამყარდება, იგი სრულყოფილად (*პურნა მანავად*) შეიძლება ჩაითვალოს. უპანიშადები აცხადებენ, რომ *მაჰატმები* (დიადი სულები) ისინი არიან, რომელთა აზრები, სიტყვები და საქმეები სუფთა და შეთანხმებულია; ისინი კი, ვის აზრებს, სიტყვებსა და მოქმედებებს შორისაც შეუსაბამობაა, *დურატმები* (ცუდი არსებები) არიან.

## 62

### მომწონს – არ მომწონს

ერთ-ერთ სოფელში სულიერ მაძიებლებთან საუბრის შემდეგ სვამი ვივეკანანდა დაქშინეშვარაში ბრუნდებოდა. მისი თანამგზავრი ყვავილებისა და ხილის გამყიდველი აღმოჩნდა. მათ გზაში ორი გოგონა შეუერთდა. მათ ხელში თევზის განკუთვნილი ცარიელი კალათები ჰქონდათ, რომელიც სოფელში გაყიდეს. უცებ ძლიერი წვიმა წამოვიდა. ყვავილების გამყიდველმა ვივეკანანდა და გოგონები თავის სახლში შეიპატიჟა, რომელიც იქვე ახლოს იყო, და სთხოვა, რომ წვიმის გადაღებამდე აქ ყოფილიყვნენ. მაგრამ ამინდის გამოკეთებას პირი არ უჩანდა, და გადაწყვიტეს ღამე აქ გაეთენებინათ. გოგონები დასაძინებლად ოთახში დაწვნენ, მამაკაცები კი – ვერანდაზე. გამყიდველმა და ვივეკანანდამ ვერ დაიძინეს იმ სუნის გამო, რომელიც ვერანდის კუთხეში დაწყობილ კალათებს ასდიოდა. მათ გოგონების საუბარი ესმოდათ: «ამ ყვავილებს რა ძლიერი სუნი აქვს, დაძინება არ შემიძლია! რა ვქნათ?» - ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, მეორე კი წამოდგა და თქვა: ჰო, «მეც ვერ ვიძინებ. მოდი ჩვენი კალათები თავქვეშ

ამოვიდოთ. მხოლოდ ასე შევძლებთ დაძინებას». მათ კალათები შემოიტანეს და თავქვეშ ამოიდეს.

ვივეკანანდა სერიოზულად ჩაფიქრდა: «აი თურმე როგორია ადამიანი! იგი მთლიანად გემოვნებებისა და ჩვეულებებისგან შედგება. მე ძილი არ შემეძლო იმიტომ, რომ თევზის სუნს არ ვარ მიჩვეული, გოგონებმა ვერ დაიძინეს იმიტომ, რომ თევზის სუნს მიეჩვივნენ და არა ყვავილების არომატს».

## 63

### გემრიელია – უგემურია

ერთხელ აკბარი<sup>1</sup>, დელის ცნობილი იმპერატორი, დეპრესიაში და მელანქოლიაში ჩავარდა. არავის შეეძლო მეფის ცუდი გუნების მიზეზის გაგება. მისი იმპერია ყვაოდა, მტერი არ აწუხებდა – არც გარეშე, არც შიდა. ქვეშევრდომებს, კასტისა და სარწმუნოების მიუხედავად, უყვარდათ იმპერატორი. რატომ შეიპყრო იგი სევდამ?

როგორც იქნა მელანქოლიის მიზეზი იპოვეს. იგი მეფის საჭმელში იყო. რა თქმა უნდა, საჭმელს იგი თვითონ უკვებდა. არც მეფის მზარეულის, არც სამეფო სამზარეულოს მთავარი მეთვალყურის, ბრალი არ იყო. აკბარს ხორცის მიმართ ძლიერი ზიზღი გაუჩნდა, და აქედან გამომდინარე – სხვა საჭმელთა მიმართაც, რომელიც მასთან მიჰქონდათ. სიამოვნების არქონამ, რომელსაც იგი ყოველდღიურად განიცდიდა, მის გონებაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა.

აკბარმა მთავარი მზარეული გამოიძახა და უბრძანა, რომ მენიუ რაც შეიძლება მალე შეეცვალა. ბრძანება შესრულებულ იქნა. მზარეულმა გონება დაძაბა და გადაწყვიტა, რომ ხორცის ღირსეული შემცვლელი ბადრიჯანი უნდა ყოფილიყო. სამზარეულოში მან ახალი და ნარჩევი ბადრიჯნით სავსე კალათები მოატანინა. მზარეულმა მისგან დაამზადა ჩატნი (საწებელი), სალათა, წვნიანი, კატლეტი, ტკბილი, გარნირი. მთელი საჭმელი მხოლოდ ბადრიჯნისაგან იყო დამზადებული. აკბარს საჭმელები ძალიან მოეწონა. მან მზარეული აქო და ადიდა. ახლა დილას, შუადღისას და საღამოს მას ბადრიჯანს მიართმევდნენ. რამდენიმე დღე ასე გრძელდებოდა.

---

<sup>1</sup> აკბარი (1555-1606) – მოლბის დიდ იმპერატორს შორის პირველი, ვინც სრული სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით აითქვა სახლი.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ აკბარმა ბადრიჯნის მიმართ ძლიერი ზიზღი იგრძნო. მთელი თავისი მრისხანება მან მზარეულს დაატეხა თავზე. ამ უკანასკნელს სასწრაფოდ სხვა რაღაცა უნდა მოეფიქრებინა. მაგრამ იცოდა, რომ მეფეს ეს «რაღაცაც» მალე მოსწყინდებოდა. ამიტომ მეფესთან მისვლა გაბედა და გულახდილად უთხრა: «ჩემო ბატონო! მენიუ აქ არაფერ შუაშია. მიზეზი თქვენს გონებაშია, რომელსაც გემოვნება სწრაფად ეცვლება. ყოველდღიურ მენიუში მრავალფეროვნება შეიტანეთ, და ყოველი საჭმელი ერთნაირი სიამოვნებით იგემეთ. როდესაც გონებას ამგვარად ააწყობთ და მისი პატრონი გახდებით, მსგავსი უსიამოვნებები აღარასოდეს გვექნებათ».

გამარჯვებებს შორის ყველაზე ძნელი გონებაზე გამარჯვებაა, მაგრამ სწორედ ეს გამარჯვება იძლევა უდიდეს ძალას და სიხარულისა და დამშვიდების მატარებელია.

## 64

### პრაქტიკას

#### სრულყოფილებამდე მიჰყავს

იყო ერთი მეფე, რომელსაც ერთხელ თავში რაღაცა იდეა მოუვიდა. მან თავისი სამეფოს ყველა მწყემსი სასახლეში მიიწვია და ასეთი სიტყვებით მიმართა მათ: «მე თითო ახალგაზრდა თხას გაძლევთ. თქვენ უნდა ისინი ზარდოთ და კარგად კვებოთ. ცხოველებისთვის საკვების ფულს ყველა მიიღებს. ვინც თხას ბალახისა და ფოთლების ჭამას გადააჩვევს, ჯილდოდ მას ათას რუპიას ვაძლევ». წყემსები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, მათ უკვირდათ, რომ მეფემ უბრალო მწყემსების მიმართ ყურადღება გამოიჩინა.

მწყემსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თხისთვის ბალახისა და ფოთლების ჭამის გადაჩვევა უბრალო საქმეა. ისინი ფიქრობდნენ: «ბოლოს და ბოლოს, გარკვეული საკვების მიმართ სიყვარული ჩვეულების საქმეა. თხებს სხვა რამეს ვაჭმევთ». მწყემსებს ნაბრძანები ჰქონდათ ორი თვის შემდეგ თხებთან ერთად სასახლეში გამოცხადებულიყვნენ. უზარმაზარი მოედანი გულდასმით მოაღაგეს და დაგავეს. მის შუაგულში ბლომად ახალი მწვანე ფოთლები იყო დაკიდებული. დანიშნულ დღეს მწყემსები ქალაქში გამოცხადდნენ. მათი

თხები კარგად გამოკვებილი და მოვლილი იყვნენ. მეფემ ამაღლებული ადგილი დაიკავა, და მწყემსებს უბრძანეს თხები აეშვათ. ისინი მაშინვე ფოთლების გროვას მისცვივდნენ და ხარბად ჭამა დაუწყეს.

მეფე ცნობისმოყვარეობით იყურებოდა გარშემო და ახალგაზრდა ქალიშვილი შენიშნა, მის გვერდით კი – თხა, რომელიც წყნარად იდგა. მეფის თვალს არ გამოჰპარვია, რომ თხა თვალს არ აცილებს ჯოხს ქალიშვილის ხელში. მეორე ხელში მას მწვანლის კონა ეჭირა. თხა დაბმული არ იყო და ქალიშვილი მას არ აკავებდა. თხას გაქცევას არავინ უშლიდა, მაგრამ იგი ადგილზე იდგა. მეფე გაკვირვებული და ამავე დროს გახარებული იყო. მან მწყემსს გოგონას ჰკითხა: «ქალიშვილო, ძალიან მიხარია, რომ სამეფოს მწყემსებიდან ერთმა მაინც შესძლო ჩემი თხოვნის შესრულება. თხებს ბალახისა და ფოთლების მიმართ თანდაყოლილი ძლიერი მიდრეკილება აქვთ. როგორ გამოგივიდა ეგ ფოკუსი?» ქალიშვილმა მეფის მიმართ პატივისცემა გამოხატა და თქვა: «მეფეო! ჩვენი გემოვნება ჩვეულებებზეა დამოკიდებული. თუ რამდენიმე დღის ან თვის განმავლობაში რაიმეს ვჭამთ ან ვაკეთებთ, თანდათან გემოს ვუგებთ, და ეს ჩვეულებად იქცევა. ზუსტად ასევე, თუ რაიმესაგან დიდი ხნის განმავლობაში თავს ვიკავებთ, ბოლოს და ბოლოს მის მიმართ მიზიდულობა ქრება. იმ დღიდან, როდესაც თხა ჩავიბარე, უბრალო ხერხს ვხმარობდი: მის პირთან ახალი ფოთლები მიმქონდა და, როდესაც თხა ცდილობდა პირი წაეველო და შეეჭამა, ტუჩებზე ჯოხს ვარტყამდი. ამას მთელი თვის განმავლობაში ვაკეთებდი, და ახლა თხა ფოთლებს აღარც კი უყურებს შიშის გამო, რომ სცემენ. როგორც კი ჯოხს დაინახავს, იგი ჩერდება და უძრავად დგას. მე მას სხვა საკვებს ვაძლევდი და მზრუნველობით ვუვლიდი. მეფეო! ნებისმიერი ჩვენგანისთვის შეუძლებელი არაფერია! უბრალოდ მუდმივი პრაქტიკა და ვარჯიშია საჭირო».

მეფემ კარგი გაკვეთილისთვის მწყემსს გოგოს მადლობა გადაუხადა, მოგება მიულოცა და დაპირებული ათასი რუპია გადასცა.

როდესაც არჯუნა უფალ კრიშნას შესაბრალისად ევედრებოდა: «უფალო! როგორ გავართვა ამ მეტად ძნელ ამოცანას – გონების მოთვინიერებას?», კრიშნამ იგი დაარწმუნა: «გულს ნუ გაიტეხ, მამაცო მეომარო! მიბმულობებს ებრძოლე და გრძნობები აკონტროლე».

## მუშაობა თაყვანისცემა

ვინც ბრიტანეთის ბატონობისგან განთავისუფლებისთვის ინდოეთის ბრძოლის შესახებ იცის, მას ალბათ გაუგია სარდარ ვალაბჰაი პატელის შესახებ. იგი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მოადგილე იყო.

პატელი განდის თავგამოდებული მიმდევარი იყო და იცავდა მის აღთქმას: «უბრალო ცხოვრება და მაღალი აზრები». მისი ქალიშვილი მანიბენი მამის კვალს გაჰყვა.

ერთხელ პატელთან სტუმრად ოჯახის მეგობარი, მაჰავირ ტიაგი, მივიდა და დაინახა, რომ მანიბენი საოჯახო მეურნეობის საქმეებით არის დაკავებული და გულმოდგინედ მუშაობს. მას ძველი სარი ეცვა, რომელიც რამდენიმე ადგილას აკურატულად იყო დაკერებული. მაჰავირ ტიაგის მშვიდად არ შეეძლო ამის ყურება – ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი გაცვეთილი სარით დადის და სახლის საქმეებით არის დაკავებული! «ჩემო კარგო, შენ არ შეგშვენის, რომ ასე უბრალოდ გამოიყურებოდე. ამით ხომ მამის რეპუტაციას ავნებ.» - უთხრა მანიბენს. მანიბენმა აღშფოთება დამალა და მშვიდად უპასუხა: «ტიაგიჯი, რით ვაფუჭებ მამის სახელს? ამ ნაკერებიანი სარის ტარების გამო სულაც არ ვლელავ და თავს დამცირებულად არ ვგრძნობ, ვინაიდან იგი იმ მატერიისგან არის შეკერილი, რომელიც მე თვითონ მოვქსოვე. არ მიყვარს დახმარებისთვის მსახურთა აყვანა. სამარცხვინო არაფერია იმაში, რომ ქალი სახლის საქმეებს აკეთებს. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. მე ვთვლი, რომ შრომა ადამიანს აკეთილშობილებს. სიზარმაცესა და ფუფუნებაში ცხოვრების უფლებას მხოლოდ ის აძლევს თავს, ვინც სიმდიდრე უპატიოსნო გზით მოიპოვა. მე ვამჯობინებ საკუთარი თავის იმედზე ვიყო». მანიბენი სტუმრების პასუხს არ დაელოდა და თავისი ოთახისკენ გაიქცა.

დ-რმა სუშილა ნაიარმა, რომელიც ამ საუბარს ესწერებოდა, თქვა: «ტიაგიჯი, მგონია, მანიბენს ბოლომდე ვერ უგებ. იგი ნამდვილი კარმა-იოგია და სამუშაოსადმი მისი დამოკიდებულება ისეთია, როგორც თაყვანისცემისადმი. დილიდან საღამომდე იგი რაღაცით არის დაკავებული: ჭურჭელს რეცხავს, მთელი ოჯახისთვის საჭმელს



ამზადებს და სარეცხს რეცხავს, თავისუფალ დროს კი საქსოვ დაზგასთან ატარებს. მოქსოვილი ქსოვილისგან ოჯახის წევრებისთვის ტანსაცმელს კერავს. იგი ამოდ არაფერს კარგავს. როცა მისი სარი ძველდება, მამის ორი დჰოტისგან ახალს იკერავს. იგი ცოცხალი მაგალითია აღთქმისა «უბრალო ცხოვრება და მაღალი აზრები» - იმისა, რასაც მაჰატმაჯი ასწავლიდა».

ბევრია განდით (და სხვა დიადი პიროვნებებით) აღფრთოვანებული და მათ ქებას ასხამენ, მაგრამ მათს აღთქმებს მხოლოდ ერთეულები მისდევენ.

## 66

### მოვალეობა ღმერთია

იყო დრო, როდესაც ელექტროენერგია ინდოეთის რამდენიმე დიდ ქალაქს მიეწოდებოდა. სხვა ქალაქებში ყოველ ქუჩაზე სამი თუ ოთხი ზეთის ლამპა იყო ბოძებზე დამაგრებული. მუნიციპალური ხელისუფლება ხალხს ქირაობდა, რომელიც დაახლოებით საღამოს 6 საათზე ლამპებს ანთებდა. ზეთის, პატრუქისა და ლამპის შუმის ყიდვაზე ხარჯებს მუნიციპალიტეტი იღებდა თავის თავზე.

ერთ-ერთ ასეთ ქალაქში მეფარნე ცხოვრობდა, რომელიც თავის სამუშაოს მხიარულად და აკურატულად ასრულებდა. იგი ღრმადმორწმუნე იყო და ყოველთვის, როცა ფარანს ანთებდა, საყვარელ რამას სახელს იმეორებდა. თავის სამუშაოს იგი განსაკუთრებული სიზუსტითა და თანმიმდევრობით ასრულებდა: საღამოს 5 საათზე მოდიოდა, შუმას წმენდდა, ზეთს ასხამდა, ფითილს ასწორებდა და ლამპას ანთებდა. ამასთან იგი ჩვეულებისამებრ მღეროდა: «*ჯანაკა ჯივანა რამ, კარუნგა ტუმარა კამ*», რაც ნიშნავს: «*ჯანაკის ბატონო! მე შენი მსახური ვარ მხოლოდ. ჩემი ხელები შენი იარაღია*».

ქალაქის ხელისუფლებას მოახსენეს, რომ ამ მეფარნის მიერ დანთებული ლამპები მთელი ღამე კაშკაშებს, მაშინ როცა სხვების ანთებული ლამპები მალე მკრთალდება, ზოგი კი შუადამისას ქრება. ჩაატარეს შემოწმება, რის შემდეგაც მოხელემ უფროსობა დაარწმუნა, რომ ყველა მეფარნეს ერთი და იგივე პატრუქი, ზეთი და სხვა მასალა ეძლევა,

---

<sup>1</sup> «ჯანაკის ბატონი» - რამა (ჯანაკი, ანუ მფ ჯანაკას ქალიშვილი, - რამას ცოლის, სიტას, რთ-რთი სახლი).

და ყოველი მათგანი ერთნაირ გასამრჯელოს იღებს. რაც შეეხება ქუჩას, სადაც ლამპები მთელ ღამეს კამკაშებდა, ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, რამდენადაც ეს მეფარნე ცნობილი იყო როგორც ღრმად ღვთისმოსავი ადამიანი, რომელიც თავის ვალდებულებას ასრულებდა როგორც ღმერთის მსახურებას.

ნებისმიერ საქმეში, რომელიც სრულდება როგორც ღმერთის გულწრფელი მსახურება, ღვთის სიყვარული და დიდება აისახება.

## 67

### ლოცვის ძალა

ერთ დროს სოფელში ორი *პანდიტი* ცხოვრობდა. ცხოვრებაში მათ დიდი წარმატება არ ჰქონიათ და მეფისთვისაც კი უნდოდან მიემართათ თხოვნით, რომ მათი ცოდნის გამოყენებაში დახმარებოდა. სწორედ ამ დროს მაცნემ ამბავი მოიტანა, რომ მეზობელი სამეფოს მმართველი *პანდიტთა* ასამბლევას იწვევს, და ეს ორი სწავლულიცაა მიწვეული. ამ უკანასკნელებმა კარგი შანსისთვის ბედს მადლობა უძღვნეს და გზას გაუდგნენ.

*პანდიტები* ფეხით მიდიოდნენ. ზურგზე მათ ტანსაცმლისა და საქმლის შეკვრა ჰქონდათ გადაკიდებული. ორივე გულმოდგინედ იცავდა ვედების მითითებებს, რომლებიც საკვებს ეხებოდა: სხვა ადამიანების მიერ დამზადებულ საქმელს არ ჰკამდნენ, და არც ფარდულებში ყიდულობდნენ.

შუადღისთვის კარგა დიდი მანძილი გაიარეს. მათ ძალიან მოშივდათ და გადაწყვიტეს დიდი ბანიანის ქვეშ, ნაკადულის პირას დაესვენათ. პირის დაბანის შემდეგ სადილისთვის ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. საქმელი ფოთლებზე დააწყეს და ლოცვის კითხვას შეუდგნენ, რომელსაც ჭამის წინ ყოველთვის ასრულებდნენ. უცებ მათ მედიტაცია და ლოცვა საშინელმა ჭახანმა შეაწყვეტინა. თვალები რომ გაახილეს, დაინახეს, რომ ხის ტანი გაიპო და ნაპრალიდან ღვთაებრივი არსება გამოვიდა. ორივე *პანდიტი* წამოხტა და ციური არსების წინ მიწაზე განერთხო. ღვთაებამ, რომელიც თვალისმომჭრელი სილამაზით ბრწყინავდა, წარმოთქვა: «პანდიტებო, რითი შემძღვია გადაგიხადოთ? ერთ დროს

მოუფიქრებელი შეცდომა დავუშვი და ბრძენის დაწყევლის შედეგად ამ ხეში დავემწყვდიე. მრავალი წელი ვიტანჯებოდი აქ. წმინდა ჰიმნის ხმა, თქვენ რომ მღეროდით, ისეთი ძალის მატარებელია, რომ გამათავისუფლა და წყევლა მომიხსნა. რა გსურთ, რა გავაკეთო თქვენთვის? ნებისმიერი ჯილდო მთხოვეთ». *პანდიტებმა* თქვეს: «ზეციურო მკვიდრო, არაფერი გვინდა. შენი აქ ყოფნა ყველაზე უფრო დიდი ჯილდოა ჩვენთვის».

ღვთაებამ თქვა: «მე თქვენ დაგეხმარებით. ვიცი, სად და რისთვის მიდიხართ. იმას მიიღებთ, რაზედაც ოცნებობთ. გლოცავთ თქვენ». მადლობის ნიშნად *პანდიტებმა* თავები დახარეს, და ღვთაება გაქრა.

ბედნიერმა მგზავრებმა საჭმელი შეჭამეს. ცოტა ხანს ისხდნენ და გზას გაუდგნენ. მეფის კარს დროულად მიაღწიეს. შესასვლელთან მათ სწავლულთა დიდი ბრბო დაინახეს – თავის რიგს ყველა მოუთმენლად ელოდა, რომ მეფეს წარსდგომოდა. სოფლის *პანდიტებმა*, თავიანთი უბრალოებისა და მორიდებულობის გამო, გადაწყვიტეს განზე გამდგარიყვნენ და იქ მოეცადათ. მათ წმინდად სწამდათ ღვთიური არსების დაპირებისა.

ბოლოს მათი ჯერიც დადგა და ისინი სასახლეში მიიწვიეს. *პანდიტებმა* ასამბლეაში მათთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავეს. მეფემ შესთავაზა, თავისი ცოდნის დემონსტრირება მოეხდინათ. *პანდიტებმა* გულში ციურ არსებას ლოცვა გაუგზავნეს და რიგრიგობით თავისი შეთხზული ლექსების კითხვა დაიწყეს. მათი ოსტატობითა და სწავლულობით მეფე ძალიან კმაყოფილი დარჩა და საჩუქრად რამდენიმე აკრი ნაყოფიერი მიწა გადასცა. *პანდიტებმა* მეფეს მადლობა გადაუხადეს და გახარებულებმა და ბედნიერებმა მშობლიურ სოფლისკენ გასწიეს. სრულიად ნათელია, რომ *პანდიტებმა* მეფის კარზე ასეთი მაღალი შეფასება ღვთაების კურთხევის წყალობით მიიღეს. ჩვენ შეიძლება მრავალმხრივი ნიჭი გვქონდეს, მაგრამ სანამ ღმერთი მოწყალების თვალთ არ გადმოგვხედავს, ეს ნიჭი საზოგადოების მიერ აღიარებული არ იქნება. ღმერთის წყალობის მიღება კი მხოლოდ გულწრფელი ლოცვით შეიძლება.

აი ლოცვა, რომელსაც *პანდიტები* ჭამის წინ კითხულობდნენ:

*ბრაჰმარპანამ ბრაჰმა ჰავირ*

*ბრაჰმეაგნაუ ბრაჰმანა ჰუტამ  
ბრაჰმაივა ტენა განტავიამ  
ბრაჰმა კარმა სამადჰინაჰ*

*«ბრაჰმანი მსხვერპლად შეწირვას,  
ბრაჰმანი შეწირულებაა,  
ბრაჰმანის მიერაა იგი შემოთავაზებული,  
ცეცხლში, რომელიც ბრაჰმანს წარმოადგენს,  
ჰემმარიტად, ბრაჰმანს აღწევს ის,  
ვინც მსხვერპლის შეწირვის აქტში-ბრაჰმანში  
ბრაჰმანის მოქმედებას ჰვრეტს».*

*ბჰაგავად გიტა (4.24)*

*აკამ ვაიშვანარა ბჰუტვა  
პრანიინამ დეჰამ აშრიტაჰ  
პრანააჰანა სამაიუკტაჰ  
პაჩამი ანნამ ჩატურ-ვიდჰამ*

*«მე ვაიშვანარა ვარ, საჭმლის მომწოდებელი ცეცხლი  
ცოცხალ არსებათა სხეულებში,  
და მე სიცოცხლის სუნთქვას ვერთვი,  
შემავალს და გამომავალს,  
რომ საკვების ოთხი სახე გადავამუშაო».*

*ბჰაგავად გიტა (15.14)*

## 68

### მიიღეთ და თავშესაფარი მიეცით

მანიკა ვაჩაკარი ტამილნადუს ერთ-ერთი დიდი ბრძენთაგანი და სწავლული წმინდანი იყო. ერთხელ გვიან საღამოს სახლიდან შორს კოკისპირულ წვიმაში მოყვა. თავშესაფრის ძებნაში მან სახლის აივნის სახურავით დაფარული პატარა ადგილი შენიშნა. სახლის პატრონებს, როგორც ჩანს, ღრმად ეძინათ. იგი გახარებული იყო, რომ ღვთის

წყალობით თავშესაფარი იპოვა, იატაკზე დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო და დაიძინა. მალე იგი ვიღაცის აჩქარებულმა ნაბიჯებმა გამოაღვიძა და მან დაინახა, რომ აივანზე თავიდან ფეხებამდე სველი ადამიანი ამოდის. ვაჩაკარმა მას თავაზიანი სალამი მისცა და უთხრა: «აქამდე აქ ერთი კაცის საძინებელი ადგილი იყო; ახლა შეგვიძლია ორნი ვისხდეთ და ხმადაბლა *ბჰაჯანები* ვიმღეროთ». რამდენიმე წუთის შემდეგ აივანთან კიდევ ერთმა კაცმა მოირბინა. მანიკამ სალამი მასაც მისცა და თქვა: «აქამდე ეს სასტუმრო ორ კაცზე იყო, ახლა კი ფეხზე სადგომი სამი ადგილია. მოდით ღამე ფეხზე გავატაროთ და ღვთის სახელი ვადიდოთ».

წმინდანი ადამიანები ისეთი თანაგრძნობითა და მოთმინებით არიან აღვსილნი, რომ სხვების კეთილდღეობა უფრო მეტად ალელვებთ, ვიდრე საკუთარი.

## 69

### ხელი გაანძრიე

ერთ სოფელში მუსიკის მასწავლებელი ცხოვრობდა. იგი საჭმლის ფულს იმით შოულობდა, რომ მახლობელ ქალაქში ბავშვებს მუსიკას ასწავლიდა. იგი ქალაქში ჩვეულებრივად დილით ადრე ველოსიპედით მიდიოდა და სახლში შუადღისას ბრუნდებოდა. ცოლი ყოველთვის უცდიდა და უმისოდ არ სადილობდა.

ერთხელ იგი სახლში ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაბრუნდა. ცოლს ძალიან მოშივდა, მაგრამ იცოდა, რომ ქმარიც ძალიან დამშეული და დაქანცულია. «ძვირფასო, - უთხრა მან, - წადი ჩქარა პირი დაიბანე, მე კი სუფრას გავშლი». მუსიკის მასწავლებელი ღიღინით ჭისკენ წავიდა, თან თოკიანი ვედრო, საპონი და პირსახოცი წაიყოლა. მან ჭიდან ვედროთი წყალი ამოიღო. პირი დაიბანა და კიდევ უნდოდა წყლის ამოღება, მაგრამ საპნის ქაფი თვალში მოხვდა და შემთხვევით ვედრო თოკთან ერთად ჭაში ჩაუვარდა. იგი უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქვაზე ჩამოჯდა, ისევ ამღერდა და ღმერთს მიმართა: «უფალო, ყველაფერს შენ გაბარებ. უნდა დამეხმარო». იგი თავდავიწყებით მიეცა ლოცვას.

ცოლს გალობა შემოესმა. იგი ჭისკენ გაიქცა. გაოცებულმა დაინახა, რომ ქმარი ქვაზე მოხერხებულად წამომჯდარი თვალეზდახუჭული გალობს. ვედრო არ ჩანდა. ცოლი გაბრაზდა და თქვა: «თუ მხოლოდ გაუთავებლად იმღერებ და ვედროს ამოღებას არ ეცდები, ნუთუ გგონია,

რომ ღმერთი დაგეხმარება? მან გონება, მეტყველება და სხვა უნარი მოგცა. ისინი უნდა გამოიყენო. ვედრო რომ ჭაში ჩავარდა, შეგეძლო ჩემთვის დაგეძახა – რაიმეს მოვიფიქრებდი». მან სახლიდან ქოთნით წყალი გამოიტანა და ქმარს უთხრა, რომ პირის დაბანა დაესრულებინა.

თუ ღმერთს დახმარებას სთხოვთ, თვითონ კი პრობლემის გადასაწყვეტად ხელს არ ანძრევთ, ამ საქმიდან არაფერი გამოგივათ. ღმერთი იმას ეხმარება, ვინც თავის თავს ეხმარება.

## 70

### შრომის ღირსება

ერთხელ იშვარაჩანდრა ვიდია საგარი მეზობელ სოფელში წავიდა, სადაც იგი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლას აპირებდა. მის ლექციას ჩვეულებრივად ბევრი ხალხი ესწრებოდა. ახალგაზრდა მოხელე, რომელიც იშვარას ლექციის მოსასმენად მოდიოდა, მატარებლიდან ჩამოვიდა. იგი ჯერ სასტუმროში უნდა წასულიყო, იქიდან კი – სააქტო დარბაზში. მან *კულის* (მებარგულს) დაუძახა. ამავე მატარებლიდან იშვარაჩანდრა ვიდია საგარიც ჩამოვიდა. იგი ახალგაზრდა მოხელესთან მივიდა და უთხრა: «რად გინდა *კული*? შენ ხომ პატარა ჩანთა გაქვს. რატომ არ გინდა, რომ თვითონ ატარო და ფული დაზოგო?» მოხელემ უპასუხა: «ჩანთის ტარება ჩემს ღირსებაზე დაბლაა, მე განათლებული ადამიანი ვარ». იშვარმა უპასუხა: «განათლებული ადამიანი თავმდაბლობით გამოირჩევა და არა ქედმაღლობით. შენს სხეულს ხომ ზიდავ? მაშ რატომ არ შეგიძლია ჩანთის ტარება? თუმცა, თუ შენ არ შეგიძლია, მე ვატარებ».

და მან მოხელეს ჩანთა გამოართვა; იგი მოქმედებდა პრინციპით: «აზრებში მაღალი – ცხოვრებაში თავმდაბალი». «მებარგულს» ახალგაზრდა ამის საფასურად ფულს სთავაზობდა, მაგრამ იშვარაჩანდრამ უთხრა: «შენი მსახურება ჩემთვის ჯილდოა». ისინი სასტუმროს კართან დაშორდნენ, და ლექციაზე მოხელე იშვარზე უფრო გვიან მივიდა. დარბაზში რომ შევიდა, ნახა, რომ ხალხი ლექტორს ყვავილწუნულებით ამკობდა და ესალმებოდა. ახალგაზრდა მოხელე მიხვდა, რომ ადამიანი, რომელმაც მისი ჩანთა სასტუმრომდე ზიდა, იყო დიდად პატივცემული ორატორი – იშვარაჩანდრა ვიდია საგარი. მას

შერცხვა, რომ ეს დიადი ადამიანი აიძულა მისი ჩანთა ეტარებინა. «მის ცოდნასთან შედარებით რა ცოდნა გამაჩნია? – იფიქრა მან. – მე ერთი ციციქნა ციციხათელა ვარ მზესთან შედარებით».

## 71

### გამბედაობა

პატარა ჩიტი კვერცხებს ოკეანის ნაპირზე დებდა. ბუნებრივია, ზღვის მოქცევის დროს კვერცხები წყალს მიჰქონდა. ჩიტი ოკეანის ნაპირზე კვლავ და კვლავ აკეთებდა ბუდეს, მაგრამ ტალღას კვერცხები ყოველთვის მიჰქონდა.

ჩიტს ეს არ მოსწონდა. ოკეანის მიმართ მან გულისწყრომა გამოხატა. «რა სასტიკია ეს ოკეანე. მთელ ჩემს კვერცხებს ანადგურებს», - ფიქრობდა იგი. გადაწყვიტა შური ეძია. მან მტკიცედ გადაწყვიტა ოკეანე დაეცალა.

ყოველდღიურად იგი წყალში ყვინთავდა, ნისკარტით ცოტა წყალი ამოჰქონდა, ნაპირზე მოფრინავდა და ქვიშაზე ღვრიდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ოკეანე დაეშრო, სანამ ერთხელაც არ მიხვდა, რომ ამ საქმეს მარტო თავს ვერ გაართმევდა. მან ფრინველთა მეფეს, არწივს, თხოვნით მიმართა, რომ სამართალი აღედგინა. ჩიტმა იცოდა, რომ ფრინველთა მეფეს, გარუდას, თვით ღმერთი ვიშნუ დაჰყავდა ზურგით, და დარწმუნებული იყო, რომ იგი აუცილებლად დაეხმარებოდა მას. და ჩიტმა ვიშნუს წყალობა დაიმსახურა. ღმერთმა ვიშნუმ ოკეანეს შთააგონა და სამართლიანობისკენ მოუწოდა. ოკეანე ჩიტს დაპირდა, რომ აღარასოდეს ახლებდა ხელს მის კვერცხებს და რომ შეუძლია ოკეანის ნაპირზე თამამად გააკეთოს ბუდე.

ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ამ პატარა ჩიტისგან. როგორ შეძლო ამ პატარა არსებამ ოკეანეზე გავლენა მოეხდინა? მხოლოდ გამბედაობისა და თავის თავის რწმენის წყალობით. იგი არასოდეს ფიქრობდა: «მე ერთი ციციქნა ჩიტი ვარ, რისი გაკეთება შემიძლია? ნუთუ შემიძლია გავიფიქრო კიდევ, რომ მძლავრ ოკეანესთან ბრძოლაში სამართლიანობას მივაღწევ?» ღმერთი ყოველთვის იწონებს გამბედაობასა და გულწრფელ ძალისხმევას კარგი საქმისთვის ბრძოლაში.

## ვინ არის ოჯახში მთავარი?

ერთ სახლს მათხოვარმა მიაკითხა და მოწყალეობა ითხოვა. ახალგაზრდა რძალმა უბრძანა, რომ წასულიყო. სწორედ ამ დროს დედამთილი ბაზრიდან სახლში ბრუნდებოდა. იგი ისმენდა, რძალი მათხოვარს როგორ აგდებდა, და გაბრაზდა. რძლის სიტყვებში მან შეურაცხყოფა და თავისი, როგორც სახლის პატრონის, ავტორიტეტის გაქელვა იგრძნო. მან მათხოვარს შესძახა: «ეი, ერთი წუთით მოიცადე!» მათხოვარმა იფიქრა, რომ მოხუცებული ქალი, როგორც ჩანს, უფრო გულკეთილია. იგი მოუთმენლად იცდიდა, რომ ქალი გამოვა და რამეს მისცემს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზღურბლზე დედამთილი გამოჩნდა და თქვა: «წადი აქედან, შენთვის მოსაცემი არაფერი მაქვს». მათხოვარი გაეცალა; იგი თავისთვის ბუტბუტებდა: «ამისი თქმა სახლში შესვლამდე შეეძლო. ტყუილად მაცდევინა».

რამ აიძულა დედამთილი ასე სულელურად მოქცეულიყო? მხოლოდ ეჭვიანობისა და უპირატესობის გრძნობამ. მანამ, სანამ რძალსა და დედამთილს შორის თანხმობა და ოჯახის კეთილდღეობისათვის ერთობლივი ზრუნვის სურვილი არ არის, სახლში სიმშვიდე და სიხარული არ იქნება.

## შაკასა-სადჰანა (უგუნურება-სულიერი პრაქტიკა)

ერთხელ მეფე ვიკრამადიტია თავის სამეფოში ინკოგნიტოდ მოგზაურობდა, სურდა გაეგო, რას საქმიანობს მისი ხალხი. მან მოხუცი *ბრაჰმანი* დაინახა, რომელიც *იაჯნას* (ცეცხლისთვის მსხვერპლის შეწირვას) ასრულებდა. *იაჯნა* მრავალი წლის განმავლობაში ტარდებოდა, ამიტომ სამსხვერპლოსთან ნაცრის მთელი მთა აღიმართა. მეფემ მოხუც *ბრაჰმანს* ჰკითხა, რას აკეთებს იგი. მან უპასუხა: «60 წელია რაც *იაჯნას* ვასრულებ. როგორც ხედავ, ნაცარმა ეს მთა წარმოქმნა.



მიუხედავად იმისა, რომ ცერემონიას განუწყვეტლივ ვატარებ, ღმერთი, ვისთვისაც მსხვერპლია განკუთვნილი (*იაჯნაპურუშა*), დღემდე არ გამომეცხადა».

მოხუცი *ბრაჰმანის* მწარე აღიარებამ ვიკრამადიტიაზე ძალიან იმოქმედა. მან თვითონ დაიწყო მედიტაცია და მკაცრ ასკეზას მიეცა, - მაგრამ, მიუხედავად ხანგრძლივი მონანიებისა, ასევე არ ეღირსა იაჯნაპურუშას ხილვას და თავის თავს უთხრა: «რა სარგებელია მონანიებაში, თუკი ღმერთის წყალობის ღირსი არ ვარ? რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს?» ამ ფიქრით მანტიის ქვეშიდან მახვილი დააძრო და გადაწყვიტა თავისი უაზრო არსებობისთვის ბოლო მოეღო. აზრობრივად იაჯნაპურუშას უთხრა: «შენ თუ არ გამომეცხადე, მაშინ ჩემს სიცოცხლეს გწირავ».

როგორც კი მახვილი ასწია, იაჯნაპურუშა გამოეცხადა, მახვილი ხელიდან გამოსტაცა და უთხრა: «ვიკრამადიტია! ეს უგუნურების (*საკასას*), და არა სულიერი შეწირვის (*სადჰანას*) აქტია. მე, ვიშვანარა, ყველა ცოცხალ არსებაში ვიმყოფები როგორც საჭმლის მომნელებელი ცეცხლი. ნუთუ სულიერების ნიშანია, როდესაც, ერთი მხრივ, შენ შიგნით მყოფ ღვთაებრივ გამოვლინებას ეძებ, მეორე მხრივ კი, სიცოცხლის დასრულებას აპირებ იმის გამო, რომ არ მიიღე შენში მყოფი ამ ღვთაებრივის ხედვა? მსგავსი მოქმედება *რაჯასიული* ტენდენციის მატარებელია. ჭეშმარიტი ერთგული ასეთ უგვანო აქტს არ მიმართავს.

ჩემ მოსაპოვებლად სიყვარული უნდა გამოავლინო, და არა უგუნური მამაცობა. რასაც არ უნდა ხედავდე და აკეთებდე, მუდამ გახსოვდეს ყოვლისგამსჭვალავი ღვთაების შესახებ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხდება შრომა თაყვანისცემა. მოხუცი *ბრაჰმანი* მთელი სამოცი წელიწადი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ თავის *მანტრებს* ბუტბუტებდა და მათი აზრი არ ესმოდა. იგი მთხოვდა მის წინაშე გამოვცხადებულიყავი, მაგრამ ამ თხოვნაში სული და გული არ ჩაუქსოვია. მე იმას გამოვეცხადები, ვინც მთელი გულით ლოცულობს და ვისი აზრი, სიტყვა და საქმეც ჰარმონიაშია. ის კი, ვისაც ასეთი ერთგული თაყვანისცემის უნარი არ შესწევს, უყოყმანოდ უნდა მიჰყვეს ჩემს მითითებებს».

## გაფანტული ყურადღება

სოფლის ადვოკატმა მადლობა და სახელი იმით დაიმსახურა, რომ სამართლიანობას აღადგენდა – მარჯვედ იცავდა უდანაშაულო კლიენტებსა და დამნაშავეთა მიმართ გულმოწყალებისკენ მოუწოდებდა. იგი ღმერთ შივას ერთგული იყო. ყოველ დილით, განბანის შემდეგ, ერთი საათის განმავლობაში *ჯაპას* ასრულებდა, ასევე 1008-ჯერ მღეროდა *პანჩაკშარის მანტრას* «*ომ ნამაჰ შივია* (დიდება შივას)».

ერთხელ, როდესაც ამ *მანტრას* გალობდა, მას შემოესმა, როგორ ეკითხებოდა კლიენტი ადვოკატის რძალს: «ადვოკატი სახლშია? აქვს დღეს მიღება?» რძალმა უპასუხა: «ჩემი მამამთილი ახლა ფეხსაცმლის სახელოსნოშია, თუ შეიძლება, მოიცადეთ». ამან ადვოკატი აღაშფოთა, სამზარეულოსკენ დაუჩქარა და რძალს ჰკითხა: «რას ამბობ? გონებაზე ხარ? როგორ ბედავ კლიენტს უთხრა, რომ მე მეწაღესთან ვარ, როდესაც მშვენივრად იცი, რომ *პუჯის* ოთახში ვარ და წმინდა *მანტრას* ვკითხულობ?» რძალმა უპასუხა: «მაპატიეთ, მამა, თქვენ მართლაც *პუჯის* ოთახში იყავით, მაგრამ ამ დროს სად იყო თქვენი გონება? განა არ ღელავდით იმის გამო, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოასწრებს თუ არა მეწაღე ფეხსაცმლის შეკეთებას? სანამ ღმერთის სახელს იმეორებდით განა ორჯერ არ მკითხეთ, მოვიდა თუ არა მეწაღე?» ადვოკატი ვერ შეეპასუხა, რადგან რძალი მართალს ამბობდა. მან რძალს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ყურადღების არასაკმარის კონცენტრაციაზე მან ასე გონებამახვილურად მიუთითა.

ჩვენ მექანიკურად არ უნდა ვადიდებდეთ ღმერთის სახელს ან ვლოცულობდეთ. *ჯაპას* (სახელებისა და *მანტრების* გამეორებას), *ნამასმარანას* (სახელის ხსენებას) და ლოცვას მთელი გული, სული და გონება უნდა მივცეთ. როდესაც წმინდა სიტყვებს წარმოვთქვამთ და სხვა რამეზე ვფიქრობთ, - ეს არ არის *სადჰანა* (სულიერი პრაქტიკა). *მანტრა* გონების სიღრმიდან უნდა მოდიოდეს, და არა პირიდან. იგი სიყვარულითა და ღმერთის მაღლიერებით უნდა იყოს გაჯერებული.

## ერთგულის სურვილი

ლანკაზე თავისი მისიის შესრულების შემდეგ, სანამ რამასთან დაბრუნდებოდა, ჰანუმანი კურთხევის მისაღებად დედა-სიტასთან მივიდა. დედა-სიტამ იგი ასე დალოცა: «ჰანუმან! შენ სიმამაცით, გონებითა და მტკიცე სულისკვეთებით ხარ აღვსილი. დაე სიბერე არ მოსულიყოს შენთან». ჰანუმანი ამან არ გაახარა. სიტამ შეამჩნია, რომ ჰანუმანი გულგატეხილია და კვლავ დალოცა: «უკვდავი იყავ». მაგრამ ჰანუმანს არც ეს მოეწონა. მაშინ დედა-სიტამ, ესმოდა რა მისი გრძნობები, ასე დალოცა: «დაე სამი სამყაროს მაცხოვრებლებმა ადიდონ შენი სათნოება». ჰანუმანმა უხერხულობა იგრძნო და თავი დახარა, თითქოს მისი ქების მოსმენის რცხვენოდა. და ბოლოს სიტამ ასე დალოცა: «დაე შრი რამას მუდამ უყვარდე». ამ სიტყვების გამო ჰანუმანი აღტაცებაში მოვიდა. «ეს არის ის, რაც მე მინდა! – წამოიძახა მან. – მე რამას სიყვარულის ღირსი უნდა ვიყო. სიცოცხლე რამას სიყვარულის გარეშე სიკვდილის ტოლფასია. რამას სიყვარული ჩემი ერთადერთი სურვილია».

## სანდალოზის კორომი

რაჯა ტყეში ნადირობდა. იგი ირემს გამოეკიდა და თავის ამაღას დიდი მანძილით დასცილდა. მას გზა აებნა, უგზო-უკვლოდ დიდხანს დახეტიალობდა ტყეში და შიმშილისა და წყურვილისაგან იტანჯებოდა. ბოლოს პატარა ქოხს წააწყდა, სადაც საწყალი შეშის მჭრელი ცხოვრობდა ცოლთან ერთად. იგი შორეულ სოფელში შეშას ჰყიდდა და ამით არჩენდა ოჯახს. მათი საკუჭნაო თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ ცოლმა მაინც მოახერხა *როტის* (კარაქზე შემწვარი კვერების) დამზადება, რომლებიც რაჯამ სიამოვნებით მიირთვა. იგი ასე მშვიერი არასოდეს ყოფილა, ამიტომ მას მოეჩვენა, რომ ცხოვრებაში ამაზე უფრო გემრიელი არაფერი უჭამია. იმ ღამეს ღრმად ეძინა, რადგან მანამდე ასე ძლიერად არასოდეს დაღლილა.

დილით ქობთან სამეფო კარის ხალხი და დაცვა გაჩნდა. გაოგნებულმა შეშის მჭრელმა შეიტყო, რომ მისი სტუმარი თურმე თვით მეფე ყოფილა. მეფისგან მან ცუდი მიღებისათვის პატიება ითხოვა, თუმცა ამ უკანასკნელს მსგავსი არაფერი უთქვამს. როდესაც მეორე დღეს შეშის მჭრელთან მეფისგან შიკრიკები მოვიდნენ, რომ იგი მეფის კარზე წაეყვანათ, ეს საწყალი დარწმუნებული იყო, რომ ცუდი მიღებისთვის მას სასჯელი ელოდა. ქმარს ცოლიც თან გაჰყვა, რათა მისი სავალალო ბედი გაეზიარებინა. რაჯამ შეშის მჭრელს უბრძანა, მისთვის გამზადებულ ადგილას დამჯდარიყო, ამან კი იცოდა, რომ ასეთი წყალობა ცხოველებს ეძლეოდათ მათი მსხვერპლად შეწირვის წინ. ცოლ-ქმარს გემრიელი საჭმელები მოუტანეს – და ამითაც უმასპინძლდებოდნენ სამსხვერპლო ცხოველებს.

როდესაც რაჯამ ჰკითხა, რა საჩუქრის მიღება სურდა, შეშინებულმა შეშის მჭრელმა მხოლოდ ერთი რამის თხოვნა შეძლო: «თუ შეიძლება, ნება მომეცი ცოლთან ერთად სახლში დავბრუნდე. გთხოვ, თავს ნუ მომჭრი». რაჯამ თქვა: «მე უმადური არამზადა არ ვარ, რომ ასე სასტიკად მოგექცე. ადგილ-მამულს მოგცემდი, მაგრამ მიწათმოქმედებაში არაფერი გაგეგება და გაანადგურებ მას. სიმდიდრე რომ მოგცე, ქურდები გაგძარცვავენ, რადგან უდაბურ ტყეში ცხოვრობ. ამიტომ გაძლევ 30 აკრ სანდალოზის კორომს. მიიღე მისგან სარგებელი და კეთილდღეობით იცხოვრე». შეშის მჭრელმა შვებით ამოისუნთქა და სახლისკენ გასწია.

გავიდა ექვსიოდე თვე. რაჯა კვლავ სანადიროდ წავიდა და, როცა გემრიელი როტი გაახსენდა, შეშის მჭრელის ქობს დაუწყო ძებნა. როდესაც იპოვა, ნახა, რომ შეშის მჭრელი კმაყოფილი და ბედნიერია, მაგრამ მეფე გულგატეხილი დარჩა, როცა გაიგო, რომ იგი ხის ნახშირის გამყიდველი გახდა! მას არ ესმოდა მიღებული საჩუქრის ღირებულება. იგი სანდალოზის ხეებს წვავდა და ნახშირად აქცევდა.

ასეც ხდება: ადამიანს ვერ შეუგნია ძვირფასი საჩუქრის - სიცოცხლის «დღეთა რიგის» ღირებულება, რომელიც მან ღმერთისგან მიიღო. იგი უმნიშვნელო საგნებისა და წარმავალი სიამოვნებების გულისთვის ამ საჩუქარს თავს არიდებს, და ამიტომ მისი ცხოვრება ტრაგედია ხდება – იმის ნაცვლად, რომ ეს ცხოვრება ბედნიერი მომლოცველობა გახდეს.

## ღმერთი ყველგან მსუფვეია

ტირუპანდარი უფალ შივას დიდი ერთგული იყო. ერთხელ მას მომლოცველობის ცნობილ ცენტრში მისვლა მოუხდა, რომელიც მის საყვარელი ღმერთისთვის იყო მიძღვნილი. შივას *დარშანის* შემდეგ მან მეტისმეტი დადლილობა და სისუსტე იგრძნო. ამიტომ გზის გაგრძელება გადაიფიქრა და ღამე ტაძარში დარჩა.

დილით ადრე ტაძარში ქურუმი შევიდა, რომ *აბჰიშეკამი*<sup>1</sup> შეესრულებინა. შეშინებულმა დაინახა, რომ მოხუცს პირდაპირ საკურთხევლის წინ სძინავს და ფეხები წმიდათა წმიდისკენ – შივას *ლინგამისკენ*<sup>2</sup> – აქვს გაშვერილი. ქურუმი საშინლად აღშფოთდა და მოხუცს სახეში წყალი შეასხა. მაგრამ ეს უკანასკნელი არც კი განძრეულა. მაშინ ქურუმი დაიხარა და მისი ფეხების აწევა სცადა. მოხუცმა თვალი უმაღვე გაახილა და ვედრების ტონით თქვა: «ჩემო ძვირფასო შვილო! რატომ ეწევი ჩემს ფეხებს?» ქურუმმა იყვირა: «რატომ არ გრცხვენია შენს ასაკში ასეთი მკრეხელობისა – ტაძარში დაწოლილხარ და ფეხები უფლისკენ გაგიშვერია!»

ტირუპანდარმა მეგობრულად უპასუხა: «ჩემო ძვირფასო შვილო, ფეხებში კრუნჩხვები მაქვს, და უცებ ადგომა არ შემძლია. ხომ არ გადასწევდი ჩემს ფეხებს იქით, საითაც შენ გინდა, და სადაც ღმერთი არ არის? ცოტა ხნის შემდეგ უკვე შემეძლება ფეხზე ადგომა». ქურუმს მოხუცთან საკინკლაოდ დროის დაკარგვა არ უნდოდა, მან ფეხებში ხელი სტაცა, ასწია და მოპირდაპირე მხრისკენ გადაადგილა ისინი – და იმავე წამს ტირუპანდარის ფეხებთან *შივალინგამი* წამოიძარტა! ქურუმი შეეცადა მოხუცის ფეხები სხვა მხრისკენ მიემართა, მაგრამ სხვა ლინგამი იქაც გაჩნდა! და მალე საკურთხეველთან მთელი სივრცე *ლინგამებით* შეივსო.

<sup>1</sup> აბჰიშეკამი – რიტუალური ანბანა ან ღვთაბის ფიურისთვის ან სიმბოლოსთვის ნლსაცხბლის წასმა.

<sup>2</sup> ლინგამი - «ნიშანი», სიმბოლო», «სახ»; კრძოდ, შივას როორც შქმნისა და ანადურბის კოსმოსური ძალის სიმბოლო; სფრული ფორმა სიმბოლიზირბს აბსოლუტურ საწყისს თვისბბისა და ატრიბუტბის არშ, საიდანაც ჩნდბა და რაშიც ზავდბა ამჟღავნბული სამყარო.

ტადრის მსახური მოხუცის წინ განერთხო და წამოიძახა: «პატივცემულო! როგორც ჩანს, გასხვიოსნებული სული ხარ, თვითრეალიზაციას მიღწეული! მაპატიე შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და მოქმედებების გამო!» ტირუპანდარი წამოდგა და თქვა: «ჩემო ძვირფასო შვილო! ნუთუ საღვთო წერილებში არ წაგიკითხავს, რომ ღმერთი ყველგან მსუფვეია? ნუთუ შესაძლებელია ღმერთის შეზღუდვა ადგილით ან ხატებით, სურათით ან ჩარჩოთი? დიახ, ჩვენ გვაქვს ტადრები, სადაც ღმერთების ქანდაკებებსა და გამოსახულებებს თაყვანს ვცემთ, მაგრამ ეს ღმერთები სხვადასხვა ღვთაებრივი ძალების (*შაქთი*) განხორციელებებია ამ უზარმაზარ უსაზღვრო სამყაროში, და ისინი მორწმუნეებს მხოლოდ ეხმარებიან თავისი რწმენა და ერთგულება ღმერთისკენ მიმართონ. უმაღლესი შემოქმედი, ყოვლისშემძლე ღმერთი მხოლოდ ერთია, და გახსოვდეს, იგი ყველგან მსუფვეია».

## 78

### პატივმოყვარეობის საბურველი

ერთხელ ნარინჯისფერ ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა სოფლის ერთ სახლთან იყვირა: «*ბჰიკშამ დეჰი* (გაიღეთ მოწყალება)»! კარში დიასახლისი გამოჩნდა; მან მწირს შეხედა და უთხრა: «შვილო! წადი ეზოს ბოლოში, იქ ჩვენ ჭა გვაქვს. პირი დაიბანე, ილოცე, მე კი ამ დროისთვის სადილის მომზადებას დავამთავრებ».

მწირმა უპასუხა: «დედაო! მე არც განბანა მჭირდება, არც ლოცვა, რადგან გოვინდას (კრიშნას) სახელს დაუღალავად ვიმეორებ. ნუთუ საღვთო წერილების სიტყვები არ იცი: «*გოვინდეტი სადა შნანამ*» (ჭეშმარიტი განწმენდა გოვინდას სახელის მუდმივი გამეორებაა) და «*გოვინდეტი სადა ჯაჰამ*» (გოვინდას სახელის გამეორება საუკეთესო ლოცვაა)? ამიტომ შეგიძლია ახლავე მასადილო».

დიასახლისი მაშინვე მიხვდა, რომ ეს მათხოვარი ნამდვილი *სანიასინი* არ არის და მას განბანაც კი ეზარება. გადაწყვიტა მათხოვრისთვის ჭკუა ესწავლებინა და მისი ქედმაღლობა შეეკვცა. მან თქვა: «რას ლაპარაკობ? ასეთ შემთხვევაში შიმშილი გოვინდას სახელის ტკბილი ბრინჯით შეგიძლია დაიცხრო». ასე გამოიყვანა მზის სინათლეზე და შეარცხვინა გამჭრიახმა ქალმა *სანიასინის* სამოსელში გამოწყობილი მათხოვარი.

სულიერი ცხოვრება ყალბ ნიღბებს ვერ ითმენს. ადრე თუ გვიან სიმართლე თავს იჩენს, და სიცრუე გამოაშკარავდება.

## კერპების თაყვანისცემა

არის მხოლოდ ერთი ღმერთი და იგი ყველგან მსუფვევია. ეს მართალია. მაგრამ ყველგან მსუფვევზე ყურადღება რომ მოვკრიბოთ, რაიმე ამოსავალი წერტილი და კონკრეტული ფორმა უნდა გვქონდეს. იმისათვის, რომ ღმერთს ჩავწვდეთ, რომელიც ყველგან და მუდმივად იმყოფება, გარკვეული ფსიქოლოგიური პროცესებითა და ვარჯიშებით გონების გაწმენდაა აუცილებელი, რასაც *სადჰანა* ეწოდება. სწორედ ამ მიზეზითაა მითითებული, რომ რეგულარულად სრულდებოდეს თაყვანისცემის რიტუალები ღვთაების ფიგურებისა და გამოსახულებებისათვის. ზოგიერთებმა შეიძლება იკითხონ: «შეიძლება ღმერთი ქვა, სურათი, ქალაქის ფურცელი იყოს?» ამიტომაცაა იგი ყველგან მყოფი, რომ იმყოფებოდეს ქვაშიც და სურათშიც. ჩვენ ღმერთს არ ვამცირებთ და ქვამდე ან სურათამდე არ დაგვყავს იგი; ჩვენ ვაღიარებთ და ვამტკიცებთ, რომ იგი ქვაშიცაა. გამოსახულებას აბსოლუტის ზომებამდე ვამაღლებთ. სურათს ჩარჩოს ზღვრებს მიღმა ვაფართოებთ. ასეთი *სადჰანის* პროცესის საშუალებით თანდათან ვაცნობიერებთ, რომ სურათსაც შეუძლია იყოს იარაღი გონების ზღუდეთა მოსაცილებლად და დახმარება ყველგან მყოფის ჩაწვდომაში. მოგიყვებით ამბავს ვივეკანანდას ცხოვრებიდან, რაც ამის ილუსტრაციას წარმოადგენს.

მაჰარაჯა ალვარამ (რაჯასტანის შტატი) გადაწყვიტა ვივეკანანდას შეკამათებოდა და დაემტკიცებინა, რომ შეუძლებელია ღმერთს ჩასწვდე სურათის დახმარებით, რომელიც მხატვარმა დახატა, - საღებავის ლაქებიანი ტილოს ნაჭრის დახმარებით. მაშინ ვივეკანანდამ იქვე მყოფ მინისტრს სთხოვა კედლიდან მაჰარაჯას პაპის პორტრეტი ჩამოეხსნა. ეს რომ შესრულდა, ვივეკანანდამ მინისტრს სთხოვა პორტრეტისთვის მიეფურთხებინა! ვინაიდან მინისტრი ყოყმანობდა, ვივეკანანდამ უთხრა: «თავს უხერხულად ნუ გრძნობ! მაჰარაჯამ ამწუთას გამოაცხადა, რომ პორტრეტი მხოლოდ და მხოლოდ საღებავებით დაფარული ტილოს

ნაჭერია. ასე რომ პორტრეტს მეფის პაპასთან ნუ აიგივებ». დამსწრენი შიშისგან აკანკალდნენ. მაჰარაჯას პაპის პორტრეტი მათთვის თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა.

მაშინ ვივეკანანდამ შენიშნა: «მაჰარაჯა! ახლა ხედავ, რომ პაპამენის პორტრეტი შენში და შენს ქვეშევრდომებში მოწიწებულ თრთოლას იწვევს? ასევე ღმერთის სახეც, რომელიც მხატვარმა დახატა, თაყვანისცემის ღირსია ყველას მიერ, ვინც მისი ერთგულია». მაჰარაჯა აღვარამ სვამიჯის მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ დიად ჭეშმარიტებაზე თვალი აუხილა.

## 80

### ნუ მოეპყრობით ღმერთს როგორც ქვას ან სურათს

დაქმინებულარაში, კალკუტასთან ახლოს, კრიშნას ტაძარი დგას, ქალღმერთ დურგას ცნობილი ტაძრიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, სადაც ქურუმი რამაკრიშნა იყო. ერთხელ, რამაკრიშნას დროს, კრიშნას ტაძრის ქურუმებმა შენიშნეს, რომ კრიშნას ქანდაკებას ფეხი მოსტეხია. ამის შესახებ მათ მათჰურ ბაბუსა და რანი რასმანის – ორივე ტაძრის მფარველებს – აცნობეს.

ამაზე რანი რასმანიმ *პანდიტებთან* იმსჯელა. ყველამ ერთსულოვნად გამოაცხადა, რომ არ შეიძლება თაყვანისცემა ქანდაკებისა, რომელსაც რაიმე დეფექტი აქვს, მოცილებულიც თუ იქნა იგი. მათ ურჩიეს ახალი ქანდაკება დაეკვეთათ და ძველ ადგილას დაედგათ.

რანი რასმანიმ გადაწყვიტა ამ საკითხზე რჩევა რამაკრიშნა პარამაჰამსასთვის ეთხოვა. ამ უკანასკნელმა, როგორც კი რანისგან *პანდიტების* აზრი შეიტყო, რბილად და ალერსიანად უპასუხა მას: «დედაო, თვითონ განსაჯე: შენს სიძეს რომ უბედური შემთხვევა გადახდომოდა და ფეხი მოეტეხა, რას გააკეთებდი? საავადმყოფოში წაიყვანდი თუ შენი ქალიშვილისთვის ახალ სიძეს მოძებნიდი?» რანი რასმანიმ პასუხი არ გასცა, მაგრამ შეძლო რამაკრიშნას ერთგულების გრძნობა შეეფასებინა და მზად იყო დასთანხმებოდა მას. მაგრამ როგორ უნდა მიმაგრდეს ფეხი ქანდაკებას? რამაკრიშნამ მაშინვე გასცა პასუხი:



«დედაო, ნუ ღელავ, კრიშნას ქანდაკებაზე ფეხს მე თვითონ მივამაგრებ. ჯერ კიდევ ბავშვობისას ვისწავლე ღმერთების ფიგურების ძერწვა და გაფერადება».

ღმერთების თაყვანისცემის დროს ჩვენ უნდა ვისწავლოთ აღვიქვათ ისინი როგორც ღვთაებრივი სულის ცენტრი, და არა როგორც ფორმები, რომლებიც თიხისგან, ქვისგან ან მეტალისგანაა გაკეთებული. დიახ, ღმერთის გამოსახულება თვითონ ღმერთი არ არის, მაგრამ ღმერთი გამოსახულებაში იმყოფება, თუ გვწამს, რომ იგი ყველგან მსუფვეცია.

## 81

### სარფიანი გარიგება

მოხუც ქალს კალათით ხილი მიჰქონდა, რომელიც მან იქვე ახლოს ტყეში მოკრიფა. კრიშნამ, რომელიც მაშინ სამი წლის იყო, მასთან მიიღებინა და თქვა: «ბებია, ძალიან მინდა შენი ხილი გავსინჯო». მოხუცმა ქალმა უპასუხა: «შვილო, ხილისთვის ფულის გადახდაა საჭირო». კრიშნამ გულუბრყვილოდ ჰკითხა: «რამდენი?» მოხუცმა უპასუხა: «ამოირჩიე ხილი და რაიმე სამაგიერო მომეცი». კრიშნამ სახლიდან მთელი მუჭა ბრინჯი გამოიტანა. ქალმა ბრინჯი გამოართვა და კრიშნას რამდენიმე ცალი ხილი მისცა. მან იფიქრა: «რა მშვენიერი ბავშვია! როგორ მიხარია, რომ ცოტაოდენი ხილი მივეცი!»

როდესაც სახლისკენ წალასლასდა, მას მოეჩვენა, რომ კალათი უფრო მძიმე გახდა. თავის საცხოვრებელს გაჭირვებით მიაღწია, კალათი იატაკზე დადგა და გაოცებულმა დაინახა, რომ ბრინჯის ყოველი მარცვალი ძვირფას ქვად იქცა! მან თავის თავს უთხრა: «ეს ბავშვი ღვთაებრივია! წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი სასწაული?» და იგი ქოხიდან გამოვარდა, რომ მეზობლებისთვის დაეძახა.

## 82

### შივა თუ ვიშნუ

ერთხელ მაჰარაჯა ბუდვანამ მეფის კარზე დისპუტი მოაწყო, სადაც ცნობილ *კანდიტებსა* და შასტრების მცოდნეთ შესთავაზეს შივასა და

ვიშნუს ღირსშესანიშნავი თვისებები აღეწერათ და ერთმანეთისთვის შეედარებინათ. დისპუტის დასასრულს «მოწინააღმდეგებმა» იმდერეს *პანჩაკშარი* (ხუთმარცვლიანი) *მანტრა* შივას სადიდებლად (*ომ ნამაჰ შივაია*) და *აშტაკშარი* (რვამარცვლიანი) *მანტრა* ვიშნუს სადიდებლად (*ომ ნამო ნარაიანაია*) და მათი აზრი განმარტეს. მაჰარაჯა არც შივას უპირატესობას გამოხატავდა და არც ვიშნუსი. საბოლოო დასკვნის უფლება მან კარის მთავარ ქურუმს, დიდ სწავლულსა და ასკეტს, გადასცა.

ქურუმმა თქვა, რომ თუმც *პანდიტებიდან* არც ერთს თვალთ არ უნახავს არც შივა, არც ვიშნუ, მაგრამ მაინც ყოველი მათგანი აღტაცებით განადიდებს ერთ რომელიმე ღმერთს, ამასთან მეორის ღირსებას ამცირებს. არავის ჰქონია ურთიერთობა არც შივასთან, არც ვიშნუსთან, და მთელი ქება-დიდება გონებრივ წარმოდგენებზეა დაფუძნებული.

შემდეგ ქურუმმა გამოაცხადა, რომ ის, ვინც ერთხელ მაინც უმზირა ერთ-ერთ ღმერთს, მდუმარედ იქნება არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც ნახა, არამედ იმის შესახებაც, რაც არ ნახა.

მთავარი ქურუმის ამ დასკვნამ კამათი დაასრულა, და *პანდიტები* – როგორც *შივაიტები*, ასევე *ვაიშნავები* – სახლში დარცხვენილები დაბრუნდნენ, რადგან დისპუტმა გამოავლინა არა მარტო ღმერთის ბუნების შესახებ მათი უმეცრება, არამედ ცარიელი პატივმოყვარეობა და ცარიელი წიგნობრივი ცოდნაც.

როგორც წმინდანმა სწორად თქვა, საკმარისი არ არის ღმერთი გწამდეს. სანამ ღვთაებრივის ასპექტებს ავტორიტეტულად განსჯიდე, მანამდე ღმერთი უნდა დაინახო და შეიგრძნო.

## 83

### რა არის

### ჭეშმარიტი განდგომა?

ერთხელ მეფე სიქჰადვაჯა განდგომის სულისკვეთებამ შეიპყრო, და ტყეში წავიდა, რომ ასკეტიზმისთვის მიეცა თავი. მის ცოლს, დედოფალ ჩოდალას, განდგომის გაცილებით მეტი სულისკვეთება გააჩნდა, ვიდრე ქმარს, მაგრამ დასანახად არასოდეს გამოჰქონდა. როდესაც მეფემ

სასახლე დატოვა, დედოფალმა გარეგნობა შეიცვალა, მამაკაცის ვარცხნილობა გაიკეთა, განდევილის ნარინჯისფერი ტანსაცმლით შეიმოსა, *რუდრაქმას*<sup>1</sup> კრიალოსანი ჩამოიკიდა და თვითონაც ტყეში წავიდა. როდესაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ ქმარი იპოვა, ჰკითხა, ვინ იყო ის. მეფემ უპასუხა, რომ სახელმწიფოს მმართველობის დროს მან უარი თქვა სიმდიდრეზე, ფუფუნებაზე, არმიაზე და მსახურებზე. «რისი გულისთვის უარყავი ეს ყველაფერი?» - დაინტერესდა ჩადალა. «იმის გულისთვის, რომ სიმშვიდე მოვიპოვო», - უპასუხა მეფემ. მაგრამ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ჯერჯერობით ამას ვერ მიაღწია. მაშინ ჩადალამ უთხრა, რომ «საგნებზე» უარის თქმას შედეგი არ მოაქვს. უარი უნდა თქვა სურვილზე ფლობდე მათ, და თუკი მაინც ფლობ, ამ ფლობის გამო სიამაყეზე. საჭიროა გარე სამყაროსგან განდგომა და საკუთარი ხედვის შიგნით მიმართვა, რომ შიდა სამეფოს მტრები დაამარცხო და საკუთარი თავის პატრონი გახდე.

როდესაც მეფე უკვე მზად იყო მის გასანათლებლად მოვლენილ «გურუს» ფერხთით თავი დაეხარა, ჩადალამ თავი გამოაჩინა. იგი *სატო*<sup>2</sup> (უმწიკვლო ცოლი) იყო, რომელიც თავისი *პატისთვის* (ბატონისთვის, ქმრისთვის) გურუ გახდა. ძველ დროში იყო მრავალი ცოლი, რომლებმაც პატივისცემა და დიდება იმით მოიპოვეს, რომ ჭეშმარიტ ღირებულებებზე შეუდარებლად უფრო მეტ ცოდნას ფლობდნენ, ვიდრე თანამედროვე ქალები.

## 84

### ძმობის გაკვეთილი

რამაიანაში მრავალი ეპიზოდია, რომლებიც ძმურ ურთიერთობებს ასახავს. აი ერთ-ერთი მათგანი. ერთხელ ოთხი მოზარდი ძმა ბურთს თამაშობდა. თამაშის შემდეგ რამა დედამისთან, კაუშალიასთან, გაიქცა და მუხლებზე ჩამოუჯდა. იგი სიხარულით აღვსილი იყო. კაუშალიამ ჰკითხა, რის გამოა იგი ასეთი ბედნიერი. რამამ თქვა: «დედა, დღეს

<sup>1</sup> რუდრაქმა - «რუდრას თვალი»; მოწითალო-ყავისფერი ხ და მისი ნაყოფი, რომლებსაც როორც წმინდას სცმნ პატივს. შივაიტები მისან კრიალოსან-თილისმას აკთბნ და კისრზ იკიდბნ.

<sup>2</sup> სატი - შივას მუდლის (რომლიც სამსხვრპლო კოცონში ადაშვა) რთ-რთი სახლი; ჭშმარიტი, სამართლიანი ცოლი; სატი არის ქმრის სამლოვიარო კოცონზ ქვრის თვითდაწვა (1829 წ. კანონმდბლობით აიკრძალა).

ბჰარატამ თამაში მოიგო, ამიტომაც მიხარია». კაუშალიას ეს სიტყვები ძალიან მოეწონა. მაგრამ რამას შემდეგ თვალცრემლიანმა ბჰარატამ მოირბინა. კაუშალიამ ჰკითხა, რატომ ტირის იგი იმის მაგიერ, რომ მოგება უხაროდეს. ბჰარატამ უპასუხა: «დედა, როცა მე უკვე ვაგებდი, ძმა რამა დამმორჩილდა და გამარჯვებული გამხადა. უფროსი ძმის დამარცხება მე უბედურს მხდის». როგორი ძმური სიყვარულის მაგალითია ჩვენ წინაშე! უფროსი ძმა უმცროსის წარმატებაზე ზრუნავს და საკუთარ დამარცხებაზე არ ფიქრობს!

## 85

### ვინ არის

### ტაძრის დამცველი?

დაქშინეშვარაში ტაძარში მყოფ კრიშნას ქანდაკებიდან ვიღაცამ ძვირფასეულობა მოიპარა. ამის შესახებ რანი რასმანის და მათჰურ ბაბუს აცნობეს. მეორე დილას მათჰურ ბაბუ ტაძარში მივიდა. იგი გაოცებული იყო, როგორ შეიძლებოდა ღმერთის ძვირფასეულობის მოპარვა და, როდესაც კრიშნას ქანდაკებას მიუახლოვდა, წამოიყვირა: «უფალო, შენ სამყაროს მცველი ხარ. რატომ არ დაიცავი შენი საკუთარი ძვირფასეულობა?»

რამაკრიშნა პარამაჰამსას ძალიან ატკინა გული ამ სიტყვებმა, რომლებიც მისი საყვარელი ღმერთისკენ იყო მიმართული. მან დიდი აღშფოთებით თქვა: «მათჰურ ბაბუ, როგორ ბედავ ღმერთს ბრალი დასდო? ალბათ ფიქრობ, რომ ღმერთს ალელვებს ეს ძვირფასეულობა. ნუთუ ფიქრობ, რომ ღმერთისთვის რაიმეს ნიშნავს ეს ძვირფასეულობა, როდესაც თვით სიმდიდრის ქალღმერთი მისი მეუღლეა? მთელი ეს ოქრო-ვერცხლი ღმერთის თვალში მხოლოდ და მხოლოდ მტკერია. განა თაყვანს არ სცემ ძვირფასეულობით შემკულ ღმერთს? იგი მას შენთვის არ უთხოვია. თუ ძვირფასეულობას ყიდულობ და მით ღმერთის ქანდაკებას რთავ, განა შენი საზრუნავი არ არის მათი დაცვა?»

ღმერთს არ აინტერესებს ზარ-ზეიმები და მდიდრული ცერემონიები. მას მხოლოდ ერთი რამ სურს – გულწრფელი და უანგარო რწმენა.

## ქორწილი სიძის გარეშე

საქორწინო ცერემონია ძალიან დიდი მოვლენაა სოფელში, მცხოვრებლები მასზე მრავალი დღის განმავლობაში ლაპარაკობენ.

ერთ სოფელში მდიდარი ოჯახი ცხოვრობდა. მშობლები თავის ერთადერთ ქალიშვილს ათხოვებდნენ. საქორწინო სამზადისი დაჩქარებულად მიმდინარეობდა. დიასახლისმა, ვისი ქალიშვილიც თხოვდებოდა, მეზობელ ქალს უთხრა: «ამა, მაღალ დონეზე ვაპირებთ ქორწილის ჩატარებას. ჩვენ დავუკვეთეთ ორკესტრი ბომბეიდან, ტკბილეული კალკუტადან, ცნობილი მომღერლები მადრასიდან, ქოქოსი ქერალადან, ყვავილები ბანგალორიდან და ხილი კაშმირიდან. მაისორიდან საუკეთესო მზარეულები ჩამოდიან. თუ შეიძლება, მოდი ჩვენთან, ქორწილის წინ შეიძლება ისეთი დაკავებული ვიყო, რომ შენს დასაპატიჟებლად დრო ვერც კი გამოვნახო».

მეზობელმა თქვა: «ამა, მე არ მჭირდება შენი ქალიშვილის ქორწილში განსაკუთრებული მოწვევა. ნამდვილად ძალიან მიხარია, რომ ქორწილს ჩვენს სოფელში ასეთ მაღალ დონეზე ატარებთ. მაპატიე, მაგრამ მითხარი, საქმრო ვინ არის, ლამაზია, კეთილია?» ქალმა უპასუხა: «ო, სულ დამავიწყდა შენთვის მეთქვა. ერთადერთი, ვინც ჯერ არ შეგვირჩევია, ეს საქმროა».

ასეა ქვეყანა მოწყობილი. ყოველივე მეორეხარისხოვანი ძალიან გვაღელვებს და გვიზიდავს, და მთავარზე არ ვფიქრობთ. სიძე და პატარძალი საქორწინო ცერემონიის მთავარი პერსონაჟებია. ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვანია. ზუსტად ასევე გვავიწყდება, რომ სხეული მოგვეცა ღვთაებრივის შეცნებისათვის ჩვენ შიგნით, ფაქტიურად კი მხოლოდ სხეულის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვცდილობთ.

## უკანასკნელი სურვილი

მუჰამად ნაზანი გაუმადლარი მომხვეჭელი იყო. მთელი ცხოვრება ბრილიანტებზე, მარგალიტებზე და სხვა ძვირფასეულობაზე გიჟდებოდა. მან რამდენჯერმე ინდოეთში შეაღწია და იქიდან დაუფასებელი განძი შემოიტანა. იგი მას თავის სასახლეში ინახავდა.

ერთხელ მუჰამადი ავად გახდა და იგრძნო, რომ მისი დღეები დათვლილია. იგი თავის წარსულ ლაშქრობებს იხსენებდა და ფიქრობდა: «დიდი ძალისხმევა გამოვიჩინე და უდიდესი სიმდიდრე მოვიხვეჭე. მაგრამ ახლა მე უნდა მარტო წავიდე და ეს სიმდიდრე აქ დავტოვო. თან არ წამომყვება!» მან თავის ვეზირებს დაუძახა და უთხრა: «მე თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს». ვეზირებს გაუკვირდათ, რომ მისი ქცევა უცებ შეიცვალა. «რა თხოვნაა, თქვენო აღმატებულებავ? – ჰკითხეს ერთხმად, – გვითხარით და თქვენს საბოლოო ნებას ზუსტად შევასრულებთ». მუჰამადმა თქვა: «როდესაც ქალაქის ქუჩებში ჩემი სხეულის დაკრძალვის პროცესია გაივლის, იზრუნეთ იმაზე, რომ ჩემი ხელისგულები ზემოთ იყოს მიმართული და ხალხი ხედავდეს ამას». გაოცებულმა ვეზირებმა ჰკითხეს: «თქვენო აღმატებულებავ! თუ შეიძლება, აგვიხსენით, რატომ დაგებადათ ასეთი უცნაური სურვილი?» მომაკვდავმა შაჰმა უპასუხა: «მინდა ყველამ იცოდეს, რომ დიდი მუჰამად გაზანი ამ ქვეყანას ცარიელი ხელებით ტოვებს».

## 88

### ყველა ღვთაებრივია

როდესაც ჩვენი ღვთაებრიობის შესახებ ჭეშმარიტებას მტკიცედ ვიწამებთ, მაშინვე გავიგებთ, რომ სხვებიც ღვთაებრივნი არიან. სანამ საკუთარ თავს მათგან განცალკევებულად ვთვლით, ჩვენ სხვების თანაგრძნობას ვერ შევძლებთ. აი ამბავი, რომელიც ამის ილუსტრაციას წარმოადგენს.

ერთმა ქალმა შირდი საი ბაბასთვის ტკბილი საჭმელი მოამზადა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სახლში ძალი შევიდა და ტკბილეული შესანსლა. ქალმა ძალი ჯოხით სცემა და სახლიდან გააგდო. მან კვლავ მოამზადა ტკბილეული და ბაბას წაუღო. ეს ძღვენი ბაბამ არ მიიღო და თქვა, რომ უკვე მთელი თეფში შეჭამა და აღარ შია. ეს შეუძლებელია, შეეპასუხა ქალი, მან ხომ პირველად მოიტანა იგი. ბაბამ უპასუხა: «არა, შენი

დამზადებული ტკბილეული მე უკვე ვჭამე. შენ ჯობით მცემე და სახლიდან გამავდე». ქალს ვერ გაეგო, რა ჰქონდა ბაბას მხედველობაში, მაგრამ უცებ გაახსენდა, როგორ შევიდა ძალი სახლში, ტკბილეული შეჭამა და ამის გამო იცემა. ასეთი სახით აგებინებდა შირდი ბაბა თავის ერთგულებს, რომ თავისი ხილული ფიზიკური ფორმით არ არის შემოსაზღვრული; იგი ყველა ცოცხალ არსებაში იმყოფება.

89

### მოჰაქშია

#### (ილუზიისგან განთავისუფლება)

ერთხელ ბრძენი აგასტია<sup>1</sup>, რომელიც დედამიწაზე დროებით იმყოფებოდა, შეხვდა ფერმერს, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ოჯახი გამოეკვება. ბრძენმა თანაგრძობით უთხრა: «მეგობარო, გულს ნუ გაიტეხ, გაჭირვება აღარ შეგაწუხებს: მე შემიძლია ამ ტვირთისგან გაგათავისუფლო. ვაიკუნთჰაში - ღმერთის სავანეში - წამომყევი». ფერმერმა უპასუხა: «პატივცემულო! როგორ უნდა მივატოვო ჩემი შვილები? ათი წლის შემდეგ მოდი და გამოგყვები». ათი წლის შემდეგ ბრძენი კვლავ მოევლინა და შეახსენა: «ჩემო მეგობარო, შენ მიერ დანიშნული ათი წელი გუშინ გავიდა. წამომყევი ვაიკუნთჰაში, იქ შენ მარადიული ნეტარება გელის». ფერმერმა თქვა: «პატივცემულო! ჩემი უფროსი ვაჟი ახლახან დაქორწინდა, და ძალიან მინდა მომავალი შვილიშვილები ვნახო. ათი წლის შემდეგ მოდი».

ეს ათი წელიც გავიდა და ბრძენი აგასტია ფერმერის სახლთან კვლავ გაჩნდა. მას უთხრეს, რომ ფერმერი მოკვდა. კართან მან ძალი დაინახა. ინტუიციამ უკარნახა, რომ ეს ფერმერი ძაღლში განსხეულდა. ბრძენმა ძაღლს ლაპარაკის უნარი და იმის ცოდნა მისცა, თუ რა იყო მის წინა ცხოვრებაში. მან ძაღლს ჰკითხა: «ადამიანო! ნუთუ ძაღლად დაბადების არ გრცხვენია? წამომყევი, ამ უღირსი ცხოვრებისგან გაგათავისუფლებ». ძაღლმა უპასუხა: «ბრძენო! ჩემი ვაჟის სახლთან მოდარაჯე ძაღლად ყოფნა მინდა. იგი ძალიან უზრუნველია, და სახლში ქურდებს შეუძლიათ

---

<sup>1</sup> აასტია – შვიდი ღვთაბრივი ბრძნიდან (ღვარიშვიდან) რთ-რთი, პურანბის თანახმად ვარუნას (წყლბის ღმერთის) და ციური აპსარას (ქალწულის) ვაჟი.

შეაღწიონ და მთელი ის სიმდიდრე წაიღონ, რაც მისთვის და მისი ოჯახისთვის დავაგროვე. ათი წლის შემდეგ მოდი».

ათი წლის შემდეგ ბრძენი მოვიდა. ირგვლივ ყველაფერი შეცვლილიყო. ფერმერის პატარა სახლის ადგილას ახლა დიდი სახლი იდგა. ბრძენი ინტუიციურად მიხვდა, რომ ფერმერი გველად განხორციელდა, ეზოში ჭიანჭველების ბუდეში ცხოვრობს და მიწაში ჩაფლულ განძს იცავს. ბრძენი ბუდესთან მივიდა და წაიჩურჩულა: «ჩემო ძვირფასო ადამიანო! რა საცოდავ ბედში ხარ! შხამიან გველად დაიბადე. წამომყევი, გაგათავისუფლებ». შიგნიდან გველის ხმა გაისმა: «პატივცემულო! არ შემძლია, რადგან მიწაში ჩემ მიერ ჩაფლულ განძს უნდა ვუდარაჯო».

ბრძენი აგასტია მაშინვე სახლის პატრონებთან წავიდა და თქვა: «ჩემო შვილებო, თქვენს ეზოში ჭიანჭველების ბუდეა; იქ შხამიანი გველი ცხოვრობს და განძს დარაჯობს, რომელიც თქვენთვის პაპამ დააგროვა. ხომ არ აჯობებდა გველი მოგეკლათ და განძი ამოგეღოთ?»

შვილიშვილებმა ეს დიდი სიამოვნებით შეასრულეს. გველი მოკლეს და იგი, როგორც იქნა, გაათავისუფლდა. დასანანია მხოლოდ ის, რომ სწორედ იმ ადამიანებმა მოკლეს შეუბრალებლად, ვისი გულისთვისაც იგი ასე დაუღალავად შრომობდა. სანამ მიბმულობის ბორკილები მაგარია, *ჯივასთვის*<sup>1</sup> გადარჩენის იმედი არ არსებობს.

## 90

### გულუხვობა ხელების სამკაულია

უტარ პრადემის შტატში ღვთისმოსავი ქალი ცხოვრობდა. იგი სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კეთილი და თანამგრძნობი იყო. თავისი ხელფასიდან ყოველთვის ერთ ნაწილს ტოვებდა, რითიც საწყლებისთვის საბნებს ყიდულობდა. ამ მსახურებას იგი უჩვეულო სახით ასრულებდა.

ზამთარში, ღამ-ღამობით, იგი სახლიდან საბნებით ხელში გამოდიოდა და პოულობდა იმათ, ვისაც ქუჩაში საბნის გარეშე ეძინა, მათ საბანს აფარებდა და სწრაფად სახლში ბრუნდებოდა. თავის ღამის მსახურებაზე

---

<sup>1</sup> ჯივა - «ცოცხალი ქმნილება»; ინდივიდუალური ანსხულბული სული.



არავის და არასოდეს უყვებოდა. დროთა განმავლობაში მან, ღმერთის წყალობით, მეტი ფულის გამომუშავება შეძლო, და ე.ი. უფრო მეტი საბნების ყიდვაც. ახლა ღამ-ღამობით რიქშას ქირაობდა, რადგან ბევრი საბანი დაჰქონდა. ბოლოს და ბოლოს ხალხმა ამ ღვთისმოსავი ქალის და მისი ქველმოქმედების შესახებ გაიგო. მაგრამ ხალხს ერთი რამ აოცებდა: ეს ქალი ყოველთვის თავდახრილი დადიოდა და ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ერთხელ მას ჰკითხეს, რატომაა იგი ასეთი ნაღვლიანი იმის მაგიერ, რომ ბედნიერი და ამაყი იყოს. ქალმა უპასუხა: «ღმერთი სიმდიდრეს მრავალი ხელით მაძლევს, ისევე, როგორც სხვებსაც აძლევს, მე კი მხოლოდ ერთი ხელით ვაძლევ. განა ამის გამო არ უნდა მრცხვენოდეს? რით შემძლია ვიამაყო?»

არსებობს ბრძნული გამონათქვამი: «დაე მარცხენა ხელმა არ უწყოდეს მარჯვენა რას აკეთებს».

## 91

### ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო

მონადირემ ორი მშვენიერი თუთიყუში დაიჭირა. ერთი ყასაბს მიჰყიდა, მეორე კი – ჰარიდასს, იმას, ვინც თაყვანისმცემლებს იკრებს და გალობებითა და ლეგენდებით თავის ღმერთს ჰარის ადიდებს.

ექვსი თვის შემდეგ მონადირეს ყასბის ფარდულის გვერდით მოუხდა ჩავლა. მას თუთიყუში გაახსენდა. ფარდულში რომ შევიდა მაშინვე მისი გამკვივანი ხმა მოესმა: «დაიჭირე, მოკალი, დაჭერი, ნაწილებად დაყავი!» იგი ფარდულიდან შეფიქრიანებული გამოვიდა იმ სიტყვების გამო, რომელთა წარმოთქმაც თუთიყუშმა ისწავლა. მას მეორე თუთიყუშის შესახებ მოუნდა გაეგო, და იგი ჰარიდასის *აშრამისკენ* გაემართა. თუთიყუშმა გალიაში ფრთები სიხარულით ააფათქუნა და გალობა დაიწყო: «სალამი! სალამი! ჰარე რამა ჰარე რამა რამა რამა ჰარე ჰარე! ჰარე კრიშნა ჰარე კრიშნა კრიშნა კრიშნა ჰარე ჰარე!» ეს რომ ნახა და მოისმინა, მონადირე აღტაცებული დარჩა.

თავის ქოხში რომ ბრუნდებოდა, იგი გზაში ფიქრობდა, თუ ტონისა და აზრის მიხედვით რაოდენ მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან თუთიყუშთა სიტყვები. ერთის სიტყვები სასტიკი და სამაგელი იყო,

მეორის სიტყვები – ნაზი, დამაწყნარებელი და ამაღლებული. ეს განსხვავება იმ გარემოებებისა და კომპანიის წყალობით გაჩნდა, სადაც ისინი გაიზარდნენ. სწორად არის ნათქვამი” «მითხარი ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინ ხარ შენ».

92

## ცოდვილი წმინდანად იქცა

შრი კრიშნა ჩაიტანია მოძრაობა *ნაგარასამკირტანის* (პროცესიაში *ბჰაჯანების* ქუჩაში გალობის) დამაარსებელი იყო. იგი ღმერთის მზერაში იფლობოდა, მის დიდებას გალობდა და გარე სამყაროს ივიწყებდა.

ერთხელ იგი ნავადვიპაში *ნაგარასამკირტანს* ატარებდა. ბჰაჯანების მომღერალთა პროცესიას ქალაქის ხელისუფლების წარჩინებული წარმომადგენლებიც მიუერთდნენ. ისინი ქუჩებში მიემართებოდნენ და ექსტაზში უფაღს ადიდებდნენ. ჯგუფს ჯიბის ქურდი მიუერთდა: მას იმედი ჰქონდა, რომ გალობებსა და ცეკვებში გართულ მდიდარ ერთგულებს ჯიბეებს გამოუცარიელებდა. მაგრამ როგორც კი მათს გარემოცვაში მოხვდა, თვითონ დაიწყო გალობა – უფრო მეტი გზნებით, ვიდრე სხვები. შემდეგ ყველა ტაძარში შევიდა და ჩაიტანია წინ დაჯდა, რომ მისი ქადაგებისთვის მოესმინა. ქურდი წმინდანის გვერდით დაჯდა. როცა უმრავლესობამ ტაძარი დატოვა, ქურდმა ჩაიტანია ტერფებს ხელები ჩაავლო და თქვა: «სვამი, შენ მრავალ ადამიანს აძლევ რჩევას. თუ შეიძლება, რაიმე წმინდა *მანტრა* გამიზიარე». ჩაიტანია შეხედა მას და უთხრა: «ჯერ მითხარი, ვინ ხარ და რა საქმით ხარ დაკავებული». ქურდმა უპასუხა: «სვამი, ვერ მოგატყუებ. მე ქურდი ვარ და მთელი ჩემი ცხოვრება ქურდი ვიყავი. ჩემი სახელია რამა, ხალხი რამა-ქურდს მეძახის».

ჩაიტანია უთხრა: «ძალიან სამწუხაროა. მე მოგცემ სახელს ან *მანტრას*, შენ კი, როგორც *გურუ დაქშინას*, რას მომცემ?» ქურდმა ყოყმანის გარეშე უპასუხა: «ნაქურდალიდან წილს მოგცემ». ჩაიტანია უთხრა: «ფული არ მჭირდება. შენგან მხოლოდ ერთი რამ მინდა – რომ ქურდობა შეწყვიტო». ქურდი შეეპასუხა: «სვამი, ეს ხომ ჩემი პროფესიაა, სხვაგვარად თავი

როგორ უნდა ვირჩინო? სხვა არაფრის კეთება არ შემძლია, სხვა ხელობა მე არ გამაჩნია». «კარგი, - თქვა ჩაიტანიამ, - მოგცემ ერთ წმინდა მანტრას, მაგრამ ერთი პირობით: სანამ საქურდავად წახვიდოდე, 1008-ჯერ უნდა გაიმეორო იგი». და მან ქურდს ყურში ჩასჩურჩულა: «*ომ ნამო ბჰაგავატა ვასუდევაია* (დიდება შენდა, უფალო, ვასუდევას ძეო)». ქურდის გარდაქმნა უკვე დაიწყო, რადგან მას წმინდანი შეეხო. ამასთან ჩაიტანიასთან საუბარმა იგი წარსულის ყველა ცოდვისგან გაათავისუფლა. ქურდი განწმენდილი და განახლებული წავიდა.

ამის შემდეგ სულ მალე მდიდარმა სახლის პატრონებმა თავისი სახლები დაკეტეს და შრი კრიშნა ჩაიტანიას დარშანზე წავიდნენ. ქურდმა გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლა და ერთ-ერთ სახლში შესულიყო. მან ქალაქში ყველაზე მდიდარი კაცის სახლი შეარჩია, შიგ შეძვრა და იმ ოთახში შეაღწია, სადაც ძვირფასეულობით სავსე ზარდახშა ინახებოდა. როდესაც გახსნა იგი, მრავალი ძვირფასი ქვა და ოქრო დაინახა, მაგრამ გადაწყვიტა ხელი არ ეხლო მანამადე, სანამ მისთვის მიცემულ მანტრას 1008-ჯერ არ გაიმეორებდა. ნახევრამდეც არ იყო მისული, როცა სახლში პატრონი მთელი ოჯახით დაბრუნდა. დიასახლისმა სამკაულები მოიხსნა, რომლებიც წასვლამდე გაიკეთა, და ზარდახშაში ჩაწყობა დააპირა. ოთახში მან უცნობი დაინახა, რომელიც მანტრას - «*ომ ნამო ბჰაგავატა ვასუდევაია*» - კითხვით იყო გართული. ქალმა იფიქრა, რომ ალბათ ეს დიდი ბრძენია, რომელიც აქ მოვიდა, რომ დალოცოს ისინი, და ქმარს დაუძახა. ქურდი მთლიანად მედიტაციაში წავიდა. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომ იგი წმინდა სულია, ჩაიტანიას მსგავსი. მანტრა 1008-ჯერ რომ გაიმეორა, ქურდმა თვალები გაახილა და ადამიანები დაინახა, რომლებიც მის წინ მოწიწებით ისხდნენ. სახლის პატრონმა ჰკითხა: «პატივცემულო, შეგვიძლია გავიგოთ, ვინ ხარ, და გვაქვს თუ არა უფლება გთხოვოთ სადილი გაიზიარო, რომ ჩვენი ცოდვების მონანიება შევძლოთ?»

ქურდმა იფიქრა: «თუ ღმერთის სახელის უბრალო გამეორებას ჩემ მიმართ ასეთი პატივისცემის შთაგონება შეუძლია, მაშ რა უნდა მოხდეს ჩემს თავს, თუკი წესად მივიღებ, რომ ეს სახელი ყოველდღიურად მთელი გულწრფელობით ვიმეორო? ასეთ შემთხვევაში ალბათ მის წყალობას დავიმსახურებ». და მან გადაწყვიტა ქურდობისთვის ბოლო მოეღო. იგი სახლის პატრონების წინ განერთხო და თქვა: «დედა, ნება

მომეცი სიმართლე გითხრა. მე ქურდი ვარ. ნება მომეცით ტყეში წავიდე და ცხოვრების დარჩენილი ნაწილი ღმერთთან ურთიერთობაში გავატარო».

ყველას ძალიან გაუკვირდა, მაგრამ ასევე გაიხარეს ამის გამო. იმ საღამოს სახლში დარჩა, როგორც სტუმარი. დილით ეს ამბავი ყველამ შეიტყო, და ყოველი მხრიდან ხალხი მოდიოდა, რომ ყოფილი ქურდისთვის შეეხედა. იგი ქალაქში პალანკინით გაატარეს, შემდეგ კი ტყეში დატოვეს, სადაც მას მონანიებისთვის უნდოდა თავი მიეცა. მოგვიანებით იგი ერთხელაც მივიდა ჩაიტანასთან და მისი კურთხევა მიიღო – იმაზე, რომ ნამდვილი წმინდანი გამხდარიყო.

## 93

### ვინ არის

### ზეცაში მოხვედრის ღირსი?

ზეცის კართან სამი ადამიანი მიიყვანეს. კარის მცველებმა მათ ჰკითხეს: «რა გააკეთიმისათვის, რომ ზეცაში მოხვდეთ?» - «მე ყველა საღვთო წერილი შევისწავლე და ამიტომ ზეცაში მოხვედრის უფლება მაქვს», - უპასუხა ერთმა. მცველმა თქვა: «შენ წერილების ტექსტები ზეპირად იცი, მაგრამ აქედან ცხოვრებაში ერთი სიტყვაც არ გაგიტარებია. პრაქტიკული გამოყენების გარეშე თეორიულ ცოდნას არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ზეცაში შენ არაფერი გესაქმება. შეგიძლია წახვიდე აქედან». მეორე ადამიანმა თქვა: «მე ასობით ცეცხლის თაყვანისცემის წესი და შეწირვა მაქვს შესრულებული და დიდი სახელი მოვიპოვე, და ამიტომ ალბათ უფლება მაქვს ზეცაში შევიდე». მცველმა თქვა: «*იაჯნებს* (მსხვერპლის შეწირვის წეს-ჩვეულებებს) კერძო მიზნების გამო ასრულებდი. არც შენ გაქვს ზეცაში მოხვედრის უფლება». მესამე ადამიანმა თვინიერად თქვა: «მე მხოლოდ და მხოლოდ ფერმერი ვარ. გამვლელებს სასმელ-საჭმელს, აგრეთვე თავშესაფარს ვთავაზობდი, როცა ეს მათ ესაჭიროებოდათ. ასე ვცდილობდი სხვებისთვის გამეზიარებინა ის, რაც იმ წუთში გამაჩნდა. მე წესად შემოვიღე გამომუშავებული ფოლიც სხვებისთვის გამენაწილებინა. ეს ერთადერთი

სადჰანაა (სულიერი პრაქტიკა), რომლის მიყოლასაც ვცდილობდი». მცველმა თქვა: «შენ შეგიძლია შეხვიდე».

ეს ამბავი ადასტურებს ჭეშმარიტებას: «არც ცოდნას, არც რიტუალების დაცვას არ შეუძლია ზეცაში ჩვენთვის ადგილის მოპოვება. მხოლოდ სხვათა ბედნიერებისთვის მსხვერპლის შეწირვით შეგიძლია ზეცა მოვიპოვოთ».

## 94

### გაეცი და მოიგებ

ერთხელ ქოხის წინ მათხოვრის გუდით ხელში შანკარაჩარია<sup>1</sup> შეჩერდა. აქ ძალიან საწყალი მოხუცი ქალი ცხოვრობდა. როდესაც მან *აჩარია*<sup>2</sup> ხმა გაიგო, რომელიც მოწყალებას ითხოვდა: «*ბჰავატი, ბჰიკშამ დეჰი* (პატივცემულო დედა, გაიღე მოწყალება)», თავი უბედურად იგრძნო, რადგან არავითარი საჭმლის შეთავაზება არ შეეძლო. იგი იტანჯებოდა, ცდილობდა რაიმე ეპოვა. უცებ მან მირობალანის ნაყოფი შენიშნა – უკანასკნელი, რომელიც სახლის წინ მდგარი ხიდან მოწყვიტა. მან ეს მირობალანი აიღო და აჩარიას მულდაკში ჩაუშვა. მას არც კი შეეძლო შეეხედა სამათხოვროდ გამოსული ცნობილი განდევლისთვის. ამ ძღვნის გამო შანკარაჩარიას გული აუჩვილდა. კართან მდგარმა მან სიმდიდრის ქალღმერთის სადიდებელი ჰიმნის გალობა დაიწყო. და იმავე წამს ხიდან ოქროს მირობალანის წვიმა წამოვიდა. ასე იქნა ეს მოხუცი ქალი დალოცვილი მდიდრული საჩუქრებით, რომლებმაც იგი სიღუბჭირიდან იხსნა, რადგან მან სიყვარულით გასცა ერთადერთი, რაც ჰქონდა.

ღმერთმა გიტაში აღგვითქვა, რომ თუ ერთგული, სუფთა სული, ღმერთს სიყვარულით სწირავს ფოთოლს, ყვავილს, ნაყოფს, ან უბრალოდ ცოტაოდენ წყალს – ეს სავსებით საკმარისია, რომ მისი თანაგრძნობა და წყალობა დაიმსახუროს.

<sup>1</sup> შანკარა (შანკარაჩარია) (788-820) – დიდი წმინდანი, მოღვაწე და ფილოსოფოსი, რთიანობის ფილოსოფიის (ადვაიტა ვდანტის) დამფუძნებელი.

<sup>2</sup> აჩარია – სულიერი მასწავლებელი, მოქადა.

## ვინ არის ნამდვილი მეგობარი?

მეფე ბჰოჯა<sup>1</sup> *პანდიტებს*, მხატვრებსა და პოეტებს მფარველობდა. დიდ მელექსეთათვის მისი სასახლე ჭეშმარიტად მიზიდულობის ცენტრი იყო; მათ შორის უდიდესს წარმოადგენდა კალიდასა – არა მხოლოდ მეფის კარის პოეტი, არამედ ბჰოჯას ახლო მეგობარიც. ეს უკანასკნელი ძალიან კარგი მმართველი იყო, მაგრამ მას ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა: ბანქოს თამაში უყვარდა. კალიდასამ გეგმა შეადგინა, რომლითაც მეფისთვის უნდა გაეგებინებინა, რომ აზარტული თამაშებით გატაცება შვიდი ცოდვიდან ერთ-ერთია.

ყველა მნიშვნელოვანი საქმის შესრულების შემდეგ მეფე ჩვეულებისამებრ ყოველდღე ტახტრევნით სამეფო კარის სამორინეში მიდიოდა. კალიდასამ შეისწავლა, რომელი გზით დადის მეფე.

ერთ მშვენიერ დღეს კალიდასა ნარინჯისფერი ტანსაცმლით შეიმოსა, თმები აიწეწა და განსაკუთრებული წვნით დაისველა, როგორც ეს განდევილებს სჩვევიათ, და კისერზე წმინდა კრიალოსანი ჩამოიკიდა. იგი ხორცის ფარდულთან ყველას თვალწინ გზაზე დადგა, რომელზედაც მეფეს უნდა გაევიდა. როცა ტახტრევანი მოახლოვდა, მან ყასაბთან ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, ვითომდა ხორცის ფასით დაინტერესდა. ტახტრევანში მჯდარი მეფე ყოველთვის ცნობისმოყვარეობით იყურებოდა აქეთ-იქით, რომ საქმის კურსში ყოფილიყო, თუ რა ხდება გარშემო. ნარინჯისფერსამოსიანმა ადამიანმა მისი ყურადღება მიიქცია, და მეფემ მსახური გაგზავნა, რომ გაეგო, რა დასჭირდა *სანიასინს* (მწირს) ყასაბთან და მართებულია თუ არა მისი იქ ყოფნა. მწირმა-კალიდასამ უპასუხა: «ამაზე ნუ სწუხხართ. თქვენს მეფეს გადაეცით, რომ არა მარტო ხორცს ვჭამ, არამედ ლიქიორსაც ვსვამ».

ამ სიტყვების გამო მეფე აღშფოთდა და თქვა, რომ მისთვის აუტანელია იმ *სანიასინის* დანახვა, რომელიც ხორცს ჭამს და ლიქიორს სვამს. ამასთანავე აინტერესებდა, ამ ადამიანს საიდან აქვს ხორცისა და დასალევის ფული. კალიდასამ ეშმაკურად ჩაიცინა და უპასუხა: «ეს

<sup>1</sup> ბჰოჯა (მ-11 საუკ.) – მფ, რომლმაც მრავალ ღწდაში აითქვა სახლი; იყო დიდი მცწირი და ჯბირბისა და ხლოვნური ტბბის მწწბლი.

ადვილია, მე ბანქოს ვთამაშობ და ფულს ვიგებ. ბანქოს თამაში სხვისი ჯიბიდან ფულის ამოღების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადვილი ხერხია». მეფე მიხვდა, რომ ნარინჯისფერ სამოსელში გამოწყობილი ადამიანი უბრალო არ უნდა იყოს. მან გადაწყვიტა სამორინეში აღარ წასულიყო და ტახტრევნის მეზარგულებს სასახლეში დაბრუნება უბრძანა.

რამდენიმე დღის შემდეგ თავის მეგობარ კალიდასასთან მსახური გაგზავნა, რომ ნარინჯისფერტანსაცმლიანი ადამიანის ამბავი მასთან ერთად განეხილა. კალიდასა იმავე *სანიასინის* გარეგნობით გამოცხადდა. მეფემ მთელი სიმკაცრით მოითხოვა განემარტა, ეს მასკარადი რას ნიშნავდა. კალიდასამ წყნარად უპასუხა: «ჩემო მეგობარო! ეს სპექტაკლი შენდა სასარგებლოდ გავითამაშე. თუ *სანიასინი* ხორცს ჭამს, დამატრობელ სასმელებს სვამს და ბანქოს თამაშობს, ამ ყველაფრის შედეგები, რომლებიც მისთვის გარდაუვალია, მხოლოდ მას ერთს ეხება. მაგრამ თუ ამ მანკიერებებიდან მეფეს თუნდაც ერთი აქვს, იგი თავის ქვეშევრდომებს ცუდ მაგალითს აძლევს. ნუთუ ხალხური სიბრძნე არ გაგიგონია: «როგორცაა მეფე, ისეთივე არიან ქვეშევრდომებიც»? მაპატიე, მეფეო! მე ძალიან დიდი უფლებები მივეცი თავს და გაგაბრაზე». მეფე ბჰოჯამ მეგობარი გულში ჩაიკრა და უთხრა: «კალიდასა! რა ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეგობარი მხვდა წილად - ფილოსოფოსი და მოძღვარი!»

96

### როგორცაა მეფე, ისეთივე არიან ქვეშევრდომებიც

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა მეფე, რომელიც სამეფოს სამართლიანად მართავდა. თავისი ხალხი ძალიან უყვარდა და ახალი კანონის ან რეფორმის განხორციელების დროს მას ეთათბირებოდა. ხალხსაც მგზნებარედ უყვრდა მეფე და მისთვის ყველაფერზე მზად იყო.

ერთხელ დედოფალი მეფეს თმაზე ზეთს უსვამდა და რამდენიმე ჭაღარა ბეწვი შენიშნა. მეფემ ხანდაზმულობაში შეაბიჯა, და დედოფალი მიხვდა, რომ ღმერთი პირველ ცნობას აგზავნის, რომელიც მოახლოებულ დასასრულს ახსენებს. მისი თვალეზიდან ცრემლმა გამოჟონა და მეფის

ხელზე დაეცა. მან თვალცრემლიან დედოფალს შეხედა და ჰკითხა: «რა მოხდა? რატომ ტირი?» დედოფალმა მიზეზი დაასახელა, რაზედაც მეფემ გაიღიმა და თქვა: «ჩემო კარგო, კარგია, რომ სიმართლე მითხარი. ახლა, როდესაც ვიცი, რომ ჩემი აღსასრული ახლოსაა, მზად უნდა ვიყო, რომ მშვიდად მოვკვდე – ლოცვებსა და მონანიებაში. სამეფოს მართვაზე პასუხისმგებლობას ჩვენს მინისტრებს დავაკისრებ, მე და შენ კი ტყეში წავიდეთ და ცხოვრების დარჩენილი ნაწილი იქ მშვიდად გავატაროთ».

მეფემ მაშინვე თათბირი გამართა მინისტრებთან და მათ თავისი გადაწყვეტილება ამცნო. ახალი ამბავი სწრაფად გავრცელდა და მთელი ხალხი სასახლეს მოაწყდა. მინისტრები და ქვეშევრდომები მეფეს სთხოვდნენ არ მიეტოვებინა ისინი. მათ უთხრეს, რომ თუ მეფე წავა, ისინი ისეთივე უსიცოცხლონი გახდებიან, როგორც სხეულია გულის გარეშე. მეფე ცდილობდა დაერწმუნებინა სიკვდილის გარდაუვალობაში და იმაში, რომ ადამიანმა ასკეტური ცხოვრებით უნდა იცხოვროს ტყეში და ასე შეხვდეს სიკვდილს.

ხალხმა თქვა; «მეფეო, ჩვენ ტყეში წავალთ და ღმერთ ბრაჰმას შევევედრებით, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე გაჩუქოს. სანამ არ დავბრუნდებით, გთხოვთ სახელმწიფოს სათავეში დარჩე». ხალხი ტყეში წავიდა და ბრაჰმას გულწრფელი ლოცვებით მიმართა. მეფისადმი ასეთმა ერთგულებამ უფალს გული აუჩვილა და მეფეს ხანგრძლივი სიცოცხლე აჩუქა. ქვეშევრდომები სასახლეში უდიდესი სიხარულით დაბრუნდნენ და უფლის საჩუქრის შესახებ მეფეს უამბეს. მეფე უზომოდ გახარებული იყო.

მაგრამ ახლა დედოფალმა ტყეში მარტო გადაწყვიტა წასვლა და მეფეს და ხალხს გამოეთხოვა. ქვეშევრდომებმა იფიქრეს, რომ დედოფალი მათზე ნაწყენი დარჩა იმის გამო, რომ ისინი ღმერთს ხანგრძლივ სიცოცხლეს მხოლოდ მეფისთვის სთხოვდნენ. ტყეში დედოფალმა ღრმა მედიტაციას მისცა თავი და, მას ღმერთი მოევლინა. დედოფალმა თავმდაბლად ჰკითხა: «უფალო, მართალია, რომ მეფეს ორასი წლის სიცოცხლე აჩუქე?» - «დიახ, სწორედ ასეა», - უპასუხა ღმერთმა. დედოფალმა ჰკითხა: «უფალო! რად უნდა მეფეს ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე, თუკი ხალხსაც იგივე არ მიეცა? მას ხომ მგზნებარედ უყვარს მეფე». ღმერთმა უპასუხა: «დაე ასე იყოს. მთელ თქვენს ხალხს ხანგრძლივ სიცოცხლეს ვაძლევ. შენც გჩუქნი, თუმცა ეს არ გითხოვია».



დედოფალი სასხლეში დაბრუნდა და მეფესა და ხალხს ღმერთის კურთხევისა და საჩუქრის შესახებ აცნობა. ასეთი იყო ძველ ინდოეთში ხალხის, მეფეებისა და დედოფლების თავგანწირვის სულისკვეთება.

97

## შემწყნარებლობის ფასი ამქვეყნიურ ცხოვრებაში

ინდოეთის ისტორიიდან ვიცით, რომ მუჰამედ გორი არაერთხელ შექრილა ინდოეთში. იგი რამდენჯერმე ტყვედ ჰყავდათ აყვანილი, მაგრამ ყოველთვის ათავისუფლებდნენ იმის გამო, რომ პატიებას ითხოვდა.

ერთხელ იგი მამაცმა პრინცმა რაჯაპუტა პრიტკივი რაჯამ აიყვანა ტყვედ. მუჰამედ გორი დანებდა და შეწყნარება სთხოვა. პრიტკივი რაჯამ აპატია და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა.

მუჰამედ გორი უმადური ადამიანი იყო. იგი კვლავ შემოიჭრა ინდოეთში. მან პრიტკივი რაჯა უსინდისო გზით ტყვედ აიყვანა და უმოწყალოდ დააბრმავა.

დიახ, პრიტკივი რაჯამ მტრის მიმართ შემწყნარებლობა გამოავლინა, მაგრამ სადამდე მიიყვანა ამან? შემწყნარებლობა და პატიების უნარი უდიდესი ზნეობრიობებია, მაგრამ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათი განურჩევლად გამოვლენა არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში სიტუაცია გულდასმით უნდა აწონ-დაწონოთ და დარწმუნებული იყოთ იმ ადამიანის ბუნებაში, ვინც პატიებას გთხოვთ, მისი ბოროტი საქმეების მოტივებში, და რაც მთავარია, შეაფასოთ, აქვს თუ არა მას შანსი მონანიების გზით თავისი ბუნება შეცვალოს, თუ, როგორც კი პატიებას მიიღებს, კვლავ ბოროტების მორევში გადაეშვება.

98

## უფლის გზები

ერთხელ, თავიანთი გაძევების დროს, პანდავები იმ ტყეში მოხვდნენ, სადაც ბრძენი რომარიში ცხოვრობდა. მთელი მისი სხეული ხშირი ბალნით იყო დაფარული, წვერი კი იმდენად გრძელი ჰქონდა, რომ ტყეში ხალიჩასავით იყო მიწაზე გადაფენილი. ამ ტყეში წმინდა ხე იზრდებოდა, რომელიც უჩვეულო ნაყოფს ისხამდა: თუ ადამიანი მას ერთხელ მაინც გასინჯავდა, წლების განმავლობაში არ გრძნობდა არც შიმშილს, არც წყურვილს. მაგრამ ამ ნაყოფის მოწყვეტა არ შეიძლებოდა, მისი შეჭმა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა თვითონ ჩამოვარდებოდა ხიდან.

ისე მოხდა, რომ დჰარმარაჯა და დრაუპადი ხესთან მივიდნენ, და დრაუპადის ძლიერი ცდუნება გაუჩნდა ტოტზე ჩამოკიდებული დიდი არომატული ნაყოფი გაესინჯა. მან თქვა: «მოდით მოვწყვიტოთ ეს ხილი და თანაბრად გავინაწილოთ». დჰარმარაჯამ ისარი ესროლა და ნაყოფი მიწაზე დავარდა. ისინი მივიდნენ ასაღებად, მაგრამ ნაყოფი იმდენად მძიმე იყო, რომ ადგილიდან ვერ დაძრეს. დჰარმარაჯა მის აღებას ორივე ხელით მთელი ძალით ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. დრაუპადის მცდელობაც ამაო იყო. სწორედ ამ დროს ხესთან არჯუნა მოვიდა. მანაც სცადა ნაყოფის აღება, მაგრამ ვერ შეძლო. სამივე ერთად ეცადა აეწია, მაგრამ ნაყოფი არ ემორჩილებოდა. ორი უმცროსი ძმაც მოვიდა, მაგრამ საერთო მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

ბოლოს კიდევ ერთი ძმა, ძლიერი გმირი, ბჰიმა მოვიდა. მან ყველას სთხოვა გვერდზე გამდგარიყვნენ და თქვა: «მე ავწევ მას». მაგრამ ბჰიმამაც კი მარცხი განიცადა.

ამ დროს რომარიშის თმა, რომელიც მთელ ტყეს ეფინებოდა, ამოძრავდა, რადგან მის კულულებზე ხესთან შეკრებილი ექვსი ადამიანი აბიჯებდა და ამის გამო ღერებს წელავდა და წიწკნიდა. რომარიში მიხვდა, რომ ვიღაცას მისი სასწაულებრივი ხილის მოპარვა სურს. იგი განრისხდა, მისი გრძელი თმა გამკვრივდა, პანდავებისკენ გაიწელა და მათს სხეულებზე დაიწყო შემოხვევა.

დრაუპადიმ ხიფათი გააცნობიერა და მაშინვე კრიშნას ლოცვა დაიწყო. კრიშნა დაუყოვნებლივ მის წინ გაჩნდა. დრაუპადი ფეხებში ჩაუვარდა და შველა სთხოვა. კრიშნამ თქვა: «დაო, აქ მე უძლური ვარ. რომარიში დიადი ბრძენია, მე მის გულში ვიმყოფები. ნუთუ ძემიძლია ჩემი ერთგულის ნების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედო?» მაგრამ დრაუპადი ისევ და ისევ ევედრებოდა: «მხოლოდ შენ შეგიძლია გვიხსნა. თუკი

მოინდომებ შენ ყველაფრის გაკეთებას შეძლებ». კრიშნამ თქვა: «დაგეხმარებით, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ჩუმიად უნდა იყოთ, და რასაც გეტყვით, ის უნდა გააკეთოთ». პანდავები და დრაუპადი დაპირდნენ, რომ მის ბრძანებებს დაემორჩილებოდნენ. კრიშნა რომარიში *აშრამისკენ* გაემართა, მათ კი უბრძანა, რომ ცოტა ხნის შემდეგ უკან მიჰყოლოდნენ.

ამ დროს განრისხებული რომარიში უკვე სახლიდან გამოდიოდა და მტაცებლების დაწყევლას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში *აშრამში* კრიშნამ შეაბიჯა. რომარიში კრიშნას ლოტოსის ტერფებთან განერთხო და სიხარულით აღვსილმა თქვა: «რა ბედნიერი ვარ შენი ხილვით! ჩემო უფალო! რა შემძლია შენთვის გავაკეთო?» სანამ პანდავები მოვიდოდნენ, კრიშნა ბრძენს სულიერ თემებზე საუბრით ართობდა.

როდესაც პანდავებმა და დრაუპადიმ *აშრამს* მიაღწიეს, კრიშნა დასახვედრად გამოვიდა და მათს ფეხებთან განერთხო. პანდავებმა დიდი უხერხულობა იგრძნეს, მაგრამ კრიშნას დარიგება ახსოვდათ და თავი მშვიდად დაიჭირეს. ეს რომ რომარიშიმ დაინახა, ისიც მათს ფეხებთან განერთხო. კრიშნამ ისინი *აშრამში* მიიწვია და რომარიშის წარუდგინა. კრიშნამ ქებით მოიხსენია დჰარმარაჯას ზნეობრიობები, არჯუნასა და ბჰიმას სიმამაცე, ნაკულასა და საჰადევას გონების სიმახვილე, ყველაზე უფრო მეტად კი დრაუპადის ერთგულება. ამ დროისთვის რომარიშს სრულიად დაავიწყდა სასწაულებრივი ხილისა და მტაცებლების ამბავი, მაგრამ კრიშნამ უამბო, რომ პანდავები სწორედ ის ადამიანებია, რომლების ცდუნებას დაჰყვნენ ნაყოფი გაესინჯათ, თუმცა მისი უნიკალური თვისებების შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. რომარიშის პანდავებისთვის რაიმე საამოს გაკეთება მოუხდა; ისინი ხომ თვით უფლის სიმპათიებს იმსახურებდნენ. მან თქვა: «დაე წაიღონ მათ ხილი, ეს მე სიამოვნებას მომგვრის». ნაყოფის გასინჯვის შემდეგ პანდავებმა დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდნენ, რა იყო შიმშილი.

ძნელია უფლის გზების გამოცნობა. ჩვენთვის მისაწვდომია მხოლოდ ის, რომ უფალი მუდამ სიყვარულით და რწმენით გვახსოვდეს და წყალობა ვთხოვოთ მას.

## მოუთმენლობა

ძნელია ღვთაების გზების გამოცნობა. სამყაროში ყოველი არსების კეთილდღეობისთვის ზრუნვაში ღვთაება მრავალრიცხოვან საშუალებებს იყენებს. ამის საილუსტრაციოდ არსებობს ამბავი ერთი მორწმუნის შესახებ. იგი გატაცებით ოცნებობდა მდიდარი გამხდარიყო და ამ მიზნით მკაცრ მონანიებას ეძლეოდა იმ იმედით, რომ სიმდიდრის ქალღმერთ ლაქშისაგან ჯილდოს მიიღებდა. მატერიალური კეთილდღეობის დაუფლების გულისთვის ადამიანი მზად არის მრავალი გამოცდა გაიაროს, მაგრამ ამასთან არავითარ ძალას არ ხმარობს იმისათვის, რომ ღვთაებრივს ჩასწვდეს.

ლაქშიმში ერთგულის წინ გაჩნდა და ჰკითხა, რა უნდა მას. ერთგულმა უპასუხა, რომ თვით ლაქშიმის მიღება სურს. მან თანხმობა განაცხადა მისი სურვილი შეესრულებინა და თქვა, რომ ყოველგვარი ძვირფასეულობით მოირთვება და მას გაჰყვება. ერთგული კი პირველი უნდა წასულიყო. როდესაც ლაქშიმში ერთგულის სახლამდე მივა, თავის მთელ ძვირფასეულობას მას მისცემს. მაგრამ ლაქშიმში ერთი პირობა წამოაყენა: «შენ უნდა წინ იარო და უკან არ მოიხედო. თუ ერთხელ მაინც მოტრიალდები, მე მაშინვე გავჩერდები და აღარ წამოვალ». სიხარულით აღვსილმა ერთგულმა სახლისაკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია. ქალღმერთი უკან მიჰყვას, და მისი ძვირფასეულობა მრავალ ხმაზე აწკრიალდა. ერთგულს უდიდესი სურვილი გაუჩნდა ამ ძვირფასეულობისთვის შეეხედა. მას ძალა არ ეყო ცნობისმოყვარეობა დაეძლია და უკან მოტრიალდა. იმავე წამს ლაქშიმში შეჩერდა. ერთგულს, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაშიც კი, სახლში მისასვლელად რომ იყო საჭირო, მოთმინება არ ეყო, რომ არ შეეხედა ლაქშიმისთვის და მისი ძვირფასეულობისთვის.

ასეც ხდება, როდესაც ადამიანი თავის სურვილებს ვერ იკავებს. ღვთაების წყალობის მიღწევის დროსაც კი აქედან სარგებლობას ვერ იღებს. ეს ნიშნავს, რომ უხვი წყალობაც კი თუ გხვდათ წილად, უნარი უნდა გქონდეთ თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ. ამ უნარს რომ დაეუფლოთ, ღვთაებრივ ბრძანებებს უსიტყვოდ უნდა

ემორჩილებოდეთ. ამ ამბავში ერთგულს ლაქშმის პირობები რომ არ დაერღვია, ამ წყალობიდან სარგებლის ნახვა შეეძლო. მან ეს პირობები არ შეასრულა და მისთვის შეთავაზებული უფლება დაკარგა.

100

## რა არის შეწირულება?

დიადი მეფე ბუდას ქადაგებას ისმენდა, რომელიც განდგომასა და შიდა ჰარმონიას ეძღვნებოდა. მას ბუდასგან მოწონების დამსახურება მოუნდა. ბუდას ყოველთვის დიდი დაჰქონდა თან. ერთხელ მოსწავლეებმა ჰკითხეს: «მასწავლებელო, ამ დოლს რისთვის დაატარებ?» ბუდამ უპასუხა: «ამ დოლს ხელს მაშინ დავკრავ, როდესაც ჩემთან ის ადამიანი მოვა, რომელიც უდიდეს შეწირულებას მოიტანს». ყველას უნდოდა გაეგო, ვინ იქნებოდა ეს ადამიანი.

მეფემ რომ ბუდას ეს სიტყვები გაიგო, განძით დატვირთული სპილოებით მისკენ გასწია. მეფეს სურდა ბუდასთვის ეს სიმდიდრე შეეწირა და მისი კურთხევა დაემსახურებინა. გზად მოხუცი ქალი შემოხვდა. მან თაყვანი სცა მეფეს და სთხოვა: «მე ძალიან მშვიერი ვარ, რაიმე საჭმელს ხომ არ მომცემდი?» მეფემ კალათიდან ბროწეული ამოიღო და ქალს გაუწოდა. მოხუცი ქალი ამ ხილით ბუდასთან წავიდა. ამ დროს მეფემ ბუდას *აშრამს* მიაღწია. როდესაც სპილოები ბუდასთან მიიყვანა, მეფე მოელოდა, რომ დოლის რაკარუკს გაიგებდა. მოხუცი ქალი ბუდასთან დიდი გაჭირვებით მილასლასდა და მის ფეხებთან ბროწეული დადო. ბუდამ ეს მიიღო და მაშინვე დოლს დაჰკრა ხელი. გაოგნებულმა მეფემ ბუდას მიმართა: «სვამი, ამდენი განძეულობა შემოგწირე, და შენი დიდი ჩუმად იყო, დოლს კი მაშინ დაჰკარი, როცა მხოლოდ ერთი ცალი ხილი შემოგთავაზეს. ნუთუ ეს შეწირულებაა?» ბუდამ უპასუხა: «მეფეო! შეწირულება რაოდენობით არ იზომება, ხარისხი – აი რა არის მნიშვნელოვანი. შენ მეფე ხარ, და ბუნებრივია, რომ ოქროს ჩუქნი. მაგრამ ამ მოხუცმა, მშვიერმა ქალმა, ბროწეული არ შეჭამა და მე შემომწირა. ამ ხილით მას შიმშილის მოკვლა შეეძლო. ნუთუ ამაზე უფრო დიდი შეწირულების წარმოდგენა შეიძლება?»

## გამოცდა თავდაჯერებულობას აძლიერებს

პრახლადა<sup>1</sup> არა მარტო უფალ წარაიანას ერთგული, არამედ უაღრესად სამართლიანი მეფეც იყო. იგი არნახული გულუხვობით გამოირჩეოდა, და არასოდეს ეუბნებოდა «არა»-ს იმათ, ვინც მასთან წყალობის ან დახმარების თხოვნით მოდიოდა.

ერთხელ ღმერთმა ინდრამ გადაწყვიტა გამოეცადა. იგი *ბრაჰმანის* სახით მის წინ გაჩნდა. პრახლადამ სტუმრის მიმართ პატივისცემა გამოიჩინა და ჰკითხა: «ჩემთან რამ მოგიყვანა? შემიძლია რამეთი გაგახარო?» *ბრაჰმანმა* უპასუხა: «მეფეო! მე მინდა, რომ შენი ნება (*შილა*) მომცე». პრახლადამ თქვა: «დაე ასე იყოს. შენი სურვილი შესრულებულია. ჩემს ნებას შენ გაძლევ». როგორც კი *ბრაჰმანმა* მეფის კარი დატოვა, სასახლის კარიდან ლამაზი ჭაბუკი გამოვიდა. მეფემ ჰკითხა: «შეიძლება გკითხო, ვინ ხარ?» ჭაბუკმა უპასუხა: «მე დიდება ვარ. ვინაიდან შენგან ნება წავიდა, აქ დარჩენა არ შემიძლია». პრახლადამ დიდებას სასახლის დატოვების ნება დართო.

რამდენიმე წამის შემდეგ მეფემ კიდევ ერთი ლამაზი ჭაბუკი დაინახა, რომელიც ჭიშკრიდან გამოდიოდა. პრახლადამ ჰკითხა: «თუ შეიძლება, შენი სახელი მითხარი.» ახალგაზრდამ უპასუხა: «მე სიმამაცე ვარ. ნება და დიდება წავიდნენ, ამიტომ მეც მივდივარ.» პრახლადამ წასვლის უფლება მასაც დართო. სულმალე მშვენიერი ქალი დაინახა, რომელიც სასახლეს სასწრაფოდ ტოვებდა. მეფემ ჰკითხა: «დედაო, მითხარი, ვინ ხარ?» - «მე რაჯიალაქშიმი ვარ, აყვავების ქალღმერთი, ამ სამეფოს დამცველი, - უპასუხა მან. - ნების, დიდებისა და სიმამაცის გარეშე აქ ცხოვრება არ შემიძლია. ამიტომ სხვა ადგილას მივდივარ.» პრახლადამ ისიც გაუშვა. შემდეგ მან დაინახა ქალი, რომელიც სასახლიდან თვალცრემლიანი მიდიოდა. პრახლადამ ჰკითხა: «დედაო, მითხარი ვინ ხარ?» ქალმა უპასუხა: «მე დჰარმადევატა ვარ, *დჰარმას* ქალღმერთი. მე იქ არაფერი მესაქმება, საიდანაც ნება, დიდება და სიმამაცე წავიდნენ. რაჯიალაქშიმიც კი მიგატოვა». პრახლადა მას ფეხებში ჩაუვარდა და

<sup>1</sup> პრახლადა – პურანის პრსონაჟი, ლნდარული მფ, ვიშნუს რთული, დმონთა მფის, ჰირანიაკაშიპუს ვაჟი.

შევედრა: «დედაო, მე შემძლია ნების, დიდების, მამაცობისა და სიმდიდრის გარეშე ვიცხოვრო, მაგრამ უშენოდ ცხოვრება არ შემძლია. შენი გაშვება არ შემძლია. მეფის ვალია კანონისა და მართლქმედების, *დჰარმას* დაცვა. *დჰარმა* მთელი მსოფლიოსთვის ერთადერთი საყრდენია. გთხოვ, დარჩი ჩემთან. ნუ მიმატოვებ». *დჰარმა* დევატა დათანხმდა. იმავე წამს ყველა დანარჩენიც დაბრუნდა. მათ თქვეს: «*დჰარმა* დევატას გარეშე ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია. ნება მოგვეცით შენთან დავრჩეთ».

ღმერთი ინდრა პრახლადას მხოლოდ იმისათვის სცდიდა, რომ მსოფლიოსთვის დაენახვებინა მისი სიდიადე, რომელიც *დჰარმას* ერთგულებაზეა დამყარებული.

102

რა არის

ჭეშმარიტი ლოცვა?

ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია აკბარის – მოგოლის ერთ-ერთი უდიდესი იმპერატორის – სახელი. მას ხალხი უყვარდა და გონებაგანათებულ და სუფთა სულის ადამიანებს უაღრესად დიდ პატივს სცემდა - მათი სარწმუნოების მიუხედავად.

მის ყურამდე გურუ ნანაკის<sup>1</sup> დიდებამ მიაღწია, მისმა მცდელობამ მუსლიმანები და ინდუისტები გაეერთიანებინა. აკბარს ძლიერი სურვილი გაუჩნდა სასახლეში მოეწვია და დიდი პატივით მიეღო იგი. აკბარმა მასთან მინისტრი გაგზავნა წერილით, სადაც იგი თავის პატივისცემას გამოხატავდა და სთხოვდა სასახლეში მოსულიყო. გურუ ნანაკამ მინისტრს უპასუხა: «მე მხოლოდ უფლის, მეფეთა მეფის, მიხმობას შევისმენ, და მხოლოდ მის სასახლეში შევალ». მინისტრმა გურუს გზავნილი აკბარს გადასცა, რის გამოც გურუ ნანაკას მიმართ იმპერატორის პატივისცემა უფრო გაიზარდა. მან კვლავ შიკრიკი გაგზავნა. მეფე მასთან შეხვედრას სთხოვდა – ამჯერად სასახლეში კი არა, მეჩეთში. ნანაკა დათანხმდა და დანიშნულ დღესა და საათს მეჩეთში

---

<sup>1</sup> ურუ ნანაკი (1469-1539) – სიქჰიზმის დამაარსებელი (სიტყვა «სიქჰი» წარმოიშვა სანსკრიტის სიტყვიდან «შიშია» - მოსწავლე), სიქჰის პირველი ურუ. აცხადებდა ყველა ადამიანის, როორც რთიანი ღმრთის ქმნილების, თანასწორობას რლიის, კასტის, სქისისან დამოუკიდებლად.

მივიდა. იმპერატორიც და გურუც მოლამ დიდი პატივით მიიღო. ადათის მიხედვით მოლას ლოცვა პირველს უნდა წაეკითხა. იგი მუხლებზე დადგა და ხმამაღლა მოჰყვა ლოცვას. ნანაკამ ხმამაღლა გაიცინა. ტაძარში მყოფი მუსლიმანები ძლიერ აღშფოთდნენ, მაგრამ იმპერატორის თანდასწრებით რაიმეს თქმა ვერ გაბედეს. ამის შემდეგ აკბარმა მუხლი მოიყარა და ლოცვის კითხვა დაიწყო. ნანაკა უფრო ხმამაღლა ახარხარდა. მეჩეთში ატმოსფერო დაიძაბა, მუსლიმანებს სახეები აელანძათ და მათი ბაგენი მზად იყვნენ შეურაცხმყოფელი სიტყვები გადმოეფრქვიათ. აკბარმა ჟესტით ყველას სიმშვიდისაკენ მოუწოდა, და ისინი ორივე გამოვიდნენ მეჩეთიდან. მოლაც მათ გამოჰყვა. იმპერატორმა ნანაკას თავაზიანად ჰკითხა: «პატივცემულო, ნება მომეცი გავიგო, ლოცვის დროს ასე ხმამაღლა რატომ იცინოდი? შენს ღირსებას ეს ეკადრება?»

გურუ ნანაკამ უპასუხა: «მეფეო, როგორ უნდა შემეკავებინა სიცილი, თუკი ნათლად ვხედავდი, რომ ლოცვის დროს არც თქვენი უდიდებულესობა, არც მოლა ღმერთზე არ ფიქრობთ. მოლა თავის ავადმყოფ ვაჟზე ფიქრობდა, თქვენ კი – ორ მშვენიერ არაბულ ცხენზე, რომლებიც თქვენ გაჩუქეს. განა გეკადრებათ თქვენ ან მოლას ამას ლოცვა უწოდოთ? განა ეს თვალთმაქცობა არ არის?»

მოლამ და აკბარმა ნანაკას პატიება სთხოვეს და მადლობა გადაუხადეს იმისათვის, რომ მათ საკუთარ სისუსტეზე თვალი აუხილა.

გახსოვდეთ: «ლოცვა უბრალოდ საქებარ სიტყვათა კრებული არ არის, რომელიც დაუფიქრებელი გამეორებებისთვის არის განკუთვნილი. ლოცვა თქვენ შიგნით ღვთაებრივის გამოღვიძების გულწრფელი მცდელობა უნდა გახდეს. ლოცვამ უნდა ღვთაებრივი ძალა გამოიხმოს სამოქმედოდ. ლოცვა მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა იკითხებოდეს. მნიშვნელობა აქვს გრძნობას, რომლითაც მას წარმოთქვამთ, და არა სიტყვებს ან ხმის ტემბრს.

მდაბალი თავის დაკვრა ეს ჯერ კიდევ დიდი თაყვანისცემა არ არის.



პატარა მიყრუებულ სოფელში დედა-შვილი ცხოვრობდა. ბიჭუნა ორი წლის იყო, მამა რომ დაკარგა. დედა წელებზე ფეხს იდგამდა, რომ შვილი გაეზარდა და მისთვის განათლება მიეცა. ბიჭუნა საზრიანი, დამჯერი იზრდებოდა. შვილს დედა ძალიან უყვარდა და თაყვანს სცემდა მას. სკოლაში კარგად სწავლობდა.

მეშვიდე კლასის დასასრულს გამოსაშვები გამოცდები ტარდებოდა, და ბიჭუნა გაძლიერებით ემზადებოდა. გამოცდების დაწყებამდე სამი დღით ადრე იგი დედასთან მივიდა და უთხრა: «დედა, მე უნდა 20 რუპია შევიტანო, თორემ გამოცდებზე არ დამიშვებენ. თუ შეგიძლია ფული მომეცი». დედა პანიკაში ჩავარდა: ფული მას არ ჰქონდა, ხელფასამდე კიდევ ორი კვირა რჩებოდა. მან სკოლის დირექტორს მიაკითხა და აუხსნა, რომ ფულის დროულად გადახდას ვერ შეძლებს და გადახდის გადავადებას ითხოვს. მაგრამ დირექტორმა უთრა, რომ ეს მასზე არ არის დამოკიდებული და ვერაფრით დაეხმარება. ქალი სახლში დაბრუნდა, ხის ქვეშ ჩამოჯდა და ტირილი დაიწყო. ბიჭი სკოლიდან რომ დაბრუნდა, ნახა, რომ დედა ტირის. მან ჰკითხა: «დედა, რა გატირებს?» - «შვილო, ფულის შოვნა არ შემიძლია. ხვალიდან სკოლაში ვეღარ ივლი. ალბათ ჩემთან ერთად მოგიწევს მუშაობა. სხვა გამოსავალი არ არის». - «დედა, ხომ შეიძლება 20 რუპიას ვინმეს ესესხო? გამოცდების შემდეგ ვიმუშავებ და ვალს დავაბრუნებთ». - «შვილო, ვინ მომცემს ფულს? მხოლოდ ღმერთი, თუკი მოისურვებს». ბიჭმა ენთუზიაზმით წამოიძახა: «ვინ არის ეს ღმერთი, დედა? სად არის? რა მისამართი აქვს? წავალ და ფულს ვთხოვ». სრული უიმედობის გამო დედამ თქვა: «დიახ, არის ასეთი ღმერთი ვაიკუნთჰაში<sup>1</sup>, ნარაიანა, მის ხელშია მთელი სიმდიდრე». ბიჭუნა იმავე წამს ფოსტაში გაიქცა. ჯიბეში მას რამდენიმე ცალი წვრილი მონეტა ჰქონდა. მან ღია ბარათი იყიდა და მასში ჩაწერა იმის შესახებ, რომ დედამისი ტირის იმიტომ, რომ მათ 20 რუპია არა აქვთ, და იგი ღმერთს სთხოვს სასწრაფოდ ფოსტით 20 რუპია გამოუგზავნოს. ამის შემდეგ ბიჭუნა საფოსტო ყუთს მივარდა, მაგრამ წერილებისთვის ჭრილი იმდენად მაღლა იყო, რომ ვერ მისწვდა. ფოსტმეისტერი, რომელიც მის მოქმედებებს აკვირდებოდა, ქუჩაში გამოვიდა და ბავშვს ჰკითხა: «წერილს ვის უგზავნი?» ბიჭუნამ უპასუხა: «იცით, სერ, ეს ძალიან სასწრაფო წერილია, იგი ღმერთ ნარაიანასთვისაა ვაიკუნთჰაში.

---

<sup>1</sup> ვაიკუნთჰა – ვიშნუს (ნარაიანას) ზცა.

გამოცდებამდე 3 დღე დარჩა, და უნდა შესატანი გადავიხადო. მე მას მივწერე, რომ დაუყოვნებლივ გამოგზავნოს 20 რუპია». ფოსტის მოსამსახურე ბარათზე დაწერილ მისამართს მიაშტერდა. მას სიტყვები არ აღმოაჩნდა, ბავშვის გულუბრყვილობის გამო მას გული აუჩუყდა და თვალები ცრემლით აევსო. მან ჰკითხა: «ეს მისამართი ვინ მოგცა?» ბავშვმა დედასთან საუბრის შესახებ უამბო. «სერ, დედამ თქვა, რომ ღმერთი ძალიან კეთილია და საწყლებს მუდამ ეხმარება, როდესაც ისინი გულწრფელად სთხოვენ». ამან ფოსტის მოსამსახურე შეძრა. მან ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და თქვა: «ჩემო კარგო, მე თვალს მივადევნებ, რომ ბარათი სასწრაფოდ იქნას მისამართზე მიტანილი. ზეგ მოდი».

გახარებული ბიჭუნა სახლისკენ გაიქცა. მან დედას უთხრა, რომ ფულს დროულად მიიღებს.

ორი დღის შემდეგ იგი ფოსტაში მივიდა. ფოსტის მოსამსახურემ უთხრა: «შვილო, აი კონვერტი, მასში 20 რუპიაა. ახლა შეგიძლია შესატანი გადაიხადო».

ბიჭუნა სახლში გაიქცა და დედას კონვერტი გაუწოდა. დედამ მკაცრად ჰკითხა, სად იშოვა მან ფული, და ბავშვმა წერილისა და ფოსტმეისტერის შესახებ უამბო. ქალმა არ დაუჯერა და ფოსტაში მისვლისას იკითხა, მართალია თუ არა ის, რაც მისმა ვაჟმა მოუთხრო, და ასეთი რამ როგორ უნდა მომხდარიყო. ფოსტმეისტერმა უპასუხა: «დედაო, გთხოვ დამიჯერო. მე განსაკუთრებული მგრძნობიარობით არასოდეს გამოვირჩეოდი, მაგრამ როდესაც შენი შვილი დავინახე წერილით ხელში, ჩემს თვალებს არ დავუჯერე: წერილი ღმერთისთვის იყო დაწერილი, - და მერე როგორი რწმენით! ამან ცრემლებამდე შემიძრა. სხვა ვინ, თუ არა თვით უფალმა, შთამაგონა შენი შვილისთვის ხელი გამემართა. თუ შეიძლება, აილე ფული. თვით ღმერთმა ისურვა, რომ შენთვის მომეცა იგი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მე ვერ დავინახავდი, როგორ ცდილობდა ბავშვი ყუთში წერილის ჩაგდებას, იგი უპასუხოდ დარჩებოდა, შენს შვილს რწმენა შეერყეოდა. მე კმაყოფილი ვარ, რომ საშუალება მომეცა დიდებულ ბიჭუნას დავხმარებოდი».

თუ გულწრფელად ვლოცულობთ, ღმერთი დაგვეხმარება. იგი სამოქმედოდ ვინმეს აიძულებს, როგორც თავის «აგენტს». მხოლოდ ღმერთის უანგარო რწმენას შეუძლია ყოველგვარი უბედურებისა და განსაცდელისგან გიხსნათ.

## ცხოვრების თვით სუნთქვა

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელებმა გემი დაბომბეს, რომელზედაც სიპაიები (ინდოეთში დაქირავებული მეომრები) იყვნენ. გემი ჩაიძირა. მრავალი ადამიანი დაიღუპა. ხუთმა მეომარმა კანჯოზე აპრომა მოახერხა და, მიუხედავად შტორმისა, მათ გადარჩენის იმედი გაუჩნდათ. ისინი დიდხანს ებრძოდნენ ტალღებს.

ერთ-ერთმა მათგანმა ამას ვერ გაუძლო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და იყვირა: «ახლა ზღვა ჩამყლაპავს და ზვიგენის ნადავლი გავხდები!» იგი პანიკამ მოიცვა და დაიხრჩო.

მეორე სიპაი თავისი ოჯახის ხვედრს მისტიროდა: «მე ვკვდები და ჩემს ახლობლებზე არავინ იზრუნებს!» მან გადარჩენის რწმენა დაკარგა და სული განუტევა.

მესამე სიპაი ფიქრობდა: «ნეტავი რისთვის წამოვიღე თან დაზღვევის პოლისი? რა უბედურებაა! ჩემს ცოლს ახლა რა ეშველება? მე ხომ ვიღუპები!» და ისიც მოკვდა.

დანარჩენი ორი ცდილობდა ღმერთის რწმენაში ერთმანეთისთვის მხარი დაეჭირა. მათ გადაწყვიტეს: «შიშს არ დავემორჩილებით! ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ღმერთი საშველად აუცილებლად მივა იმასთან, ვისაც მისი სრული რწმენა აქვს, რა უიმედოც არ უნდა იყოს სიტუაცია». როდესაც ამ სიტყვებს ხმამაღლა იმეორებდნენ, ისინი სანაპირო საპატრულო სამსახურის ვერტმფრენიდან შენიშნეს და აიყვანეს მას შემდეგ, რაც გემიდან სიგნალი «sos» მიიღეს. როდესაც ნაპირზე ცოცხლები და უვნებლები გადმოვიდნენ, მათ თქვეს: «გამარჯვებიდან დამარცხებამდე ერთი ნაბიჯია. გამარჯვება რწმენით მოიპოვება; რწმენის უკმარისობას დამარცხება და სიკვდილი მოაქვს».

პატარა სოფლელი ბიჭი სკოლაში მახლობელ დასახლებაში დადიოდა. ჩვეულებრივად იგი სახლში საღამომდე ბრუნდებოდა, მაგრამ ერთხელ სკოლაში საღამომდე დარჩა, და სახლში წამოსვლა სრულ სიბნელეში მოუხდა.

ბიჭისთვის ტყეზე გავლა ძალიან საშიში იყო. სახლში დაბრუნებისას მან დედას შესჩივლა, რომ საღამოს მარტო სიარულის ეშინია. დედამ უპასუხა: «რისი გეშინია? როცა მოგინდება, შენთან ვინმე იყოს, შენს ძმას ხმამაღლა დაუძახე და ის დაგეხმარება». ბიჭმა ჰკითხა: «ჩემი ძმა ვინ არის?» დედამ თქვა: «ეს თვით უფალი კრიშნაა. ღმერთი დედაცაა, მამაც, მასწავლებელიც, ძმაც, მეგობარიც, იგი ყველაა. როცა განსაცდელში ჩავარდები, ნუ იყოყმანებ, დაუძახე და დასახმარებლად მოვა».

ბავშვმა დედის სიტყვები სრულად დაიჯერა. ჩვენს დროში, თვით ღმერთიც თუ ამბობს, მას არავინ უჯერებს. ამიტომ ამბობდა იესო, რომ ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია მიმნდობი იყოს, როგორც ბავშვი.

ერთხელ ბავშვს სახლში დაბრუნება კვლავ გვიან საღამოს მოუხდა. მან იყვირა: «ძმაო კრიშნა!» წამის შემდეგ მის წინ ჭაბუკის სახით კრიშნა გაჩნდა და თქვა: «რატომ უნდა გეშინოდეს, როცა აქ ვარ? მე გაგაცილებ სახლამდე». იგი ბიჭუნასთან ერთად სოფლის პირამდე მივიდა და გაქრა. ბიჭუნამ დედას უამბო, «ძმა» როგორ დაეხმარა მას – ზუსტად ისე, როგორც მან უწინასწარმეტყველა. დედამ უპასუხა: «იგი მხოლოდ შენ არ გეხმარება; ის ეხმარება ყველას, ვინც სთხოვს».

იმ დროიდან ბიჭუნა ყოველთვის ეძახდა «ძმას», როცა მისი დახმარება სჭირდებოდა, და კრიშნაც ყოველთვის ეხმარებოდა. ასე თანდათან მისმა შიშმაც გაიარა.

თუ რწმენა გაქვთ, ღმერთი აუცილებლად დაგეხმარებათ და შიშს მოგაცილებთ. ღმერთი არასოდეს მიატოვებს იმას, ვისაც იგი უპირობოდ სწამს. ისინი კი, ვისაც რწმენა არ გააჩნიათ, იტანჯებიან. თქვენთვის საჭირო არ არის ღმერთის ძეგნა. ჭეშმარიტ ერთგულებს თვითონ ღმერთი ეძებს.

იმპერატორ აკბარის მმართველობის დროს დელიში ცხოვრობდა ადამიანი სახელად სენა, რომელიც უფალ კრიშნას მგზნებარე ერთგული იყო. იგი მეფის დალაქად და მასაჟისტად მსახურობდა. ყოველ დილით ზუსტად 7 საათზე იმპერატორის საძინებელ ოთახში მოდიოდა, მეფეს მასაჟს უეთებდა და თმებზე ნელაცხებლებს უსვამდა. სენა არსოდეს აგვიანებდა, კეთილსინდისიერებითა და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა და თავის სამუშაოს დიდი ოსტატობითა და სიყვარულით ასრულებდა.

სენა საწოლიდან განთიადისას დგებოდა, პირს იბანდა და თავის პატარა სამლოცველოში უფალ კრიშნას თაყვანისცემის ადათს ასრულებდა. ლოცვის შემდეგ იგი სასახლეში სამუშაოდ მიდიოდა.

ერთხელ ლოცვის დროს იგი ტრანსში შევიდა; მან დროის შეგრძნება დაკარგა, მთლიანად კრიშნას მზერამ გაიტაცა, რომელიც ფლეიტაზე უკრავდა. ცოლმა მისი შეწუხება ვერ გაბედა, თუმცა იცოდა, რომ იმპერატორს შეეძლო დაესაჯა, თუკი ის დროულად არ გამოცხადდებოდა.

ამავე დროს სასახლეში, მეფის საძინებელში, სენა, როგორც ყოველთვის, აკბარის სხეულს ზეთით ზელავდა. «იმპერატორმა ალერსით წარმოთქვა: «სენა, რა მშვენივრად ასრულებ შენს სამუშაოს, განსაკუთრებით დღეს! სიხარულითა და სიმშვიდით ვარ აღვსილი! სხეული ისეა მოდუნებული, რომ მას სრულებით არ ვგრძნობ. შენი ხელები ჭეშმარიტად ღვთაებრივია». აკბარმა თავი გვერდზე გადასწია და, თავისდა გასაოცრად, ზეთიან ჯამში მასაჟისტის ანარეკლი დაინახა. ეს იყო კრიშნას აუწერლად მშვენიერი სახე! იმპერატორმა თვალებს არ დაუჯერა და თავი მოატრიალა, რომ სენასთვის შეეხედა. მაგრამ ვერავინ დაინახა! აკბარი თავის საძინებელში მარტო იყო. თვით უფალმა კრიშნამ შეასრულა დალაქ სენას სამუშაო.

ამ ამბიდან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ღმერთი თავის ერთგულს არასოდეს მიატოვებს. იგი ყოველთვის მზად არის უბედურებისგან იხსნას ის, ვინც გული მთლიანად მას მისცა.

პატარა სოფელში ცხოვრობდა ღარიბი, მაგრამ ბედნიერი ოჯახი: ქმარი, ცოლი და მათი ქალიშვილი. დაწყებითი სკოლა იქ არ იყო, და სოფლის ბავშვები მეზობელ დასახლებაში დადიოდნენ, სადაც კარგი სკოლა იყო. გზა პატარა ტყეზე გადიოდა. გოგონამაც პირველ კლასში დაიწყო სწავლა. ყოველ დღე მას ფოთოლში შეხვეული საჭმელი დაჰქონდა თან.

ერთხელ, როდესაც ტყის ბილიკზე მიაბიჯებდა, გოგონამ დაინახა, რომ ძველ მიტოვებულ ქოხთან მოხუცი კაცი ზის, შესახედავად ავადმყოფი და სუსტი. მან ჰკითხა: «ამ დანგრეულ ქოხში მარტო რას აკეთებ? რით შემოიძლია დაგეხმარო?» მოხუცმა უპასუხა: «მე სოფელში მივდიოდი, რომელიც აქედან ძალიან შორსაა. გუშინ ავად გავხდი და ახლა იმდენად სუსტად ვარ, რომ ტბორამდე მისვლაც კი არ შემიძლია, რომ წყალი დავლიო. გუშინდელიდან არც მიჭამია, არც დამილევია». გოგონამ მოხუცს თავისი სადილი მისცა, წყალი მოუტანა და სკოლაში წავიდა.

მეორე დღეს მოხუცს საჭმელი ცალკე ფუთით მოუტანა და წყალიც დააღვინა. იგი მოხუცზე მთელი კვირის განმავლობაში ზრუნავდა, და ეს უკანასკნელი გამოკეთდა. მეშვიდე დღეს, როდესაც გოგონა სკოლიდან ბრუნდებოდა, მოხუცმა უთხრა: «ჩემო კარგო, მე საკმაოდ მოვმჯობინდი და შემიძლია გზა განვაგრძო. შენი სიკეთისა და მზრუნველობისთვის ძალიან მადლობელი ვარ. მაგრამ სიმართლე მითხარი: როგორ ახერხებდი ყოველდღე ჩემთვის საჭმლის შოვნას? მშობლების ნებართვით მოგქონდა სახლიდან?»

გოგონამ უპასუხა: «პაპა, მშობლების ნებართვის გარეშე მე არაფერს ვაკეთებ. ისინი მასწავლიდნენ, რომ ავადმყოფებსა და მოხუცებს უნდა დავეხმარო. ტყის პირას დიდი ხე დგას. დილით მის ქვეშ ყოველთვის შეიძლება წვრილი და ტკბილი ხილის მოკრეფა. სკოლაში წასვლის წინ ხილს ვაგროვებდი და თან მიმქონდა. ხილს ჩემს მეგობრებზე და სხვა მსურველებზე ვყიდდი და ამ ფულით შენთვის საჭმელს ვყიდულობდი. სახლიდან დაუკითხავად არც ერთი მონეტა და და არავითარი საჭმელი არ წამომიღია. ახლა კმაყოფილი ხარ, პაპა? ბედნიერ გზას გისურვებ!» მოხუცმა დალოცა გოგონა, ეს უკანასკნელი კი სოფლისკენ გაიქცა.

სანამ გზას გაუდგებოდა, მოხუცმა ლოცვა წაიკითხა: «უფალო! მე არ ვარ მდიდარი და ამ გოგონას და მის მშობლებს ვერაფრით გადავუხდი. შენ

ყოვლისმცოდნე და მოწყალე ხარ, გთხოვ, დალოცე ეს ოჯახი ისე, როგორც შენ თვლი საჭიროდ».

გავიდა დრო, და აი ერთხელ ამ საწყალი ოჯახის სახლის კარზე მოხუცმა კაცმა დააკაკუნა. მამამ კარი გაუღო და სახლში მიიწვია. მოხუცმა თქვა: «ჩემო კარგო! შენ ალბათ იმ გოგონას მამა ხარ, რომელიც მეზობელ სოფელში დადის სკოლაში. ის ალბათ გიამბობდათ მოხუცი ავადმყოფი მწირის შესახებ მიტოვებული ქარვასლიდან. მე სწორედ ის მწირი ვარ. სიტყვები არ მყოფნის, რომ თქვენ და თქვენი გოგონას მიმართ მაღლიერება გამოვხატო. შეგიძლიათ თამამად იამაყოთ იმით, რომ ასეთი კეთილი და წმინდა სულის გოგონა აღზარდეთ. მოვედი, რომ მაღლობა გადაგიხადოთ, და მოხარული ვიქნები, თუ თანახმა იქნებით ჩემგან პატარა თანხა მიიღოთ. იგი შეიძლება გოგონას განათლებას მოხმარდეს».

მამამ მოკრძალებით უპასუხა: «ჩვენ, რა თქმა უნდა, ღარიბები ვართ, მაგრამ უცნობი ადამიანისგან არაფერს მივიღებთ, მით უმეტეს მომსახურებისთვის, რომელიც ჩვენმა შვილმა გაგიწიათ. რა ღირებულება აქვს კეთილ საქმეს, თუ ამისთვის ფულს ავიღებთ? გთხოვთ სწორად გაგვიგოთ. ერთ წუთს მოიცადეთ, სასმელს მოგიტანთ». იგი სამზარეულოში გავიდა, რომ ჭიქით ლაიმას წვენი მოეტანა. როდესაც დაბრუნდა, მოხუცი აღარ იყო. მან დაინახა, რომ ლეიბზე დიდი ზომის საფულე იყო დატოვებული. მამა ქუჩაში გამოვარდა. მაგრამ სტუმარი არსად იყო. სახლის პატრონმა ცოლს დაუძახა და უთხრა: «რა ვქნათ? ამ მოხუცმა ფული დატოვა. ჩვენ ხომ არ ვიცით ის სად ცხოვრობს». ცოლმა უპასუხა: «მოდით ეს ფული სასიკეთო საქმეში გამოვიყენოთ. ალბათ ღმერთმა ინება, რომ სხვებს სიკეთე გავუკეთოთ. დაე ეს ფული ჩვენსავით საწყალ ოჯახთა ბავშვების სწავლას მოხმარდეს. იმათ დავეხმაროთ, ვინც ჩვენზე უფრო საწყლებია. თვით ღმერთი მოვიდა ჩვენთან, რომ კეთილი და თანამგრძნობი გოგონა დალოცოს და მის მშობლებს საჩუქარი მისცეს. რატომ? იმიტომ, რომ ისინი მისდევნენ მის ღვთაებრივ მითითებას: «მშიერს აჭამე და სუსტს დაეხმარე».

**«თქვენ კი უწინარეს  
ეძიეთ ღვთის სასუფეველი  
და მისი სიმართლე  
და ეს ყველაფერი შეგემატებათ»**

(მათეს ს., 6:33)

ერთხელ დიდმა მეფემ კარზე უჩვეულო გამოფენა მოაწყო. იგი ფერწერის, სკულპტურის, გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, არქიტექტურისა და ა.შ. მოყვარული იყო. მან გადაწყვიტა დასათვალიერებლად მრავალგვარი ძვირფასი ექსპონატი გამოეფინა. გამოფენაზე შესვლა ყველასთვის უფასო და თავისუფალი იყო. არაჩვეულებრივი იყო განცხადებაც, რომელიც მეფემ გახსნის წინ გააკეთა: «ნებადართულია ექსპონატების არა მარტო დათვალიერება, არამედ ყოველივე იმის წაღებაც, რაც კი მოგეწონებათ».

ბუნებრივია, მეფის კარისკენ მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ბრბო დაიდრა. მათ დიდი სიხარბით გამოჰქონდათ, რისი გამოტანაც კი შეეძლოთ. ხალხის სიხარულს მეფე სიამოვნებით უთვალთვალედა. აქ მან ახალგაზრდა ქალიშვილი შენიშნა, რომელიც ექსპონატებს ინტერესითა და ყურადრებით ათვალიერებდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, რაიმეს წაღებას არ აპირებდა. ამასთან, მშვიდად და აუღელვებლად გამოიყურებოდა. მეფემ თავაზიანად ჰკითხა: «ჩემო კარგო, ნუთუ არაფერმა დაგაინტერესა? გამოფენა მოგეწონა? თუ ის შენი გემოვნებისა არ არის?» ქალიშვილმა თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა: «მეფეო! გამოფენა მართლაც გრანდიოზულია. შეუძლებელია ასეთ მრავალფეროვან ნაკეთობებზე უფრო სრულყოფილი კოლექცია წარმოიდგინო. ყველაფერი ძალიან მომეწონა». - «მაშ ერთი ან ორი ექსპონატი მაინც რატომ არ მიგაქვს?» - ჰკითხა მეფემ. ქალიშვილმა განმარტა: «მეფეო! აქვს კი სურვილებს ზღვარი? მე არაფერი არ მინდა». მეფემ თქვა: «მთხოვე რაც გინდა, და იგი შენი იქნება». ქალიშვილმა უხერხულად გაიღიმა და თქვა: «მეფეო, სიტყვას შეასრულებ, ჩემი სურვილი არაჩვეულებრივიც რომ იყოს?» «აუცილებლად», - უპასუხა მეფემ. «მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მე



შენ გირჩევ», - თქვა ქალიშვილმა. მეფემ სიტყვა შეასრულა და იგი ცოლად შეირთო. ქალიშვილი დედოფალი გახდა, და ახლა მას მეფის მთელი განძეულობა ეკუთვნოდა. ამ ამბიდან რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ?

გამოვინა მომაჯადოებელი სამყაროა, რომელიც უსასრულო მრავალფეროვნებითაა სავსე. მეფე ღმერთია, სამყაროს მფლობელი. ადამიანებს, რომლების ამ სამყაროში შედიან, უფლება აქვთ მისგან იმდენი სიამოვნება აიღონ, რამდენიც შეუძლიათ, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს სწყურიათ არა ამქვეყნიური საგნები, არამედ თვით შემქმნელი. ქალიშვილი ამ იშვიათ სულთა შორის ერთ-ერთია.

ითხოვეთ ის, რაც მოგცემთ ყველაფერ იმას, რასაც კი მოისურვებთ.

## 109

### გონებავ, თავი შეიკავე მოთხოვნებისგან!

ქალაქ კანჩიში ოდესღაც ცხოვრობდა *ჰანდიტი* სახელად შრივასტანკა. მამამისი ერთ-ერთი სოფლის უხუცესი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ სოფლის თავი შრივასტანკა გახდა. ადგილობრივი მცხოვრებლები მას კურეშას უწოდებდნენ. კურეშა აჩარია რამანუჯას დიდ პატივს სცემდა. მთელი მისი ცხოვრების ოცნება იყო რამანუჯას<sup>1</sup> მოსწავლე გამხდარიყო და მისთვის ერთგულად ემსახურა. ერთ მშვენიერ დღეს მან უცებ გადაწყვიტა მიეტოვებინა მთელი თავისი სიკეთე, მიწა, უარი ეთქვა უხუცესის თანამდებობაზე და შირიანგამში წასულიყო, სადაც შრი რამანუჯა ცხოვრობდა. მისმა ცოლმა ანდალმა სურვილი გამოთქვა მას გაჰყოლოდა.

მათი გზა უღრან ტყეზე გადიოდა. ცოლმა კურეშას შიშით ჰკითხა: «ამ მიყრუებულ ადგილზე ყაჩაღები ხომ არ დაგვესხმიან თავს?» კურეშამ უპასუხა: «რისი უნდა გვეშინოდეს, ჩვენ ხომ მოსაპარი არაფერი გვაქვს». მაშინ ანდალმა ხმის კანკალით აღიარა: «მე თან პატარა ოქროს თასი

---

<sup>1</sup> რამანუჯა (მ-12 საუკ.) – უდიდესი მასწავლებელი-ვაიშნავი, ვიშიშტა-ადვაიტას (სახმცველილ ადვაიტას) დამაარსებელი, ბრაჰმა სუტრისა და ბჰაავად იტას ვრცელი კომენტარების შემდნელი. შირიანგამში აშრამა დააარსა.

წამოვიღე, საიდანაც შენ ყოველთვის წყალს სვამდი!» კურეშამ უთხრა: «აბა მომეცი ეგ თასი! მე გადავაგდე მას». ასეც მოიქცა.

სამი დღის შემდეგ შირიანგამს მიაღწიეს. ისინი შრი რანგანათჰის<sup>1</sup> ტაძართან ახლოს მდებარე ქარვასლაში გაჩერდნენ. კურეშა ძალიან დაიღალა, საჭმელიც თან არ ჰქონდათ. ანდალი ტაძართან დაჯდა და მათს ბედზე დაფიქრდა, კურეშამ კი მის მუხლებზე ჩამოდო თავი. ცოლმა ტაძრის ზარების რეკვის ხმა გაიგონა, რომელიც უფალ რანგანათჰასთვის მსხვერპლის შეწირვის დროს იუწყებოდა. ანდალს თავში ერთმა აზრმა გაუელვა: «შენი მსახური შიმშილისგან იტანჯება, შენ კი დიდებული ნადიმისთვის ემზადები. სამართლიანია შენი მხრიდან ამის დაშვება?»

რამდენიმე წუთის შემდეგ ტაძრიდან გამოსული პროცესია ქარვასლას გაუსწორდა. მებუკეებსა და მედოლეებს უკან *პანდიტებისა* და ქურუმების გრძელი მწკრივი მიჰყვებოდა. მათ ქალის წინ ძღვენი დააწყეს და უთხრეს მას, რომ უფალმა რანგანათჰამ მისი ძვირფასი ერთგულისთვის ქარვასლაში საჭმლის მიტანა ბრძანა. კურეშა გამოფხიზლდა და დაჯდა. მას ვერ გაეგო, ეს ყველაფერი სიზმარი იყო, თუ ცხადი. მის წინ დიდებული საჭმელი ეწყო. მან თვალებით მთავარი ქურუმი მოძებნა და თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უთხრა: «დიდად პატივცემულო, მე საჭმელი არ მითხოვია და მისთვის არ მილოცია. თვით ღმერთსაც კი მხოლოდ იმის ჩუქება შეუძლია, რასაც საჭიროების შემთხვევაში ვთხოვ. ნუთუ გავბედავდი მე, *«ატმა»*, მისგან, *«პარამატმასგან»*, რაღაცა *«ანას»*, საჭმლის, თხოვნას? გთხოვთ ეს ძღვენი წაიღოთ».

მაგრამ ტაძრის მთავარმა ქურუმმა და *პანდიტებმა* კურეშა დაითანხმეს სულ ცოტა საჭმელი მაინც მიეღო როგორც *პრასადი*. კურეშამ ცოტა მოატეხა და ცოლსაც მისცა. ცოტა ხნის შემდეგ მან ანდალს ჰკითხა: «მითხარი, შენ ილოცე, რომ ღმერთს ჩვენთვის საჭმელი გამოეგზავნა?» თვალცრემლიანმა ცოლმა აღიარა: «საჭმელი არ მითხოვია. მე მხოლოდ ჩემი გრძნობები ჩუმად გამოვხატე: «როგორ უნდა მიიღო შენ, რანგანათჰამ, ძღვენი იმ დროს, როცა შენი ერთგული მშიერია?» მაშინ კურეშამ ცოლს მოთმინებით დაუწყო ახსნა:

---

<sup>1</sup> რანანათჰა – ვიშნუს იპოსტასი, რომლსაც თაყვანს სცემ შირიანამის ტაძარში, ვიშნუიზმის რთ-რთ ყვლაზ უფრო ცნობილ ცენტრში.

«ძვირფასო, კარგად დაიმახსოვრე ის, რასაც მე გეტყვი. ის, ვინც იძლევა, როცა მას სთხოვენ, არის «პრაბჰუ». ის, ვინც რაც საჭიროა, იმას იძლევა, თუ კიდევ არ სთხოვენ, არის «ვიბჰუ». პრაბჰუ ნიშნავს პატრონს, ვიბჰუ ნიშნავს სამყაროს მბრძანებელს. ერთგულმა უზენაესს არასოდეს არაფერი არ უნდა სთხოვოს. ყველაფერი მას მიანდე.

თავი შეიკავე თხოვნისგან, გონებავ!

რაც უფრო მეტს ითხოვ,

მით უფრო ღრმად ეფლობი,

და სულ უფრო მეტ ხანს მოგიწევს

პასუხის ლოდინი.

განა არ შეასრულა მან საბარის<sup>1</sup>

სანუკვარი ოცნება,

თუმცა მას ამის შესახებ არ უთხოვია?

განა არ აკურთხა მან ჯატაიუ<sup>2</sup>, ფრინველი,

რომელიც მისი გულისთვის დაიღუპა?

თავი შეიკავე თხოვნისგან, გონებავ!»

ასე ჩაუტარა კურეშამ უსიტყვო ერთგულების გაკვეთილი. გწამდეთ ღმერთი და ნება მიეცით მას გჩუქნიდეთ იმას, რაც მარადიულ ბედნიერებას მოგიტანთ.

## 110

### ეს ეკუთვნის ერთგულს, ჩემთვის ძვირფასს

ეს ამბავი კაშიში, უფალ ვიშვანათჰას წმინდა ტაძარში მოხდა. ქურუმები და მომლოცველები *მანტრების* კითხვითა და სახოტბო გალობებით იყვნენ გატაცებულნი. უცებ მეტალის ნივთის ვარდნის ძლიერი ხმა გაისმა, და ყველამ დაინახა, რომ ტაძრის იატაკზე მბრწყინავი ოქროს თევზი დევს. მისი ჩამოვარდნა მხოლოდ გუმბათის ხვრელიდან შეიძლებოდა, რომელიც პირდაპირ წმიდათაწმიდის თავზე

<sup>1</sup> საბარი – რამაიანას პრსონაჟი, წმინდა ანდილი ქალი, რამას რთული; რამასან მან კურთხვა მიიღო.

<sup>2</sup> ჯატაიუ – რამაიანას პრსონაჟი, არწივთა მბრძანბლი, სიკვდილის წინ რამას მირ კურთხული.

იყო განლაგებული. გაცემულმა ხალხმა თეფშის გარშემო მოიყარა თავი, მთავარმა ქურუმმა კი თეფში ხელში აიღო, რომ იგი კარგად დაეთვალთვალა და დაინახა, რომ მასზე რაღაცა სიტყვებია ამოტვიფრული. ქურუმმა ისინი გაარჩია და ყველას ხმამაღლა წაუკითხა: «ეს ეკუთვნის ერთგულს, რომელიც ჩემთვის ძვირფასია». ქურუმები თეფშს ერთმანეთს მოუთმენლად სტაცებდნენ ხელიდან, და ამასთან ყოველი მათგანი ფიქრობდა: «გამორიცხულია, რომ ჩემზე უფრო მეტად უფლის ერთგული ვინმე იყოს. მთელ ჩემს დროს, ძალას და ნიჭს უფალ ვიშვანათჰას თაყვანისცემას ვუძღვნი». მაგრამ ვის ხელშია არ უნდა აღმოჩენილიყო ოქროს თეფში, იგი მაშინვე თიხისად იქცეოდა. სასწაულებრივი ოქროს საჩუქრის შესახებ ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. ღვთისმეტყველები, მომღერლები, პოეტები და მქადაგებლები ტაძარში მიდიოდნენ, რომ ბედი ეცადათ, მაგრამ ამოდ. გავიდა დღეები, კვირები, თვეები, მაგრამ თეფშმა თავისი «პატრონი» მაინც ვერ იპოვა.

ერთხელ ტაძარს მწირი მიუახლოვდა. იგი შესასვლელში დადგა და მისი თვალებიდან ცრემლებმა იწყო დენა – იმდენად მტკივნეული იყო მისთვის ბრბოს ყურება, სადაც იყვნენ მათხოვრები, დასახიჩრებულნი, უსინათლონი და ყრუნი; ისინი მოწყალებას თხოულობდნენ. იგი თავს დარცხვენითად გრძნობდა იმის გამო, რომ ვერ შეძლებს შიმშილისა და ტანჯვისგან იხსნას ისინი. მწირი სალოცავად ტაძარში შევიდა. მან ერთ ადგილას შეჯგუფული ხალხი შენიშნა, რომელიც რაღაცაზე მსჯელობდა. მწირმა მათს ზურგს უკნიდან შეიხედა და ნახა, რომ ისინი ოქროს თეფშის გარშემო დგანან. მწირმა იკითხა, რას უყურებდნენ, და მას თეფშის ამბავი უამბეს. ქურუმთა და მორწმუნეთა ქცევის გამო იგი გაკვირვებული იყო და სევდამ მოიცვა. სამყაროს უფლის ლოცვისა და მისი დაუფლების მაგიერ ისინი ოქროს თეფშის დაუფლებას ცდილობენ! უმაღლესმა ქურუმმა შენიშნა, რომ მწირი ოქროს თეფშის მიმართ გულგრილია და შესთავაზა თეფში ხელში აეღო. უცნობმა უპასუხა: «დიდად პატივცემულო! მე არც ოქრო მიტაცებს, არც ვერცხლი; მხოლოდ ღვთის წყალობა მწყურია». ქურუმის პატივისცემამ მწირის მიმართ უფრო მოიმატა და მან თავისი თხოვნა გაიმეორა: «ჩვენი გულისთვის მაინც, უბრალოდ შეეხე მას». დაუფლების სულ მცირე სურვილის გარეშე უცნობი თეფშს შეეხო. და რა მოხდა? თეფში გაორმაგებული ძალით

გაბრწყინდა. ქურუმები გარს შემოერთყენენ; მათ გამოკითხვა დაუწყეს: «გვითხარი, საიდან ხარ? რა ტიტულები გაქვს? რა ცოდნა გაქვს მიღებული? რამდენ წელიწადს ასრულებდი ასკეზას?» უცნობმა მშვიდად უპასუხა: «მუდმივი საცხოვრებელი მე არ მაქვს. პურის ფულს მძიმე შრომით ვშოულობ. ერთადერთი სადჰანა, რომელიც მე ვიცი, ნამასმარანაა (სახელის ხსენება). შესაძლოა, ამან ჩემი გული გაწმინდა და სიყვარულითა და თანაგრძნობით შეავსო. ამიტომ შევიძინე გონებისა და გრძნობების კონტროლის უნარი. წიგნებს არ ვკითხულობდი და მეცნიერებებს არ ვეუფლებოდი. ერთადერთი ხელოვნება, რომელსაც მე ვფლობ, ღვთის სახელის ხოტბის შესხმაა. თუ რაიმეს გაკეთება შემიძლია, ეს საწყლებისადმი სიკეთის გამოვლინებაა».

იმისათვის, რომ უფლისთვის ძვირფასი გახდეთ, მხოლოდ ორი თვისება უნდა გქონდეთ – თანამგრძნობი გული და გრძნობების დამორჩილების უნარი. და მათი გახსნა შესაძლებელია, თუკი უფლის სახელს თავდადებული რწმენით იმეორებთ.

## 111

### უფალს - სრული მინდობა

ოდესღაც ცხოვრობდა უფალ ნარაიანას ერთგული, რომელიც წმინდა სახელს ხოტბას დაუღალავად ასხამდა. იგი აგრეთვე დიდი სწავლულობით გამოირჩეოდა. ერთხელ იგი მეფის კარზე მიიწვიეს, სადაც მან სამეცნიერო დისპუტებში მიიღო მონაწილეობა და თავისი ცოდნა გამოავლინა. მეფე მისით ძალიან კმაყოფილი დარჩა და მას აბრეშუმის მანტია აჩუქა. სწავლული სახლში გახარებული დაბრუნდა.

ერთხელ დილით, ჩვეულებისამებრ, განბანისთვის მდინარეზე წავიდა. მან თავისი აბრეშუმის ტანსაცმელი გარეცხა, ქვიშიან ნაპირზე დააწყო, იქვე ჩამოჯდა და გაიატრი-მანტრას კითხვას მისცა თავი. უცებ ძლიერი ქარი ამოვარდა და მანტია შორს გააფრიალა.

იქვე ახლოს მდინარეზე მრეცხავი თეთრეულს რეცხავდა. მას ზუსტად ისეთივე აბრეშუმის მანტია ჰქონდა წამოსხმული, როგორც პანდიტს

აჩუქეს. ეს იყო მეფის კარის მრეცხავი, მას ძალიან მოუწონდა მეფის ლამაზი მანტია ცოტა ხნით მაინც მოესხა, სანამ თავის ტანსაცმელს რეცხავდა.

*მანტრას* კითხვას რომ მორჩა, *პანდიტმა* თვალები გაახილა და ნახა, რომ მისი ტანსაცმელი გაქრა. უცებ მრეცხავი შენიშნა, მივიდა მასთან და ჰკითხა: «ეი, ახალგაზრდავ, ეს ჩემი მანტიაა». მრეცხავმა უპასუხა: «ეს შეუძლებელია, ტანსაცმელი მეფისაა». - «რა თქმა უნდა, მეფისაა, მაგრამ იგი მე მაჩუქა», - უპასუხა *პანდიტმა*. - არა, იგი სხვა ტანსაცმელთან ერთად გასარეცხად მოვიტანე. ის არ არის შენი», - შეეპასუხა მრეცხავი. მათ კამათი დაიწყეს, და ბოლოს და ბოლოს მრეცხავმა ხელი მოუქნია, რომ *პანდიტისთვის* გაერთყა. ამან კი წამოიყვინა: «უფალო ნარაიანა! მიშველე!» ვაიკუნთჰაში მყოფმა ნარაიანამ თავისი ერთგულის ძახილი გაიგო, ტახტიდან ჩამოვიდა, დედამიწის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ შემდეგ სწრაფად დაბრუნდა და ადგილზე დაჯდა. მისმა მეუღლემ, ლაქშმიმ, ქმრის საოცარი მოქმედება შენიშნა და ჰკითხა: «ჩემო ბატონო, რატომ ჩამოხვედი ტახტიდან, სამი ნაბიჯი გადადგი ქვემოთ და მაშინვე უკან დაბრუნდი?» უფალმა სინანულით გაიღიმა და უპასუხა: «მინდოდა დავშვებულიყავი და ჩემი ერთგული *პანდიტი* მრეცხავის მუშტებისგან დამეცვა. მაგრამ *პანდიტმა* თავი დაკარგა და ჩხუბში თვითონ ჩაება. მივიდოდი საშველად, საპასუხო დარტყმებისგან თავი რომ შეეკავებინა».

ვიდრე ადამიანი თვლის, რომ თავს თვითონ დაიცავს, მის დასახმარებლად ღმერთი არ მოვა. მხოლოდ ღმერთს სრული მინდობა და მასზე მთლიანად დაყრდნობის უნარი აიძულებს უფალს, რომ საშველად მოვიდეს. სრული თვინიერებით ილოცეთ: «უფალო! მე შენი ვარ. დაე იყოს ნება შენი».

112

შივა

და შანკარაჩარია

ერთხელ შანკარაჩარიამ, როდესაც კაშიში (ვარანასში) იმყოფებოდა, შეუხებელი (უმდაბლესი კასტის წარმომადგენელი) დაინახა, რომელიც მას უახლოვდებოდა და უთხრა: «ეი, ახალგაზრდავ! განზე გადაექი! ჩემგან

შორს იყავი!» ამან კი ჰკითხა: «განზე გადგომას ვის სთხოვ? ამ სხეულს? მაგრამ სხეული ინერტულია. რა უფლება აქვს შენს ინერტულ სხეულს სხვა ინერტულ სხეულს სთხოვოს, რომ გვერდზე გადგეს? ორივე სხეული უსიცოცხლოა. როგორ შეუძლია ერთ ინერტულ სხეულს მეორეს ელაპარაკოს? იქნებ, შენ გინდა, რომ ატმანმა ჩემში შენგან შორს დაიჭიროს თავი? ატმანი ჩემში ისეთივეა, როგორც შენში. გამოდის, რომ გინდა შენგანვე დაიჭირო თავი შორს». მათ სხეულისა და ატმანის ბუნებაზე დისკუსია გამართეს, რის შემდეგაც შანკარას უეცრად გონება გაუნათდა, რომ ეს შემხვედრი, რომელმაც ატმანის არსი შეიგნო, თვით უფალი უნდა იყოს, და იგი მის წინ განერთხო. იმავე წამს შივა თავისი ჭეშმარიტი სახით წარსდგა და შანკარაჩარიას უთხრა: «შეუხებლის ფორმა სპეციალურად იმისათვის მივიღე, რომ ცდომილებისგან დაგიცვა».

113

## უფლის გამხარებელი სიმღერები

დიდი პოეტი, კომპოზიტორი და მუსიკოსი ჯაიადევა<sup>1</sup> დაიბადა და ცხოვრობდა ორისში. მან უფალ კრიშნას სადიდებელი მრავალი პოემა და ლექსი შეთხზა. მისი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოებია პოემა «გიტა გოვინდა». ეს პოემა მთელ ინდოეთში უყვართ.

ეს იყო ბენგალიის მეფის – ლაქშმანასენას (სენას დინასტიიდან) - მმართველობის დრო. ჯაიადევას მზარდი დიდებისა და პოპულარობის შესახებ მეფისთვის გახდა ცნობილი. მის ყურამდე მრავალი ამბავი აღწევდა იმის შესახებ, თუ ჯაიადევას სიმღერები რა აღტაცებასა და ერთგულების გზნებას აღვიძებს ხალხში.

იმ ხანებში ერთი სიმღერა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. მასში აღწერილი იყო, თუ უფალ კრიშნას როგორ უყვარდა საღამოობით იამუნას სანაპიროზე სეირნობა და მოალერსე გრილი ნიავეთ ტკბობა:

---

<sup>1</sup> ჯაიადევა – მ-12 საუკუნის ბნალის დიდი პოტი.

*დჰირა სამირე იამუნა ტირე  
ვასათჰი ვანე ვანამალი!*

ლამაზი, ადვილად დასამახსოვრებელი მელოდიის მქონე ეს სიმღერა ყველას პირზე ეკერა – დაწყებული სამი წლის ბავშვიდან ჭაღარა მოხუცით დამთავრებული. მას ყველა მღეროდა, მდიდარიც, ღარიბიც – შრომის, თამაშის, დასვენების დროს.

ერთხელ გლეხის ქალიშვილი მინდორში კალათით ხელში ბოსტნეულს კრეფდა და მთელი ხმით «დჰირა სამირე»-ს მღეროდა. უცებ მის ზურგს უკან ვიღაცის ჩქარი ნაბიჯის ხმა გაისმა. უკან რომ მოიხედა, ქალიშვილმა დაინახა, რომ მას ძალიან ლამაზი ჭაბუკი მიჰყვება. შეშინებული გოგონა გაიქცა. უცნობი მკვირცხლი აღმოჩნდა, წამოეწია, სთხოვა გაჩერებულიყო და წარმოთქვა: «ქალიშვილო! ნუ გეშინია. მე ის კრიშნა ვარ, ის ვანამალა, ვისზედაც შენ მღერი. მამაკაცთა შორის მე მამაკაცი ვარ, ქალთა შორის – ქალი, ბავშვთა შორის – ბავშვი. მოვედი, რომ შენი სიმღერის პასუხად დარშანი გაჩუქო». ასე იქნა გლეხის ქალიშვილი თვით უფლის მიერ კურთხეული.

ასეთ ამბებს ისმენდა მეფე ყოველდღე. ჯაიადევას მიმართ იგი შურით აღივსო, და ვინაიდან თვითონ პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, რამდენიმე სიმღერა დაწერა კრიშნაზე და გააერთიანა დასახელებაში «აბჰინავა გიტა გოვინდა» («ახალი გიტა გოვინდა»). ამის შემდეგ მეფემ ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც ხალხს ჯაიადევას სიმღერების ნაცვლად მისი სიმღერები უნდა ემღერა. მაგრამ მეფის ბრძანებას ხალხი არ დაემორჩილა და ჯაიადევას სიმღერების მღერა გააგრძელა.

მაშინ ლაქშმანასენამ მოინდომა გაეგო, ჯაიადევას ლექსებთან შედარებით როგორი იყო სინამდვილეში მისი ლექსები. მან ხელში აიღო ორივე თხზულება - «გიტა გოვინდა» და «ახალი გიტა გოვინდა» - და უფალ ჯაგანათჰას ტაძარში წავიდა. მან ორივე წიგნი უფლის ტერფებთან დადო და ლოცვა წაიკითხა: «სამყაროს მეუფეო, გთხოვ შენ განსაჯო». ამის შემდეგ მეფემ ქურუმებს უბრძანა საკურთხევლის კარი დაეკეტათ, გასაღები მისთვის მიეცათ და ტაძარი დაეტოვებინათ.

მეორე დღეს, დილით ადრე, მეფე ლაქშმანასენა დედოფალთან და მინისტრებთან ერთად ტაძარში შევიდა. მან წმიდათაწმიდის კარი გააღო.

---

<sup>1</sup> ვანამალა – კრიშნას ყვავილწული; კრიშნას პითტი: «ვანამალას დამტარბლი».



თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ ჯაიადევას წიგნი ღვთაების ხელებში დევს, მისი თხზულება კი კუთხეში გდია. მაშინ მეფემ ჯაიადევას დიდება აღიარა.

უფალი მხოლოდ იმ სიმღერებს აფასებს, რომლებიც ერთგულის გულიდან მოედინება, და არა იმათ, რომლებიც სწავლულობისა და ოსტატობის დასანახავად არის შეთხზული.

## 114

### დრაუპადის მოთმინება

პანდავების ცოლს, დედოფალ დრაუპადის, ცხოვრებაში სიმართლის გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

პანდავების ერთ-ერთმა ძმამ, ბჰიმამ, აშვათჰამა<sup>1</sup> შეიპყრო, ის, ვინც დრაუპადის ყველა ვაჟი მოკლა, და დედოფლის ფეხებთან დააგდო. პანდავები მოითხოვდნენ, რომ თვითონ დრაუპადის გამოეტანა მისთვის დამსახურებული განაჩენი. მაგრამ ამის მაგივრად დრაუპადიმ მის მიმართ პატივისცემის ნიშნები გამოხატა და წარმოთქვა: «შენ ყველა ჩემი ახალგაზრდა ვაჟი მოკალი, თუმცა მათ შენთვის ცუდი არაფერი გაუკეთებიათ. მათ მშვიდად ეძინათ, უიარალოდ და დაუცველად. როგორ შეძელი შენ, დიდმა მეომარმა, დრონაჩარიას შვილმა, ასეთი დაბალი საქციელის ჩადენა – მძინარე ბავშვებისთვის ყელის გამოჭრა?» ბჰიმას აღარ შეეძლო დრაუპადის ტანჯვის ატანა. იგი აშვათჰამას მოსაკლავად მივარდა, მაგრამ დედოფალმა შეაჩერა და ჩათვალა, რომ მისი მოკვლა უღირსი საქმეა. მან თქვა: «ნამდვილ მეომარს არ ეკადრება იმისი მოკვლა, ვინც შიშით არის მოცული, ვინც დაცვის იმედიტაა და მზად არის მოინანიოს, ასევე ვისაც სძინავს, ღვინით გაბრუებულია და ვინც უიარალოა, თუ ისინი იმსახურებენ კიდევ დასჯას. დაუშვებელია აგრეთვე ქალზე ხელის აღმართვა. ასევე ნუ გავიწყდება, რომ აშვათჰამა შენი *გურუს* შვილია. წარმოიდგინე, თუ მოკლავ, რა უბედურებას დააწევ თავს დედამისს».

ასეთი მოთმინებითა და თავდაჭერილობით მოეპყრო დრაუპადი თავის მტერს, რომელმაც მისი ბავშვები დახოცა.

---

<sup>1</sup> აშვათჰამა – დრონას ვაჟი, ქურუმი-მომარი, რომლიც კაურავების მხარე ბრძოლობდა.

## კრიშნა - ტრიშნა<sup>1</sup>

ერთხელ კრიშნას ცოლებმა, დედოფლებმა სატიაბჰამამ და რუკმინიმ, უფალს ჰკითხეს: «ასე განსაკუთრებულად რატომ გამოყოფ დრაუპადის ერთგულებას? ნუთუ იგი ასეთი ღრმაა?» უფალმა კრიშნამ გაიღიმა და უპასუხა: «დრო მოვა და ამაში თვითონ დარწმუნდებით».

ერთხელ დრაუპადი სასახლეში გამოცხადდა, რომ თავისი საყვარელი ძმა კრიშნა ენახა. იგი ცალკე პალატში წაიყვანეს. კრიშნამ სატიაბჰამას და რუკმინის დაუძახა და შესთავაზა, რომ დრაუპადისთან ერთად წასულიყვნენ. დრაუპადი მათ სიყვარულითა და სიხარულით შეხვდა. განბანა ახლახან შეასრულა, თავის მშვენიერ თმებზე ნელსაცხებელი წაისვა და ახლა ივარცხნიდა. უფალმა თავის ცოლებს შეხედა და თქვა: «მე მგონია, ჩემს დას თავისი გრძელი თმების დავარცხნა უჭირს. ხომ არ დაეხმარებოდით?» სატიაბჰამა და რუკმინი სიამოვნებით დათანხმდნენ. მათ დრაუპადის თმები კულულებად დაყვეს და მათს დავარცხნას შეუდგნენ, ერთი - მარჯვენა მხრიდან, მეორე - მარცხენადას. უეცრად მათ გაიგონეს, რომ ყოველი ბეწვი მელოდიურ წყნარ ხმას გამოსცემდა: «კრიშნა, კრიშნა». დედოფლები ძალიან გაოცებულნი იყვნენ, და მათმა გამოხედვამ კრიშნას უთხრა, რომ მათ დრაუპადის ერთგულების სიდიადე შეაფასეს. კრიშნა მშვიდად იჯდა და ამ სცენით ტკბებოდა.

ნამდვილი ერთგულება მდუმარეა და ცდილობს თავი არ გამოაჩინოს.

## ნეტარ არიან გულით სუფთანნი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ

შირი საილამი მომლოცველობის უდიდესი ცენტრია ანდჰრა პრადეშის შტატში, რომელიც შივას და პარვატის ტაძრით არის ცნობილი. იგი ბორცვზე დგას. ამ ადგილას უფალ შივას თაყვანს სცემენ როგორც მალიკარჯუნას (ქასმინის თეთრ ყვავილს), მის მეუღლე პარვატის კი

<sup>1</sup> ტრიშნა – არშუ უარის თქმა და შინით მიმართვა.

როგორც ბჰრამარამბას (ქალღმერთ-ფუტკარს). არსებობს ლეგენდა, რომელიც დაკავშირებულია ამ ტაძართან და ღვთაებასთან, რომელიც მასში შივა-შაქთის სახით იმყოფება.

შრი საილამთან ახლო მდებარე ქოხში დედა და მისი ექვსი წლის ვაჟი ცხოვრობდნენ. ბიჭუნას ბალარამანა ერქვა. იგი სოფლის დაწყებით სკოლაში დადიოდა.

ერთხელ შივარატრის<sup>1</sup> წინ მოწაფეები სახლში ბრუნდებოდნენ; ბავშვები დამდეგ დღესასწაულზე ლაპარაკობდნენ. ერთმა ბიჭუნამ თქვა: «ჩემი უფროსი და და მისი ქმარი ჩვენთან დღესასწაულზე უკვე ჩამოვიდნენ. ხვალ ყველა ერთად წავალთ ბორცვზე ტაძარში. მათთან ძალიან მხიარულად ვგრძნობ თავს!» მეორე ბიჭუნამ თქვა: «ჩემი დაც ჩამოვიდა ქმართან ერთად. მათ ახალი ტანსაცმელი ჩამომიტანეს. ჩვენ ტაძარში დღეს საღამოს მივდივართ». ბალარამანა უსმენდა და ფიქრობდა: «ნუთუ მე არ მყავს და და არაღვიძლი ძმა?» მან სახლში მიირბინა და დედას ჰკითხა: «დედა, მყავს და? სად არის იგი? მისი ქმარი რას აკეთებს? ჩვენთან რატომ არ ჩამოვიდნენ? ჩემი მეგობრები თავისი დების კამპანიაში ერთობიან. მეც მინდა დასთან და მის ქმართან ერთად დღესასწაულზე წასვლა». დედას ესმოდა ბავშვის გრძნობები. შვილი რომ დაეწყნარებინა და მასში რწმენის მარცვალი ჩაეთესა, მან თქვა; «შვილო, შენც გყავს და, მას კი ქმარი ჰყავს. მათ ბჰრამარამბა და მალიკარჯუნა ჰქვიათ». - «მართლა? სად არიან? წავალ და აქ მოვიყვან, რომ მათთან ერთად დღესასწაულზე წავიდე, მითხარი, სად არიან!» - გაუხარდა ბიჭუნას. დედამ უთხრა, რომ ტაძარში იგი მეზობლებთან ერთად წასულიყო. მეზობლებს სთხოვა, მისი შვილისთვის თვალყური ედევნებინათ და ფული მისცა, რომ მისთვის გასართობად რაიმე წვრილმანი ეყიდათ. ბალარამანამ ჰკითხა: «დედა, მართლა არაფერი არ უნდა ვაჩუქო ჩემს დას?» დედამ უპასუხა: «არა, ჩემო კარგო, შენ ხომ ბავშვი ხარ, თვითონ მათ მოგიმზადეს მრავალი საჩუქარი».

ბალარამანა ტაძარში მიიყვანეს. მეზობლებმა მას ორ ქანდაკებისკენ მიუთითეს, რომლებიც მოხდენილად ჩაცმულნი და მდიდრულად მორთულნი იყვნენ, და უთხრეს: «უყურე, ეს ქალღმერთი ბჰრამარამბაა, შენი და, მის გვერდით კი – უფალი მალიკარჯუნა». უცებ ბალარამანამ ბჰრამარამბას ქანდაკებასთან მიირბინა, ხელი ჩასჭიდა და ხვეწნა

---

<sup>1</sup> შივარატრი - «შივას ღამ» - შივას მიძღვნილი დრსასწაული.

დაუწყო: «დაო, გთხოვ, წამოდი ჩვენთან სახლში. დედამ გამომგზავნა, რომ მოგიწვიოთ». პასუხი არ იყო. იგი მეორე ფიგურას მივარდა და წამოიძახა: «ძვირფასო ძმაო, გთხოვ, ჩემს დასთან ერთად ჩვენთან წამოდი. თქვენ გარეშე აქედან არ წავალ». ტაძრის ქურუმებმა იგი გონებაჩლუნგად ჩათვალეს და ქუჩაში გამოაგდეს. ბალარამანას მწუხარება იმდენად დიდი იყო, რომ დისა და მისი ქმრის გარეშე სახლში წასვლა არ შეეძლო და მან გადაწყვიტა, რომ თავს მოიკლავს, თუკი ისინი გარეთ არ გამოვლენ და მას არ გაჰყვებიან. იგი კლდის წვერზე აცოცდა. ბიჭუნამ იყვირა: «გესმით ჩემი, დაო და ძმაო? სახლში თუ არ გამომყვებით, ამ კლდიდან გადავხტები!» და მაშინვე შემოესმა, როგორ ეძახდა ვიღაც: «ძმაო, მოიცა! მოიცა! მოვდივართ, ჩვენ უკვე აქ ვართ!» და მათ ორივემ – უფალმა მალიკარჯუნამ და ბჰრამარამბამ – მასთან მიიღბინეს და გულში ჩაიკრეს. ბალარამანამ თქვა: «თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, დედა გველოდება». უფალი - თვით თანაგრძნობა – და მისი მეუღლე ბიჭუნას გაჰყვნენ. მათ დედა-შვილს ჯილდო მოუვლინეს: მათ წინაშე შივას და შაქთის<sup>1</sup> სახით წარდგნენ.

თუკი რამეს ხელი მოჰკიდე –  
რაკი უკვე მოჰკიდე,  
მაგრად გეჭიროს, სანამ არ გაიმარჯვებ.  
თუკი რამე მოინდომე – რაკი უკვე მოინდომე,  
გსურდეს ძლიერად, სანამ არ გაიმარჯვებ,  
თუკი რამე ჩაიფიქრე – რაკი უკვე ჩაიფიქრე,  
უფრო მტკიცედ დაისახე, სანამ არ გაიმარჯვებ.  
იცოდე: ღვთის წყალობა მოვა,  
და ჩაჩუმდება შენი კვნესა.  
მაგრამ სანამ არ მიაღწიე – იტირე,  
იქვითინე და ილოცე.  
იყავ სულით მტკიცე,  
გზიდან ნუ გადახვალ.  
ის, ვინც ჭეშმარიტად ერთგულია,  
მუდამ გამარჯვებულია.

---

<sup>1</sup> შაქთი – ღვთაბრივი დდა, ღვთაბრივი ძალის ანხორცილბა.

## როგორ გავხდეთ ღმერთისთვის ძვირფასები?

გაურანგა სახელია, რომელიც შრი კრიშნა ჩაიტანის<sup>1</sup> დაბადებისას დაერქვა. მინდა გიამბოთ, როგორ დაიმსახურა მან თავისი წმინდა სახელი – ჩაიტანია<sup>2</sup>. მას სურდა კრიშნასთვის ძვირფასი და ახლობელი გამხდარიყო. იგი მუდამ აღტაცებული იყო იმით, რომ კრიშნას ფლეიტას იშვიათი წარმატება ხვდა წილად. ფლეიტა კრიშნასთვის ძვირფასი იყო და მას მუდამ თან დაჰქონდა. ღვთაებრივი ტუჩებისა და ხელების მიკარებისგან ფლეიტა ტკბებოდა, ყველა დანარჩენ დროს კი კრიშნას ქამარზე იყო მოსვენებული. გაურანგა ოცნებობდა უფლისთვის ისეთივე ახლობელი და ძვირფასი გამხდარიყო, როგორც მისი ფლეიტა იყო.

ერთხელ იგი კრიშნას შეევედრა: «უფალო! საიდუმლოს ხომ არ გამიმხელ – რა უნდა ვქნა, რომ შენთვის ახლობელი და ძვირფასი გავხდე? რა ბედნიერია ეს ფლეიტა!» გაურანგას ღამით სიზმარში კრიშნა მოევლინა. «გაურანგა, თუ ისეთ ინსტრუმენტად გინდა იქცე, როგორც ფლეიტაა, რომლის მეშვეობითაც ჩემი სუნთქვა ნაკადად მოედინება და ღვთაებრივ მუსიკას ქმნის, ყურადღებით შეისწავლე ფლეიტა. მის შიგნით სიცარიელეა. როდესაც მას ჩემი სუნთქვით ვავსებ, ეს სუნთქვა მასში თავისუფლად მიედინება და საოცარ მელოდიებად იქცევა. შენც ასევე ცარიელი გახადე საკუთარი თავი, გაათავისუფლე გული ჟინისა და ემოციებისგან, გონება კი – ყველა სურვილისგან. და მე ჩემს ინსტრუმენტად აუცილებლად აგირჩევ. მაგრამ ფხიზლად იყავი! ეგოიზმისა და მიბმულობის ნასახიც არ უნდა დარჩეს შენში; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი სუნთქვა ასე მსუბუქად და თავისუფლად ვერ შეძლებს დენას, და მშვენიერი მუსიკა შენს გულში ვერ აჟღერდება. გლოცავ, გაურანგა».

გამთენიისას აღელვებულ გაურანგას გამოეღვიძა. მან იცოდა, რომ გულის გაწმენდის საუკეთესო საშუალება *ბჰაჯანების* გალობაა. გაურანგამ დოლი და ორი ციმბალი აიღო და ბჰაჯანების გალობით

<sup>1</sup> ჩაიტანია (1485-1553) – ბნალიის დიდი წმინდანი, კრიშნას რთული, რლიური რფორმატორი, მოძრაობა ბჰაქტის დამფუძნბლი; მას თავყვანს სცმნ როორც რადჰას და კრიშნას ანხორცილბას.

<sup>2</sup> ჩაიტანია – ცნობირბა.

ქუჩებში დაიწყო სიარული. მაგრამ ქალაქში აღმოჩნდა ხალხი, რომელსაც არ მოეწონა, რომ დილით ადრე მათ ხმამაღალი გალობა აღვიძებდა, და გადაწყვიტეს ამ *ნაგარასანკირტანისთვის* (წმინდა ჰიმნების ქუჩაში გალობისთვის) ბოლო მოეღოთ.

ერთ დღეს მათ მომღერალს დოლი ხელიდან გამოსტაცეს და გატეხეს. ამით გაურანგა ოდნავაც არ შეწუხებულა, მხოლოდ თქვა: «უფალო, იყოს ნება შენი. ალბათ არ მოგწონს, დოლს როგორ ვუკრავ. ამიტომაც გატეხეს იგი».

მეორე დღეს, როდესაც გაურანგა ქუჩაში მიდიოდა და *ბჰაჯანებს* მღეროდა, მასთან მიიღბინეს და ციმბალები წაართვეს. გაურანგამ აღტაცებით წამოიყვირა: «უფალო! როგორც ჩანს, არ მოგეწონა, ციმბალებს როგორ ვუკრავ. მოხარული ვარ, რომ ისინი თავიდან მოვიცილე». გალობითა და ტაშის კვრით მან სვლა განაგრძო. ასე გალობდა იგი მრავალი წლის განმავლობაში. ეს მისი ერთადერთი *სადჰანა* იყო, რომელიც მას დაეხმარა, რომ გულიდან ეგოიზმი და მიბმულობა მთლიანად გამოეძეებინა. მან იმ სტადიას მიაღწია, როდესაც კრიშნას სახელის ერთ ხსენებას იგი ტრანსში შეჰყავდა. გაურანგას სისხლის ყოველ წვეთში კრიშნას ცნობიერების გარდა სხვა არაფერი იყო. ამიტომ მისცეს მისმა თაყვანისმცემლებმა და ერთგულმა მიმდევრებმა სახელი - კრიშნა ჩაიტანია.

## 118

### ღმერთის ჩანაფიქრი და მისი ლოგიკა

მიაჩვიეთ თქვენი გონება, რომ იგი მსოფლიოში *დჰარმის* განმტკიცების ღვთაებრივ ჩანაფიქრს მიჰყვებოდეს. ნუთუ შეგიძლიათ თქვენ, ასეთი დაბალი ინტელექტის მქონეთ, რამე დაგეგმოთ?

ერთი კაცი თავს უფლებას აძლევდა, რომ ღმერთისთვის დაეცინა: უზარმაზარ ბანიანს ერთი ციცქნა ნაყოფი, კენკრა, რატომ მისცა, დიდი და მძიმე გოგრა კი სუსტ ლიანას ჩამოჰკიდა! ღმერთს პროპორციის გრძნობა არ გააჩნია, ხშირად ამბობდა იგი.

ერთხელ დღისით, მეზობელ სოფელში რომ მიდიოდა, იგი ბანიანის ჩრდილში დასასვენებლად წამოწვა, და მალე მას ჩასთვლიდა. როდესაც ერთი საათის შემდეგ გამოიღვიძა, დაინახა, რომ მის ტანზე ხის წვრილი ნაყოფი ეყარა ბლომად. იმავე წამს მან გაიფიქრა, რომ ბანიანს მისი ზომის პროპორციული ნაყოფი რომ ჰქონოდა, ასეთი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ერთი მათგანიც კი სულს გააფრთხობინებდა. ამის ნაცვლად ბანიანი ყველას თავშესაფარს და სიგრილეს აძლევს – ადამიანებსაც და ცხოველებსაც. «აი თურმე ღმერთმა თავისი სიბრძნით ბანიანს ასეთი წვრილი ნაყოფი რატომ მისცა!» - გაიფიქრა მან, ღმერთს სრულყოფილი ლოგიკის გამო მადლობა უთხრა, და გზა განაგრძო.

119

კარმა<sup>1</sup>

### ყველაფერზე პასუხისმგებელია

ქალმა, რომელმაც ქმარი დაკარგა, პატარა ვაჟთან მარტო დარჩა, გადაწყვიტა მეზობელ სოფელში გადასახლებულიყო. იგი ბავშვით ხელში გზას გაუდგა. გზა პატარა ტყეზე გადიოდა და ქალი დასასვენებლად ხის ქვეშ ჩამოჯდა, ბავშვი მუხლებზე დაიწვინა და ცოტა ხნით დაიძინა.

უეცრად ბიჭუნამ ყვირილით გამოიღვიძა და ტირილი მორთო. ქალი ადგა და კობრა დაინახა, რომელიც ხვრელში შესრიალდა. გველმა მის ვაჟს უკბინა! რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვი მოკვდა. საწყალი დედა ერთადერთ ვაჟს დასტიროდა.

ისე მოხდა, რომ ამ გზით მმარცველი მიდიოდა; ტირილის ხმა რომ გაიგო, ქალთან მივიდა და ჰკითხა: რა მოხდა, დედი?» ქალმა უპასუხა: «ჩემი ერთადერთი ვაჟი მოკვდა – გველმა უკბინა». ქურდმა გადაწყვიტა ჭიანჭველას ბუდე გაეთხარა და კობრა მოეკლა. ქალმა მას ხელი ჩასჭიდა და უთხრა: «შვილო, გთხოვ, ნუ მოკლავ. გველს თუ მოკლავ, ჩემი შვილი გაცოცხლდება?»

ქურდმა თქვა: «ამ გველს შეუძლია სხვასაც უკბინოს. ჩემი ვალია შხამიანი არსებები დავხოცო». ქალმა უპასუხა: «შვილო! ბედმა

<sup>1</sup> კარმა - «მუშაობა», «მოღვაწეობა»; მოქმდბბი, რომლიც თავის შდბს იწვვს და ახალ დაბადბათა მიზბს წარმოადბნს. სამყაროს მიბის კანონი, მოღვაწობის მიზბშდობრივი კავშირი.

გადაწყვიტა, რომ ამ გველს ჩემი შვილისთვის უნდა ეკბინა. მისი სიკვდილი მისივე საკუთარი *კარმის* შედეგია. არავის შეუძლია გასულ ცხოვრებებში შესრულებული *კარმის* შედეგებს თავი დააღწიოს».

120

რა არის

ჭეშმარიტი უშიშრობა?

ერთხელ ჩაიტანიას სახლს მწირი მიადგა – დამონძილი, გაბურძენილთმიანი და დიდი ხნის დაუბანელი. იგი ოთახის ზღურბლზე გაჩერდა და თვალმდახუჭული მედიტაციას მიეცა. ჩაიტანია მ რომ დაინახა, ჰკითხა: «ვინ ხარ? შეგიძლია შემოხვიდე». ეს რბილი და თავაზიანი სიტყვები რომ გაიგო, მათხოვარმა თვალი გაახილა და საცოდავად უპასუხა: «სვამი, მე იმის ღირსი არ ვარ, რომ შენს ოთახში შემოვიდე. მე საძაგელი არსება ვარ *ჩანდალების* (შეუხებლების) კასტიდან. უფლება არ მაქვს შენი წმინდა საცხოვრებელი წავბილწო». ჩაიტანია მას ღიმილით მიუახლოვდა. «შვილო ჩემო, არასოდეს თქვა, რომ საცოდავი, არაფრის მაქნისი და ზიზღის ღირსი ხარ. ვინ არის დედამიწაზე ცოდვილი და ვინ წმინდანი? ყველა წმინდანია, ვინაიდან ყოველი ადამიანის გულში ერთი ღმერთი ბრწყინავს. ნუ გრცხვენია, შემოდი შიგნით». ვინაიდან მწირი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ჩაიტანია მ ვიზიტის მიზეზი ჰკითხა. მათხოვარმა უპასუხა: «სვამი, ღმერთის სახელს მე დაულაღავად ვიმეორებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ხმაში არ არის *ჩაიტანია* (სულიერი ძალა), - ასეა ადმიანი, რომელიც კომაშია, თითქოს ცოცხალია, მაგრამ ცნობიერება დაკარგული აქვს; ასე მგონია, უფლის სახელს მექანიკურად ვიმეორებ, და მის ღვთაებრივ ძალას ვერ შევიგრძნობ. ჰოდა შენთან მოვედი იმ იმედით, რომ თუ მის ერთ-ერთ სახელს გამიზიარებ, იგი სულიერი ენერგიით იქნება დამუხტული და, ამ სახელის ხოტბის შესხმის დროს ჩემს პრაქტიკაში წინ წავიწევ».

ჩაიტანია მ უპასუხა: «ღმერთის ყველა სახელი *ჩაიტანიით*, ანუ ღვთაებრივი ძალითაა სავსე. ღვთის სახელი ყოვლისშემძლეა, იგი სინათლეს ასხივებს. ამიტომ შენ არასწორად მსჯელობ, როდესაც ღმერთის რომელიმე სახელს სრულად ვერ აფასებ. მაგრამ დაე ასე იყოს,



შენს გასახარებლად მოგცემ *მანტროპადემას* (*მანტრას* განდობას), როგორც შენ გინდა. გთხოვ, შემოდი ოთახში».

სტუმარმა, დამცირებულმა და მფრთხალმა ზღურბლს გაუბედავად გადააბიჯა. შიშითა და ეჭვებით აკანკალებული და მოხრილი კუთხეში ჩამოჯდა. ჩაიტანია იგი შეეცოდა და რბილად უთხრა: «შვილო, რისი გეშინია? ადამიანს თავისუფლება და უშიშრობა დაბადებიდან აქვს მიცემული. თავისუფლება შენი ბუნებაა, მაშ რატომ აძლევ შიშს უფლებას, რომ დაგიმონოს? უნდა შეიგნო, რომ სულიერი (*ატმური*) ძალა ყველა ფიქრზე უფრო მაღლა დგას, და შიში უნდა გააძევო».

ამას რომ ამბობდა, ჩაიტანია შეუხებელს თანდათან უახლოვდებოდა. პანიკაში ჩავარდნილმა მწირმა იყვირა: «სვამი, გემუდარები, არ შემეხო! თუ შემეხები, საზოგადოების ტრადიციული საფუძვლების დარღვევაში ჩვენ ორივე დამნაშავენი ვიქნებით. კიდევ იმიტომ მეშინია, რომ ახლა ზამთარია, და თუ შემეხები, იძულებული იქნები ცივ წყალში განბანა შეასრულო, და ამან შეიძლება შენს ჯანმრთელობას ავნოს. მე როგორც ჩემს *გურუს* გცემ პატივს, საღვთო წერილების თანახმად კი, *გურუ* თვით ღმერთია, ეს შეხება ჩემთვის დიდი ცოდვა იქნება. მე იმისთვის მოვედი, რომ შენი დარიგება მოვისმინო და დახმარება მივიღო, და არა იმისთვის, რომ ჩემ გამო იტანჯო. წინა ცხოვრებებში ჩადენილი ცოდვების გამო შეუხებლად დავიბადე. არ მინდა ჩემი შეხების უფლება მოგცე და ჩემს ცოდვათა ტვირთს კიდევ ერთი ცოდვა მივუმატო».

ეს რომ მოისმინა, ჩაიტანია შეეპესუხა: «რა გულუბრყვილო ხარ! შენი «შეუხებლობით» მხოლოდ უმეცრებას ამჟღავნებ და გავიწყდება, რომ ღმერთი ყოველ არსებაში ბინადრობს. ღმერთმა არ იცის კასტებსა და რელიგიებში განსხვავებები. იცის რაიმე კასტების შესახებ ბუნების ხუთმა სტიქიამ – მიწამ, წყალმა, ცეცხლმა, ჰაერმა და ცამ? ისინი ხომ ღმერთის მიერაა შექმნილი. კასტისა და რწმენის მიუხედავად, ყველას თანაბარი უფლება აქვს ბუნების სიმდიდრეებზე, რომლებიც ხუთი ელემენტის მიერაა შემოთავაზებული. არავითარი საჭიროება არ არის კასტობრივ და რელიგიურ ცრურწმენებს მიჰყვე. მომიახლოვდი».

მაგრამ მოხეტიალეს შიში ვერ დაეძლია, რადგან იგი ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისეთი გრძნობები, როგორიცაა შიში, სიყვარული, სიძულვილი და ა.შ., ადამიანში ძლიერად მყარდება, თუკი იგი მათ დიდიხნის განმავლობაში ზრდის, ბავშვობიდანვე.

ჩაიტანია მოთმინებით განაგრძობდა: «ღმერთი ადამიანს შიშის გრძნობას არ ანიჭებს. თავისი სისუსტით ადამიანი მას თვითონ იძენს, რაც მისი ნატურის არასრულყოფილებით არის გამოწვეული. მას, ვისაც ცუდი და არასწორი რამ არ გაუკეთებია, არასოდეს არაფრის ეშინია და ამიტომაც იგი დაცვასა და მფარველობას არ საჭიროებს. უშიშრობა ღვთაებრიობის განმასხვავებელი ნიშანია. მისი შეძენა განდგომითა და მსხვერპლის შეწირვითაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ რაიმე სიმდიდრეს ფლობ, ეს შიშის წყაროა. მაგრამ თუ მასზე უარს იტყვი, მიყრუებულ გზაზეც კი არ გექნება შიში, სადაც ყაჩაღები მრავლადაა. ჩემო კარგო, შეიგნე, რომ შენი ბუნება აბსოლუტური უშიშრობაა ყველგან და ყოველთვის, - მაშ მიჰყევი შენს ბუნებას».

და ჩაიტანია გლახაკს მოეხვია. მაგრამ მწირი ნეტარებისა და შიშის შერეული გრძნობების გამო აკანკალდა, ნეტარებისა ისეთი დიდი წმინდანის მოხვევის გამო, როგორც ჩაიტანიაა, და შიშისა იმ აკვიატებული იდეისგან, რომ მისი შეხება ჩაიტანიას წაბილწავს. მან წამოიყვირა: «სვამი! დაე ჩემმა ცოდვებმა არ გაგსვაროს!» ჩაიტანიამ მხიარულად გაიცინა და უთხრა: «რა გულუბრყვილო ხარ! მე და შენ ერთნი გავხდით. ახლა ჩვენ განუყოფელნი ვართ». ჩაიტანიამ საცოდავს მხრებზე ხელი მოხვია და ყურში უფლის სახელი ჩასჩურჩულა. ამ სახელმა საცოდავის გულში შეაღწია. ამან მწირი ისე გარდაქმნა, რომ ექსტაზში მყოფმა წამოიძახა: «სვამი! ჩემზე უფრო ბედნიერი არავინაა. მე ახლა კურთხეული ვარ, წმინდა და სუფთა გავხდი. მთლიანად მოვიცილე ის გრძნობა, რომ ხუთი ელემენტისგან შემდგარი სხეული ვარ! შენი და ღვთის სახელის, რომელიც შენ მომეცი, წყალობით, ჩემი ჭეშმარიტი ბუნება გამეხსნა».

ცხოვრება კურთხეული ხდება, თუკი ღვთის სახელი გულში უდიდესი სიყვარულით ინახება როგორც განძი. თუ ეს სიყვარული არ არის, მაშინ ყოველგვარი ე.წ. სულიერი პრაქტიკა ამაო იქნება. ყველა სულიერი დისციპლინა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ გული გასუფთავდეს. როცა გული სუფთაა, საჭირო აღარაა საღვთო წერილების შესწავლა ან *სადჰანის* ჩატარება. ჩაიტანიამ ეს ჭეშმარიტებები თავისი ახალი მოსწავლის ცნობიერებამდე დაიყვანა და აიძულა იგი შიში სამუდამოდ დაევიწყებინა. ლატაკი-შეუხებელი წმინდანი გახდა, რომელსაც დღემდე პატივს სცემენ როგორც ჰარიდასას.

ამ ამბის მორალი იმაში მდგომარეობს, რომ უარი უნდა ვთქვათ ყველა იმ განსხვავებაზე, რომელიც წარმომავლობასა და ცხოვრების სტატუსზეა დამყარებული, და ღვთის სახელები მგზნებარე სიყვარულითა და ერთგულებით ვახსენოთ ან ვიგალობოთ. დასაწყისში ღვთის სახელი ერთგულის გულს შეარბილებს; და მხოლოდ ამის შემდეგ მას შეუძლია ღმერთის გული მოალობოს და წყალობა მიიღოს. ღმერთისთვის სულ ერთია, რა დროის განმავლობაში და როგორ აწარმოებდით *სადჰანას*. ღმერთს მხოლოდ მისდამი გულწრფელი, ღრმა, სუფთა გულიდან მომდინარე სიყვარული სჭირდება.

121

## უბჰაია ბჰარატი

ბჰარატაში (ინდოეთში) თავისი ტრიუმფალური მსვლელობის დროს *ადვაიტას* ფილოსოფიის დროშის ქვეშ ადი შანკარაჩარიას შრი მანდანა მიზრასთან დისკუსია ჰქონდა თემაზე *მედჰა შაქთი* (გონებრივი უნარი). ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ დებატებში ყველაზე უფრო კომპეტენტური განმსჯელი უბჰაია ბჰარატი უნდა ყოფილიყო: მაღალი სული, დიდი განსწავლულობა, სუფთა გული და სრული მიუკერძოებლობა ამ ქალს უფლებას აძლევდა გადაეწყვიტა, თუ გამარჯვებული ვინ გამოვიდოდა.

უნდა ითქვას, რომ უბჰაია ბჰარატი მანდანა მიზრას ცოლი იყო. ეს არჩევანი მრავალ მიმართებაში უნიკალური იყო. ძალიან ყურადსაღებია, რომ შანკარაჩარიამ სიამოვნებით განაცხადა თანხმობა იმაზე, რომ დისკუსიის განმსჯელი მისი მოწინააღმდეგის ცოლი ყოფილიყო. აღიარა რა უბჰაია ბჰარატის სრული მიუკერძოებლობა, მან თავისი რწმენის უდიდეს გამოცდას გაუძლო. შანკარაჩარიამ იცოდა, რომ *ბუდჰის* (გონიერების) განსხვავების უნარი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე *მედჰას* (გონების) აზრობრივი შესაძლებლობანი. სტუდენტებმა უნდა შეიგნონ, რა სიმძლავრე აქვს *ბუდჰის*. *ბუდჰი* უბრალოდ ინტელექტი არ არის, როგორც ეს ჩვეულებრივად ითვლება. ეს არის გონიერება, სადაც *რიტა* (მართებულობა, ღვთაებრივი თანაზომიერება) და *სატია* (ქეშმარიტება) შეეთავსება *აშაქთის* (გულმოდგინებას, სიბეჯითეს) და *შტირატვამს* (მიზანდასახულობას). სწორედ ასეთი

გონიერებით იყო აღჭურვილი უბჰაია ბჰარატი. ბუდჰი აგრეთვე შეიცავს *იოგას* და *მაჰატ ტატვას* (კოსმოსურ გონს), რომლებიც მასზე განმწმენდად მოქმედებენ. ამგვარად, ბუდჰი მხოლოდ ფიქრის უნარი არ არის. ეს არა მარტო ძალაა, რომელიც ფიქრისა და აწონ-დაწონის საშუალებას იძლევა, ეს არ არის მხოლოდ განსხვავების უნარის ნიჭი. ამ ყველაფრის გარდა, ბუდჰის ღრმა ანალიზისა და განსჯის უნარი გააჩნია. უბჰაია ბჰარატიმ, რომელიც სწორედ ასეთი ბუდჰით იყო დაჯილდოებული, შანკარაჩარიას გამარჯვება აღიარა. მისი გადაწყვეტილება *სატიაზე* (ქეშმარიტებაზე) და *რიტაზე* (კანონზე) იყო დამყარებული.

შანკარაჩარია უბჰაია ბჰარატის გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი იყო. ამ უკანასკნელმა კი განაცხადა, რომ მოლაპარაკების თანახმად, რომელიც დისპუტის დაწყების წინ ორივე მონაწილემ გამართა, მანდანა მიზრამ, როგორც დამარცხებულმა, *სანიასი* (განდევილობა) უნდა მიიღოს და შანკარაჩარიას მოსწავლე გახდეს.

მაგრამ ამავე დროს, როგორც მანდანა მიზრას ერთგულმა ცოლმა, რომელიც ინდოეთის ცოლქმრული ცხოვრების იდეალებს იცავს, რომელთა თანახმადაც ჭირში თუ ლხინში ცოლი ქმარს უკან უნდა გაჰყვეს, უბჰაია ბჰარატიმ გადაწყვიტა თვითონაც *სანიასი* გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართებით მკაცრი მითითება არ არსებობდა, მან ასეთი არჩევანი მაინც გააკეთა. მან *აშრამი* დააარსა, სადაც აპირებდა თავდაჯერებული სწავლულებისთვის (რომლებიც მხოლოდ გონების სიმახვილეს აფასებდნენ) ეჩვენებინა, რომ გონება გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე ბუდჰი, რომელიც *სატიასთან* და *რიტასთან* მჭიდროდაა დაკავშირებული.

ერთხელ, როდესაც თავისი მოსწავლე გოგონებთან ერთად განბანისთვის მდინარისკენ მიდიოდა, უბჰაიამ დაინახა ასკეტი, რომელმაც ცხოვრებისეულ კეთილდღეობებზე უარი თქვა; მას თავქვეშ ცარიელი დოქი ამოედო და ბილიკთან ახლოს ეძინა. ნათლად ჩანდა, რომ ასკეტმა იგი ბალიშად იმიტომ გამოიყენა, რომ არავის მოეპარა. სანამ მიბმულობა და ეგო გაქვთ, თქვენ *ატმანს* ვერ ჩასწვდებით და სულიერ ნეტარებას ვერ მოიპოვებთ. ასკეტისთვის ჭკუა რომ ესწავლებინა, უბჰაია ბჰარატიმ თავის მოსწავლეებს უთხრა – ისე, რომ ასკეტს მისი სიტყვები გაეგო: «შეხედეთ ამ ასკეტს, რომელმაც ყველა მიბმულობაზე ვითომ

უარი თქვა, მაგრამ უბრალო დოქის მიმართ საკუთრების გრძნობა ვერ დაუძლევიან!» ეს რომ გაიგონა, ასკეტი საშინლად გაბრაზდა. მან იფიქრა: «ესლა მაკლია, რომ ვიღაცა ქალი მასწავლიდეს, როგორ ვიცხოვრო!» როცა უბჰაია ბჰარატი მდინარიდან ბრუნდებოდა, ასკეტმა მას ფეხებში დოქი მიუგდო და თქვა: «რა, დარწმუნდი, როგორია ჩემი განდგომა?» უბჰაია ბჰარატიმ უპასუხა: «სამწუხაროდ, არა მხოლოდ მიბმულობებით (აბჰიმანით) ხარ სავსე, არამედ ეგოც (აჰამკარა) არ მოგიცილებია». ამ სიტყვების გამგონე ასკეტი მის წინ განერთხო და შეცდომების გამო პატიება სთხოვა.

122

## ცხოველები ადამიანის წინააღმდეგ

ერთი ჭკვიანი მელა ფიქრობდა: «საინტერესოა, რატომ თვლიან ადამიანს ქმნილების გვირგვინად და რაში მდგომარეობს ცხოველთა მიმართ მისი უპირატესობა? ჟინისა და ემოციების მიმართადამიანსაც აქვს მიდრეკილება და ცხოველსაც. ერთსაც და მეორესაც კარგი თვისებებიც აქვს და ცუდიც. მაშ მისი მეთაურობა რატომ დაწესდა? ჭავალ, ლომს ვკითხავ». და იგი ლომის ბუნაგისკენ გაიქცა. «კარგა ხანია, არ მინახიხარ, მელა!» - უთხრა ლომმა. მელამ პატივისცემით უპასუხა: «ნადირთა მეფეო! ადამიანი სულ უფრო მძლავრი ხდება და მზადაა თავი სამყაროს მბრძანებლად გამოაცხადოს! ამ ქედმაღლობის ატანა არ შემძლია! იგი აცხადებს, რომ ცხოველებზე მაღლა დგას! რაში ჩამოვრჩებით მათ? არ გვაქვს საშუალება, რომ ჩვენი პირველობა დავამტკიცოთ? რაიმე უნდა მოვიფიქროთ».

ლომმა თავი დაიქნია და თქვა: «მართალი ხარ, ძვირფასო. რა ვქნათ?» ისინი პრობლემას დიდხანს არჩევდნენ და, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს ტყის ნადირთა საბჭო მოეწვიათ და ერთად განეხილათ, ცხოველებთან შედარებით ადამიანს რა ღირსებები და ნაკლოვანებები აქვს. ლომმა მელას უბრძანა: «წადი და საბჭოს სამზადისს შეუდექი. ყველა ნადირი მოიწვიე, დიდი თუ პატარა. მაგრამ კრებას ვინ უხელმძღვანელებს?» მელამ თქვა: «ჩვენს ტყეში მრავალი წელია ასკეტი ბრძენი ცხოვრობს. იგი როგორც ადამიანების, ასევე მხეცების მეგობარია.

იგი მიუმხრობელია და ნამდვილად არა არის ცრუმორწმუნე. ხომ შეიძლება მას თავმჯდომარეობა ვთხოვოთ?» - «გადაწყდა», - უპასუხა ლომმა.

მელამ დავალებას ერთ კვირაში გაართვა თავი. უზარმაზარი ველობი საბჭოსთვის გაასუფთავეს და მოამზადეს. დანიშნულ დღეს ველობს ყველა მხრიდან ნადირი მოადგა. ისინი ადგილებზე დასხეს, და დროზე მოსულმა წმინდანმა ბრძენმა მაღლობზე თავმჯდომარის ტახტი დაიკავა. აქეთიქიდან სპილო და ლომი ედგნენ.

მელა, როგორც საბჭოს მდივანი, წინ წამოდგა, ყველას მიესალმა და თქვა: «გილოცავთ ასამბლეის გახსნას და მაღლობას გიხდით, რომ მასში მონაწილეობას ღებულობთ.

ახლა დღის წესრიგის ძირითად პუნქტებს გაგაცნობთ. სანამ საკუთარ აზრს მოგვახსენებდეთ, კარგად დაფიქრდით, რადგან საბჭოს გადაწყვეტილებას ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირველი საკითხი. ადამიანიც და ცხოველიც დედის მუცლიდან იბადება. მაშ ჩვენ «ცხოველებს» რატომ გვიწოდებენ, ადამიანს კი – *მანავას* («გონიერს»)?

მეორე საკითხი. არსებობს ახირებული აზრი, რომ ადამიანები ბრძენნი არიან, ცხოველები კი – სულელები. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ დამამცირებელ და სამარცხვინო დამლას შევეგუოთ.

მესამე საკითხი. ითვლება, რომ ადამიანი მეტყველების წმინდა ნიჭით არის აღჭურვილი. მაგრამ აქვს კი მას ამ ნიჭით ამყობის მიზეზი, თუკი ის ხშირად ბილწავს მას? მართალია, ლაპარაკი ისე არ შეგვიძლია, როგორც ადამიანს, მაგრამ ჩვენი საკუთარი, ცხოველური ენა გვაქვს, საკვების მოპოვების უნარი გაგვაჩნია, შეგვიძლია თავშესაფარი ვიპოვოთ, შთამომავლობა ვზარდოთ და ბედნიერად ვიცხოვროთ. ამიტომ ადამიანი უმაღლეს არსებად არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეს იშვიათი ნიჭი, მეტყველების უნარი, გააჩნია, რომლითაც იგი ასე ყოყორჩობს.

მეოთხე კითხვა. და ბოლოს, ამბობენ, რომ ჩვენ უღმობლები ვართ, ადამიანი კი კეთილი და თანამგრძნობია. მაგრამ, არსებითად, ჩვენ უფრო კეთილები და ტაქტიანები ვართ, ვიდრე ადამიანები. მაშ ასე, ჩვენ ეს ბრალდებაც უნდა უარვეყოთ».

მელამ დღის წესრიგის კითხვა დაასრულა და თავისი ადგილი დაიკავა.

ლომმა ნაბიჯი წინ წადგა, თავი მაღლა ასწია და მედიდურად თქვა: «მე ყველა პუნქტს ვეთანხმები. არ შემიძლია რაიმეში ადამიანის უპირატესობა ვაღიარო. ავიღოთ თუნდაც ისეთი თვისებები, როგორცაა გამბედაობა და ძალა. ნუთუ ერთი ადამიანი მაინც არსებობს, ვინც მე ძალასა და გამბედაობაში შემედრება? მართალია, ტყის ერთადერთი მეფე ვარ, მაგრამ ჩემს თავს უსამართლო და ანგარებითი მოქმედებების უფლებას არასოდეს მივცემ. მე მხოლოდ მაშინ ვკლავ, როცა მშვიერი ვარ. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს შეუძლია უპირატესობაზე პრეტენზია ჰქონდეს?» - «არა, არა!» - ერთხმად იღრიალა ასამბლეამ.

ლომი თავის ადგილს დაუბრუნდა – ბრძენის მარჯვენა მხარეს. სპილომ წინ წამოიწია და ხმამაღლა იყვირა, რითაც თავის სიდიადეს ხაზი გაუსვა. «მე ადამიანზე უფრო მაღლა ვდგავარ ზომებითაც, აგებულებითაც, ძალითაც! ჩემთან შედარებით იგი უბრალოდ პიგმეაა. ჩემი გონებისა და ინტელექტის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცის. უხსოვარი დროიდან ტაძართან ჩემი ყოფნა ნებისმიერ მნიშვნელოვან და საზეიმო ცერემონიას კურთხეულს ხდიდა. ყველაზე უფრო ღვთისმოსავ ადამიანებს ღრმა პატივისცემით მოაქვთ ჩემთან ყვავილები და ხილი. რა უფლება აქვს ადამიანს გამოაცხადოს, რომ ის ჩვენზე მაღლა დგას?» - «არავითარი, არავითარი!» - ერთხმად იღრიალა ასამბლეამ.

სპილო თავის ადგილს დაუბრუნდა – ბრძენის მარცხენა მხარეს. წინ ძალით გამოხტა და მისალმების შემდეგ ხმამაღლა თქვა: «მე საფუძვლიანი მიზეზები მაქვს იმისათვის, რომ დავამტკიცო – ცხოველები ადამიანებზე გაცილებით მაღლა დგანან. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი გრძნობები, როგორცაა სიყვარული და ერთგულება. ერთი ადამიანი მაინც თუ მოიძებნება, ამაში ძალს რომ აღემატებოდეს? სწორედ ასეთი იშვიათი თვისებების გამო ვყავართ ადამიანებს თავის სახლებში და ოჯახის წევრებად გვთვლიან. ადამიანს მაღლიერების გრძნობაც კი არა აქვს განვითარებული. იგი იაფი, საძაგელი საჭმლით გვკვებავს და მაგიდიდან ნარჩენებს გვიყრის. მეპატრონის მიმართ კი, ვისაც იგი ემსახურება, ერთი ციცქნა მაღლიერებაც კი არ გააჩნია. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ამ თვისებების მიხედვით, ცხოველები ადამიანებზე მნიშვნელოვნად მაღლა დგანან».

ძალით თავისი ადგილი დაიკავა. საბჭოს დასასრულს სიტყვა თავმჯდომარეს მიეცა. მას დისკუსიის ყველა საკითხის შესახებ საბოლოო

გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. ბრძენი წამოდგა. «ჩემო კარგო მეგობრებო, ის, რაც ძალღმამ თქვა, სავსებით სწორია. ადამიანი ხშირად ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ასეთი არათანმიმდევრობა ცხოველებს არ ახასიათებთ». ამ სიტყვებმა კრება აღაფრთოვანა და ბრძენს ტაშს დიდ ხანს უკრავდა. მან განაგრძო: «რაც შეეხება საკვებს, ძილს, შთამომავლობაზე ზრუნვას და სხვა ბუნებრივ ჩვეულებებს, ამაში ადამიანსა და ცხოველს შორის აბსოლუტურად არავითარი განსხვავება არ არსებობს. და მაინც, არის ერთი ფუნდამენტური განსხვავება. ცხოველს საკუთარი თავის შეცვლა არ შეუძლია, ადამიანს კი, განათლების, წმინდა საზოგადოებისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის წყალობით, შეუძლია შეიცვალოს. ცხოველებს გარკვეული საკვების მიმართ ძლიერი მიდრეკილების შეცვლაც კი არ შეუძლიათ». მელა ადგილიდან წამოხტა და შეეპასუხა: «მასწავლებელო! შენი სიტყვები სწორია, მაგრამ როგორ ფიქრობ, ყოველი ადამიანი ცდილობს თავის გარდაქმნას?» ბრძენმა უპასუხა: «ვინც ამას არ აკეთებს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იგი ცხოველზე უარესია (ამან ასამბლეაში ტაში და მოწონება გამოიწვია). ადამიანს კიდევ ერთი თვისება აქვს – ინტუიცია, განსხვავების უნარი». მელა კვლავ ჩაერია: «ეს მართალია, მაგრამ რაში არგია ეს უნარი? ადამიანები ისე იქცევიან, რომ ცხოველებიც კი გაოცებაში მოჰყავთ! ამასთანავე, ადამიანი განა საცოდავი არ არის? მთელ თავის დროს, ნიჭს, ძალას იმაზე ხარჯავს, რომ ფული იშოვოს და თავი ირჩინოს; ცხოველებს კი საკვების შოვნისთვის დიდი შრომა არ სჭირდებათ».

ბრძენი ხედავდა, რომ მელა, რომელიც მისთვის «კამათში ჯობნას» ცდილობდა, ცხოველთა ინსტიქტურ ბუნებას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მაშინ მან თქვა: «ძვირფასო ნადირნო! ყველაზე უფრო მნიშვნელოვან განსხვავებაზე თქმის დრო დადგა. ადამიანს ილუზიაზე გამარჯვება შეუძლია. მას შეუძლია თავის თავს, ანუ *ატმანს* ჩასწვდეს, და უკვდავებას მიაღწიოს. არსებითად, თვით სიტყვა «ადამიანი» (ინგლ. «*h*» სანსკრიტისგან «*მანავა*») მიუთითებს ამ თვისებებზე. «*მ*» ნიშნავს «*მაიას*» (ილუზიას), «*ა*» ნიშნავს «*ატმურ*» (სულიერ) ხედვას, და «*ნ*» ნიშნავს «*ნირვანას*», ანუ განთავისუფლებას. ილუზიის მოცილებისა და სულიერი, *ატმური* ხედვის მიღწევის შემდეგ ადამიანს შეუძლია ღმერთი გახდეს. ახლა აღიარებთ, რომ რაღაცა



შეზღუდვები გაქვთ?» ცხოველებმა ჰკითხეს: «ბრძენო! შენ გინდა თქვა, რომ ყოველი ადამიანი სარგებლობს ამ თვისებებით?» - «არა, ყველა არა, - უპასუხა ბრძენმა. - «მაშინ ის, ვინც ილუზია დაამარცხა და სულიერ მხედველობას დაეუფლა, მაგრამ ნირვანას ვერ მიაღწია, ჩვენს მეგობრად უნდა ჩაითვალოს!» ერთხმად გამოაცხადეს ცხოველებმა. «ჩემო ძვირფასებო! – თქვა ბრძენმა. – ამ ტყეში მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ თქვენი მეგობარი ვიყო და თავი ისე გამოვავლინო, როგორც ნამდვილ მანავას (ადამიანს) შეეფერება».

123

### წყალობის საჩუქრები

ერთხელ იესო ქალაქის ქუჩებში მიდიოდა. ეს იყო ჯურღმულების რაიონი. მან უგრძნობლად მთვრალი ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელიც ტალახში ეგდო. იესო მასთან მივიდა და ჩამოჯდა. მან ახალგაზრდა გააღვიძა. მთვრალმა თვალი გაახილა და იესო დაინახა. «შვილო, ძვირფას სიყმაწვილეს ლოთობაზე რატომ ხარჯავ?» - ჰკითხა იესომ. ახალგაზრდამ უპასუხა: «მასწავლებლო! მე კეთროვანი ვიყავი. შენ განმკურნე. ახლა რა უნდა ვაკეთო მე?» იესომ მძიმედ ამოისუნთქა და გაეცალა.

მეორე ქუჩაში მან დაინახა, როგორი გამალებული მისდევს მამაკაცი ლამაზ ქალს. იესომ იგი გააჩერა და ჰკითხა: «შვილო! ასეთი ცოდვიანი მოქმედებით შენს სხეულს რატომ ბილწავ?» მამაკაცმა უპასუხა: «მასწავლებლო! მე უსინათლო ვიყავი. შენ მხედველობა მომეცი. აბა სხვა რა უნდა ვაკეთო?»

იესომ გზა განაგრძო, და მალე მოხუცი დაინახა, რომელიც მწარედ ტიროდა. იესო მივიდა და მის მხარს ოდნავ შეეხო. მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა და იესოს შეხედა. მოხუცო, რატომ ტირი?» - ჰკითხა იესომ. მოხუცმა უპასუხა: «მასწავლებლო! მე უკვე ვკვდებოდი და შენ სიცოცხლე მაჩუქე. ჩემს უბადრუკ სიბერეში ტირილის გარდა სხვა რა დამრჩენია?»

როცა სიძნელეებსა და უბედურებებს ვაწყდებით, ღმერთს შველას ვთხოვთ, მაგრამ როცა იგი ჩვენს ლოცვას უსაზღვრო თანაგრძნობითა და სიყვარულით პასუხობს, ღმერთი მაშინვე გვავიწყდება და კვლავ

ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ეგოიზმსა და ყოველდღიურ წვრილმან გატაცებებში ვეფლობით. ადამიანმა ღმერთის მიმართ უმადურობის უდიდესი ციდვისგან უნდა გამიჯნოს თავი.

124

## გონებავ! ისწრაფე იქითკენ, სადაც განგა იამუნას ერთვის

მირა<sup>1</sup> ბავშვობიდანვე უფალ კრიშნას დიდად ერთგული გოგონა იყო. თავისი ცხოვრების განმავლობაში მთელი გულით მხოლოდ მას სცემდა თაყვანს. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა – უფალ კრიშნას წყალობა, და ერთი ოცნება ჰქონდა – მარმარილოს ტაძარში კრიშნას მშვენიერი ქანდაკება დაედგა. იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა, განხორციელდება თუ არა ოდესმე მისი ოცნება.

გავიდა დრო, მირა გაიზარდა და ლამაზ ქალიშვილად იქცა. იგი ჯერ კიდევ მთლად ნორჩი იყო, როდესაც ჩიტორგარას *მაჰარანაზე* (პრინცზე) გაათხოვეს. მირა გათხოვებისა და ოჯახური ცხოვრებისკენ სულაც არ ისწრაფოდა, ამიტომ კრიშნას მიმართ სიყვარული ჩიტორგარშიც გაჰყვა. იგი ქმარს სთხოვდა თავისი ღვთაებრივი სათაყვანოსთვის ტაძარი აეგო. მირასთვის რომ ესამოვნებინა, *მაჰარანამ* უფალ კრიშნას მარმარილოს ტაძარი აუგო. მირას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს მისი ოცნება ასრულდა. სამწუხაროდ, მას არ ესმოდა, ეს ახდენილი ოცნება რა უბედურებას მოუტანდა მას ცხოვრებაში.

მირა მთელ თავის დროს ღმერთის თაყვანისცემასა და *ბჰაჯანების* გალობაში ატარებდა. იგი ყოველთვის ტაძარში იყო, და ამ გარემოებას *მაჰარანა* გააფთრებამდე მიჰყავდა, რადგან გრძნობდა, რომ ცოლი მას არად მიიჩნევდა. და მან ბრძანება გასცა ტაძარი დაეკეტათ. იქ სიარული მირას მკაცრად აეკრძალა, რაც მისთვის საშინელი დარტყმა იყო, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, თავდაჭერილობა შეინარჩუნა და თავის თავს უთხრა: «რატომ უნდა ვწუხდე იმის გამო, რომ ტაძარი დაიკეტა? *მაჰარანას* უფლება ჰქონდა ტაძარი დაეკეტა, რადგან თვითონ ააგო. მაგრამ მას არ შეუძლია ჩემი გულის ტაძარი დაკეტოს, სადაც უფალი

<sup>1</sup> მირა ბაი (1498-1547) – რაჯკუტის პრინცესა, პოტი, კრიშნას სრული რთული. კრიშნაიტების ტაძარში მირას ლქსბი და სიმღრბი სრულდება როორც წმინდა ჰიმნები.

იმყოფება. ღმერთის მიერ აგებული ეს სალოცავი მისი ნამდვილი სავანეა. მან ხომ თვითონ თქვა: «სადაც ჩემს დიდებას გალობენ, მეც იქ ვარ, ო ნარადა<sup>1</sup>«. იქ ვპოვებ მას!»

ასე იქცა მირა გასხივოსნებულ სულად. იგი გალობდა:

*ჩალო რე მან განგა იამუნა ტირ  
განგა იამუნა ნირმალა პანი  
სიტალა ჰოტა შარირ*

«ადამიანო, გონებით ისწრაფე იქითკენ,  
სადაც განგას და იამუნას ნაკადები ერთდება,  
მდინარეთა სუფთა წყალში დაიბანე,  
და სხეული სანეტარო სიგრილეს იგრძნობს.

ამ სიმღერის დაფარული აზრი ასეთია: «გონებავ, ისწრაფე წარბებს შორის წერტილისაკენ და დამყარდი იქ, სადაც ურთიერთს ერთვის ორი არხი – *იდა* და *პინგალა*<sup>2</sup>. და, ეჭვგარეშეა, მშვენიერი ღმერთის დანახვას შეძლებ». ამ ხედვას მირა ასე აღწერს:

*მარა მუკთა პიტამბარა შობე  
კუნდალა რაჯათჰა შარირ*

ღმერთს დაინახავ ყვითელ სამოსელში,  
ფარშევანგის ბუმბულის გვირგვინით,  
ყურებზე ოქროს მბრწყინავი რგოლებით.

კრიშნას ქანდაკების ნახვის შესაძლებლობის დაკარგვა მირასთვის სასჯელი იყო, რაც მან თავის სასიკეთოდ აქცია და ღმერთი ცხადად დაინახა. იგი დასაწყისში ღმერთთან ტამარში იყო, შემდეგ მიხვდა, რომ ღმერთი მასშია, და მაშინ გადაწყვიტა მასთან ერთიანი გამხდარიყო. ეს არის საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ყოველი ერთგული ისწრაფის.

---

<sup>1</sup> ნარადა – ღვთაბრივი ბრძნი (დვარიში), ბრაჰმას სულირი ვაჟი, ღმრთბსა და ადამიანბს შორის შუამავალი.

<sup>2</sup> იდა და პინალა – მარცხნა და მარჯვნა (მთვარის და მზის) ნრტიკული არხბი ადამიანის სხულში, პრანას ამტარბი; მარცხნა და მარჯვნა ნსტობი.

## სამი სტადია

ერთ სოფელში მწყემსი-ბიჭუნა ცხოვრობდა. მას ღმერთი მხურვალედ სწამდა. თავისუფალ დროს იგი ყოველთვის სოფლის ტაძარში დადიოდა, რომ *პანდიტის* საუბრები მოესმინა.

ერთხელ *პანდიტი* ღმერთ ვიშნუს მშვენიერ სახეს აღწერდა. «მას მუქი სახე აქვს, შუბლზე ლამაზი თეთრი ნიშნით; თეთრი არწივით დაფრინავს. იგი სრული თანაგრძნობაა, მზად არის თავის ერთგულს მოევიწიოს და მასთან სადილი გაიზიაროს, თუკი შეთავაზება სრული გულწრფელობით ეწირება მსხვერპლად. იგი დიდი მოყვარულია მუსიკისა და სიმღერისა, სადაც ერთგულება ჟღერს. *ბჰაჯანების* გალობითა და ლოცვებით მისი წყალობის დამსახურება შეიძლება».

მწყემსი ღმერთის აღწერის ყოველ სიტყვას დიდი ყურადღებით უსმენდა. მის გულში ამან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. «მე უნდა ღმერთი დავინახო», - იფიქრა მან.

სადილზე იგი ჩვეულებრივად ჩუმა-მაწონთან ერთად ბრინჯს ჭამდა. მან გადაწყვიტა საჭმელი ღმერთისთვის მსხვერპლად შეეწირა. *პანდიტის* აღწერა გაიხსენა და ამღერდა:

მუქსახიანო ღმერთო!  
 შუბლზე თეთრი ნიშანი გაქვს.  
 თეთრი არწივით დაფრინავ.  
 ჩამოფრინდი და მიირთვი  
 ჩუმა-მაწონი და ბრინჯი.

ეს სიმღერა მან რამდენჯერმე იმღერა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. მაშინ მწყემსმა გადაწყვიტა, თუ ღმერთი სადილს არ მიიღებს, თვითონაც არ შეჭამს. ერთი კვირის განმავლობაში იგი ყოველ დღე მღეროდა და საჭმელს მსხვერპლად სწირავდა. კვირის დასასრულს მას მთელი ძალები გამოეღია, რადგან საჭმელ-სასმელს არ მიჰკარებია. იფიქრა, რომ ღმერთი მისი რაიმე დანაშაულის გამო არ პასუხობს, ანდა, შესაძლოა, მისი სიმღერა ისეთი მელოდიური არ იყო, რომ ღმერთის გული მოეღბო.

ერთხელ, როდესაც იგი, როგორც ყოველთვის, ლოცულობდა და მღეროდა, მის წინ მოხუცი *ბრაჰმანი* გაჩნდა. ყმაწვილმა ჰკითხა: «ვინ ხარ? საიდან მოხვედი?» *ბრაჰმანმა* უპასუხა: «მე ნარაიანა ვარ. შენი ლოცვების პასუხად მოვედი». მწყემსმა შეხედა და თქვა: «შენი გარეგნობა არ შეესაბამება მშვენიერ სახეს, რომელიც *პანდიტმა* აღწერა. შეუძლებელია, რომ ნარაიანა იყო».

მაგრამ მწყემსს სურდა თავის ეჭვებში გარკვეულიყო, და მან მოხუც *ბრაჰმანს* სთხოვა ხვალ დილის 7 საათზე ამავე ადგილას მოსულიყო. საღამოს მწყემსმა *პანდიტს* მიაკითხა, ამ შემთხვევის შესახებ უამბო და სთხოვა, რომ მასთან ერთად მდინარის პირას მისულიყო. *პანდიტმა* უყვირა: «ჯერჯერობით ჭკუიდან არ გადავსულვარ, რომ ვუყურო ადამიანს, ვინც თავს ნარაიანად ასაღებს». მწყემსი ფეხებში ჩაუვარდა და ატირდა. მან თქვა, რომ თუ *პანდიტი* თან არ წაჰყვება, იგი თავს მოიკლავს. მაშინ *პანდიტი* დათანხმდა, და ახალი ამბავი მთელ სოფელში გავრცელდა.

მეორე დღეს დილის 7 საათზე *პანდიტი*, მწყემსი და სოფლის მცხოვრებნი მდინარის პირას მივიდნენ.

მწყემსმა უცებ სადღაც შორს მიუთითა და თქვა: «აი მოხუცი *ბრაჰმანი* მოდის, გუშინ რომ იყო». არც *პანდიტს* დაუნახავს ვინმე და არც სოფლის მცხოვრებლებს. «ვისზე ამბობ? – ჰკითხეს მათ. – აქ არავინ არის. ეს ამბავი სპეციალურად მოგვიჩვენე, რომ გაგვასულელო! ამის გამო შენ დაისჯები!» მათ მწყემსს ცემა დაუწყეს. მწყემსი *ბრაჰმანს* გაუბრაზდა: «შენ ხარ ჩემს უბედურებაში დამნაშავე, მოიცა, მე შენ გასწავლი ჭკუას!» - და მან ლოყაში სილა გააწნა. იმავე წამს *ბრაჰმანის* ადგილზე მუქსახიანი ღმერთი ვიშნუ გაჩნდა მთელი თავისი დიდებულებით – ყვითელ სამოსელში, მომაჯადოებელი ღიმილით, ბრჭყვიალა ძვირფასეულობებით, იჯდა იგი თავის თეთრ არწივზე. მიმდობმა მწყემსმა სიხარულისგან ცეკვა და სიმღერა წამოიწყო:

მუქსახიანო ღმერთო,

თეთრი არწივით მფრინავო!

შენ აქ ჩემს მიმართ

თანაგრძნობის გამო დაეშვი!

და ამ დროს ზეციდან ეტლი დაეშვა. ღმერთმა მწყემსს მასში ასვლა შესთავაზა. ამის შემდეგ ღმერთიც და ერთგულიც მხედველობიდან გაქრნენ. სწავლული *პანდიტი* და სოფლის მცხოვრებნი მიხვდნენ, რომ მხოლოდ ღმერთისკენ გულწრფელი მისწრაფებით შეიძლება მისი წყალობის მიღება.

ეს ამბავი ღმერთის შეგნების გზაზე სამი სტადიის მაჩვენებელია. ახალგაზრდა მწყემსს უდიდესი რწმენა ჰქონდა. მაგრამ თუ ადამიანს მხოლოდ რწმენა აქვს, ეს არასაკმარისია. ღმერთის შეცნობის ძლიერი სურვილიც უნდა იყოს აგრეთვე. ბიჭუნა ისმენდა, *პანდიტი* როგორ აღწერდა ღმერთს და ერთგულთა მიმართ მის სიყვარულს. ეს არის პირველი სტადია, *ჯიატუმ* – საღვთო წერილებისა და *გურუს* დახმარებით ღმერთზე წარმოდგენის შექმნა. შემდეგი სტადიაა ღმერთის ხილვის დაუძლეველი სწრაფვა. ეს სწრაფვა, ბოლოს და ბოლოს, ხედვით (*დრამტუმ*) იქნება დაჯილდოებული. არასაკმარისია ღმერთის ნებისმიერ ფორმაში უბრალოდ დანახვა. ერთგულმა ღმერთი იმ სახით უნდა იხილოს, რომლის დანახვაზედაც იგი ოცნებობდა. მწყემსს სწორედ ეს ხედვა მიეცა ჯილდოდ. მაგრამ არც ეს არის ბოლო სტადია. დიად ფინალს წარმოადგენს *პრავეშტუმ* – ღმერთთან შერწყმა.

*(ბჰაქთია ტვანანიაია  
აჰამ ევამ-ვიდჰო, არჯუნა)  
ჯიატუმ დრამტუმ ჩა ტატვენა  
პრავეშტუმ ჩა პარამტაპა*

«მხოლოდ სუფთა, უცვლელი  
ერთგულების წყალობით  
შეიძლება ჭეშმარიტად ჩემი შეცნობა,  
არჯუნა,  
ჩემი მზერა და ჩემთან შერწყმა,  
მკლავდონიერო».

## მანსურის მოწამეობა

დაახლოებით 400 წლის წინ ქალაქ ვარანასში ცხოვრობდა ადამიანი სახელად მანსური. თანდაყოლილი კარგი თვისებებისა (*სამსკარების*) და მოძღვრის დარიგებათა წყალობით მან თავის თავში მტკიცე რწმენა განავითარა ვედების გამონათქვამში «*აკამ ბრაჰმასმი*» (მე ღმერთი ვარ). ამ აფორიზმს იგი დაუღალავად ამტკიცებდა. ხალხი ინტერესდებოდა, ნამდვილად ღმერთი იყო ის თუ არა. მანსური ყოველთვის დიდი რწმენით სამჯერ უმეორებდა მათ: «დიახ, მე ღმერთი ვარ». რამდენიმე ხნის შემდეგ მან ვარანასის წარჩინებულ მცხოვრებლებში, ვედების მცოდნეთა და რელიგიურ ორდენტა მეთაურების ჩათვლით, გაღიზიანება და სიძულვილიც კი გამოიწვია. მათ ყველამ ერთად მანსურის შესახებ ვარანასის მეფეს შესჩივლეს. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მანსურიმ არც სანსკრიტი იცის, არც საღვთო წერილები, ყველგან დადის და ყვირის: «მე ღმერთი ვარ», და ამით ცნობილ სწავლულთა და მოღვაწეთა ღირსებას ამცირებს. მეფემ მანსური სასახლეში მიიწვია. «ვინ ხარ?» - ჰკითხა მეფემ. ამას მაშინვე პასუხი მოჰყვა: «მე ღმერთი ვარ». მეფემ ექიმ-ექსპერტებს დაავალა გამოეკვლიათ იგი, მაგრამ ექიმებმა დაასკვნეს, რომ მანსური ფსიქიურად ნორმალურია. მაშინ მეფემ ურჩია შეეწყვიტა ამ ფრაზის გამეორება, რადგან სწავლულები და ორდენტა მეთაურები მას მკრეხელობაში ადანაშაულებდნენ. მანსურიმ გაბედულად უარი თქვა მეფის ბრძანებას დამორჩილებოდა და განაცხადა, რომ უმჯობესია სიცოცხლეს გამოესალმოს, ვიდრე თავის ურყევ რწმენას და მტკიცე დარწმუნებულობას განუდგეს, რომ ის და ღმერთი ერთიანია. მან მეფეს გაბედულად ჰკითხა: «რატომ გინდა, რომ მე ჭეშმარიტებას დავცილდე? ჭეშმარიტება კი ის არის, რომ მე ღმერთი ვარ, შენ ღმერთი ხარ, რომ ყოველი ადამიანი ღმერთია».

მიუხედავად რწმუნებისა და მუქარისა, თავის პოზიციას იგი მაინც არ ცვლიდა. მაშინ მეფის ნების დაუმორჩილებლობის გამო ამ უკანასკნელმა ბრძანა მისთვის ორივე ხელი მოეკვეთათ. მცველებმა მანსური შეიპყრეს,

ქალაქის მოედანზე გაიყვანეს. ჯალათებმა მოელვარე მახვილები იშიშვლეს, რომ მისთვის ხელები მოეკვეთათ. ის კი წამების ადგილისკენ მამაცად მიდიოდა და ხმამაღლა იმეორებდა: «აჰამ ბრაჰმასმო». ხელები რომ მოჰკვეთეს, ჯალათებმა მეფეს მოახსენეს, რომ მანსური უშიშრად და ღიმილით წარმოთქვამდა რწმენის თავის სიმბოლოს მაშინაც კი, როდესაც ხელებს კვეთდნენ და სისხლისგან იცლებოდა.

მეფემ დასჯის ადგილს მიაშურა. აღმოჩნდა, რომ გარშემო ყველაფერი შევსილია წმინდა ხმით «აჰამ ბრაჰმასმო», რომელიც მოღიმარი მანსურის პირიდან და მიწაზე დაღვრილი სისხლიდან გამოდიოდა. რამდენიმე წამში მანსური მიწაზე უსულოდ დაეცა – პირზე მშვიდი ღიმილითა და სიტყვებით «აჰამ ბრაჰმასმო».

ღრმად შეძრული მეფე მანსურის სხეულთან განერთხო. მან დაუძახა სწავლულებს, ქურუმებს, პანდიტებსა და რელიგიურ ორდენტა მეთაურებს – ყველას, ვინც წმინდა მანსურს უჩიოდა. როდესაც ისინი მოვიდნენ, მეფემ მათ პირქუშად შეხედა: «რა სარგებელია თქვენს წიგნურ ცოდნაში, თუ მანსურის დიდება ვერ შეიგრძენით. იგი წმინდანი იყო, რომელმაც აზრის, სიტყვისა და მოქმედების ერთიანობას მიაღწია. თქვენ კი პრაქტიკაში არ ნერგავთ იმას, რასაც კითხულობთ და სწავლობთ. თვითკმაყოფილი წიგნის ჭიების გორგალი ხართ და ჭეშმარიტი დიადი ადამიანების გშურთ. თქვენი ცილისწამებებისგან დაბნეულმა ცოდვა ჩავიდინე – წმინდანი ადამიანი მოვკალი. მაგრამ ახლა იგი წმინდა მოწამე გახდა, რომელიც უმაღლეს ჭეშმარიტებას - «აჰამ ბრაჰმასმო» - იცავდა. თქვენს ჭკუის სასწავლებლად, თქვენი და შთამომავლების აღმაფრენისთვის, პირდაპირ თქვენი აგრაჰარამის ცენტრში მანსურის ძეგლს დავდგამ».

ჭეშმარიტი ერთგულების კრიტერიუმს წარმოადგენს არა საღვთო წერილების ცოდნა და არა ე.წ. სულიერ პრაქტიკათა რუტინული წარმოება, არამედ ღვთაებრიობის გაცნობიერება ჩვენში და ყველა არსებაში, რისი მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ სიმართლისადმი მტკიცე ერთგულების, გულის სისუფთავისა და ადამიანების მიმართ სიყვარულის დახმარებით. სადაც გონებისა და გულის სიწმინდეა (*ჩიტა სუდჰი*), იქ სიბრძნეც (*ჯნიანა სიდჰი*) იქნება. *ჩიტა სუდჰის* პატრონს ღმერთის სამეზნელად ტყეში გახიზვნა ან სალოცავებში სიარული არ სჭირდება. ღმერთს იგი თავის თავში და სხვებში იპოვის.



## სიყვარულისა და გულუხვობის რეზერვუარი

ერთ ქალაქში ხალხი უხარისხო სასმელი წყლის გამო იტანჯებოდა; გამოჩნდა რამდენიმე ფილანტროპი, რომლებმაც ჭაბურღილი გააკეთეს, წყალსაწნევი კოშკი ააგეს, წყლის სვეტები გაიყვანეს და ონკანები დაამაგრეს. ისინი თავისი თავის იმდენად კმაყოფილნი და ღვთის საამებელი საქმით იმდენად ამაყნი იყვნენ, რომ გადაწყვიტეს ახალი წყალსადენის გახსნაზე შტატის გუბერნატორი მოეწვიათ. ეს გახსნა განსაკუთრებულ ხელსაყრელ დღეს დაინიშნა, რომელიც ასტროლოგებმა გამოთვალეს. ამ დღეს ერთ-ერთი ონკანის საზეიმო გახსნა იყო დაგეგმილი. გუბერნატორი სიამოვნებით დათანხმდა, ფილანტროპები აღტაცებულნი იყვნენ. არჩეულ სვეტთან ოქროს მილი მიდიოდა, რომელზედაც ოქროს ონკანი იყო. მილზე ალმებითა და ყვავილწნულებით მორთული პავილიონი აღმართეს. რაიცენტრიდან მუსიკალური ანსამბლი მოიწვიეს. აქ *პანდიტებმა* მოიყარეს თავი, რომ ვედური ჰიმნებით წყლის გამოჩენა ეკურთხათ. და აი დიადი მომენტიც დადგა. გუბერნატორი აუჩქარებლად და მედიდურად მიუახლოვდა სვეტს. მან ონკანი ბოლომდე გააღო, მაგრამ ერთი წვეთი წყალიც არ წამოსულა. არავის ესმოდა, რატომ! ჭა გათხრილი იყო, ტუმბო კარგად მუშაობდა, რეზერვუარს წყალი არ გასდიოდა. აი ოქროს წყალსადენის მილი, აი ოქროს ონკანი! რაშია საქმე? – ფილანტროპები პანიკამ მოიცვა. ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ შეამჩნია, რომ ოქროს მილი წყალსადენთან შეერთებული არ არის. იგი «თავისთავად» იყო და მას წყალთან კავშირი არ ჰქონდა. მთელი დიდებული ზეიმი წყალში ჩაიყარა.

როდესაც საქველმოქმედო აქტებს ვასრულებთ და სხვებს რამეს ვწირავთ ან საჩუქრად გადავცემთ, მანამადე უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს მოქმედებები ჩვენს გულში სიყვარულის რეზერვუართან არის მიერთებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვიცადოთ ნამდვილი და გულწრფელი სიხარული იმით, რომ სხვებს ბედნიერებს ვხდით.

## ნეტარება ბრაჰმანი

ერთხელ ვარუნას<sup>1</sup> ვაჟმა ბჰრიგუმ მამას ჰკითხა: «მამა, ამიხსენი, რა არის ბრაჰმანი?» ბრძენმა ვარუნამ სიყვარულით უპასუხა: «შვილო, არავის შეუძლია ბრაჰმანის ცოდნა გადმოგცეს. მასში ჩაწვდომა მხოლოდ მედიტაციის დახმარებით შეიძლება. წადი, მედიტაცია აწარმოე და პასუხს თვითონ იპოვი. გლოცავ».

ბჰრიგუ ტყეში წავიდა და მედიტაციას მიეცა. იგი თვითშემეცნებაშიც გაღრმავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მას თავში აზრმა გაუელვა: «რა არის ყველა ცოცხალი არსების, კერძოდ კი ადამიანის, არსებობისთვის ყველაზე აუცილებელი? ეს საკვები უნდა იყოს, - გადაწყვიტა მან, - ადამიანი ხომ საკვების წყალობით ცხოვრობს, ვითარდება, მუშაობს, იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებისთვის, ეს კი ნიშნავს, რომ საკვები ბრაჰმანია». იგი სახლში დაბრუნდა და მამის წინ წარსდგა: «მე ვიცი, რა არის ბრაჰმანი. საკვებია ბრაჰმანი». ვარუნამ ღიმილით უპასუხა: «არა, შვილო, საკვები არ არის ბრაჰმანი. წადი და მედიტაცია განაგრძე».

ბჰრიგუმ ტყეს მიაშურა და მცდელობა კიდევ რამდენიმე ხანს გააგრძელა. ერთხელ მან იფიქრა: «საკვები მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ენერგია არ არის, საკვები როგორ უნდა გადამუშავდეს? რას წარმოადგენს ეს ენერგია? ეს ალბათ პრანაა, ცხოვრების სუნთქვა, ე.ი. პრანა ბრაჰმანია». ბჰრიგუ სახლში დაბრუნდა. «მამა, მე ვიცი, რა არის ბრაჰმანი. - თქვა მან. - პრანაა ბრაჰმანი». ვარუნამ უპასუხა: «არა, შვილო, წადი და კიდევ ცოტა ხანს ატარე მედიტაცია».

ბჰრიგუ დამორჩილდა და მედიტაცია გააგრძელა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან იფიქრა: «საკვები მნიშვნელოვანია, პრანა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამათზე უფრო მნიშვნელოვანი რა არის? საკვებისა და პრანასგან რა სარგებელია, თუ ადამიანს ცხოვრებისა და ჭამის სურვილი არ გააჩნია? სურვილები გონებაში იქმნება, ე.ი. მანასია (გონება) ბრაჰმანი, - გადაწყვიტა მან და თავისი აღმოჩენის შესახებ მამას აუწყა: «მამა, მანასია

<sup>1</sup> ვარუნა – წყლების (სივრცის), ოკანის ღმრთი, დასავლეთის დამცველი.

*ბრაჰმანი*». ვარუნამ გაიღიმა და თქვა: «არა, შვილო, *მანასი* არ არის *ბრაჰმანი*. წადი და კიდევ რამდენიმე დღე მიეცი თავი ასკეზას».

ბჰრიგუმ მედიტაცია გააგრძელა, და ერთხელაც იფიქრა: «საკვები მნიშვნელოვანია, *პრანა* მნიშვნელოვანია, გონებაც მნიშვნელოვანია, მაშ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რა არის? თუ ადამიანს სიკეთის ბოროტებისაგან განსხვავების უნარი არ გააჩნია, აქვს კი ამ შემთხვევაში ცხოვრებას აზრი? სად იმყოფება განსხვავების ეს უნარი? ინტელექტში – *ვიჯნიანაში*. შესაბამისად, *ვიჯნიანა ბრაჰმანია*». მამასთან რომ მოვიდა, ბჰრიგუმ თქვა: «მამა, *ვიჯნიანაა ბრაჰმანი*», მაგრამ ვარუნამ ამჯერადაც უპასუხა: «არა, შვილო. *ვიჯნიანა* არ არის *ბრაჰმანი*. წადი და კიდევ რამდენიმე დღე იყავი ასკეზაში».

ბჰრიგუმ თავისი ასკეტური მოღვაწეობა გააგრძელა. მან იფიქრა: «საკვები ძალას იძლევა, *პრანა* – ენერგიას, *მანასი* სურვილებს წარმოშობს, *ვიჯნიანა* გარჩევის (*ვივეკას*) უნარს იძლევა. მაგრამ მე ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზანი უნდა ვიპოვო. და იგი თვითონ უნდა შევიგრძნო». და იგი კვლავ ღრმა მედიტაციას მიეცა.

და აი ერთხელაც მან ერთ უთქმელი სიხარული იგრძნო და გარე სამყაროს აღქმა შეწყვიტა. იმ დღეს ვარუნა ტყეში წავიდა, რომ შვილი მოეძებნა. როდესაც დაინახა, რომ მისი შვილი *სამადჰიშია*<sup>1</sup>, თავი ბედნიერად იგრძნო. ნათება, რომელიც ბჰრიგუს სახიდან გამოდიოდა, ნათლად მიუთითებდა, რომ მისი შვილი მიხვდა: «*ნეტარება ბრაჰმანია*».

უპანიშადების ეპოქაში მშობლები და მოძღვრები მოსწავლეებს უბიძგებდნენ, რომ შეკითხვები მოეცათ, თუმცა სწრაფ პასუხებს არ აძლევდნენ და ურჩევდნენ შეკითხვები საკუთარი თავისთვის დაესვათ და პასუხებიც თვითონვე ეპოვათ.

პრაქტიკული გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.

<sup>1</sup> სამადჰი – იოას მრვ საფხური, ღრმა მედიტაცია, როდესაც პიროვნება დროებით ზავდება და ონბა იძნს უნარს თავისი, მღვიმარბის მდომარობით შზლუდული, აქტიურობიდან ცნობირბის უფრო მაღალ და თავისუფალ მდომარობისკნ ამოვიდს.

<sup>2</sup> ნააბჰაკა – ვაჟის სახლი.

ჩვენთვის ცნობილია მეფე ამბარიში და ღმერთ ჰარის მიმართ მისი სრული მორჩილების ამბავი. ამბარიშის შთამომავლებიც ღმერთის უდიდესი ერთგულები იყვნენ. გავიხსენოთ ამბავი ნაბჰაკას შესახებ.

მეფე ნაბჰაკას<sup>1</sup> ჰყავდა ვაჟი ნაბჰაკა, რომელიც ცოდნის მიმართ ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა. იგი *გურუკულაში* (სკოლა-ამრამაში) სწავლობდა, და რამდენიმე ხნის შემდეგ მრავალმხრივი სწავლული გახდა. სწავლის დამთავრების შემდეგ სახლში დაბრუნდა. თავისი ძმებისგან შეიტყო, რომ ღრმად მოხუცებულმა მამამ მათ ქონება უკვე გაუნაწილა, ნაბჰაკას კი არაფერი შეხვდა. თუმცა, თქვეს ძმებმა, მას შეუძლია მოხუცი მამა თავის საკუთრებად ჩათვალოს. ნაბჰაკა სათნო და უანგარო იყო და ამიტომ ამ წინადადებას სიხარულით დათანხმდა. ნუთუ შვილი მშობლებზე არ უნდა ზრუნავდეს? მას სწამდა ვედური მითითებისა: «თაყვანი ეცი დედას, როგორც ღმერთს, თაყვანი ეცი მამას, როგორც ღმერთს».

ერთხელ მამამ უთხრა: «შვილო! მე არავითარი სიმდიდრე არ მაქვს, მაგრამ შემიძლია გითხრა, როგორ მოიპოვო იგი. ბრძენი ანგირასა<sup>2</sup> ახლა დიად *იაჯნას* (მსხვერპლის შეწირვას) ასრულებს. ქურუმებმა, რომლებიც *იაჯნას* ატარებენ, არ იციან, ჯეროვნად როგორ დაასრულონ იგი. არსებობს ორი *მანტრა*, რომლებიც უნდა წარმოითქვას იმისათვის, რომ *იაჯნამ* მის ჩამტარებლებს სარგებლობა მოუტანოს. მათ ეს *მანტრები* არ იციან. ახლა მე შენ გასწავლი, სწორად როგორ უნდა წარმოითქვას ისინი».

ნაბჰაკამ მამისგან კურთხევა მიიღო და იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც *იაჯნა* სრულდებოდა. მან შეკრებილთ უთხრა: «მე ვიცი *მანტრები*, რომლებიც *იაჯნას* დიად დასასრულამდე მიიყვანს». ანგირასამ მას ნება დართო *მანტრები* წაეკითხა, და წეს-ჩვეულება წარმატებით იქნა დასრულებული. ანგირასამ ნაბჰაკას უთხრა: «შვილო! მე უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ სწორედ დროზე მოხვედი და ბედნიერება მოგვიტანე. ახლა ჩვენ ყველა, *იაჯნას* მომწყობნი, ზეცაში (სვარგაში) მივდივართ. ყოველივე ის, რაც მე მეკუთვნის, შენია».

ნაბჰაკამ ანგირასას დანატოვარი წასაღებად მოამზადა. სწორედ ამ დროს მუქსახიანი უცნობი გამოჩნდა. ნაბჰაკამ ჰკითხა: «ვინ ხარ?» მან

<sup>1</sup> ნაბჰაკა – მამის სახლი.

<sup>2</sup> ანირასა – ღვთაბრივი ბრძენი, რომლის ჩამომავლობისა და დდამიწის არსებობის პირველმშობლი.

უპასუხა: «ჩემი სახელია რუდრა<sup>1</sup>. მხოლოდ მე მაქვს იაჯნას შემდეგ დატოვებული სიმდიდრის მიღების უფლება». ნაბჰაკამ და რუდრამ თავის უფლებებზე კამათი დაიწყეს. ნაბჰაკამ თქვა: «ჯობია მესამე პირის აზრი მოვისმინოთ იმის შესახებ, თუ იაჯნას სიმდიდრე ვის ეკუთვნის». და რჩევისთვის ისინი ნაბჰაკას მამისკენ გაემართნენ. ნაბჰაკამ მასტრების ყველა მითითება კარგად იცოდა და თქვა: «შვილო, ეს სიმდიდრე მხოლოდ რუდრას ეკუთვნის». რუდრას წინ გართხმულმა ნაბჰაკამ მას პატიება სთხოვა. ნაბჰაკას სამართლიანი ქცევით გახარებულმა რუდრამ თქვა: «რა იდეალური ვედური მოსწავლე ხარ! შენისთანა ადამიანები მსოფლიოსთვის გზის მაჩვენებელი სინათლეა. შენი მართლქმედებისთვის ჯილდოდ გაძლევ ყველაფერ იმას, რაც კი მე მეკუთვნის. შენ სამართლიან ადამიანთა სამეფო უნდა მართო, შენი დინასტიისთვის სახელსა და დიდებას მოიპოვებ». რუდრამ ნაბჰაკა დალოცა და გაქრა.

## 130

### ბჰასმასურა

პადმასურა უფალ შივას მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო. მრავალი წელი იგი მკაცრ ასკეზას იყო მიცემული. უფალი შივა მზად იყო ჯილდოდ მიეცა ის, რასაც კი იგი მოისურვებდა. პადმასურამ სთხოვა: «უფალო! დაე, რასაც კი ხელს შეევახებ, ჩემი ნებით ნაცრად იქცეს!» იმის გამო, რომ დემონი იყო, პადმასურამ არ იცოდა, რა არის მაღლიერების გრძნობა. მან თვით უფალ შივას მოკვლა ჩაიფიქრა! შივამ დახმარებისთვის ღმერთ ვიშნუს მიმართა, რომელიც ყველასთვის მხარის დამჭერი და დამცველი იყო. მაგრამ ისევე, როგორც უფალ შივას ჯილდოს უკან დაბრუნება არ შეეძლო, ასევე ღმერთ ვიშნუსაც პადმასურას დასჯა არ შეეძლო. მან ოსტატური გეგმა შეადგინა და მომხიბვლელ მოცეკვავე ქალად (მოჰინი) იქცა. მის დანახვაზე პადმასურა ჟინმა შეიპყრო. იგი უფალ შივას კი არა, ქალს გამოეკიდა. მოჰინი გაჩერდა და პადმასურას ტკბილი ხმით დაელაპარაკა. მან მომაჯადოებელი ღიმლით თქვა: «თუ ცეკვის დროს ყველა ჩემს

---

<sup>1</sup> რუდრა – შივას ვედური (რივდა) სახელი.

მოძრაობას გაიმეორებ, მაშინ ცოლად გამოგყვები». პადმასურა უმაღლვე დათანხმდა. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა: მოჰინის დაუფლება. მთელი მისი გამჭრიახობა და საღი აზრი გაქრა. მოჰინიმ ცეკვა დაიწყო და პადმასურა მის ყოველ მოძრაობას იმეორებდა. ერთ მომენტში მოჰინი ხელით თავის თავს შეეხო, თან მომაჯადოებელ მზერას პადმასურას არ აცილებდა. ამ უკანასკნელმა იგივე გააკეთა და იმავე წამს იგი ნაცრად იქცა. მისივე საკუთარმა ხელმა მას ცუდი სამსახური გაუწია. ამ დღიდან პადმასურა ცნობილია როგორც ბჰასმასურა (დემონი-ნაცარი).

ამ ამბიდან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: «როდესაც ღმერთს ლოცვით მივმართავთ, ძალიან ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ის, რასაც ვთხოვთ, შეიძლება ჩვენი კრახის მიზეზი იყოს. და კიდევ ერთი დასკვნა: «როდესაც დაცვის ფუნქციებს ასრულებს, ღმერთი ვალდებულია მართლქმედების კანონები დაიცვას.

## 131

### ბჰარატა (ჯადა)

დიდი ბჰარატა, სვიაიმბჰუვა მანუს<sup>1</sup> შვილიშვილი, სახელოვანი მამის – რიშაბჰას – სახელოვანი ვაჟი იყო. სულიერი და ზნეობრივი თვისებების მიხედვით იგი საკუთარი მამის ასლი იყო. ბჰარატა ტახტზე ავიდა და ჯამბუდვიპას<sup>2</sup> იმ ნაწილში გამეფდა, რომელსაც მისი სახელის მიხედვით ბჰარატავარშა (ბჰარატას მიწა, ინდოეთი) უწოდეს. მრავალი წლის მეფობის შემდეგ მან ასკეტის ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება.

იგი მდინარე გადავარის ნაპირას სავანეში ცხოვრობდა და გაიატრი-მანტრას კითხვასა და მედიტაციაში ატარებდა დროს. ერთხელ, განზანის შემდეგ, იგი მედიტაციაში იჯდა. ამ დროს თავის ჯოგს მოწყვეტილი ირემი წყალში გადახტა, რომ გაგრილებულიყო და წყურვილი მოეკლა. უცებ მახლობელი ტყიდან ლომის მრისხანე ღრიალი გაისმა. ამ ღრიალით შეშინებულმა ირემმა პირდაპირ წყალში დაბადა ნუკრი, ერთი ნახტომით მეორე ნაპირს მიაღწია და მოკვდა. ამ სცენით შეძრული მეფე-

<sup>1</sup> სვიაიმბჰუვა მანუ - «თვითარსებულის ვაჟი» (ბრაჰმას) მანუ კაცობრიობის პირვლმშობლია, რომლიც ვიშნუმ წარღვნისან იხსნა, მზის და მთვარის დინასტიების წინაპარი, ვინც დდამიწაზ დჰარმა დაამყარა.

<sup>2</sup> ჯამბუდვიპა – პოსში და პურანებში: შვიდი მატრიკიდან (ცენტრში მთა მრუ), რომლსაც შვიდი ზღვა ჰყოფს, რთ-რთის დასახლება, რომლზდაც ინდოთი მდბარობს.

განდევილი ერთი ციკქა არსების გამო სიბრალოლმა მოიცვა; ირმის ნუკრი დიდი გაჭირვებით ფართხალებდა წყალზე. მეფემ ნუკრი წყლიდან ამოიყვანა და სავანეში წაიყვანა. იგი კვებავდა ნუკრს, ზრუნავდა მასზე, და ამან მისი სულიერი დაცემა გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს, ბჰარატამ თავისი ასკეტური მოღვაწეობა, რომელიც ღმერთისთვის იყო მიძღვნილი, საბოლოოდ მიატოვა და ეს მოღვაწეობა ნუკრის უსაფრთხოებაზე ზრუნვით შეცვალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბჰარატა ავად გახდა. იგი კვდებოდა და ხედავდა, რომ უკვე გაზრდილი ირემი საწოლთან ტიროდა, როგორც შვილი. მეფე საყვარელ ცხოველზე ფიქრში მოკვდა. ამისი შედეგი ის იყო, რომ იგი ირმის სხეულში დაიბადა. მაგრამ მას თავისი წინანდელი ცხოვრების მოვლენები ახსოვდა. იმის გამო, რომ არამიბმულობის გზიდან გადავიდა, იგი მონანიებით იყო შეპყრობილი და ამიტომ ნათესავ-ირმებისგან განზე იდგა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როდესაც მან მდინარე გადავარში დაიხრჩო თავი.

მომდევნო ცხოვრებაში იგი *ბრაჰმანის* ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა. წინა ორი ცხოვრების უბედური გამოცდილება მას ჯერ კიდევ ახსოვდა, ამიტომ იგი ხალხს ყოველნაირად ერიდებოდა და მუნჯად და გონებაჩლუნგად იკატუნებდა თავს. მაგრამ მამას იგი უყვარდა და ისე ექცეოდა, როგორც ნორმალურ ბავშვს. მამამ იგი *ბრაჰმანის* წმინდა ზონრით კურთხევის წეს-ჩვეულებაში გაატარა. მოულოდნელად მშობლები ავად გახდნენ და დაიხოცნენ. დედინაცვლის შვილები მის დაშინებას ცდილობდნენ და ყველაზე უფრო მძიმე სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ. მაგრამ ადამიანთა მის მიმართ ცუდი მოქცევა არ აღელვებდა. იგი ამის მიმართ იმდენად გულგრილი იყო, რომ მას ჯადა ბჰარატა (უგრძნობი ბჰარატა) შეარქვეს. ერთხელ ტყეში იგი ყაჩაღების მეთაურმა შეიპყრო და მსხვერპლის შესაწირად ქალღმერთ კალის ტაძარში მიიყვანა. მსხვერპლის შეწირვისთვის ყველაფერი მზად იყო. შელოცვის გალობით ყაჩაღმა მახვილი დაადრო და მზად იყო ბჰარატასთვის თავი მოეკვეთა, მაგრამ უცებ თვით ქალღმერთი გამოჩნდა, ხელიდან მახვილი გააგდებინა და ყაჩაღს თავი მოჰკვეთა. მაგრამ მაშინაც კი ბჰარატა გულგრილი დარჩა.

მეორე დღეს სინდუს მეფე, რაჰუგანა, ტახტრევნით ბრძენ კაპილას<sup>1</sup> სავანეში მიემართებოდა. ტახტრევნის მზიდავები დაიღალნენ, და მეფემ მსახურებს უბრძანა დამხმარეები მოეძებნათ. მათი ყურადღება ბჰარატამ მიიპყრო, რომელიც გარეგნულად ძლიერი იყო. მას უბრძანეს ერთ-ერთი მზიდავი გამხდარიყო.

მაგრამ ბჰარატა ნელა მოძრაობდა, ფეხი უცდებოდა, არეული ნაბიჯით მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ უყვიროდნენ, ტახტრევანი მაინც უსწორმასწოროდ მიჰქონდა. ძლიერი ნჯღრევის გამო გაბრაზებულმა მეფემ ბჰარატას უსაყვედურა: «თითქოს ცოცხალი ხარ, მაგრამ მაინც მკვდარი ხარ. შესახედავად ჩასუქებული და ძლიერი ხარ, ეს კი ნიშნავს, რომ ამას განგებ აკეთებ. ამის გამო შენ დაგსჯი». ბჰარატამ საჭიროდ ჩათვალა ენა ამოედგა და თქვა: «სახელოვანო მეფეო! ნუთუ შესაძლებელია, რომ რაიმე ტვირთის ზიდვით დავიღალო მე, უსხეულო სული? შენ ჩასუქებული მიწოდე, მაგრამ იცოდე, რომ სიგამხდრე, სიმსუქნე, შიმშილი, წყურვილი, შიში, ბოროტება და მიბმულობა მხოლოდ იმას ეხება, ვინც თავს ამ სხეულთან აიგივებს, და არა მე – სუფთა «მე»-ს. შენ თქვი, რომ მე მკვდარი, გვამი ვარ. მაგრამ იცოდე, რომ ჩვენ ყველა მკვდრები ვართ. მხოლოდ ღვთაების ძალა გვაიმულებს ვიმოდრაოთ».

მეფე ტახტრევნიდან დაუყოვნებლივ ჩამოვიდა და ყოველგვარი გაბღენძილობისა და ქედმაღლობის გარეშე ბჰარატას წინ მიწაზე განერთხო. «დიდ მადლობას გიხდის იმის გამო, რომ თვალეები ამიხილე», - თქვა მან.

აი წმინდანი ბრძენი ბჰარატას რამდენიმე რჩევა-დარიგება:

«გრძნობები აკონტროლე. მხოლოდ ეს დაგიცავთ ფიზიკურ პლანზე მიბმულობისაგან. მნიშვნელობას ნუ მისცემთ მატერიალურ კეთილდღეობასა და პირობებს».

«თქვენ უნდა მატერიალური საგნების მიმართ სწრაფვა შეასუსტოთ და ღმერთთან სიახლოვეზე იოცნებოთ».

«ყველა სულიერი პაქტიკის მიუხედავად, თქვენს მოქმედებათა შედეგებს ვერ გაექცევით».

როგორცაა თქვენი გული, გამოცდილებაც ისეთივეა.

---

<sup>1</sup> კაპილა – წმინდანი ბრძენი, ბრაჰმას შვილიშვილი, ტრადიციით უძველესი ფილოსოფიური სისტემის სანქჰიას შემქმნელადაა აღიარებული.



«ყოველმა ადამიანმა საკუთარი ბედი თვითონ უნდა გამოჰედოს».

132

## ღვთაებრივი ნება

კაილასის მთაზე ღმერთი შივა ბრძენებთან და წმინდანებთან საუბრებს ატარებდა. დროდადრო ამ ღვთაებრივ ქადაგებათა მოსასმენად *დევებიც* (ღმერთები) მოდიოდნენ.

ქალღმერთმა პარვატიმ გადაწყვიტა, რომ ამ საუბრებზე მოსული ადამიანებისა და ღმერთებისათვის საჭიროა დიდი დარბაზი აშენდეს, რომ ისინი ნისლის, წვიმისა და ცივი ქარისგან არ იტანჯებოდნენ.

მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო უფალი შივა დარბაზის მშენებლობაზე ნებას არ გამოხატავდა. ასტროლოგების საშუალებით იგი ცდილობდა, რომ დედა პარვატის თავისი ჩანაფიქრი გადაეფიქრებინა. ასტროლოგებმა თქვეს: «ვარსკვლავები წინასწარმეტყველებენ, რომ დარბაზი ცეცხლში გაეხვევა, რადგან მის აგებამდე ღმერთ სანის (სატურნის) გული მოგებული არ იყო». ამის მიუხედავად დარბაზი აშენდა. ღმერთმა შივამ გადაწყვიტა სანისთვის თხოვნით მიემართა, რომ დარბაზი ცეცხლისგან დაეცვა, თუმცა იგი ეჭვობდა, რომ თავისი მოუთვინიერებელი ცეცხლის სტიქიით ცნობილი პლანეტა ამაზე დათანხმდებოდა. მაგრამ პარვატი თავმოყვარეობის შელახვას გრძნობდა და გადაწყვიტა პატარა ტირან სანისთვის დარბაზის განადგურების საკითხში არ დაეთმო. პარვატიმ დაიფიცა, რომ უკიდურეს შემთხვევაში მას თვითონ დაწვავს. შივამ პარვატის სთხოვა სანისთან მოლაპარაკების შედეგისთვის მოეცადა, და მასთან წასვლის წინ უთხრა: «თუ სანი დამთანხმდება, რომ დარბაზი არ დაწვას, დავბრუნდები და კარგ ამბებს მოგიტან. უთანხმოების შემთხვევაში კი ხელს ავწევ და ჩემს დოლს დავუკრავ. ამ სიგნალის მიღებისთანავე შეგიძლია დარბაზი დაწვა და სანის ამისი უფლება ჩამოართვა». პარვატიმ შივას პირობები მიიღო.

სანიმ შივას თხოვნაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ერთი საჩუქარი სთხოვა. სანიმ თქვა: «უფალო, არასოდეს მინახავს, როგორ ცეკვავ, შენს ცეკვას ხომ ვარსკვლავთა ყველა ღვთაება ადიდებს. თუ შეიძლება, რამდენიმე წუთი მაინც იცეკვე». შივამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა და

თავისი ცეკვა – ტანდავა – დაიწყო, ხელი ასწია და დოღს დაჰკრა. დედა პარვატი მაშხლით ხელში ნიშანს უცდიდა. მან დაწვა დარბაზი, და მის ადგილას მხოლოდ ნაცრის გროვა დარჩა.

ყველაფერი შივას ნებით ხდება. არაფერს შეუძლია ღვთაებრივ ნებას, *სანკალპას*, შეეწინააღმდეგოს – იგი გარდაუვლად ახდება.

## 133

### ისწრაფე და შეუერთდი

ნანდანარი უფალ შივას მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო, სახლშიც და მუშაობის დროსაც მასზე დაუღალავად ფიქრობდა. იგი

მედლეურად მუშაობდა ფერმერთან, რომელიც ათ აკრ მიწას ფლობდა. ვინაიდან ნანდანარი უმდაბლეს კასტას (*ჰარიჯანებს*) მიეკუთვნებოდა, მას უფლება არ ჰქონდა ადგილობრივი შივას ტაძრის ტერიტორიაზე შესულიყო. ნანდანარს ეს ძალიან აწუხებდა, ვერ გაეგო, უმდაბლესი კასტის ადამიანებს აბუჩად რატომ იგდებენ. ერთხელ ეს აზრი მან თავის პატრონთან გამოთქვა. ფერმერმა თქვა: «რატომ ოცნებობ იმაზე, რაც შენთვის მიუწვდომელია? რიტუალები და თაყვანისცემა შენთვის კი არა, უმაღლესი კასტის ადამიანებისთვის არის. იკმარე ის, რაც გაქვს». მაგრამ ნანდანარმა თქვა: «ბატონო, მრავალი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ ყველა ერთიანი ღმერთის შვილები ვართ. ვერ გამიგია, რატომ ართმევენ ვინმეს ღმერთის *დარშანის* შესაძლებლობას? რაც არ უნდა მოხდეს, ზეგ მე მაინც წავალ ჩიდამბარანში, ეს მთელი ჩემი ცხოვრების ოცნებაა».

პატრონმა გაიცინა და თქვა: «როგორ შეიძლება ახლა სოფლიდან წასვლა? მოსავალი შემოვიდა. შენ უნდა მკა დაამთავრო და მარცვლეული ბელელში ჩაყარო». ნანდანარს სათქმელი არ დარჩენოდა; იგი სახლში გულდამძიმებული და ნაღვლიანი წავიდა. იმ ღამეს მან მხურვალედ ილოცა და ძილის წინ თქვა: «უფალო! მხოლოდ შენ შეგიძლია დამეხმარო. ყველაფერს შენ გიტოვებ. მე უნდა წავიდე ჩიდამბარანში».

დილით ადრე იგი მინდორში სამუშაოდ გავიდა. და რა ნახა იქ? ასობით ადამიანი მკიდა და ძნებს კრავდა. საქმე თითქმის დამთავრებული იყო. გაოგნებული ნანდანარი მინდვრის განაპირას იდგა და სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. მან თავისთვის თქვა: «მოწყალე ღმერთო, ჩემი

ლოცვა შეისმინე და თვითონ მიიღე მრავალი ადამიანის ფორმა. როგორ გადაგიხადო მადლობა?»

სწორედ ამ დროს მინდვრის პატრონი მოვიდა; შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილი დარჩა და თქვა: «ნანდანარ, ახლა შეგიძლია ჩიდამბარანში წახვიდე და შენი სურვილი შეისრულო».

ნანდანარი ჩიდამბარანისკენ მიმავალ გზას აუჩქარებლად გაუდგა. იგი დასუსტდა, გუშინდელიდან არ ჭამდა, რადგან მეტისმეტად დამწუხრებული და დაცემული იყო.

როდესაც ტაძრის კარს მიაღწა, მიწაზე უგრძობლად დაეცა. ჯერ კიდევ ბნელოდა. ამ დროს უფალი ნატარაჯა ტაძრის ქურუმს სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: «ადექი და ჩემ ერთგულისკენ იჩქარე, იგი ტაძრის შესასვლელთან უგრძობლად წევს. ჯერ კარგად აჭამე, ასვი, განბანაში დაეხმარე, შემდეგ კი საკურთხევლამდე მიაცილე».

ქურუმი სწრაფად წამოხტა და ტაძრისკენ გაიქცა. მან მიწაზე მწოლიარე ნანდანარი იპოვა. სხვა ქურუმების დახმარებით იგი თავის სახლში მიიყვანა და იზრუნა, რომ დასაბანად წყალი მოეტანათ და მისთვის სასმელ-საჭმელი მიეცათ. ქურუმმა ნახა, რომ სტუმარი ცუდად ჩაცმულია და მას ახალი სამოსელი მისცა. ქურუმთან ერთად, მორწმუნეთა ჭრელ და ხმაურიან ბრბოში, ნანდანარი ტაძარში შევიდა.

ნანდანარმა უფალ შივა ნატარაჯას<sup>1</sup> კანდაკებას შეხედა. უფალი შივა იღიმებოდა. ნეტარების მომგვრელი ამ ღიმილით დამტკბარი ნანდანარი იატაკზე დაეცა და მოკვდა. ნუთუ საჭიროა იმის თქმა, რომ იგი ღმერთს შეერწყა?

134

## სიყვარული მხოლოდ გასცემს

რამა ჯუნგლებში გასახიზნად ემზადებოდა. წასვლის წინ მას უნდოდა თავისი ძვირფასეულობა და ქონება საწყლებისთვის დაერიგებინა. იგი ამას სიხარულით აკეთებდა. სწორედ ამ დროს სატახტო ქალაქში მოხუცი ბრაჰმანი გამოჩნდა, რომელმაც ძალიან დიდი გზა გაიარა, რომ რამასთვის შეეხედა. როდესაც შეიტყო, რომ რამა 14 წლით ტყეში

---

<sup>1</sup> ნატარაჯა - «ცკვის მფ», შივას იპოსტასი.

იხიზნება, იფიქრა: «არ ვიცი, კიდევ რამდენ წელს ვიცოცხლებ, ამიტომ იგი ერთხელ მაინც უნდა ვნახო».

როდესაც მოხუცი რამასთან მივიდა, ეს უკანასკნელი ღარიბებს ძროხებსა და სამეფო კარის ჭურჭლეულობას ურიგებდა. რამას სახემ მოხუცი *ბრაჰმანი* განაცვიფრა. მან წამოიძახა: «თავგანწირვის რა სრული განხორციელებაა რამა! მან უეჭველად უკვდავება უნდა მოიპოვოს. იგი ხომ ვედური კანონით მოქმედებს: უკვდავება მოიპოვება არა შთამომავლობით, სიმდიდრით და კარგი საქმეებითაც კი არა, არამედ მხოლოდ მსხვერპლით. ჭეშმარიტად, რამა *დჰარმის* თვით განხორციელებაა».

რამამ მოხუცი *ბრაჰმანი* დაინახა, სთხოვა მიახლოებოდა და ჰკითხა: «კეთილშობილო *ბრაჰმანო*, აქ რამ მოგიყვანა?» მოხუცმა უპასუხა: «რამა, მე უკვე ღრმად მოხუცებული ვარ. გავიგე, რომ იხიზნები და მხოლოდ 14 წლის შემდეგ დაბრუნდები. ამდენი შეიძლება არ ვიცოცხლო. მოვედი, რომ შენს სახეს შევხედო და შენი სიყვარული წამით მაინც შევიგრძნო, შენს წმინდა ტერფებს შევეხო და ჩემი ცხოვრება გავამართლო». რამამ ჰკითხა: «სხვა სურვილები გაქვს?» - «არა, - უპასუხა მოხუცმა, - სხვა სურვილები მე არ მაქვს. რა უნდა სურდეს ჩემისთანა მოხუცს, რომლისთვისაც ცხოვრებაც კი ძნელია? ჩემი ერთადერთი სურვილია შენი ნახვა, შენთან ლაპარაკი, შენი შეხება». - «ამ სამი სურვილით რას გინდა მიაღწიო?» - ჰკითხა რამამ.

მოხუცმა უპასუხა: «რამა, ადამიანი ცოდვით, თავისი მოქმედებების შედეგებითა და მწუხარებითაა დამძიმებული. მათ მოსაცილებლად შენი *დარშანი* მჭირდება. *დარშანამ* *პაპანასანამ* (ღვთაების *დარშანი* ცოდვებისგან ათავისუფლებს). მე მინდა შენს წმინდა ტერფებს შევეხო, რადგან *სპარშანამ* *კარმა* *ვიმოჩანამ* (ღვთაების შეხება *კარმის* ტვირთს ხსნის), და მე შენთან ლაპარაკი მინდა, რადგან *სამჰაშანამ* *სანკატანასანამ* (ღვთაებასთან საუბარი მწუხარებას სპობს). მოხუცი *ბრაჰმანის* სიტყვებმა რამა შეძრა. მან მოხუცი გულში ჩაიკრა და ჰკითხა: «კმაყოფილი ხარ ამით?» პასუხი ცრემლები იყო, მოხუცს რომ სდიოდა. «სვამი, - თქვა მან, - ასე მგონია, ცაში მოვხვდი. ცოტაოდენი მოწყალება გაიღე და სახლში წავალ».

რამამ თქვა: «შვილო, შენ თუ სიყვარული შემომწირე, განა შემიძლია ჩემი სიყვარული არ მოგცე? შენ ჩემგან აუცილებლად რამეს მიიღებ».

რამამ *ბრაჰმანის* ხელში ჯოხი დაინახა და თქვა: «ახლა, როდესაც მე შემეხე, ძლიერი გახდი და ჯოხის გარეშე შეგიძლია იარო. ეგ ჯოხი რაც შეიძლება შორს ისროლე. სივრცე, რომელსაც ჯოხი გადაუფრენს, შენი იქნება, - ძროხებითა და მთელი სიმდიდრით». მოხუცმა *ბრაჰმანმა* იგრძნო, რომ იგი მართლაც ძლიერი გახდა და მისი დამაბუნებულობა გაქრა იმის გამო, რომ რამას წმინდა ტერფებს შეეხო და მოეხვია კიდევ. იფიქრა, რომ რამას განკარგულებას უნდა დამორჩილებოდა, და საკუთარ თავს უთხრა: «არავითარი სურვილი არ მაქვს, გარდა ერთისა – რამას დავემორჩილო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ცხოვრება უაზრო იქნება». *ბრაჰმანმა* ჯოხი მთელი ძალით ისროლა. აი მესმის! ჯოხმა მდინარე სარაიას გადაუარა და უკან დაბრუნების შემდეგ იმ ადგილს მიაღწია, სადაც რამა იდგა. იმ ადგილზე, რომლის თავზეც ჯოხმა გადაიარა, სახლები იდგა, ნახირი ძოვდა. ეს ყველაფერი საჩუქრად *ბრაჰმანს* გადაეცა. მან თქვა: «უფალო, ამ საკუთრებით რატომ დამტვირთე? მე ხომ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ შენ მენახე». რამამ უპასუხა: «კეთილშობილო *ბრაჰმანო*, ეს არის წინა ცხოვრებებში შენი კარგი მოქმედებების ნაყოფი, და არა მარტო ამ ცხოვრებაში დამსახურებული ჯილდო. მრავალი ადამიანი მოდის შორიდან ჩემთან, შეიტყეს რა, რომ ტყეში ვიხიზნები, მაგრამ შენმა სურვილმა განსაკუთრებით შემძრა. სამეფოს კანონები რომ არა, მთელ სამეფოს მოგცემდი». და რამამ, დაპირების თანახმად, *ბრაჰმანს* მისცა ყოველივე ის, რასაც კი ჯოხმა გადაუფრინა.

*ბრაჰმანმა* თქვა: «აი დიდებული მაგალითი, მთელ ხალხს რომ მიეცი! აიოდჰის პრინცს რამას, მაშინაც კი, როდესაც იგი ტყეში მიდის და მთელი სამეფო დამწუხრებულია, შეუძლია მთელი თავისი სიმდიდრე ღიმილითა და სიყვარულით გასცეს. ეს უმაღლესი თავგანწირვის, განდგომისა და თავდაჭერილობის მაგალითია».

135

## ვიბრაციის ზემოქმედება

რამა და ლაქშმანა სიტას საქებნელად ტყეში დიდხანს დადიოდნენ. უცებ ლაქშმანამ დაღლილობა იგრძნო და რამას უთხრა: «ეს ხეტიალი ყელში ამომივიდა და აიოდჰიაში დაბრუნება მინდა, რომ სიმშვიდესა და

კომფორტში ვიცხოვრო». რამამ გაიღიმა და თქვა: «მოდი კიდევ ცოტა გავიაროთ და შემდეგ ყველაფერს აგიხსნი». სულ ცოტა მანძილი რომ გაიარეს, ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. უცებ ლაქშმანა რამას წინ განერთხო და მის ფეხებს მოეხვია. «ძმაო, მაპატიე ჩემი სიტყვების გამო. ჩემთვის გაუგებარია, ამ სიტყვების თქმა როგორ შევძელი. ასეთი ცუდი აზრები თავში რატომ მომივიდა?» მკითხველსაც უჭირს გაგება, როგორ შეეძლო ლაქშმანას ასეთი სიტყვების წარმოთქმა და ამქვეყნიური კეთილდღეობებისკენ სწრაფვის გამოვლენა, - ლაქშმანას, რომელიც მუდამ იფიცებოდა, რომ რამა მისთვის ყველაფერი იყო, რომ რამას გარეშე ერთ წამსაც კი ვერ იცოცხლებდა.

ყოვლისმცოდნე რამამ, თანაგრძნობისა და ჰარმონიის თვით განხორციელებამ, ლაქშმანას უპასუხა: «ძმაო, ადგილი, რომელიც ახლახან გამოვიარეთ, შურპანაქჰას<sup>1</sup> სამყოფელია. ეს ქალი იმ ხის ქვეშ ხშირად ისვენებს. იქ ყველაფერი მისი მავნე თვისებებითაა გაჟღენთილი. ამ ვიბრაციებმა შენში ცუდი აზრები აღძრა. როგორც კი იმ ადგილს გასცდი, კვლავ შენი ჭეშმარიტი კეთილშობილური ნატურა გამოვლინდა».

136

### ადამიანთა მოდგმა

ლანკაზე რამამ ორთაბრძოლაში დემონთა მეფე რავანა დაამარცხა. ამის შემდეგ მან განკარგულება გასცა, რომ ლაქშმანას, სუგრივასა და სხვა მეომრებს რავანას ძმის, ვიბჰიშანას, ლანკას მომავალი მმართველის, კორონაცია მოემზადებინათ. რამამ ვიბჰიშანას ურჩია, უფროსი ძმის დაკრძალვის წესი სათანადოდ შეესრულებინა. ამის შემდეგ მან ჰანუმანს სთხოვა დედა სიტასთან წასულიყო, მისთვის რავანას დაღუპვის ამბავი ეცნობებინა და ეთქვა, რომ თავისი ბატონის წინაშე წარსადგენად მზად ყოფილიყო. ჰანუმანი დედა სიტასთან მაშინვე გაფრინდა და კარგი ამბები გადასცა. როცა რამას ხელით რავანას სიკვდილის ამბავი გაიგო, სიტამ სიხარულის ცრემლები ვერ შეიკავა. ჰანუმანმა თქვა: «დედა, შენთან ერთი დიდი თხოვნა მაქვს, მომისმენ?» - «რა თქმა უნდა, შვილო», - თქვა სიტამ. ჰანუმანმა უთხრა: «დედა, მე მინდა ყველა ის დემონი

---

<sup>1</sup> შურპანაქჰა - რაქშასი, რაქშას (დემონ) რავანას, ლანკას მფის, და.

დავსაჯო, ვინც შენ მიმართ ბოროტება ჩაიდინა. შენი თანხმობა მინდა ამაზე». სიტამ წყნარად უპასუხა: «შვილო, მკაცრად ნუ განსჯი მათ. დემონები ხომ თავის ვალს ასრულებდნენ. ისინი თავიანთ მეფეს ემორჩილებოდნენ, ხომ ასეა? ასევე გახსოვდეს, რომ ყოველი არსება თავის ბუნებრივ მიდრეკილებათა თანახმად იქცევა. ეს ჭეშმარიტება შენთვის ნათელი რომ გახდეს, ერთ პატარა ამბავს მოგიტხრობ.

ერთი ადამიანი ტყეში მიდიოდა, მას კი კვალდაკვალ მშვიერი ვეფხვი მისდევდა. ადამიანი სულ უფრო და უფრო სწრაფად მირბოდა, და უცებ დიდი ხე დაინახა. იგი მასზე აცოცდა, მსხვილ ტოტზე მოხერხებულად მოეწყო, მაგრამ ვეფხვის მაინც ეშინოდა. ვეფხვი, როგორც ჩანდა, წასვლას არ აპირებდა და ხის ძირში დაჯდა. მან თავი ასწია და შენიშნა, რომ მაღლა ხეზე დათვი ზის. ვეფხვმა მას მიმართა: «მეგობარო, მე ძალიან მშვიერი ვარ. მაგ ადამიანს ძირს ხომ არ ჩამოაგდებდი, რომ შიმშილი დავიცხრო? მე მას დიდ ხანს ვდიე». დათვმა უპასუხა: «მაპატიე, მაგრამ ამის გაკეთება არ შემიძლია. ადამიანი ამჟამად ჩემი სტუმარია, მან ჩემს ხეზე თავშესაფარი ნახა». მაგრამ ვეფხვი ადგილიდან არ იძროდა. ცოტა ხნის შემდეგ მან დაინახა, რომ დათვს ჩაეძინა.

მაშინ ვეფხვმა ადამიანს მიმართა: «ადამიანო! ძალიან მშვიერი ვარ და ნადავლი მინდა. მძინარე დათვს ხომ არ ჩამოაგდებდი? თუ ამას იზამ, მაშინვე წავალ». ადამიანმა დათვის სტუმართმოყვარეობა და საიმედო დაცვა დაივიწყა და მას ხელი ჰკრა. საბედნიეროდ დათვმა მოახერხა ტოტს ჩასჭიდებოდა. ამის მნახველმა ვეფხვმა კვლავ დათვს მიმართა: «მეგობარო, ჩვენ ორივე ტყის მცხოვრებლები ვართ. ბოლოს და ბოლოს, ჩამოაგდე ეგ უმადური ადამიანი». დათვმა უპასუხა: «არა, ამას არ ვიზამ. იგი ჩემი სტუმარია. შესაძლოა, რომ უმადურად ყოფნა მის ბუნებაშია, ჩემს ბუნებაში კი სტუმართმოყვარედ და არაგულღვარძლიანად ყოფნაა». დედა სიტამ ჰანუმანს შეხედა და ჰკითხა: «ამ ამბიდან რა დასკვნა გამოიტანე? თითოეული თავისი ბუნების თანახმად მოქმედებს. უკეთურად ყოფნა დემონის ბუნებაშია, ჩვენს (ღვთაებრივ) ბუნებაში კი პატიება და სიკეთის გამოვლინებაა».

ასე შეიტყო ჰანუმანმა დედა სიტასგან ადამიანთა მოდგმის შესახებ.

## განდგომის გაკვეთილი

სულთან აურანგაზებს ჰყავდა ქალიშვილი სახელად ზებუნისა. პრინცესა თვით სრულყოფილება იყო. იგი არა მხოლოდ ულამაზესად ითვლებოდა, არამედ ძალიან განათლებულ გოგონადაც, ლექსებს თხზავდა, ინდურ კულტურას ძალიან აფასებდა და კეთილი და თანამგრძნობი იყო. ერთხელ აურანგაზებმა საყვარელ ქალიშვილს დაბადების დღეზე მშვენიერი სარკე აჩუქა.

ერთ მშვენიერ დღეს პრინცესა ბაღში იჯდა და მშვენიერი, მშვიდი საღამოთი ტკბებოდა. მან მსახურ ქალს სთხოვა, რომ სასახლიდან მისთვის სარკე მოეტანა. მსახური დავალების შესასრულებლად გაიქცა და, საუბედუროდ, სარკით ხელში უკან რომ ბრუნდებოდა, იგი ხელიდან გაუვარდა და დაიმტვრა. საცოდავ მსახურს გულიც კინაღამ გაუსკდა! «ახლა რა უნდა ვქნა? – ტიროდა იგი. – ის, რაც მე ჩავიდინე, არასაპატიოა! მაგრამ რაც იქნება, იქნება! მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო». ამ ფიქრებით და სარკის ნამსხვრევებით ხელში იგი ზებუნისას მიუახლოვდა, ტირილით საყვარელ პრინცესას ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: «ჩემო ქალბატონო! შენთვის ასე ძვირფასი სარკე გავტეხე. ჩემი საქციელისთვის მზად ვარ ნებისმიერი სასჯელი მივიღო». ზებუნისამ თავზე ხელი ალერსით გადაუსვა და თქვა: «ადექი და ნუ სწუხხარ, მე მოხარული ვარ, რომ ეს პირფერი სარკე გატყდა. რატომ უნდა ვიდარდოთ ამის გამო? სხეულიც კი, რომლის საამებლადაც ეს სამშვენისები გამოიგონეს, ოდესღაც მოიშლება და გაქრება».

ნუთუ ეს განდგომის გაკვეთილი არ არის? ცხოვრებისა და მისი ფუჭი სიამოვნებების მიმართ მხოლოდ ასეთ ჩაკვირვებულ მიდგომას შეუძლია მოგვცეს ძალა იმისათვის, რომ მძიმე დანაკლისის დროსაც კი აუღელვებელი და მშვიდი დავრჩეთ.



## გარეგნობის მიხედვით ნუ განსჯი

მეფემ არქიტექტორს უბრძანა მისთვის ხის სასახლე აეშენებინა. მეფეს სურდა, რომ მშენებლობისთვის გამოეყენებინათ ხის ტანის მთლიანი სიგრძის მორები, გლუვი, სწორი და უნუჟრო.

მშენებელმა მთელი სამეფო მოიარა, მაგრამ ისეთი ხეები ვერ იშოვა, აბსოლუტურად სწორი, გლუვი და უნუჟრო რომ ყოფილიყო. ბოლოს მან ბანანის ხეების ბარდები დაინახა. ისინი სწორი და გლუვი იყო და არც გვერდითი ტოტები ჰქონდათ. მან ისინი მოჭრა, სასახლეში გაგზავნა და მეფეს აჩვენა. მეფემ თქვა: «დიახ, მართლაც, ამ ხეების ტანები გლუვი, სწორი და უნუჟროა, მაგრამ მათ სიმკვრივე აკლია, მშენებლობაი არ გამოდგება». რა არის ამ ამბის ფარული აზრი? მნიშვნელოვანია არა გარეგნული თვისებები, არამედ შინაგანი ძალა. მხოლოდ ის ანიჭებს ყველაფერს ღირებულებას.

## ხუთი გადაცდომა

ვიასამპაიანა ბრძენ ვიასას საუკეთესო მოსწავლე იყო. სწავლის დამთავრების შემდეგ ვიასამპაიანამ მასწავლებელი მიატოვა და საკუთარი *გურუკულუ* (სკოლა-*აშრამი*) დააარსა. ძველი *გურუკულები* სულაც არ ჰგავს თანამედროვე სკოლებსა და ინტერნატებს. *გურუს* სახლი ერთგვარი საერთო საცხოვრებელი იყო, საკლასო ოთახების სახურავის მოვალეობას ხეების ხშირი კრონები ასრულებდა, მოსწავლეები კი ისე იქცეოდნენ, როგორც ერთი ოჯახის წევრები. ისინი *გურუს* და მის ცოლს ყველა საშინაო საქმეებში ეხმარებოდნენ. ნებისმიერი საჭმელი მოსწონდათ, რასაც კი მისცემდნენ, და ჭამდნენ როგორც *პრასადს*. *გურუები* უანგარო, გულწრფელი და თავის მოსწავლეთა მიმართ სიყვარულით აღვსილნი იყვნენ. ისინი მზრუნველნი და ყურადღებიანი იყვნენ, მაგრამ ამასთანავე მოსწავლეებისგან დისციპლინისა და წესრიგის დაცვას მკაცრად

მოითხოვდნენ. *გურუები* უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ ჭეშმარიტად ადამიანურ ღირებულებათა აღზრდას და პრაქტიკაში მათს გამოყენებას.

ვიასამპაიანას *გურუკულოში* საუკეთესო მოსწავლე ვაჯნავალკია იყო. იგი მახვილი გონებისა და ღრმა ინტელექტის პატრონი იყო და გაკვეთილებს ძალიან სწრაფად ითვისებდა, *ჯაპას* (*მანტრისა* და ღმერთის სახელების გამეორების) და მედიტაციის პრაქტიკას გულმოდგინედ ატარებდა და ეს მას დიდ ძალას აძლევდა. ვიასამპაიანა ამ მოსწავლით უაღრესად კმაყოფილი იყო და ხშირად აქებდა მას. დროთა განმავლობაში ვაჯნავალკია ეგოისტი (*აჰამკარა*) გახდა, რამაც თავის მხრივ მასში გულგრილობა (*ალაქშიამ*), უზრდელობა (*ასაბჰაიატა*), დაუმორჩილებლობა (*ავინაიამ*), და, ბოლოს, შური (*ასუიიუ*) განავითარა. ვიასამპაიანა ამჩნევდა, ვაჯნავალკიას ქცევები თანდათან როგორ იცვლებოდა. ერთხელ მან მოსწავლეს დაუძახა და მკაცრად უთხრა: «ვაჯნავალკია, შენ აქ დარჩენის ღირსი აღარ ხარ და *გურუკულო* დაუყოვნებლივ უნდა დატოვო, რადგან შენში ყველა ხუთი მანკიერება (*არიშტა პანჩაკას*) განავითარე. მაგრამ სანამ წახვიდოდე, უნდა დატოვო ის, რაც ჩემგან ისწავლე». ვაჯნავალკიამ თავისი შეცდომები გააცნობიერა და მორჩილად ამოანთხია ყველა ის ცოდნა, რომელიც *გურუსგან* მიიღო. ფრინველებმა *ტაიტირიებმა* მისი «ნარწყევი» აკენკეს და უპანიშადას გალობა დაიწყეს. ამ დროიდან ამ უპანიშადას *ტაიტირიას* უწოდებენ.

ვაჯნავალკია ცოდვებს გულწრფელად ინანიებდა და იმით ისყიდდა, რომ *სურიაუპასანას* (მზის თაყვანისცემას) მიეცა. მისი მკაცრი ასკეტიზმით კმაყოფილი მზის ღმერთი მას *ვაჯის* (ცხენის) სახით გამოეცხადა და უთხრა: «ჩემო შვილო, *გურუს* ან ღმერთის ღალატი უდიდესი ცოდვაა. მაგრამ რაც იყო, იყო. ამიერიდან ფრთხილად იყავი. მე ვედებს კვლავ გასწავლი».

ამ ამბიდან მიღებული გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლემ ყოველნაირად უნდა დაიცვას თავი ამ ხუთი მანკიერებისაგან – გულგრილობის, უზრდელობის, ეგოიზმის, ურჩობისა და შურისაგან.

## სამი შეკითხვა

მეფეს სურდა სამ კითხვაზე გაეგო პასუხი, რომლებზედაც იგი დიდხანს ფიქრობდა. კითხვები შემდეგი იყო: სად არის ღმერთი? საით მიმართავს იგი მზერას? რას აკეთებს იგი? ამ კითხვებს მეფე სასახლის დარბაზში თავის დაახლოებულ პირებს აძლევდა, მაგრამ მათზე პასუხი ვერავინ გასცა. მაშინ მეფემ ერთი ბრძენი სათანადო პატივით მოიწვია და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვა.

ბრძენმა თქვა: «რძეში კარაქის მსგავსად, ღმერთი ყველგანაა». მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად ბრძენმა ლამპა მოითხოვა, ანთო და მეფეს ჰკითხა: «რა მიმართულებით ავრცელებს ლამპა სინათლეს?» - «ლამპა სინათლეს ყველა მიმართულებით ჰფენს», - უპასუხა მეფემ. ბრძენმა თქვა: «ღმერთი კაშკაშა ნათებაა, სინათლის წყაროა, და მისი მზერის სხივები რაიმე ადგილის ან გარკვეულ ადამიანისკენ არ არის მიმართული. იგი ყველას ხედავს». მეფემ ჰკითხა: «რას აკეთებს იგი?» ბრძენმა უპასუხა: «ვინაიდან სულიერ კითხვებზე პასუხებს გაძლევ, ახლა მე თითქოს შენი მოძღვარი ვარ, შენ კი – ჩემი მოსწავლე, ამიტომ ჩვენ ადგილები უნდა შევცვალოთ. მზად ხარ ამისთვის?» მეფე დათანხმდა, თავისი მაღალი ტახტიდან წამოდგა და ბრძენის ადგილას დაჯდა. მაშინ ბრძენმა თქვა: «აი, სწორედ ამას აკეთებს ღმერთი. იგი ძლევამოსილებს ჩამოაგდებს და თვინიერებს ამაღლებს. მას შეუძლია ღარიბი მდიდრად აქციოს, მდიდარი კი ღარიბად. მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. იგი ყველაფერს მოიცავს. იგი ყველაფერს ხედავს, და ყოვლადძლიერია».

ამ პასუხებით მეფე ძალიან კმაყოფილი დარჩა. მან ბრძენის მიმართ მაღლიერება გამოხატა და ღირსეულად დაასაჩუქრა იგი.

ამ მეფის მსგავსად, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს გააცნობიეროს ღმერთის განმასხვავებელი ნიშნები: ღმერთი ყველგანმყოფი, ყოვლისმცოდნე და ყოვლადძლიერია.

## ჭეშმარიტი ერთგულება?

ერთი მორწმუნე თავის სახლში ბჰაგავად გიტას ერთგვირეულ რიტუალურ კითხვას ატარებდა დაწვრილებითი კომენტარებით (*პარაიანა*). ასეთი მშვენიერი მსახურებისთვის მას ყველა ემადლიერებოდა და ერთგულებისა და ღვთისმოსაობის გამო აქებდა. კითხვის მეოთხე დღეს მას თავლაში ძროხა მოუკვდა. მან *პარაიანა* უმაღლ შეწყვიტა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ძროხის სიკვდილი მის მიერ წამოწყებული რიტუალური სიახლის პირდაპირი შედეგი იყო. მღელვარება და სიძნელენი, დაბადება და სიკვდილი, ეს ყველაფერი მცურავი ღრუბლებია. თუ მორწმუნე რელიგიურ რიტუალს ან სხვა სულიერ პრაქტიკას იწყებს, ვალდებულია განაგრძოს ისინი, მიუხედავად ნებისმიერი დაბრკოლებისა, რომელიც შეიძლება ცხოვრებამ შეახვედროს.

## სულიერი მადიებლის

## უდიდესი თვისებაა

ერთხელ მოსწავლემ მოძღვარს სთხოვა მისთვის ყველგანმსუფვევის (*ბრაჰმატვას*) შესახებ უმაღლესი ცოდნა გაეზიარებინა. *გურუმ* მას *მანტრა* მისცა და უთხრა, რომ გამუდმებით უნდა ემღერა იგი და ამასთანავე ყველა ეგოისტური აზრი მოეცილებინა. *გურუმ* უთხრა, რომ მან ეს *სადჰანა* მთელი წელი უნდა ასრულოს და ამის შემდეგ შეუძლია მოვიდეს და უმაღლესი ცოდნა (*ბრაჰმაჯნიანა*) მიიღოს.

ერთი წლის შემდეგ მოსწავლე *გურუსთან* მოვიდა და თქვა: «პატივცემულო! *მანტრას* მე მთელი წლის განმავლობაში ვიმეორებდი». იგი მოძღვრის პასუხს მოუთმენლად ელოდა. ფიქრობდა, რომ *გურუმ* უმაღლესის ცოდნას აუცილებლად გაუზიარებდა. ამ დროს მსახური ქალი, რომელმაც მოსწავლე ვერ შეამჩნია, *აშრამის* ბილიკებს გვიდა.

ახალგაზრდა კაცს მტვერი დაედო. იგი გულისწყრომამ მოიცვა, რადგან *აშრამში* ვიზიტის წინ მან წმინდა განზანა შეასრულა, ახლა კი თავიდან ფეხებამდე მტვრიანი იყო. მან ქალიშვილს მრისხანედ შეხედა, ეს უკანასკნელი კი შიშისგან აკანკალდა. მთელ ამ სცენას მოძღვარი უთვალთვალეზდა.

მან თქვა: «უმაღლესი ცოდნის გაზიარებისთვის მზად არ ხარ. შენ მსახურზე გაბრაზდი, რომელმაც შემთხვევით გაგამტვრიანა. როგორ შეიძლება უმაღლესი ცოდნა გადაეცეს იმას, ვინც ასეთი თავშეუკავებელია? წადი და კიდევ ერთი წელიწადი აწარმოე *სადჰანა*».

მეორე წლის დასასრულს მოსწავლე *აშრამის* შესასვლელში გაჩნდა. *გურუს* მითითებით მსახურმა ქალმა ახალგაზრდა ამჯერადაც მტვერში ამოგანგლა. განრისხებულმა ახალგაზრდამ მსახურს უკვე ცემა დაუპირა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა.

მოსწავლე *გურუსთან* მივიდა და პატივისცემა გამოხატა. *გურუმ* უთხრა: «უმაღლესი ცოდნის მისაღებად ჯერაც არ ხარ მზად. შარშან გველის თვისებები გამოავლინე, ახლა კი – ძაღლის. როგორც კი ამ ცხოველურ თვისებებს თავს დააღწევ, შეგიძლია დაბრუნდე».

მესამე წლის დასასრულს, წმინდა განზანის შემდეგ, მოსწავლე *აშრამში* შევიდა. *გურუს* ინსტრუქციის მიხედვით მსახურმა მოსწავლეს ჭუჭყიანი წყალი მიასხა. მან ქალიშვილს მშვიდად მისცა სალამი და უთხრა: «დედა, შენ უმაღლესი ზნეობრიობის – მოთმინების – დაუფლებაში დამეხმარე. ახლა მე *გურუს* წყალობის ღირსი ვარ. მუდამ შენი მადლიერი ვიქნები».

როდესაც მოსწავლე *გურუს* წინ განერთხო, ამ უკანასკნელმა თქვა: «შვილო! აი ახლა სრულიად მზად ხარ, რომ უმაღლესი ცოდნა გაიზიარო».

143

რამა

და ნაცემი ძაღლი

ერთხელ შრი რამასთან ნაცემი და სისხლში ამოსვრილი ძაღლი კოჭლობით მივიდა. ლაქშმანა გააგზავნეს, რომ გაეგო, ვინ და რისთვის დაასახიჩრა იგი. ძაღლმა თქვა: «*ბრაჰმანმა* მცემა ჯოხით». *ბრაჰმანს*

პასუხი მოსთხოვეს, და მან ახსნა, რომ ძალის მას მუდამ აჯავრებდა, მოსვენებას არ აძლევდა. რამდამ ძალს ჰკითხა: «*ბრაჰმანისთვის* რა სასჯელს ისურვებდი?» ძალმა თქვა: «ტაძრის ზედამხედველად აქციე ის». რამას გაუკვირდა: «ეს ხომ ჯილდო იქნება და არა სასჯელი». ძალმა უპასუხა: «არა. წინა ცხოვრებაში ტაძრის ზედამხედველი ვიყავი. შეუძლებელი იყო თავის შეკავება, რომ ღვთის ფულის ნაწილი არ მიმეთვისებინა, არ გამეფლანგა, არადანიშნულებით არ მომეხმარა. როდესაც *ბრაჰმანი* ტაძრის ზედამხედველი გახდება, მომდევნო ცხოვრებაში იგი აუცილებლად ძალად დაიბადება, და მასაც ჩემსავით შეუბრალებლად ცემას დაუწყებენ».

მხოლოდ ძალი ან *ბრაჰმანი* არ შვრება ამას, - ყოველი ჩვენგანი ფლანგავს ღმერთის საკუთრებას, რადგან განა ირგვლივ ყველაფერი ღმერთს არ ეკუთვნის? რას ვაკეთებთ ღმერთის საგანძურიდან მიღებულ სიკეთეთა პასუხად? არ შეიძლება, რომ მხოლოდ ვჭამდეთ და უსაქმოდ ვისხდეთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ შეძლებისდაგვარად ღარიბებსა და უძლურებს დახმარება გავუწიოთ.

144

ვინ არის

ჭეშმარიტი ერთგული?

ერთხელ სვამი ვივეკანანდა ერთ-ერთ ქალაქში მივიდა, რომ სულიერი საუბრები გაემართა. ხალხმა მასში დიდი ასკეტი და ღრმა მოაზროვნე იხილა და სამი დღის განმავლობაში მის ქადაგებას დიდი ყურადღებით ისმენდა. ყოველ დღე, როდესაც საუბარი სრულდებოდა, მის გარშემო ადამიანები იკრიბებოდნენ, რომ *სადჰანას* საკითხები, ეპოსსა და შასტრებში (სადვთო წერილებში) გაუგებარი ადგილები გაერკვიათ. მსმენელებს აგრეთვე ძალიან უნდოდათ გაეგოთ, ერის სულიერ აღორძინებაზე ვივეკანანდა რას ფიქრობდა.

კუთხეში მჯდარი მოხუცი ვივეკანანდას ცოცხალი ინტერესით ადევნებდა თვალს, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში სიტყვა არ დასცდენია. ქადაგებაზე იგი სამივე დღეს იყო და შემთხვევას უცდიდა, რომ მოძღვართან ახლოს მისულიყო. მან მხოლოდ მესამე დღეს გაბედა

მიახლოება და უთხრა მას: «შვილო, შეიძლება რაიმე საჭმელი მოგიტანო? ამ ხალხმა ერთხელაც კი არ შემოგთავაზა და ერთი წუთიც კი არ გაცალა, რომ დაგესვენა და საჭმელზე გეფიქრა. სახლში უცებ გავვარდები და საჭმელს და წყალს მოგიტან». ვივეკანანდა მოხუცის ალერსიანმა სიტყვებმა ღრმად შეძრა. მან მოხუცს ნათელი ღიმილით უთხრა: «მოდით წავიდეთ შენთან სახლში და ერთად ვისადილოთ».

ასე გახდა კურთხეული მოხუცი ახლობლის მიმართ თავისი ყურადღებისა და თანაგრძნობის გამო. იგი მზად იყო დიადი მოხეტიალე ასკეტისთვის სიყვარულით ემსახურა. სწორედ ეს არის ნამდვილი ერთგულება; და ეს მოხუცი ჭეშმარიტი ერთგულია.

## 145

### მამა და ვაჟი

ბაბასაჰება ტარქჰადას ოჯახის ყველა წევრი შირდი საი ბაბას მგზნებარე ერთგული იყო. მაგრამ თვითონ ტარქჰადი, რომელიც «ბრაჰმო სამაჯიში»<sup>1</sup> ირიცხებოდა, ღმერთის თაყვანისცემას რაიმე ფორმაში არ ცნობდა. მიუხედავად ამისა, მისი ცოლი და ვაჟი მრავალი წლის განმავლობაში ბაბას მოწიწებით სცემდნენ თაყვანს და მისი დარშანის მისაღებად შირდიში ხშირად ჩადიოდნენ.

ზაფხულის არდადეგების დასაწყისში ოჯახში გადაწყდა, რომ ვაჟი არდადეგებს დედასთან ერთად შირდიში გაატარებს. მაგრამ ბიჭს გამგზავრება არ უნდოდა. მამამ მიზეზი ჰკითხა. შვილმა უპასუხა: «მე თუ შირდიში წავალ, ბაბასთვის რიტუალურ თაყვანისცემას აქ, სახლში, ვინ შეასრულებს? არატი<sup>2</sup> და ნაივედია<sup>3</sup> ვინ შესთავაზებს მას? შენ ხომ «ბრაჰმო სამაჯის» წევრი ხარ და, ალბათ, ბაბას პორტრეტის წინ ადათ-წესების შესრულებას არ დაიწყებ?» ტარქჰადი შეძრული იყო ბაბას მიმართ შვილის ერთგულებითა და რიტუალების გამო მისი წუხილით. მან თქვა: «შვილო, მე გპირდები, სიტყვას გაძლევ, რომ წესს შევასრულებ

<sup>1</sup> «ბრაჰმო სამაჯი» - «ბრაჰმანის (თაყვანისცემის) საზოადობა», რლიური რფორმატორული საზოადობა, რომლიც 1828 წ. შექმნა. მასში ქადაბდნ რთიანი ღმრთის იდბს, ყვლა რლიის სართო საფუძვლბს, კრპთაყვანისმცმლობისან და სქტანტობისან უარის თქმას.

<sup>2</sup> არატი - წირვა; ცვხლის, წყლის, კთილსურნლბის, ყვავილბისა და ა.შ. რიტუალური შთავაზბა.

<sup>3</sup> ნაივედია - წმინდანისთვის ან ღვთაბისთვის შთავაზბული საკვბი, რომლიც ღვთისმსახურბის წსბის შსრულბის (ან წმინდანის მირ შხბის) შმდ ნაკურთხი ხდბა და იჭმბა როორც პრასადი.

ზუსტად ისე, როგორც ამას თქვენ აკეთებთ. დარდი ნუ გაქვს». შვილმა კიდევ ერთხელ ჰკითხა: «მამა, მართლა ყოველდღე ჩაატარებ *პუჯას*?» ტარქჰადმა უთხრა: «დიახ, შვილო, აუცილებლად». და დედა-შვილი შირდიში გაემგზავრა.

დაპირების თანახმად, ტარქჰადი საი ბაბას პორტრეტის წინ რიტუალს ყოველდღე ასრულებდა ზუსტად ისე, როგორც ამას მისი ვაჟი აკეთებდა და შაქრის რამდენიმე ნატეხსაც კი სთავაზობდა ბაბას როგორც *ნაივედიას*. შემდეგ ამ შაქარს იგი სადილის დროს შინაურებს ურიგებდა. რამდენიმე ხანს ასე გრძელდებოდა. ერთხელ დილით ტარქჰადიმ, როგორც ყოველთვის, *პუჯა* შეასრულა და ამის შემდეგ იგი სამუშაოზე წავიდა. შუადღისას სადილად სახლში დაბრუნდა და *პუჯის* ოთახში შევიდა, რომ შაქრის ნატეხები აეღო. მაგრამ ისინი იქ არ აღმოჩნდა, და მან მზარეულს ჰკითხა, შაქარი სად იყო შაქარი. მზარეულმა უპასუხა: «ბატონო, დილით თქვენ ისე ჩქარობდით, რომ *ნაივედია* დაგავიწყდათ და შაქარი არ დადეთ». ტარქჰადის ხასიათი გაუფუჭდა, რომ ბაბას ძღვენი არ შესთავაზა. ახლა *პრასადის* სახით მას დასარიგებელი არაფერი ჰქონდა. შვილისთვის დანაპირები ვერ შეასრულა.

მან შვილს წერილი მისწერა და ამ შემთხვევის შესახებ უამბო. სთხოვა წერილი ბაბას წინ დაედო და მისი დაუდევრობის გამო პატიება ეთხოვა.

ამ დროს შირდიში ცეცხლის დანთების ცერემონია (*არატი*) მთავრდებოდა. ბაბამ მ-ს ტარქჰადს უთხრა: «დედა, თქვენს სახლში ვიყავი ბანდრაში და იმედი მქონდა, რომ *ნაივედიას* გავსინჯავდი. კარი დაკეტილი იყო, სახლში მაინც შევედი, მაგრამ *პუჯის* ოთახში ვერავითარი ძღვენი ვერ ვნახე. ტარქჰადმა იქ საჭმელად არაფერი დატოვა. ამიტომ ხელცარიელი დავბრუნდი». მ-ს ტარქჰადისათვის ეს ძნელი გასაგები იყო, მაგრამ მისი ვაჟი ყველაფერს მიხვდა. მან მამას წერილი მისწერა და ეს ამბავი აუწყა. სთხოვდა, რომ *პუჯის* ყველა დეტალი სათუთად დაეცვა.

რა გაკვეთილს იძლევა ეს ამბავი?

თუ თქვენ პირობა მიეცით, რაც არ უნდა დაგიჯდეთ, შეასრულეთ იგი. ადამიანები ხშირად «პირდებიან, და ქარს ატანენ» («Not proiss, ut iss»).



## ყველაფერი სასიკეთოდაა

მეფეს ჰყავდა მინისტრი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა იმის თქმა, რომ რაც კი რამ ხდება, ყველაფერი სასიკეთოდაა. ერთხელ მეფემ, შაქრის ლერწამს ერთ ნაწილს რომ აჭრიდა, თითი გაიჭრა. ჭრილობა რომ დაინახა, მინისტრმა, როგორც ყოველთვის, თქვა: «რასაც ღმერთი აკეთებს, ყველაფერი სასიკეთოდაა». მეფე მძვინვარებამ მოიცვა: «მე ტკივილისგან ვიტანჯები და სისხლი მდის, შენ კი ამტკიცებ, რომ ყველაფერი სასიკეთოდაა. შენი ფილოსოფია ყელში ამომივიდა. განა ეს ჩემი დამშვიდების საშუალებაა? აუტანლად მტკივა, როგორ უნდა იყოს ეს სასიკეთო?» მეფემ მინისტრი მაშინვე ციხეში ჩასვა, მაგრამ ამ ბრძანების გაგონებისთანავე მინისტრმა მშვიდად წარმოთქვა: «ეს განაჩენიც კი სასიკეთოდაა».

რამდენიმე დღის შემდეგ მეფე სანადიროდ ტყეში წავიდა, ამასთან, მსახურები სასახლეში დატოვა. დღის მიწურულს იგი დასასვენებლად ხის ძირში ჩამოჯდა. მოულოდნელად ტყის თემის ბელადის მსახურები გამოჩნდნენ, მათ მეფე შეიპყრეს და ხელები შეუკრეს. «რატომ გამთოკეთ? რას მიპირებთ?» - იყვირა მეფემ. მათ უპასუხეს: «ჩვენს ქალღმერთს, კალის, უნდა შეგწიროთ სამსხვერპლოზე. წესი გვაქვს, რომ წელიწადში ერთხელ კალის ადამიანი უნდა შევწიროთ. დრო დადგა. ჩვენ ვეძებდით ადამიანს და გვიხარია, რომ გიპოვეთ». მეფემ პროტესტი გამოთქვა: «გამიშვით, მე მეფე ვარ. როგორ შეიძლება ჩემი შეწირვა?» თემის ხალხმა გაიცინა და თქვა: «გვიხარია, რომ წელს მსხვერპლი განსაკუთრებული იქნება, და ჩვენს ქალღმერთს ძალიან ესიამოვნება, რომ მას ასეთ პიროვნებას შევწირავთ».

მეფე წაიყვანეს და სამსხვერპლოზე დააწვინეს. სასიკვდილო დარტყმისთვის ყველაფერი მზად იყო, როცა უცებ ქურუმმა მეფის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე სახვევი შენიშნა. სახვევი გახსნეს და ჭრილობა ყველამ დაინახა. ქურუმმა გამოაცხადა: «ეს ადამიანი ჩვენი ქალღმერთისთვის სამსხვერპლოდ არ ვარგა. ადამიანი, რომელსაც სხეულზე ნაკლი აქვს, სამსხვერპლოდ არ გამოდგება. გაათავისუფლეთ იგი».

მეფეს მინისტრის სიტყვები გაახსენდა, თითის გაჭრის დროს რომ თქვა: «რასაც ღმერთი აკეთებს, ყველაფერი სასიკეთოდაა». მიხვდა, რომ

სწორედ გაჭრილმა თითმა იხსნა იგი სიკვდილისაგან. მეფე სწრაფად დაბრუნდა სახლში – პირდაპირ ციხეში, რომ მინისტრი სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა. მან წამოიძახა: «მაპატიე, რომ ასე სასტიკად მოგექეცი». მინისტრმა უპასუხა: «თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ ჩემთვის არავითარი ზიანი არ მოგიყენებიათ. პატიებისთვის მიზეზს ვერ ვხედავ». მეფემ ჰკითხა: «რატომ ამბობდი, რომ ციხეში ჩასმა შენთვის სიკეთე იყო?» მინისტრმა უპასუხა: «ციხეში რომ არ ჩაგესვით, მაშინ, როგორც ყოველთვის, სანადიროდ თან უნდა გხლებოდით. მე თქვენს გვერდით ვიქნებოდი და თქვენი დაწუნების შემდეგ სამსხვერპლოდ მე ამირჩევდნენ. ღმერთი ყველაფერს სასიკეთოდ ასრულებს».

147

ვინ არის

ჭემმარიტი იოგი?

ქუჩაში ნარინჯისფერ სამოსელში გამოწყობილი ადამიანი მიდიოდა. მას პატარა ბიჭების გუნდი აედევნა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ იგი გაებრაზებინათ, მაგრამ მოხეტიალე მწირი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მზის ჩასვლამდე მას უახლოეს სოფლამდე უნდა მიეღწია, ამიტომ იგი საკმაოდ სწრაფად მიაბიჯებდა. მწირი სოფლის მახლობლად ხის ქვეშ დასასვენებლად ჩამოჯდა. ბავშვები მას გარს შემოეხვივნენ და მის დაცინვას განაგრძობდნენ. მაგრამ მწირი მშვიდად იჯდა და არც გულისწყრომას გამოხატავდა, არც გაღიზიანებას. ბავშვებს მისი გაჯავრება მოსწყინდათ და გაჩუმდნენ. მწირმა ჰკითხა: «ბავშვებო, კიდევ დაგრჩათ ჩემ წინააღმდეგ სიტვათა მარაგი? «ამოანთხიეთ» ახლა, იმიტომ რომ, როცა სოფელში მივალ, ვშიშობ, რომ უსიამოვნებები გექნებათ». ერთ-ერთმა ბიჭუნამ ჰკითხა: «რა მოხდება?» მწირმა უპასუხა: «ბავშვებო, მე თვითონ არაფერს დაგიშავებთ. ქება და ძაგება მხოლოდ ჩემს სხეულს ეხება, თვითონ მე კი არ მეხება, მაგრამ სოფელში ბევრია ხალხი, რომელიც მაფასებს. თუ ჩემს შეურაცხყოფას გააგრძელებთ, როგორც აქამდე აკეთებდით, სოფლის მცხოვრებლებმა

შესაძლოა გაგტყეპონ. შესაძლო უსიამოვნებებისგან რომ დაგიცვათ, წინასწარ გაფრთხილებთ».

ამ სიტყვების გაგონებისას ბავშვებმა სინდისის ქენჯნა იგრძნეს. მათ იფიქრეს: «შეურაცხყოფის მიუხედავად, ჩვენ რომ ვაყენებდით, ეს ადამიანი კეთილი და მშვიდი რჩებოდა. უფრო მეტიც: მას ჩვენი ბედი აღელვებს. ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია. იგი ჭეშმარიტად *ქმამას* (ყოვლისმიტევების) განხორციელებაა».

ბავშვები მწირის ფეხებთან განერთხნენ და პატიება ითხოვეს.

148

## მეფის მსახური ღმერთის მსახური გახდა

მანიკავაჩაკარი, «ტირუვაჩაკამას» ავტორი, ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია შივაიტებიდან. ძალიან საინტერესოა, როგორ იქცა ყოფილი მინისტრი წმინდანად.

მანიკავაჩაკარი თამილნადუს ერთ-ერთი მეფის კარზე მთავარი მინისტრი იყო. მეფეს ცხენები ძალიან უყვარდა, და ერთხელ მან მინისტრი ახალი ბედაურების საყიდლად გაგზავნა.

ისე მოხდა, რომ მანიკავაჩაკარს გზაში ბრძენი შეხვდა, სახელად ტირუკანანი. მათ საუბარი გააბეს. ბრძენი ლაპარაკობდა წუთისოფლის წარმავალი ბუნებისა და მარადიული სიხარულის შესახებ, რომელსაც ღმერთის მზერა იძლევა. ბრძენის სიტყვებმა მანიკავაჩაკარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და სულიერ გზაზე დადგომა შთააგონა. მან გადაწყვიტა ცხენები აღარ ეყიდა და მისთვის მიცემული ფული უფალ შივას ტაძრის მშენებლობისთვის მოეხმარა.

მინისტრის დაკარგვით მეფე შეწუხებული იყო და მის მოსამებნად შიკრიკები გაგზავნა. მან შეიტყო, რომ მანიკავაჩაკარმა ცხენების საყიდლად განკუთვნილი ფული ტაძრის მშენებლობაზე დახარჯა, და ბრძანა, რომ მინისტრი შეეპყროთ და ციხეში ჩაესვათ. მაგრამ მანიკავაჩაკარი გულს არ იტეხდა. იგი ციხეში ღვთის სახელის გალობას განაგრძობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ სინდისის ქენჯნა იგრძნო,

მინისტრი მოაყვანიდა და ჰკითხა, ოქრო სად წაიღო. მანიკავაჩაკარმა უპასუხა: «მეფეო! მე იგი ღმერთისთვის დავხარჯე. ის დავუბრუნე, რაც მან ჩვენ მოგვცა. მისი ნებისა და ძალის გარეშე ჩვენი სხეულის ვერც ერთი უჯრედი ვერ იცოცხლებს, ერთი ბალახიც კი არ გაინძრევა. მხოლოდ მისი ნებით არსებობს სამყარო. მეფეო! შენ ბედმა გაგიღიმა, რომ მეფე გახდი, მე კი უბედურება მხვდა წილად, რომ შენი მინისტრი გავხდი. ამაში ბედმა არ გამიღიმა. მინისტრი<sup>1</sup> მზად უნდა იყოს მთელი თავისი ენერჯია ღმერთის მსახურებისკენ მიმართოს. მაგრამ ბედი მაინც კეთილგანწყობილი აღმოჩნდა ჩემ მიმართ: ჭეშმარიტება დროულად გავაცნობიერე და ღმერთის მინისტრის თანამდებობა მივიღე. ადამიანის გონება უნდა აყვავდეს და ღმერთს ადიდებდეს. როდესაც ეს ჭეშმარიტება გამეხსნა, ცხენების საყიდლად მოცემული ფული უფალ შივას ტაძრის აგებაზე დავხარჯე». მეფე მიხვდა, რომ მინისტრი გულით და სულით ღმერთის ერთგულია, და მისი გათავისუფლება ბრძანა.

149

### თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება

ერთი *პანდიტი* გამოზომილ ცხოვრებას ეწეოდა - გარკვეულ განრიგს მკაცრად იცავდა. იგი ადრე დგებოდა, «ომ»-ს 108-ჯერ კითხულობდა, ამის შემდეგ კი, განბანის შესრულებისთანავე, ზუსტად 7 საათზე ერთ ჭიქა რძეს სვამდა.

გოგონა-მერძევე ზოგჯერ იგვიანებდა, რადგან მდინარის მეორე მხარეზე სოფელში ცხოვრობდა. იგი ბორანზე ჯდებოდა და დოქით რძე მეორე ნაპირას გადმოჰქონდა. ზოგჯერ ბორანი ცოტა ადრე ან გვიან გადიოდა, ამიტომ მერძევე *პანდიტის* სახლში შვიდ საათზე უფრო გვიან ცხადდებოდა.

ერთხელ *პანდიტმა* იგი დატუქსა: «შენ ჩემი ცხოვრების წესრიგს არღვევ. განა არ იცი, რომ ზუსტად 7 საათზე რძის დაღევა მაქვს წესად? რატომ უნდა იყო ბორანზე დამოკიდებული? სახელი რამა იმეორე, და

---

<sup>1</sup> სიტყვა inistr (ინლ.) პირდ. ნიშნავს: მსახური, შმსრულბლი; მღვდლმსახური; ის, ვინც ღვთისმსახურბას ასრულბს.

მდინარეზე მშვიდად შეგეძლება გავლა. რამა იზრუნებს, რომ არ დაიხრჩო».

ქალიშვილი ძალიან გულუბრყვილო და მიმნდობი იყო და *პანდიტის* სიტყვები დაიჯერა. მეორე დღეს იგი რამას სახელს განუწყვეტილად იმეორებდა და მდინარეზე ფეხით გადმოვიდა. *პანდიტმა* ჰკითხა: «ასე დროულად მოსვლა როგორ მოახერხე?» მერძევემ უპასუხა: «რამას სახელს ვიმეორებდი, როგორც გუშინ შენ მასწავლე, და მდინარეზე გადმოსვლა შევძელი». *პანდიტი* გაოგნებული იყო. მან არ დაიჯერა. რძე რომ დალია, თქვა: «წავიდეთ და ვნახოთ, მდინარეზე როგორ გადიხარ». პირზე რამას სახელით ქალიშვილმა მდინარეში შეაბიჯა და წყალზე გაიარა. მან *პანდიტს* შესთავაზა, რომ უკან მიჰყოლოდა. მაგრამ *პანდიტმა* იცოდა, რომ წყალზე გავლას ვერ შეძლებდა, რადგან იმის რწმენა არ ჰქონდა, რის შესახებაც თვითონ ამბობდა – ღმერთის სახელის ძალისა.

150

## გრძნობათა ორგანოების გაფიცვა

გრძნობათა ორგანოები – თვალეები, ყურეები, ცხვირი და ა.შ. – და სხეულის სხვა ნაწილები ენის მიმართ შურმა მოიცვა. მათ თქვეს: «ჩვენ ვშრომობთ მთელი ძალით, რომ საკვები ვიშოვოთ და ენას გადავცეთ, ის კი ამ საკვებით მარტო ტკბება». მათ შეწყვიტეს ენისთვის საკვების მიწოდება. შურმა ისინი აიძულა დაევიწყებინათ ის ფაქტი, რომ თვითონ მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მოქმედება, როდესაც ენერგია, რომელსაც საკვები შეიცავს, კუჭს ენის დახმარებით მიეწოდება. ამგვარად საკუთარი თავი სასიკვდილოდ თვითონ გაწირეს. მათ ვერ გაიგეს, რომ ენა საჭმელს მხოლოდ სინჯავს, ამის შემდეგ კი კუჭში აგზავნის. კუჭში მიწოდებული საკვები სისხლად, ენერგიის წყაროდ, იქცევა. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციის გარეშე ყველა დანარჩენი ორგანო მუშაობას წყვეტს. რა გახდა ორგანოთა სიკვდილის მიზეზი? შური – მწვანეთვალეებიანი ურჩხული!

## იგავი ვენახზე

ერთ სოფელში მცხოვრებთა ორი ჯგუფი ერთმანეთს დიდხანს მტრობდა – ხან ერთი, ხან მეორე მიზეზის გამო. ერთ გლეხს ორი აკრი მიწა ჰქონდა, რომელზედაც ყურძენი მოჰყავდა და ჰყიდდა; ეს მისი ოჯახის საარსებო წყარო იყო. იგი არც ერთ ჯგუფს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ მასთან ორივე ჯგუფიდან მოდიოდნენ ადამიანები და სთხოვდნენ, რომ მათს რიგებს შეერთებოდა. ასე, დიდი ზეწოლის შედეგად, იგი ბოლოს და ბოლოს მიუერთდა ჯგუფს, სადაც უფრო მეტი ვერაგი ხალხი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ეს პატიოსანი ადამიანი, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, პოლიციამ დააპატიმრა. ამის შედეგად მისი ვენახი მომვლელის გარეშე დარჩა. ვაზი კვირების განმავლობაში წყალს არ იღებდა, დაჭვნა და მოიღუნა. მოსავალი არ იყო, შესაბამისად შემოსავალიც არ იყო, და სახლში ცოლ-შვილს თითქმის არავითარი საჭმელი არ დარჩა.

ციხეში ეს ადამიანი კვირაში ერთხელ ცოლისგან წერილს ღებულობდა. ციხის წესების თანახმად პატიმრებთან მოსული წერილები ცენზურას არ გადიოდა, მაშინ როცა პატიმრების მიერ გაგზავნილები ისინჯებოდა. მისმა ცოლმა ერთხელ მისწერა: «როგორც ჩანს, ციხეში ცუდ პირობებში არ ხარ, მაგრამ ჩვენს უბადრუკ არსებობაზე თუ გიფიქრია? შენი დაპატიმრების შემდეგ ჩვენი ვენახი ჩამოხმა, და შემდეგ მოსავლამდე მომხვნელი არავინ არის. მე ფული არ მაქვს, რომ მიწა წესრიგში მოვიყვანო. ჩვენ თითქმის შიმშილით ვიხოცებით. თუ რაიმე საშუალებას მოიგონებ, რომლის დახმარებითაც გადამხმარი მიწის მოხვნა იქნება შესაძლებელი, მაშინ უახლოეს მომავალში ცოტა საჭმელი მაინც გვექნება. თუ შეგიძლია გამაგებინე».

ამ წერილის წაკითხვისას გლეხი სევდამ შეიპყრო. მაგრამ უცებ თავში რაღაცა გეგმა მოუვიდა. და აი რა მისწერა ცოლს: «ნუ ღელავ. შენთვის არასოდეს მითქვამს ოქროს მონეტებით სავსე ქოთნის შესახებ, რომელიც მე ვიპოვე და ჩვენს ვენახში ნაღარში ჩავფალი. ამოთხარე იგი და მოიხმარე». ეს წერილი ციხის ცენზურის მიერ შემოწმებულ იქნა, და

ზედამხედველმა იგი არ გაგზავნა. მან ყველა პატიმარი ერთად შეყარა და უბრძანა ვენახი გადაეხნათ, რომ განძი ეპოვათ. მოკლე დროში მთელი მიწა გადათხრილ იქნა, მაგრამ ვერავითარი განძი იქ ვერ იპოვეს.

მესამე დღეს ძლიერი წვიმა წამოვიდა, და იმ წელიწადს ძალიან კარგი მოსავალი მოვიდა. ცოლი ბედნიერი იყო. მან ყურბენი გაყიდა და ბლომად ფული აიღო.

მისჯილი ექვსი თვის მიწურულს ქმარი ციხიდან გამოუშვეს. როგორც კი სახლში მოვიდა, ცოლმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა: «მოსახნავად ამდენი ხალხის გამოგზავნა როგორ მოახერხე?» ქმრისაგან წერილი მან არ მიიღო და ამიტომ მისი გეგმის შესახებ არაფერი იცოდა. ქმარმა უპასუხა: «დიახ, ღმერთის დახმარებით იდეა დამებადა და ისინი განძის არსებობაში დავარწმუნე. მადლობა ვუთხრათ ღმერთს».

რა არის ამ ამბის ფარული აზრი? გლახს ორი აკრი მიწა ჰქონდა. ადამიანს ორი დუიმის სიგანე გული აქვს. მას ორი «დაჯგუფება» ფლობს – კარგი თვისებები და ცუდი თვისებები. შუაში *ჯივას*<sup>1</sup>, გულის მცხოვრები და მფლობელი. დასაწყისში იგი არც ერთ ჯგუფისკენ არ იხრება, მაგრამ მოგვიანებით ერთ-ერთი მათგანი თავისკენ ახერხებს მის გადაბირებას. *ჯივას* ჰყავს ცოლი (*ნივრიტი*<sup>2</sup>) და შვილები (*პრავრიტი*<sup>3</sup>). იმის გამო, რომ *ჯივა* ერთ-ერთ დაჯგუფებას მიემხრო, იგი ტყვეობაში (ციხეში) აღმოჩნდა. ეს არის დამოკიდებულება. მაგრამ მან გააცნობიერა, რომ ოქროს (სიბრძნის) საპოვნელად გულის ველი უნდა გაიწმინდოს (მოიხნას). ამ სიბრძნის დასაუფლებლად დამოკიდებულების ციხის ყველა პატიმარმა თავისი გულის ველი უნდა მოხნას. მოხვნისა და გასუფთავების შემდეგ ნეტარების მოსავლის აღება შეიძლება. ამისთვის რა არის თქვენთვის აუცილებელი? მითითებული *სადჰანას* დახმარებით გულის გაწმენდა.

## 152

### მუჰამედ გორი

მრავალმა თქვენგანმა იცის დამპყრობელი მუჰამედ გორი ჩვენს ქვეყანას როგორ ძარცვავდა. ერთხელ მან რანასთან (პრინცთან) –

<sup>1</sup> ჯივა – ინდივიდუალური ანსხულბული სული.

<sup>2</sup> ნივრიტი – შინით მიმართული მოქმედება და შცნბა; შინაანი ძიბა.

<sup>3</sup> პრავრიტი – ართ, არ სამყაროსკნ მიმართული მოქმედება და შცნბა.

პრითჰივი რაჯასთან - ორთაბრძოლა გამართა და დამარცხება იგემა. მაგრამ, როდესაც მუჰამედ გორიმ პატიება ითხოვა, პრითჰივი რაჯამ იგი გაუშვა. გორი პრითჰივი რაჯას ექვსჯერ დაესხა თავს და ექვსჯერვე დამარცხდა. დიდსულოვანმა პრითჰივი რაჯამ ექვსჯერვე გაუშვა.

როდესაც მუჰამედ გორი ინდოეთში მეშვიდედ შეიქრა და პრითჰივი რაჯას კვლავ შეებრძოლა, გამარჯვება მოიპოვა. მის ადგილას სხვა ნებისმიერი მეფე დამარცხებულ მოწინააღმდეგეს გაათავისუფლებდა, რადგან გაიხსენებდა, თუ პრითჰივი რაჯა როგორი მოწყალე იყო მის მიმართ. მაგრამ გორი უმადურობის თვით განსახიერება იყო. მან იგი არა მარტო დილეგში ჩააგდო, არამედ დააბრმავა კიდეც. ამ ბოროტმოქმედებაში მას პრითჰივი რაჯას სიმამრი - ჯაიაჩანდრა - დაეხმარა.

ერთხელ გორის პრითჰივი რაჯას მინისტრმა მიაკითხა და უთხრა: «ნუ ამყობ იმით, რომ პრითჰივი რაჯა დაამარცხე და დააბრმავე. მას კიდეც შეუძლია სასტიკ ბრძოლაში ჩაებას, რადგან იგი *შაბდავედია* (ხმის მქონე)».

გორის ამის დაჯერება არ შეეძლო და უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ პრითჰივი რაჯა ნამდვილად *შაბდავედი* იყო. მან მოაყვანიხა იგი და შესთავაზა ისარი ესროლა ზანზალაკისთვის, რომელიც მისი ტახტისგან რამდენიმე ფუტის მოშორებით იდგა. გორიმ ზანზალაკის დაწკარუნება ვერც კი მოასწრო, რომ პრითჰივი რაჯას ისარმა ზანზალაკი ნაწილებად აქცია. მუჰამედ გორიმ პრითჰივი რაჯას სიკვდილი უკვე მიუსაჯა, მაგრამ დასჯის წინ უბრძანა ერთხელაც ესროლა. პრითჰივი რაჯამ მხურვალე ლოცვა აღავლინა და, როგორც კი ზანზალაკის წკარუნი გაიგო, ისარი იმავე წამს ისროლა. აი სასწაული! ისარი პირდაპირ გორის ყელში შეესო. იგი უსულოდ დაეცა. ასე დაისაჯა ის, ვის უმადურობასაც საზღვარი არ ჰქონდა. კეთილი და სამართლიანი ადამიანის გულწრფელ ლოცვას ღმერთი ყოველთვის პასუხობს.

თომას ედისონი 1847 წლის 11 თებერვალს დაიბადა ღარიბ ოჯახში ოჰაიოს შტატში. სკოლაში სწავლის დროს მას სწავლის მიმართ



არავითარი ინტერესი არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ გამომგონებლობისა და ექსპერიმენტების ნიჭი გააჩნდა.

მისმა პირველმა საშინაო ცდებმა ოჯახის ქონებას სერიოზული ზიანი მიაყენა, და მშობლები მას დაემუქრნენ, რომ სახლიდან გააგდებდნენ. მაგრამ თომასმა თავის გამოკვლევებზე უარის თქმას ქუჩაში ცხოვრება ამჯობინა.

ერთხანს ყმაწვილი მატარებლებში კანფეტს ყიდდა და ამით პურის ფულს აკეთებდა. ერთხელ გამცილებელმა ედისონს მაგარი სილა გააწნა იმის გამო, რომ ვაგონის ტუალეტში მან აფეთქება მოაწყო. მას შემდეგ ედისონმა ნაწილობრივად ყურთასმენა დაკარგა.

ერთხელ მან მატარებლის თვლებიდან პატარა ბავშვი ამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა. ბავშვის მამა, რომელიც მდიდარი კაცი აღმოჩნდა, ედისონისთვის ნამდვილი კეთილისმყოფელი გახდა. მან იგი ტელეგრაფის კომპანიაში სამუშაოდ მოაწყო და ახლა ედისონს ექსპერიმენტების ჩატარებისთვის კარგი შესაძლებლობები გაუჩნდა, რასაც იგი დიდი მონდომებით აკეთებდა. დროთა განმავლობაში მან მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია და იგი მე-19 საუკუნის უდიდესი გამომგონებელი გახდა. მსოფლიო მას უნდა უმადლოდეს ელექტრულ ნათურას, გრამოფონს, ტელეფონსა და სხვა მრავალ სასარგებლო ნივთს. უბრალო ოჯახიდან გამოსულმა საწყალმა ბიჭმა მეცნიერის დონეს მიაღწია და უდიდესი აღმოჩენები განახორციელა. მან მსოფლიოს სინათლე და სიხარული მისცა. როგორმიაღწია ამას? მხოლოდ გამბედაობითა და საქმის ერთგულებით. მას ყოველთვის სწამდა აფორიზმი: «შემიძლია, გავაკეთებ, ვალდებული ვარ». გარდა ამისა ედისონის ცხოვრება ასახავს ჭეშმარიტებას: «მოთმინება სიძნელეთა გადატანის საშუალებას იძლევა, შეუპოვრობა კი მათ სპობს».

154

## მახვილგონიერების თანდაყოლილი ნიჭი

უინსტონ ჩერჩილი თავისი მახვილგონიერებითა და იუმორის გრძნობით იყო ცნობილი, აგრეთვე ბრწყინვალე ორატორული ნიჭითაც.

თუმცა ბავშვობისას იგი არც მახვილი გონებით გამოირჩეოდა, არც საზრიანობით, და სკოლაშიც არ იყო პირველი მოსწავლე. მაგრამ საკუთარი თავის რწმენის, შეუპოვარი შრომისა და დიდი ძალისხმევის წყალობით იგი ბოლოს და ბოლოს ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ახალგაზრდობის დროს მან თავისი ნებით ჯარში იმსახურა, ამის შემდეგ კი პოლიტიკის სფეროში შედგა ფეხი. იგი ბევრს ვარჯიშობდა იმისათვის, რომ მაღალი კლასის ორატორი გამხდარიყო. ყოველი გამოსვლის წინ სარკის წინ დგებოდა და რეპეტიციას გადიოდა, ჟესტებსა და მოძრაობებს ამუშავებდა, რომლებიც აუდიტორიაზე მაქსიმალურად დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. იგი საკუთარ თავზე განუწყვეტლივ და დაჟინებით მუშაობდა.

ერთხელ წინასაარჩევნო სიტყვაში მან ზედმეტი ემოციების გარეშე ოპოზიციის პარტიას შავი დღე დააყენა. ჩერჩილის ამ თავდასხმებით აღშფოთებულმა ვილაცა ქალმა წამოიყვირა: «გაჩუმდით! თქვენი ცოლი რომ ვყოფილიყავი, აქამდე ჩაიში შხამს გაგირევდით და მოგკლავდით!» ჩერჩილმა აუღელვებლად უპასუხა: «თქვენი ქმარი რომ ვყოფილიყავი, მაგ ენიდან მთელ ფიალა შხამს გამოვწურავდი და ხახაში ჩაგასხამდით». ქალმა ამაზე ვერაფერი უპასუხა.

მეორეჯერ, ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის საპასუხო სიტყვის დროს, ჩერჩილი თვალეზდახუჭული გაუნძრევლად იჯდა. ორატორმა იფიქრა, რომ ჩერჩილი მას არ უსმენს და ხმამაღლა შენიშნა, რომ ისეთ პერსონას, როგორცაა ჩერჩილი, ოპოზიციის წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლის დროს ძილი არ ეკადრება. ჩერჩილი მაშინვე წამოდგა. «უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი, მართლაც რომ დამეძინა; მაშინ პატივცემული ორატორის სიტყვას ადვილად ავიტანდი», - თქვა მან. ამან აუდიტორიის ხმამაღალი სიცილი გამოიწვია.

ყოველმა თქვენგანმა უნდა განავითაროს თანდაყოლილი მახვილგონიერება, რომელიც ყველა რთულ სიტუაციაში კარგ სამსახურს გაგიწევთ.

ჩაკრავარტი რაჯაგოპალაჩარი თავისი უბადლო იუმორის გრძნობით, მახვილი გონებითა და სიბრძნით იყო ცნობილი. ერთხელ იგი, როგორც

პრემიერ-მინისტრი, თათბირზე იჯდა. მოულოდნელად საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა თქვა: «სერ, ერთი რამ ვერ გამიგია. თუ შეიძლება, ამიხსენით. გუშაგი, რომელიც მთელი ღამე სადარაჯოზე დგას, 50-დან 100 რუპიამდე ხელფასს იღებს. უსაფრთხოების სამსახურის მოხელე კი ზის კაბინეტში, სადაც კონდიციონერი მუშაობს, ქალაქებს ხელს აწერს, და ათას რუპიაზე მეტს იღებს. განა ეს სამართალია?»

რაჯაგოპალაჩარიმ ჭკუის სწავლება გადაწყვიტა. პასუხი მაშინვე არ გასცა. მან სარკმელში გაიხედა და დაინახა, ვიღაცა *სანიასინი* როგორ უხმობს რიქმას და საზიდარში ასვლას აპირებს. პრემიერ-მინისტრმა კაცი გაგზავნა გუშაგთან, რომელიც შენობასთან სადარაჯოზე იდგა, და სთხოვა მას გამოერკვია, ეს *სანიასინი* ვინ იყო. მალე გუშაგი დაბრუნდა. მან პრემიერ-მინისტრს აცნობა, რომ *სანიასინის* სახელია ანანდა. მაშინ რაჯაგოპალაჩარიმ გუშაგს სთხოვა გაეგო, *სანიასინი* საით მიემართება. ჯარისკაცი დაბრუნდა ცნობით, რომ ის უახლოეს სოფელში მიდის. და რაჯაგოპალაჩარიმ გუშაგს კვლავ დაავალა ძირს ჩასულიყო და გაეგო, *სანიასინი* გაჩერებას სად აპირებს და სოფელში რამდენ ხანს დარჩება. გუშაგი დაბრუნდა და რაჯაგოპალაჩარის აცნობა ის, რაც *სანიასინმა* თქვა.

მაშინ რაჯაგოპალაჩარიმ უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერთან გაგზავნა კაცი და სთხოვა გაეგო, ვინ იყო რიქმასთან მდგარი *სანიასინი*. ოფიცერმა *სანიასინის* მთელი ასავალ-დასავალი დეტალებში გამოარკვია და 10 წუთის შემდეგ დაბრუნდა. რაჯაგოპალაჩარიმ «ურწმუნო თომას» ეშმაკურად შეხედა და თქვა: «სერ, თქვენ ნახეთ, რომ ოფიცერმა რამდენიმე წუთში *სანიასინის* ცხოვრების ყველა დეტალი გამოარკვია, გუშაგს კი რამდენჯერმე მოუხდა ზევით-ქვევით სირბილი, რომ რამდენიმე შეკითხვა დაესვა. ოფიცერს მეტს უხდიან მისი გამოცდილებისა და გონების გამო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გუშაგის სამსახური და ვალდებულებები რაღაცით უფრო «დაბლაა». ოფიცრისგან ზუსტად ასევე მოითხოვენ, რომ იგი თავის ვალდებულებებს სრული ძალებით ასრულებდეს. მნიშვნელოვანია არა საათების რაოდენობა, რომელიც სამუშაოზე იხარჯება, არამედ ამ სამუშაოს ხარისხი.

## სარჩევი

წინასიტყვაობა;

1. გურუ დაქშინა (მადლიერების საჩუქარი გურუსთვის);
2. საკუთარი გურუსადმი ერთგულება;
3. სიწმინდე, მოთმინება, შეუპოვრობა;
4. სამართვა რამადასი;
5. იდეალური გურუ;
6. ყოველი მოქმედება შედეგს იწვევს;
7. წერილი ვაჟს;
8. როგორცაა მამა, შვილიც ისეთივეა;
9. დედის როლი;
10. პუტალი ბაი;
11. სანიმუშო დედა;
12. დედა და სამშობლო;
13. სიმართლე ილაპარაკე;
14. ხუმრობითაც კი ნუ ამბობთ ტყუილს;
15. როგორც საშუალებაა, შედეგიც ისეთივეა;
16. ერიდეთ მრისხანებას;
17. მასწავლებელი და მამიებელი;
18. არჯუნას სიამაყე;
19. სიხარბე უბედურების წყაროა;
20. კრიჟანგობას ადამიანი უბედურებამდე მიჰყავს;
21. ჭეშმარიტად ბრმაა ის, ვისი გონებაც ორსახოვანია;
22. მიბმულობა;
23. ფეხმარდი პრინცესა;
24. სურვილს სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს;
25. სიხარული და სიხარულის დასასრული (ENJOY – END-JOY);
26. პატრიოტიზმი;
27. «ო.ვ.მ.» და «ო.ქ.მ.»;
28. უაზრო დაზეპირება სახიფათოა;
29. მოსმენის სამი გზა;
30. ბრმად ნუ მიჰყვებით მითითებებს;
31. სხვების გაკიცხვას ნუ ჩქარობთ;
32. აქ იყიდება ხილი;
33. როგორ გავყოთ ქონება პატოსნად?;
34. მდგომარეობიდან გამოსვლა;
35. ბრმად მიბადვა;
36. რა არის ამქვეყნად ყველაზე უფრო თეთრი?;
37. ვინ უფრო ლამაზია?;

38. იყავით კეთილგონიერები აზრებში, სიტყვებსა და საქმეებში;
39. აზრის ძალა;
40. თქვენს აზრზე დამოკიდებული ვინ გახდებით;
41. მუდამ პატიოსანი იყავი;
42. თუ იჩქარებ, დაკარგავ;
43. აქ და ახლა აკეთე კარგი საქმეები;
44. გონების კონტროლი;
45. ეცადეთ, რომ გონება რაღაცით დაკავებული იყოს;
46. გრძნობებზე კონტროლი;
47. დაიცავით გონების სიწმინდე;
48. უარი თქვი გონებაზე;
49. მუდამ ფხიზლად იყავი;
50. სერ ისაკ ნიუტონის თავმდაბლობა;
51. ენშტეინისგან აიღეთ მაგალითი;
52. თავდაჭერილობა;
53. რა არის პატიების უნარი;
54. ჯნიანა დევი – ნამა დევი;
55. ვინ არის ნამდვილი ფილოსოფოსი?;
56. ყველაფერში კარგის დანახვა იცოდე;
57. ბრძენნი სიტყვიერად;
58. შენს თავს თვითონ დაეხმარე;
59. ვინ არის ჭეშმარიტი პანდიტი?;
60. სანამ ითხოვდე, მანამდე დაიმსახურე;
61. რა არის ცოდვა?;
62. მომწონს – არ მომწონს;
63. გემრიელია – უგემურია;
64. პრაქტიკას სრულყოფილებამდე მიჰყავს;
65. მუშაობა თაყვანისცემაა;
66. მოვალეობა ღმერთია;
67. ლოცვის ძალა;
68. მიიღეთ და თავშესაფარი მიეცით;
69. ხელი გაანძრიე;
70. შრომის ღირსება;
71. გამბედაობა;
72. ვინ არის ოჯახში მთავარი?;
73. საჰასა-სადჰანა (უგუნურება-სულიერი პრაქტიკა);
74. გაფანტული ყურადღება;
75. ერთგულის სურვილი;
76. სანდალოზის კორომი;
77. ღმერთი ყველგან მსუფვეია;

78. პატივმოყვარეობის საბურველი;
79. კერპების თაყვანისცემა;
80. ნუ მოეპყრობით ღმერთს როგორც ქვასან სურათს;
81. სარფიანი გარიგება;
82. შივა თუ ვიშნუ;
83. რა არის ჭეშმარიტი განდგომა?;
84. მშობის გაკვეთილი;
85. ვინ არის ტაძრის დამცველი?;
86. ქორწილი სიძის გარეშე;
87. უკანასკნელი სურვილი;
88. ყველა ღვთაებრივია;-
89. მოჰაქშია (ილუზიისგან განთავისუფლება);
90. გულუხვობა ხელების სამკაულია;
91. ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო;
92. ცოდვილი წმინდანად იქცა;
93. ვინ არის ზეცაში მოხვედრის ღირსი?;
94. გაეცი და მოიგებ;
95. ვინ არის ნამდვილი მეგობარი?;
96. როგორიცაა მეფე, ისეთივე არიან ქვეშევრდომებიც;
97. შემწყნარებლობის ფასი ამქვეყნიურ ცხოვრებაში;
98. უფლის გზები;
99. მოუთმენლობა;
100. რა არის შეწირულება;
101. გამოცდა თავდაჯერებულობას აძლიერებს;
102. რა არის ჭეშმარიტი ლოცვა?;
103. ითხოვეთ და მოგეცემათ;
104. რწმენა ცხოვრების თვით სუნთქვაა;
105. რწმენის ძალა;
106. ღმერთი თავის ერთგულს უბედურებაში არასოდეს მიატოვებს;
107. როგორ დავიმსახუროთ ღმერთის წყალობა?;
108. «თქვენ კი უწინარეს ეძიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე და ეს ყველაფერი შეგემატებათ»;
109. გონებავ, თავი შეიკავე მოთხოვნებისგან!;
110. ეს ეკუთვნის ერთგულს, ჩემთვის ძვირფასს;
111. უფალს სრული მინდობა;
112. შივა და შანკარაჩარია;
113. უფლის გამხარებელი სიმღერები;
114. დრაუპადის მოთმინება;
115. კრიშნა - ტრიშნა;
116. ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი

- ღმერთს იხილავენ;
117. როგორ გავხდეთ ღმერთისთვის ძვირფასები?;
  118. ღმერთის ჩანაფიქრი და მისი ლოგიკა;
  119. კარმა ყველაფერზე პასუხისმგებელია;
  120. რა არის ჭეშმარიტი უშიშრობა?;
  121. უბჰაია ბჰარატი;
  122. ცხოველები ადამიანის წინააღმდეგ;
  123. წყალობის საჩუქრები;
  124. გონებავ! ისწრაფე იქითკენ, სადაც განგა იამუნას ერთვის;
  125. სამი სტადია;
  126. მანსურის მოწამეობა;
  127. სიყვარულისა და გულუხვობის რეზერვუარი;
  128. ნეტარება ბრაჰმანია;
  129. ნააბჰაკა იდეალური ვაჟი და მოსწავლეა;
  130. ბჰასმასურა;
  131. ბჰარატა (ჯადა);
  132. ღვთაებრივი ნება;
  133. ისწრაფე და შეუერთდი;
  134. სიყვარული მხოლოდ გასცემს;
  135. ვიბრაციის ზემოქმედება;
  136. ადამიანთა მოდგმა;
  137. განდგომის გაკვეთილი;
  138. გარეგნობის მიხედვით ნუ განსჯი;
  139. ხუთი გადაცდომა;
  140. სამი შეკითხვა;
  141. რა არის ჭეშმარიტი ერთგულება?;
  142. მოთმინება სულიერი მამიებლის უდიდესი თვისებაა;
  143. რამა და ნაცემი ძაღლი;
  144. ვინ არის ჭეშმარიტი ერთგული?;
  145. მამა და ვაჟი;
  146. რასაც ღმერთი აკეთებს, ყველაფერი სასიკეთოდაა;
  147. ვინ არის ჭეშმარიტი იოგი?;
  148. მეფის მსახური ღმერთის მსახური გახდა;
  149. თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება;
  150. გრძნობათა ორგანოების გაფიცვა;
  151. იგავი ვენახზე;
  152. მუჰამედ გორი;
  153. ედისონის მაგალითი;
  154. მახვილგონიერების თანდაყოლილი ნიჭი;
  155. ხარისხი – რაოდენობა.

**Bhagavan Sri Sathya Sai Baba**  
**CHINNA KATHA**

© გამომცემელი და მთარგმნელი

ვაჟა ნარიმანიძე

ყველა უფლება დაცულია

დაიბეჭდა გამომცემლობის ხარჯებით